ავტორის სტილი დაცულია

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი
ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტი

**გიორგი ბენაშვილი**

**თავისუფალი ვაჭრობის გავლენა მაკროეკონომიკურ მაჩვენებლებზე (საქართველოს მაგალითზე)**

დისერტაცია
ეკონომიკის დოქტორის აკადემიური ხარისხის მოსაპოვებლად

სამეცნიერო ხელმძღვანელი
პროფესორი ავთანდილ სილაგაძე

თბილისი
2021

## სარჩევი:

შესავალი........................................................................................................................ 10

**თავი I. საერთაშორისო ვაჭრობის თეორიული და ემპირიული კვლევის საფუძვლები**

1.1 საერთაშორისო ვაჭრობის გენეზისი და როლი მსოფლიო ეკონომიკურ ევოლუციაში........................................................................................................................17

1.2 საერთაშორისო ვაჭრობის თანამედროვე მიმართულებები და ტენდენციები........28

1.3 საერთაშორისო ვაჭრობის გრავიტაციული მოდელი ..................................................46

**თავი II. საქართველოს საგარეო ვაჭრობის პოლიტიკა**

2.1 ვაჭრობის პოლიტიკის ევოლუცია დამოუკიდებლობიდან დღემდე .......................51

2.2 საქართველოს საგარეო ვაჭრობის სტრუქტურა ...........................................................59

2.3 საქართველოს თავისუფალი ვაჭრობის შეთანხმებები ...............................................80

**თავი III. თავისუფალი ვაჭრობის გავლენა მონაწილე ქვეყნის ეკონომიკაზე**

3.1 ევროკავშირთან და ჩინეთთან საქართველოს თავისუფალი ვაჭრობის შეთანხმებების ანალიზი ..........................................................................................................109

3.2 თავისუფალი ვაჭრობის როლი საქართველოს ექსპორტის ზრდასა და დივერსიფიცირებაში..........................................................................................................117

**დასკვნები და რეკომენდაციები** ..........................................................................................131

**გამოყენებული ლიტერატურა** .............................................................................................143

**დანართები**.........................................................................................................................153

## აბსტრაქტი

სამყაროს თანამედროვე განვითარება გლობალიზაციასთან, კერძოდ კი საზღვრების რღვევასა და სახელმწიფოთა შორის მჭიდრო ურთიერთ თანამშრომლობასთან არის დაკავშირებული. თანამედროვე ურთიერთდამოკიდებულ მსოფლიოში საბაზრო ეკონომიკა კიდევ უფრო მნიშვნელოვანს ხდის საერთაშორისო ვაჭრობას, რადგან საერთაშორისო ვაჭრობაში ჩაბმულია მსოფლიოს თითქმის ყველა ქვეყანა, ვინაიდან ვერც ერთი მათგანი ვერ შეძლებს იყოს თვითკმარი და მხოლოდ ეროვნული წარმოების პროდუქტით უზრუნველყოს საკუთარი თავი. ამავე დროს საერთაშორისო ვაჭრობა უდიდეს გავლენას ახდენს გლობალური პოლიტიკის ჩამოყალიბებაზე, ვინაიდან ქმნის მჭიდრო საქმიან კავშირებს ქვეყნებს შორის. იგი მშვიდობის განმაპირობებელი ერთ-ერთი მთავარი ფაქტორია. ამ რეალობამ დღის წესრიგში დააყენა საერთაშორისო ვაჭრობის საკითხების სიღრმისეული შესწავლა.

ვაჭრობის ღია სისტემა, რომელსაც დღეს არაერთი ქვეყანა იყენებს, მოითხოვს, რომ სახელმწიფოებმა განახორციელონ სამართლიანი და დისკრიმინაციისგან თავისუფალი შეღწევა ერთმანეთის ბაზრებზე. ამისათვის ისინი უნდა შეეცადონ შეუქმნან სხვა ქვეყნებს ხელსაყრელი პირობები ეროვნულ ბაზრებზე შესაღწევად - შეამცირონ თავიანთი ვაჭრობის ბარიერები მრავალმხრივი და ორმხრივი შეთანხმებებით. ვაჭრობის ღია სისტემა, იგივე თავისუფალი ვაჭრობა ქვეყნებს შესაძლებლობას აძლევს მოახდინონ საკუთარი კონკურენტუნარიანობის გამოყენება და გაზარდონ იმ საქონლისა და მომსახურების ექსპორტი, რომლის წარმოებაშიც ფლობენ კონკურენციულ უპირატესობას. აღსანიშნავია, რომ თავისუფალი ვაჭრობის რეჟიმი მასში ჩართული ქვეყნების მოქალაქეებისთვის საქონლისა და მომსახურების მრავალფეროვნებასა და ხელმისაწვდომობასა უზრუნველყოფს.

კვლევის აქტუალობა განსაკუთრებით თვალსაჩინოა საქართველოს კონტექსტში. ვაჭრობის ურთიერთობების ლიბერალიზების შედეგად, ეროვნული წარმოების, ექსპორტისა და მთლიანად ვაჭრობის ბრუნვის მოცულობის ზრდა, საქართველოს ეკონომიკის განვითარების მნიშვნელოვანი ქვაკუთხედია. მცირე ზომის ეკონომიკის მქონე ქვეყნებისთვის ექსპორტის მზარდი დინამიკა და ვაჭრობის დადებითი სალდო, ეკონომიკური ზრდისა და კეთილდღეობის მიღწევისთვის მნიშვნელოვანი ფაქტორებია. ამ მიმართულებით, საქართველო ძალიან აქტიურია საერთაშორისო ვაჭრობის ურთიერთობების ჩამოყალიბებაში. რაც გამოიხატება სხვა ქვეყნებთან

ვაჭრობის პირობების გაუმჯობესებითა და ზოგადად ვაჭრობის პოლიტიკის ლიბერალიზებით.

საქართველოს თავისუფალი ვაჭრობის რეჟიმი უკვე აქვს თურქეთთან, ევროკავშირთან, ევროპის თავისუფალი ვაჭრობის ასოციაციასთან, ჩინეთთან და დსთ-ს სივრცის ზოგიერთ სახელმწიფოსთან. რაც ქვეყანას ახალ შესაძლებლობებს აძლევს მოახდინოს საკუთარი პროდუქციის ექსპორტი დამატებითი ვაჭრობის ბარიერების გარეშე თითქმის 2 მილიარდიან ბაზარზე.

ამავე დროს, თავისუფალი ვაჭრობის რეჟიმებით სარგებლობის პოტენციალის ზრდით მნიშვნელოვნად იცვლება რეგიონში არსებული ეკონომიკური აქტივობის ვექტორები. საქართველო ერთადერთი ქვეყანაა სამხრეთ კავკასიაში, რომელიც თავისუფალი ვაჭრობის რეჟიმით სარგებლობს როგორც ევროკავშირთან, ასევე ჩინეთთან. რაც ქვეყნით ეკონომიკური დაინტერესების მასშტაბს კიდევ უფრო აფართოვებს.

წარმოდგენილი კვლევის მეცნიერული სიახლეა მაკროეკონომიკურ მაჩვენებლებზე თავისუფალი ვაჭრობის გავლენის კომპლექსური შესწავლის მცდელობა, უპირატესად საქართველოს მაგალითზე. კვლევას, ექნება მოთხოვნადი პრაქტიკული მნიშვნელობა რადგან მასში გაანალიზებულია უახლესი სტატისტიკური და კონცეპტუალური ინფორმაცია.

## Abstract

The modern development of the world is strongly related to globalization, especially breakdown of borders and close cooperation between the states. In the modern interdependent world, market economy becomes more important to international trade, as international trade is involved in almost all countries of the world, since none of them will be able to be self-sufficient and only produce the product of all national provide. At the same time, international trade has greatly influenced on the development of global policies, as it creates close business ties between countries. It is one of the key factors of keeping the peace.

This reality puts an in-depth study of international trade issues on the scientific agenda.

The open system of trade, which is used by many countries today, requires the States to pursue free and entering fair discrimination on each other's markets. They should try to create for the other countries favorable conditions to enter to the national markets - by reducing their trade barriers with multilateral and bilateral agreements.

The open system of trade, the same free trade allows countries to use their own competitiveness and to increase the export of goods and services in which they have a competitive advantage. It should be noted that the free trade regime ensures the diversity and availability of goods and services to citizens of the countries involved.

As a result of the liberalization of trade relations, the increase in the volume of national production, exports and trade turnover has an important role to the economic development of Georgia. Increasing dynamics of export positive balance of trade are important factors for economic growth and prosperity for the countries owned small economies. On this way, Georgia is very active in establishing international trade relations. Which is reflected in the improvement of trade conditions with other countries and liberalization of trade policies in general.

Georgia has already signed free trade regime agreements with Turkey, the EU, EFTA, China and some of the CIS spaces. Which gives the country new opportunities to export their products to the market with more than $ 2 billion consumers.

At the same time, increase using free trade regimes significantly changes vectors of economic activity in the South Caucasus region. Georgia is the only country in the South

Caucasus, which has free trade regimes with the EU and China. Which enhances the scale of economic interests by the country.

The scientific novelty of the presented research is an attempt to comprehensively study the impact of free trade on macroeconomic indicators, mainly on the example of Georgia. The research will have the practical value because it analyses the latest statistical and conceptual information.

**დიაგრამები**

დიაგრამა 1. საქართველოს საგარეო ვაჭრობა 2000-2010 წწ. ........................................... 60
დიაგრამა 2. საქართველოს ექსპორტი ქვეყნების ჯგუფებთან 2000-2010 წწ. ................ 62
დიაგრამა 3. საქართველოს ვაჭრობის ბრუნვა თურქეთთან 2007-2018 წწ. .................. 67
დიაგრამა 4. საქართველოს ექსპორტი თურქეთში 2019 წ. ............................................. 68
დიაგრამა 5. საქართველოს იმპორტი თურქეთიდან, 2019 წ. .......................................... 69
დიაგრამა 6. საქართველოს ძირითადი საექსპორტო ბაზრები 2010 წ. ...........................71
დიაგრამა 7. საქართველოს ექსპორტი სასაქონლო პოზიციების მიხედვით .................73
დიაგრამა 8. საქართველოს ექსპორტის სტრუქტურა, 2010 წ. ..........................................74
დიაგრამა 9. საქართველოს საგარეო ვაჭრობა 2011-2019 წწ. ............................................ 76
დიაგრამა 10. საქართველოს ექსპორტის სტრუქტურა, 2019 წ. .........................................77
დიაგრამა 11. საქართველოს ექსპორტი ქვეყნების მიხედვით, 2011-2019 წწ. ...............79
დიაგრამა 12. საქართველოს მიერ გაფორმებული თავისუფალი ვაჭრობის შეთანხმებები............................................................................................................ 82
დიაგრამა. 13 საქართველოს ექსპორტი დსთ-ის ქვეყნებში 2005-2019 წწ. .....................83
დიაგრამა 14. საქართველოს ექსპორტი დსთ-ის ქვეყნებში სასაქონლო პოზიციების მიხედვით, 2019 წელი ...........................................................................................................85
დიაგრამა 15. საქართველოს იმპორტი დსთ-ის ქვეყნებიდან სასაქონლო პოზიციების მიხედვით 2019 წელი ............................................................................................................87
დიაგრამა 16. საქართველოსა და ევროკავშირს შორის საგარეო ვაჭრობა.......................95
დიაგრამა 17. საქართველოს ექსპორტი ევროკავშირში სასაქონლო პოზიციების მიხედვით.........................................................................................................................100
დიაგრამა 18. საქართველოს იმპორტი ევროკავშირიდან სასაქონლო პოზიციების მიხედვით.........................................................................................................................101
დიაგრამა 19. საქართველოსა და ჩინეთის საგარეო ვაჭრობა...........................................105
დიაგრამა 20. საქართველოს ექსპორტი ჩინეთში, 2019 წ. ................................................105
დიაგრამა 21. საქართველოს იმპორტი ჩინეთიდან, 2019 წ. ............................................106
დიაგრამა 22. საქართველოს ექსპორტით იმპორტის დაფარვის კოეფიციენტი თურქეთთან, აზერბაიჯანთან და სომხეთთან ..................................................................120
დიაგრამა 23. საქართველოს ექსპორტი ევროკავშირის ქვეყნებში 2019 წელს, წილი მთლიან ექსპორტში ..........................................................................................................125
დიაგრამა 24. საქართველოს ექსპორტით იმპორტის დაფარვის კოეფიციენტი ევროკავშირთან, ჩინეთთან და რუსეთთან (2005-2019) .................................................130

**ცხრილები**

ცხრილი 1. საქართველოს საგარეო ვაჭრობა 2000-2010 წწ. ............................................ 61
ცხრილი 2. საქართველოს მაკროეკონომიკური ინდიკატორები.....................................70
ცხრილი 3. სხვადასხვა ქვეყნის მიერ გაფორმებული თავისუფალი ვაჭრობის შეთანხმებები ..........................................................................................................81
ცხრილი 4. საქართველოს ექსპორტი დსთ-ის თავისუფალი ვაჭრობის ზონის ქვეყნებთან 2014-2019 წწ. .........................................................................................86
ცხრილი 5. PMC Research-ის კვლევა ევროკავშირთან და ჩინეთთან გაფორმებული თავისუფალი ვაჭრობის შეთანხმებების გავლა ეკონომიკის ზოგიერთ სექტორზე ...113
ცხრილი 6. საქართველოს საგარეო ვაჭრობის განზოგადებული მონაცემები .............118
ცხრილი 7. საქართველო-თურქეთის საგარეო ვაჭრობის განზოგადებული მონაცემები 2012-2019 წწ. ..............................................................................................................121
ცხრილი 8. საქართველო-ევროკავშირის საგარეო ვაჭრობის განზოგადებული მონაცემები.....................................................................................................................124
ცხრილი 9. საქართველო-ჩინეთის საგარეო ვაჭრობის მაჩვენებლები..........................127
ცხრილი 10. საქართველო-რუსეთის საგარეო ვაჭრობის განზოგადებული მონაცემები 2012-2019 წწ. ..............................................................................................................128

**დანართები**

დანართი 1. საქართველოსა და ევროკავშირის სავაჭრო ბრუნვა....................................153
დანართი 2. საქართველოს ექსპორტი მსხვილ სავაჭრო პარტნიორებთან ...................154
დანართი 3. საქართველოს ექსპორტი ევროკავშირის ქვეყნებში ..................................155
დანართი 4. საქართველოს ექსპორტი დსთ-ის სივრცის ქვეყნებთან ............................159
დანართი 5: ექსპორტის ზრდა ევროკავშირის ქვეყნებში 2014 წელს ...........................161
დანართი 6. ექსპორტის ზრდა ევროკავშირის ქვეყნებში 2015 წელს ............................162
დანართი 7. ექსპორტის ზრდა ევროკავშირის ქვეყნებში 2016 წელს ............................162
დანართი 8. ექსპორტის ზრდა ევროკავშირის ქვეყნებში 2017 წელს ............................163
დანართი 9. ექსპორტის ზრდა ევროკავშირის ქვეყნებში 2018 წელს ............................163
დანართი 10. ექსპორტის ზრდა ევროკავშირის ქვეყნებში 2019 წელს ..........................164
დანართი 11. საქართველოს საგარეო ვაჭრობა ჩინეთის სახალხო რესპუბლიკაში ....165
დანართი 12. საქართველოს საგარეო ვაჭრობა ევროკავშირთან ....................................166
დანართი 13. საქართველოს საგარეო ვაჭრობა დსთ-ის სივრცის ქვეყნებთან .............167
დანართი 14. საქართველოს საგარეო ვაჭრობა რუსეთის ფედერაციასთან ..................168
დანართი 15. საქართველოს ექსპორტი მსხვილ სავაჭრო პარტნიორებთან .................169
დანართი 16. საქართველოს იმპორტი მსხვილ სავაჭრო პარტნიორებთან ..................169
დანართი 17. საქართველოს ექსპორტის წილი ევროკავშირში, ჩინეთსა და დანარჩენ ქვეყნებში ..........................................................................................................................170
დანართი 18. საქართველოს იმპორტის წილი ევროკავშირიდან, ჩინეთიდან და დანარჩენი ქვეყნებიდან ..........................................................................................170
დანართი 19. საქართველოს ექსპორტის მოცულობა ევროკავშირში, ჩინეთში, დსთ-ში და სხვა ქვეყნებში ..........................................................................................................171

# შესავალი

*კვლევის აქტუალობა:* სამყაროს თანამედროვე განვითარება გლობალიზაციასთან, კერძოდ კი საზღვრების რღვევასა და სახელმწიფოთა შორის მჭიდრო ურთიერთ თანამშრომლობასთან არის დაკავშირებული. თანამედროვე ურთიერთდამოკიდებულ მსოფლიოში საბაზრო ეკონომიკა კიდევ უფრო აქტიურებს საერთაშორისო ვაჭრობას, რადგან მასში ჩაბმულია მსოფლიოს თითქმის ყველა ქვეყანა, ვინაიდან ვერც ერთი მათგანი ვერ შეძლებს იყოს თვითკმარი და მხოლოდ ეროვნული წარმოების პროდუქტით უზრუნველყოს სამამულო მოთხოვნა. ამავე დროს საერთაშორისო ვაჭრობა ქვეყნებს შორის მჭიდრო საქმიანი კავშირებით, უდიდეს გავლენას ახდენს გლობალური პოლიტიკის ჩამოყალიბებაზე, რომელიც მშვიდობის განმაპირობებელი ერთ-ერთი მთავარი ფაქტორია.

ამ რეალობამ დღის წესრიგში დასვა საერთაშორისო ვაჭრობის საკითხების სიღრმისეული შესწავლა. ვაჭრობის ღია სისტემა, რომელშიც ამჟამად მრავალი ქვეყანაა ჩართული, მოითხოვს, რომ სახელმწიფოებმა განახორციელონ სამართლიანი და დისკრიმინაციისგან თავისუფალი შეღწევა ერთმანეთის ბაზრებზე. სამამულო ბაზრებზე სხვა ქვეყნების პროდუქტის ადვილად შესაღწევად, მათ ხელსაყრელი პირობები უნდა შექმნან, მრავალმხრივი და ორმხრივი შეთანხმებების საფუძველზე თავიანთი ვაჭრობის ბარიერები უნდა შეამცირონ. ვაჭრობის ღია სისტემა, იგივე თავისუფალი ვაჭრობა ქვეყნებს შესაძლებლობას აძლევს მოახდინონ თავიანთი კონკურენტუნარიანობის გამოყენებისა და იმ საქონლისა და მომსახურების ექსპორტის გაზრდის შესაძლებლობას აძლევს, რომლის წარმოებაშიც კონკურენციულ უპირატესობას ფლობენ. მნიშვნელოვანია, რომ თავისუფალი ვაჭრობის რეჟიმი მასში ჩართული ქვეყნების მოქალაქეებისთვის საქონლისა და მომსახურების მრავალფეროვნებასა და ხელმისაწვდომობასა უზრუნველყოფს.

*კვლევის აქტუალობა* განსაკუთრებით თვალსაჩინოა საქართველოს კონტექსტში. ვაჭრობის ურთიერთობების ლიბერალიზების შედეგად, სამამულო წარმოების, ექსპორტისა და მთლიანად ვაჭრობის ბრუნვის მოცულობის ზრდა, საქართველოს ეკონომიკის განვითარების მნიშვნელოვანი ქვაკუთხედია. მცირე ზომის ეკონომიკის მქონე ქვეყნებისთვის ექსპორტის მზარდი დინამიკა და ვაჭრობის დადებითი სალდო, ეკონომიკური ზრდისა და კეთილდღეობის მისაღწევად მნიშვნელოვანი ფაქტორებია. ამ მიმართულებით, საქართველო საერთაშორისო ვაჭრობის ურთიერთობების

ჩამოყალიბებაში ძალიან აქტიურია, რაც სხვა ქვეყნებთან ვაჭრობის პირობების გაუმჯობესებითა და ზოგადად ვაჭრობის პოლიტიკის ლიბერალიზებით გამოიხატება.

განსაკუთრებით მიმდინარე საუკუნის დასაწყისიდან, საქართველოს მთავრობის მიერ განხორციელებული, როგორც სატარიფო პოლიტიკის, ასევე ტექნიკური რეგულირების მექანიზმების რეფორმირების შედეგად, ქვეყანას ამჟამად მსოფლიოში ერთ-ერთი ყველაზე ლიბერალური საგარეო ვაჭრობის პოლიტიკა გააჩნია. (economy.ge)

საქართველოს თავისუფალი ვაჭრობის რეჟიმი უკვე აქვს თურქეთთან, ევროკავშირთან, ჩინეთთან და დსთ-ს სივრცის ზოგიერთ სახელმწიფოსთან. ეს ქვეყანას დამატებითი ბარიერების გარეშე, დამატებითი პროდუქტის ექსპორტის ახალ შესაძლებლობებს აძლევს ბაზრებზე, სადაც მომხმარებელთა მთლიანი რაოდენობაც 2 მილიარდს აღემატება. საექსპორტო პოტენციალის ზრდასთან ერთად, თავისუფალი ვაჭრობის რეჟიმი პარტნიორ ქვეყნებთან პირდაპირი და მჭიდრო კომუნიკაციის განვითარებას ხელს უწყობს.

პარტნიორ ქვეყნებთან თავისუფალი ვაჭრობის შეთანხმებებმა საქართველოს მაკროეკონომიკურ გარემოზე შესაძლოა მნიშვნელოვანი დადებითი გავლენა იქონიოს. ექსპორტის ზრდა და ვაჭრობის ბალანსის გაუმჯობესება მნიშვნელოვანი ფაქტორებია ეკონომიკის ზრდისათვის, რასაც თავისუფალი ვაჭრობის ეფექტიანი გამოყენება შესაძლებელს ხდის.

გარდა ამისა, მნიშვნელოვნად იზრდება ქვეყნით დაინტერესება, რადგან ლიბერალური და გამარტივებული ვაჭრობის პოლიტიკა მიმზიდველია უცხო ქვეყნებში ბაზირებული ფირმებისთვის, რომლებსაც საერთაშორისო ვაჭრობაში არსებული უპირატესობების მაქსიმალურად ეფექტიანად გამოყენებით, საქმიანობის მასშტაბების გაფართოება შეუძლიათ. ეს კი, საქართველოს შესაძლებლობას აძლევს მოიზიდოს პირდაპირი უცხოური ინვესტიციები, (პუი) რაც სხვა მაკროეკონომიკური მაჩვენებლების გარდა, შრომის ბაზრის განვითარებასა და ცხოვრების დონის ზრდაზე პოზიტიურ გავლენას მოახდენს.

ვაჭრობის პარტნიორების რაოდენობითა და თავისუფალი ვაჭრობის რეჟიმებით სარგებლობის პრეცედენტით, საქართველო სამხრეთ კავკასიის რეგიონში მოწინავე ქვეყანაა. ამავე დროს, საერთაშორისო ვაჭრობის პოტენციალის ზრდით რეგიონში

არსებული ეკონომიკური აქტივობის ვექტორები მნიშვნელოვნად იცვლება. საქართველო ერთადერთი ქვეყანაა სამხრეთ კავკასიაში, რომელიც როგორც ევროკავშირთან, ასევე ჩინეთთან თავისუფალი ვაჭრობის რეჟიმით სარგებლობს. შესაძლოა ეს, ამ ქვეყნებში დაფუძნებული ფირმებისთვის, საქართველოში ინვესტიციების განსახორციელებლად და ევროკავშირისა და ჩინეთის მიმართულებით, თავისი პროდუქტის ექსპორტის გასაძლიერებლად, დამატებითი სტიმული აღმოჩნდეს.

თუმცა, შესაძლებლობებთან ერთად, ეს ქვეყანას ახალ გამოწვევებსაც უჩენს, რაც საერთაშორისო კონკურენციაში ჩართვას და სამამულო პროდუქციის ხარისხის სტანდარტების ამაღლებას გულისხმობს. აღნიშნულ გამოწვევებთან გამკლავება, გრძელვადიანი და გააზრებული ეკონომიკური პოლიტიკის გატარებით არის შესაძლებელი, რაც საკითხის სიღრმისეული მეცნიერული კვლევის აუცილებლობას მოითხოვს.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე კვლევის *მეცნიერული სიახლეა:* მაკროეკონომიკურ მაჩვენებლებზე თავისუფალი ვაჭრობის გავლენის კომპლექსური შესწავლის მცდელობა, უპირატესად საქართველოს მაგალითზე. კერძოდ, გლობალურ ტენდენციების ფონზე გამოკვლეულია:

- საქართველოს ვაჭრობის პოლიტიკის ევოლუცია დამოუკიდებლობიდან დღემდე და მიღებული შედეგების მიხედვით გაანალიზებულია ძირითადი მიღწევები, პრობლემები და გამოწვევები, რომელიც ვაჭრობის პოლიტიკის განვითარების სხვადასხვა ეტაპზე ქვეყნის ეკონომიკისთვის აქტუალური იყო.
- საქართველოს საგარეო ვაჭრობის სტრუქტურა, რომლის ძირითადი მახასიათებლებიც ნაშრომშია ასახული. კერძოდ, საგარეო ვაჭრობის მკვეთრად უარყოფითი სალდო, ვაჭრობის დიდი მოცულობა ტრადიციულ პარტნიორებთან, ნაკლებად დივერსიფიცირებული ექსპორტი და საექსპორტო ბაზრები, ვაჭრობა ნედლეულით და ა.შ.
- საქართველოს თავისუფალი ვაჭრობის შეთანხმებები ვაჭრობის ძირითად პარტნიორებთან, ევროკავშირთან, ჩინეთთან, თურქეთთან და ყოფილი პოსტ-საბჭოთა სივრცის ქვეყნებთან. მათ შორის შედარებითი ანალიზის მეთოდის გამოყენებით გაანალიზებულია ევროკავშირთან ღრმა და ყოვლისმომცველი თავისუფალი ვაჭრობის შესახებ შეთანხმება (DCFTA) და თავისუფალი

ვაჭრობის შეთანხმება ჩინეთთან. ზემო აღნიშნული შეთანხმებების გაანალიზების შედეგად წარმოდგენილია ის ძირითადი მახასიათებლები, რომლებიც გვხვდება ამ ქვეყნებთან საქართველოს საგარეო ვაჭრობისას. გამოყოფილია საექსპორტო პროდუქციის დივერსიფიკაციის, ექსპორტის კოეფიციენტის ცვლილებისა და შესაბამისი შეთანხმებების გავლენის საკითხები სხვადასხვა სასაქონლო ჯგუფების ექსპორტის ზრდის ტენდენციებზე.

- ასევე გამოკვლეულია თავისუფალი ვაჭრობის გავლენა მონაწილე ქვეყნის ეკონომიკაზე, რომელიც ცხადყოფს მის პოზიტიურ გავლენას ეკონომიკაზე, რომელიც სხვადასხვა ქვეყნის მაგალითზე ექსპორტის ზრდით, კონკურენტუნარიანობისა და შრომის ბაზრის განვითარებით, ასევე პირდაპირი უცხოური ინვესტიციების მოზიდვის სახით გამოიხატება.

მთლიანობაში, თავისუფალი ვაჭრობის რეჟიმებისა და მათი ეკონომიკური ეფექტიანობის შესწავლასა და შედარებით ანალიზს, მართებული ეკონომიკური პოლიტიკის შემუშავებასა და განხორციელებაში, უმნიშვნელოვანესი როლის შესრულება შეუძლია.

კვლევის *ძირითადი მიზანია* ვაჭრობის ღია სისტემის ტენდენციების შესწავლა და იმ ეფექტების ანალიზი, რომელსაც თავისუფალი ვაჭრობის რეჟიმი ქვეყნის ეკონომიკურ მაჩვენებლებზე ახდენს.

ამ მხრივ მნიშვნელოვანია პრობლემის კვლევა საქართველოს კონტექსტში, რომელიც ვაჭრობის სამ ძირითად პარტნიორთან, ევროკავშირთან, ჩინეთთან და თურქეთთან თავისუფალი ვაჭრობის რეჟიმით სარგებლობს. კვლევის საბოლოო მიზნის მისაღწევად, სიღრმისეულად გავაანალიზებთ საქართველოს მონაწილეობას მიმდინარე თავისუფალი რეჟიმით ვაჭრობაში და მთლიანობაში, ქვეყნის ეკონომიკაზე თავისუფალი ვაჭრობის ზეგავლენის საკვანძო საკითხებს.

კვლევის პროცესში ვუშვებთ *ჰიპოთეზა,* რომელის მიხედვითაც თავისუფალი ვაჭრობის რეჟიმი პარტნიორ ქვეყნებს შორის ვაჭრობის განვითარებას ხელს უწყობს, რასაც ქვეყნის მაკროეკონომიკურ მაჩვენებლებზე დადებითი ეფექტები აქვს. ამ ჰიპოთეზას განვიხილავთ საქართველოს კონტექსტში, რომელიც საკვლევ ობიექტს წარმოადგენს. ჰიპოთეზის ფარგლებში, განვიხილავთ საქართველოსა და ვაჭრობის სამ

ძირითად პარტნიორს, კერძოდ კი, საქართველოსა და ევროკავშირს, საქართველოსა და ჩინეთსა, საქართველოსა და თურქეთს შორის არსებულ თავისუფალი ვაჭრობის რეჟიმებს. წარმოდგენილი ჰიპოთეზის დამტკიცება კვლევის ერთ-ერთი მიზანია, რადგან იგი საშუალებას მოგვცემს შევამოწმოთ არსებული დაშვება და მის საფუძველზე ვიმსჯელოთ თავისუფალი ვაჭრობის მნიშვნელობაზე და საქართველოს მაკროეკონომიკურ მაჩვენებლებზე მის გავლენებზე.

დასახული მიზნიდან გამომდინარეობს კვლევის შემდეგი *ამოცანები:*

- ვაჭრობის ღია სისტემისა და თავისუფალი ვაჭრობის თავისებურებების შესახებ, არსებული ქართული და უცხოური სამეცნიერო ლიტერატურის მიმოხილვა;
- თავისუფალი ვაჭრობის გლობალური ტენდენციების გამოვლენა და ანალიზი;
- საერთაშორისო ვაჭრობის ეფექტების იდენტიფიკაცია და ეკონომიკაზემათი გავლენის შესწავლა;
- საქართველოს საგარეო ვაჭრობის პოლიტიკის ანალიზი;
- თავისუფალი ვაჭრობის შეთანხმებების ანალიზი და საქართველოს ეკონომიკაზე მათი ეფექტების შესწავლა;
- საქართველოს თავისუფალი ვაჭრობის მიმდინარე რეჟიმების პოტენციალის ანალიზი.

*კვლევის საგანი და ობიექტი:* კვლევის *საგანია* თავისუფალი ვაჭრობის რეჟიმები და მისი გავლენა მონაწილე ქვეყნის, უპირატესად საქართველოს ეკონომიკურ განვითარებაზე.

კვლევის ობიექტია საქართველოს ვაჭრობის პოლიტიკა და თავისუფალი ვაჭრობის რეჟიმების გავლენა მის განვითარებაზე.

*კვლევის თეორიული და მეთოდოლოგიური საფუძვლები:* კვლევის დროს გამოყენებული იქნა შემდეგი მეთოდები: რაოდენობრივი, თვისებრივი, ხარისხობრივი და შედარებითი ანალიზის, ასევე დაჯგუფების, ინდუქციური, დედუქციური და ე.წ „ქეის სთადი“.

ნაშრომში გამოყენებულია საკვლევ პრობლემაზე:

- ქართველ და უცხოელ მეცნიერთა სხვადასხვა შრომები, მათ შორის ბასილია, თ., სილაგაძე, ა., ჩიკვაიძე, თ. (2001). პოსტსოციალისტური ტრანსფორმაცია: საქართველოს ეკონომიკა XXI საუკუნის მიჯნაზე; პაპავა, ვ. (2005) პოსტკომუნისტური გარდამავალი პერიოდის მაკროეკონომიკა, (2015)

საქართველოს ეკონომიკა: რეფორმები და ფსევდორეფორმები; სიჭინავა, ა. (2010) ინვესტიციები; ფუტკარაძე, რ. (2010) საქართველო-ევროკავშირის სავაჭრო-ეკონომიკური ურთიერთობები: პრობლემები და პერსპექტივები; თოქმაზიშვილი, მ. და შერგელაშვილი, თ. (2012) საქართველოს ეკონომიკური ტრანსფორმაცია: დამოუკიდებლობის 20 წელი; Silagadze, A, Tvalchrelidze, A., Zubiashvili,T., Atanelishvili, T. (2016). Aspects of China's Economic Development; Plummer, G, M., Cheong, D., Hamanaka, S. (2010). Methodology for Impact Assessment of Free Trade Agreements, Manila, Asia Development Bank; Nurkse, R. (2011). Trade and Development; Krugman, P. R. (1986). Strategic Trade Policy and the New International Economics და სხვა.

- საქართველოს, უცხო ქვეყნების მთავრობების, საერთაშორისო ფინანსური ორგანიზაციების მასალები;
- ქართული და საერთაშორისო სტატისტიკური წყაროები, კერძოდ, საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახურის, ეროვნული ბანკის, მსოფლიო ბანკის, საერთაშორისო სავალუტო ფონდის, ევროსტატისა, და სხვა ორგანიზაციების მასალები.

წარმოდგენილ კვლევას, ექნება მოთხოვნადი პრაქტიკული მნიშვნელობა რადგან მასში გაანალიზებულია უახლესი სტატისტიკური და კონცეპტუალური ინფორმაცია. კვლევის შედეგები შესაძლოა გამოყენებული იქნას უმაღლეს სასწავლებლებში საერთაშორისო ეკონომიკის, საერთაშორისო ბიზნესის, ევროკავშირის ეკონომიკის, ეკონომიკის ისტორიის და სოციალური მეცნიერების ზოგიერთი სხვა მაპროფილებელი კურსების სწავლებისას, სამეცნიერო-კვლევით სამუშაოებში და მთავრობის ეკონომიკური პოლიტიკის შემუშავებისას.

*კვლევის შედეგების აპრობაცია:* ავტორის მიერ კვლევის შედეგები წარდგა საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენციებსა და ფორუმებზე საქართველოსა და საზღვარგარეთ, კერძოდ ტოკიოში (იაპონია), იაპონიის ეკონომისტთა ასოციაციის მიერ ორგანიზებულ საერთაშორისო კონფერენციაზე, სტამბოლში (თურქეთი) ისტამბულის უნივერსიტეტის მიერ ორგანიზებულ საერთაშორისო კონფერენციაზე, კრინიცის ეკონომიკურ ფორუმზე (პოლონეთი), თბილისის სახელმწიფო

უნივერსიტეტის მიერ ორგანიზებულ III საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენციაზე „გლობალიზაციის გამოწვევები ეკონომიკასა და ბიზნესში“.

აღსანიშნავია, რომ განხორციელებული კვლევითი ვიზიტის ფარგლებში, ჩატარებული კვლევის პროცესისა და შედეგების გაზიარება მოხდა ევროპის წამყვანი უნივერსიტეტების წარმომადგენლებისთვის, პროფესორებისთვისა და დოქტორანტებისთვის, კერძოდ ბრემენის უნივერსიტეტში (გერმანია) და ტარტუს უნივერსიტეტში (ესტონეთი). კვლევის შედეგებზე დაფუძნებული პუბლიკაციები გამოქვეყნდა ადგილობრივ და უცხოურ სამეცნიერო ჟურნალებში. კერძოდ:

- “China’s One Belt and One Road Initiative and Its Prospects for Georgia”;
- Pandemic Impacts on the International Economy;
- კორონომიკა - ეკონომიკური პოლიტიკის ხელახალი გააზრების აუცილებლობა.

ამასთან, სადისერტაციო ნაშრომი განხილული იქნა ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის საერთაშორისო ეკონომიკისა და ეკონომიკურ მოძღვრებათა ისტორიის კათედრაზე 2021 წლის 12 თებერვალს, სადაც ნაშრომმა დადებითი შეფასება მიიღო.

# თავი I. საერთაშორისო ვაჭრობის თეორიული და ემპირიული კვლევის საფუძვლები

## 1.1 საერთაშორისო ვაჭრობის გენეზისი და როლი მსოფლიო ეკონომიკის ევოლუციაში

მსოფლიოში საქონლისა და მომსახურების გაცვლა არაერთი ისტორიული მნიშვნელობის მოვლენის, აღმოჩენისა და გარდამტეხი ცვლილების ერთ-ერთი ფუნდამენტური საფუძველი იყო. ჯერ კიდევ მრავალი საუკუნის წინ განსხვავებული კულტურის, ეთნიკური და რელიგიური ნიშნის მქონე ადამიანები, ერთმანეთთან პირველად ეკონომიკურ ურთიერთობებს საქონლის ბარტერული წესით გაცვლით ამყარებდნენ.

ჯერ კიდევ უძველესი დროიდან, სანამ ფულის ერთეული პირველად მოხვდებოდა მიმოქცევაში, განსხვავებული წარმომავლობის მქონე ვაჭრები, საქონლის გაცვლის ისეთ ოპერაციებს ახორციელებდნენ, სადაც ვაჭრობის ორივე მხარე თანაბრად სასურველ შედეგს იღებდა. საუკუნეების წინ - საერთაშორისო ვაჭრობის პირველად ფორმებს ასე ჩაეყარა საფუძველი.

საერთაშორისო ვაჭრობის ლიბერალურ მოდელს, რომელიც თანამედროვე მსოფლიოში ყველაზე მეტად არის გავრცელებული, საფუძვლად ეკონომიკური მოძღვრებებისა და ვაჭრობასთან დაკავშირებული თეორიების ჩამოყალიბებისა და განვითარების მრავალფეროვანი ციკლი უდევს საფუძვლად. თავისუფალი ვაჭრობის თანამედროვე მოდელის გასაანალიზებლად, რაც წარმოდგენილი კვლევის ერთ-ერთ მთავარ მიზანს წარმოადგენს, მნიშვნელოვანია საერთაშორისო ვაჭრობასთან დაკავშირებული თეორიების ევოლუციის საფუძვლის ანალიზი.

საერთაშორისო ვაჭრობის შესახებ პირველ თეორიების ჩამოყალიბება მას შემდეგ იწყება, რაც თანამედროვე სახელმწიფოს პირველადი წარმონაქმნები გაჩდნენ. ჯერ კიდევ შუა საუკუნეებში ევროპელი მოაზროვნეებისა და ფილოსოფოსების დღის წესრიგში საერთაშორისო ვაჭრობის ბუნებისა და თვისებების შესახებ მოსაზრებები გაჩნდა. მოგვიანებით საერთაშორისო ეკონომიკაში გლობალიზაციის, საერთაშორისო ორგანიზაციებისა და ზოგადად ფირმების როლის ზრდამ, მე-20 საუკუნის მეორე ნახევრიდან, ეკონომიკურ მეცნიერებაში ვაჭრობის ახალი თეორიების ჩამოყალიბება წაახალისა.

ვაჭრობის ახალი თეორიები (New Trade Theories) წინამორბედი კლასიკური თეორიებისგან განსხვავებით, საერთაშორისო ვაჭრობაში ფირმებზე ორიენტირებულ ჩარჩოს ეფუძნება. რაც მანამდე არსებული ეკონომიკური თეორიებისგან განსხვავებით, სრულიად ახალ მიდგომას უყრის საფუძველს.

| ტრადიციული ეკონომიკური თეორიები | თანამედროვე ეკონომიკური თეორიები |
|---|---|
| მერკანტილიზმი | ქვეყნების ერთგვაროვნების თეორია |
| აბსოლუტური უპირატესობის თეორია | პროდუქციის ციკლის თეორია |
| შედარებითი უპირატესობის თეორია | გლობალური კონკურენციის თეორია |
| ჰექშერ-ოლინის თეორია | ეროვნული კონკურენტული უპირატესობის თეორია |

საერთაშორისო ვაჭრობის შესახებ ერთ-ერთმა პირველებმა თავისი შეხედულებები ჩამოაყალიბეს მერკანტილისტებმა. (ხარიტონაშვილი, 2019) მერკანტილიზმი ევროპაში XV საუკუნიდან გავრცელდა. ამ ეკონომიკური თეორიის მიმდევრები თვლიდნენ, რომ საზოგადოების კეთილდღეობის საფუძველი იყო არა მრეწველობის განვითარება, საქონლოსა და კაპიტალის მოძრაობა. ამ პერიოდში ეკონომიკური პოლიტიკის წარმატების გაზომვა ხდებოდა დაგროვებული ოქროს მოცულობით. მერკანტილისტებს მიაჩნდათ, რომ ეკონომიკურ კეთილდღეობას მხოლოდ ის სახელმწიფო აღწევდა - რომელიც საქონლის მეტ ექსპორტსა და ნაკლებ იმპორტს მოახდენდა. ამიტომ ე.წ ნულოვანი ანგარიშით თამაშისას, საქონლის იმპორტს საბაჟო გადასახადს უწესებდნენ.

მერკანტილისტური შეხედულებების საწინააღმდეგო მოსაზრებები ევროპაში მე-18 საუკუნის შუა პერიოდიდან გაჩნდა. საფრანგეთსა და დიდ ბრიტანეთში ეკონომისტები და მეწარმეები აქტიურად საუბრობდნენ ვაჭრობის ლიბერალიზებისა და საბაჟო გადასახადების გაუქმების აუცილებლობაზე. ამ მოსაზრებათა შესახებ თვალსაჩინოა ცნობილი ბრიტანელი ეკონომისტის ადამ სმითის ნაშრომი „ხალხთა სიმდიდრე“ (1776). დამოკიდებულებათა ამგვარმა ცვლილებამ, მომდევნო პერიოდში ვაჭრობის არაერთი შეთანხმებისა და ხელშეკრულების დადება განაპირობა, რომელიც ვაჭრობის ლიბერალიზაციასა და საბაჟო გადასახადების შემცირებას ისახავდა მიზნად. მათ შორის აღსანიშნავია, ანგლო-ფრანგული ვაჭრობის შეთანხმება, (1786) რომელმაც ორ ქვეყანას შორის მიმდინარე მრავალწლიანი ვაჭრობის ომი დაასრულა.

მიუხედავად იმისა, რომ ამ პერიოდიდან მერკანტილისტური იდეები აქტიურად აღარ განიხილებოდა, ზოგიერთ შემთხვევაში გარკვეული შემზღუდავი პოლიტიკა მაინც არსებობდა. რის გამოც, სამამულო პროდუქტის კონკურენციისგან დაცვის მოტივით, არაერთი სახის საქონელზე საბაჟო გადასახადი წესდებოდა.

მე-19 საუკუნის მეორე ნახევრიდან დასავლურ სამყაროში პოპულარობა ისევ პროტექციონისტულმა იდეებმა მოიპოვეს. ევროპის მსგავსად, სამოქალაქო ომის დასრულების შემდეგ პროტექციონისტურ პოლიტიკას მხარი აუბა აშშ-მაც, როდესაც 1890 წელს მაკ-კინლის სატარიფო აქტი მიიღო. ამ პერიოდში დიდი ბრიტანეთი იყო ერთადერთი, ვინც თავისუფალი ვაჭრობის პრინციპები შეინარჩუნა.

მიუხედავად პროტექციონიზმის გავლენის ზრდისა, მე-19 საუკუნის ბოლოდან I მსოფლიო ომის დაწყებამდე დასავლურ სამყაროში ლიბერალური ვაჭრობის პოლიტიკა მოქმედებდა, რაც პირველ რიგში გამოიხატებოდა დაბალი საბაჟო გადასახადებით, სამუშაო ძალის, კაპიტალისა და საქონლის შეუზღუდავად გადაადგილებაში გამოიხატებოდა.

I მსოფლიო ომმა მანამდე არსებულ ვაჭრობის ურთიერთობებში ქაოსი შეიტანა. საომარი მოქმედებების დასრულების შემდეგ, მსოფლიო ვაჭრობა მნიშვნელოვნად შეირყა. დიდმა დეპრესიამ რომელსაც თან ახლდა იმ ქვეყნების მიერ კომერციული უპირატესობების მოპოვება, რომელთა ვალუტაც გაუფასურდა, ბევრი ქვეყანა აიძულა რომ ვაჭრობის ახალი შეზღუდვები დაეწესებინათ. შედეგად მსოფლიო ახალმა პროტექციონისტურმა ტალღამ მოიცვა.

საბაჟო ტარიფებისა და ბარიერების პრობლემის გადასაჭრელად 1927 წელს, ერთა ლიგის ორგანიზებით პირველი ეკონომიკური კონფერენცია გაიმართა. ამ პერიოდში, 29 სახელმწიფომ ხელი მოაწერა საერთაშორისო ვაჭრობის პირველ შეთანხმებას, რომელიც ვაჭრობის ძირითად პირობებსა და მასთან დაკავშირებულ საკითხებს არეგულირებდა. ეს ხელშეკრულება 1947 წელს გაფორმებული ტარიფებისა და ვაჭრობის შესახებ გენერალური შეთანხმების წინაპირობა იყო.

თუმცა, 1927 წლის ვაჭრობის ხელშეკრულებას, პრაქტიკულად მნიშვნელოვანი ეფექტები არ ჰქონია. 1930-იან წლებში განვითარებულმა *დიდმა დეპრესიამ,* რასაც თან მოყვა არნახული უმუშევრობა და ეკონომიკური ვარდნა, კვლავ პროტექციონისტური მოსაზრებების პოპულარობის ზრდა გამოიწვია. საერთაშორისო ვაჭრობაში ჩართული

ქვეყნები ცდილობდნენ შეენარჩუნებინათ დადებითი საგადასახდელო ბალანსი, საბაჟო გადასახადების ზრდითა და იმპორტზე კვოტების შემოღებით.

ამ პერიოდიდან საგარეო ვაჭრობის პოლიტიკის დაგეგმვა სახელმწიფოს ექსკლუზიურ ფუნქცია გახდა. II მსოფლიო ომის დასრულებამდე, მერკანტილისტური იდეები საერთაშორისო ვაჭრობაში კვლავ დომინირებდა მანამ სანამ საერთაშორისო ვაჭრობაში სავაჭრო შეთანხმებებისა და საერთაშორისო ორგანიზაციების მნიშვნელობა გაიზრდებოდა.

საერთაშორისო ვაჭრობაში პროტექციონისტური იდეების პოპულარობის გამო, თავისუფალი ვაჭრობის პერსპექტივა ამ პერიოდში მნიშვნელოვნად შემცირდა. თუმცა, II მსოფლი ომის დასრულების შემდეგ, ომით მიყენებული ზარალის აღმოფხვრისა და ეკონომიკური უთანასწორობის დასაბალანსებლად, პროტექციონისტულ იდეებზე უარის თქმა გახდა საჭირო, რაც ვაჭრობის საზღვრების გახსნის გარეშე წარმოუდგენელი იყო.

ცნობილია, რომ კლასიკური ეკონომიკის ბრიტანული სკოლა, რომლის მამამთავარი ასევე ადამ სმითი იყო, მე-18 საუკუნეში ჩამოყალიბდა. ის მერკანტილისტურ შეხედულებებზე რეაქციას წარმოადგენდა. ადამ სმითის ცნობილი ნაშრომი "ხალხთა სიმდიდრე" (1776) ანტიმერკანტილური იდეების ტრაქტატის ცნობილი ნიმუშია. ნაშრომში სმითი ხაზს უსვამს სპეციალიზების მნიშვნელობას პროდუქტიულობის ზრდისთვის - სამყაროში სადაც რესურსები შეზღუდლია, ხოლო მომხმარებელთა მოთხოვნა სრულად ვერ კმაყოფილდება, თითოეული ქვეყანა უნდა აწარმოებდეს იმ პროდუქტს, რომლის საწარმოებლადაც მეტი რესურსი და წარმოების უნარი აქვს. გარდა ამისა, ქვეყანამ უნდა მოახდინოს ამ პროდუქციის ექსპორტი, იმ პროდუქციის იმპორტის სანაცვლოდ რომლის წარმოებასაც თავად ვერ ახერხებს. (Evensky, 2015)

სმითის თეორია მოგვიანებით სხვა ცნობილმა კლასიკოსმა ეკონომისტმა, დევიდ რიკარდომ განავრცო, რომელსაც დღეს რიკარდოს შედარებითი უპირატესობის თეორია ეწოდება. (Costinot, Donaldson, 2012) ამ თეორიის მიხედვით, ქვეყანა იმ შემთხვევაში ახდენს ეკონომიკური ზრდის სტიმულირებას, თუ იგი ორიენტირებულია ისეთი წარმოების განვითარებაზე, სადაც მას ყველაზე მეტად აქვს შედარებითი უპირატესობა. მაგალითად, ინგლისს შესაძლებლობა ჰქონდა იაფად ეწარმოებინა ქსოვილები, პორტუგალიას კი შეეძლო დაბალი დანახარჯებით ეწარმოებინა ღვინო. რიკარდოს აზრით ასეთ პირობებში ინგლისს უნდა შეეჩერებინა

ღვინის წარმოება, ხოლო პორტუგალიას კი ქსოვილის, რადგან ინგლისი მეტ შემოსავალს იღებდა ქსოვილით ვაჭრობით, პორტუგალიური ღვინის შესაძენად და პირიქით. ინგლისისთვის სხვადასხვა სახის ღვინის დამზადება დიდ დანახარჯებთან იყო დაკავშირებული, არსებული კლიმატური პირობების გამო, პორტუგალიას კი არ ჰქონდა ტექნოლოგიური შესაძლებლობა იაფი ქსოვილი ეწარმოებინა. ამიტომ, ერთმანეთთან იმ პროდუქციით ვაჭრობით, რომელსაც ინგლისი და პორტუგალია ეფექტიანად აწარმოებდა, სარგებელს ორივე ქვეყანა იღებდა.

შედარებითი უპირატესობის თეორიის მიხედვით, ვაჭრობის პროტექციონიზმი გრძელვადიან პერსპექტივაში უშედეგოა. შესაძლოა, საერთაშორისო კონკურენციაში უპირატესობის მოპოვების მიზნით, ვაჭრობის ტარიფების ზრდამ, მოკლევადიან პერიოდში სამუშაო ადგილების შენარჩუნება უზრუნველყოს, მაგრამ გრძელვადიან პერიოდში ეს არ იქნება ეფექტიანი, რადგან ზიანდება ეროვნული კონკურენცია. ასეთ დროს ქვეყნები რესურსებს ხარჯავენ წარუმატებულ და არაეფექტიან ინდუსტრიებში, ხოლო მომხმარებელს სასურველი პროდუქციის სანაცვლოდ, მეტის გადახდა უწევს. (Costinot, Donaldson, 2012)

შედარებითი უპირატესობისგან განსხვავებით, აბსოლუტური უპირატესობა ნიშნავს შესაძლებლობას, რომ ქვეყანამ უფრო ეფექტიანად, ანუ პროდუქცია წარმოების საშუალებების ნაკლები დანახარჯებით აწარმოოს პროდუქცია. ქვეყნებს, რომელთაც აქვთ ნაყოფიერი მიწები, სუფთა წყალი ან ნავთობის მარაგები, სოფლის მეურნეობასა და ნავთობის მრეწველობაში აბსოლუტურ უპირატესობას ფლობენ.

თუ ქვეყანას აქვს აბსოლუტური უპირატესობა რომელიმე ინდუსტრიაში, ეს იმავდროულად არ ნიშნავს, რომ მას აქვს შედარებითი უპირატესობაც. ეს დამოკიდებულია იმაზე, თუ რა ალტერნატიული დანახარჯი აქვს მას. მაგალითად, თუ მეზობელს არ აქვს ნავთობი, მაგრამ აქვს დიდი ნაყოფიერი მიწა და სუფთა წყალი, მას ექნება სურვილი რომ გაყიდოს საკვები, ნავთობის სანაცვლოდ. ამ შემთხვევაში, პირველ ქვეყანას ექნება შედარებითი უპირატესობა ნავთობის წარმოებაში. მისთვის ხელსაყრელია იყიდოს მეტი საკვები მეზობლისგან - ნავთობის სანაცვლოდ, ვიდრე თავად აწარმოოს ის.

კონკურენტული უპირატესობაა - როცა ქვეყანა, ფირმა ან ინდივიდი მომხმარებელს მის კონკურენტზე უკეთეს პროდუქციას სთავაზობს. კონკურენტული უპირატესობის მისაღწევად სამი ძირითადი სტრატეგია არსებობს:

1) პროდუქციის მიწოდება შედარებით დაბალ ფასად;

2) უკეთესი ხარისხის პროდუქციის მიწოდება;

3) მხოლოდ ერთი ტიპის მომხმარებელზე ფოკუსირება;

შედარებითი უპირატესობის თეორია საერთაშორისო ვაჭრობის ერთ-ერთი ფუნდამენტური პრინციპია. იგი ხსნის საერთაშორისო ვაჭრობაში ჩართული მხარეების დაინტერესებას გაცვალონ საქონელი და მომსახურება მათთვის ხელსაყრელი პირობებით. აღნიშნულ თეორიას, როგორ საერთაშორისო ვაჭრობის ბაზისურ ელემენტს, სხვა თავებშიც განვიხილავთ.

ჰეკშერ-ოლინის თეორია ყურადღებას ამახვილებს წარმოების ორ მნიშვნელოვან ფაქტორზე, შრომასა და კაპიტალზე. თეორიის მიხედვით ზოგიერთი ქვეყანაში ჭარბი კაპიტალია. ასეთ ქვეყნებს გააჩნიათ წარმოების ტექნიკური საშუალებები. ასევე ამ ქვეყნებში ხელფასები მაღალია, რადგან შრომატევადი პროდუქციის წარმოება, როგორიცაა ქსოვილი, სამომხმარებლო ელექტრონიკა და სხვა უფრო ძვირია, ვიდრე ისეთ ქვეყნებში სადაც ჭარბი მუშახელი და დაბალი ხელფასია. თუმცა, ისეთ პროდუქციას რომლის წარმოებსასაც მეტი კაპიტალი და მცირე შრომა ჭირდება - (ავტომობილები და ქიმიკატები) ანუ ჭარბი კაპიტალის მქონე ქვეყნებში დაბალი ფასი აქვს. ამრიგად, ჭარბი კაპიტალის მქონე ქვეყნებს უნდა შეეძლოთ კაპიტალდევადი პროდუქციის იაფად წარმოება და მათი ექსპორტი იმ ქვეყნებში სადაც შრომატევადი პროდუქცია იწარმოება.

ჰეკშერ-ოლინის თეორიაში მნიშვნელოვანია არა კაპიტალის მთლიანი მოცულობა, არამედ კაპიტალის რაოდენობა მოსახლეობის ერთ სულზე. მაგალითად პატარა ლუქსემბურგს შესაძლოა ჰქონდეს ნაკლები კაპიტალი ვიდრე ინდოეთს, მაგრამ ლუქსემბურგს აქვს მეტი კაპიტალი მოსახლეობის ერთ სულზე, ვიდრე ინდოეთს. შესაბამისად თეორიის მიხედვით ლუქსემბურგი მოახდენს კაპიტალტევადი პროდუქციის ექსპორტს ინდოეთში და შრომატევადი პროდუქციის იმპორტის სანაცვლოდ. (Subasat, 2003)

ჰექშერ-ოლინის თეორიის შესწავლისას რუსული წარმოშობის ამერიკელმა ეკონომისტმა ვასილი ლეონტიევმა აღმოაჩინა, (Minabe, 1966) რომ თეორია ზოგჯერ ემპირიულ მონაცემებთან წინააღმდეგობაში მოდიოდა. ლეონტიევის ანალიზით, აშშ კაპიტალით მდიდარი ქვეყანა იყო, ამიტომ მას უნდა განეხორციელებინა კაპიტალტევადი საქონლის ექსპორტი და შროტამეტევადი პროდუქციის იმპორტი.

ამის ნაცვლად, მან აღმოაჩინა რომ აშშ-ს ექსპორტი უფრო მეტად შრომატევადი იყო, ვიდრე მისი იმპორტი და პირიქით, იმპორტში უფრო მეტი კაპიტალტევადი საქონელი იყო, ვიდრე ექსპორტში. რადგან ეკონომისტის აღმოჩენა ჰეკშერ-ოლინის თეორიის საწინააღმდეგოს ამტკიცებდა, ამ მოვლენას *ლეონტიევის პარადოქსი* ეწოდა.

ბევრი საქონლისთვის წარმოების მასშტაბებს დიდი მნიშვნელოვნა აქვს, რადგან არსებობს მასშტაბის ეკონომია - რაც მეტი იწარმოება, მით ნაკლებია წარმოების დანახარჯებიც. მაგალითად, თუ ზოგიერთ ქვეყანაში ავტომობილების წარმოება უფრო იაფია იმ ქარხანაში, სადაც 100 000 ერთეული იწარმოება, ვიდრე იქ სადაც 1000 ერთეული იწარმოება. (Minabe, 1966) ეს ნიშნავს, რომ ქვეყნებს აქვთ სპეციალიზაციის სტიმული, რათა შეამცირონ წარმოების დანახარჯები. დიდი მოცულობის საქონლის წარმოებით ქვეყნებს შესაძლებლობა აქვთ იპოვონ ახალი საექსპორტო ბაზრები.

რაც უფრო მცირეა ქვეყნის შიდა ბაზარი, იგი ცდილობს რომ უფრო აქტიურად ჩაერთოს საერთაშორისო ვაჭრობაში, მასშტაბის ეკონომიის მიღწევის გზით. ამრიგად, პატარა ბელგიასა და ლუქსემბურგს, შეუძლიათ გაცილებით მეტი მოგება მიიღონ საერთაშორისო ვაჭრობიდან, ვიდრე სხვა დიდმა ქვეყნებმა. წარმოების მასშტაბის ეკონომია, ერთ-ერთი მნიშვნელოვანი სიკეთეა რომელსაც ევროპული ქვეყნები იღებენ ევროკავშირიდან, რომელიც დასავლეთ ევროპის სახელმწიფოებს შორის თავისუფალი ვაჭრობის უზრუნველსაყოფად ჩამოყალიბდა.

ტექნოლოგიური განვითარება ვაჭრობაში უპირატესობის მიღწევის ერთ-ერთი ფაქტორია. ამიტომ განვითარებული ქვეყნები, როგორებიცაა აშშ, იაპონია და დასავლეთ ევროპის ქვეყნები, მაღალტექნოლოგიური პროდუქციის ძირითადი ექსპორტიორები არიან.

ტექნოლოგიური უპირატესობის მნიშვნელოვანი ასპექტია, რომ ის შეიძლება სწრაფად შეიცვალოს. ეს ალბათ ყველაზე აშკარაა კომპიუტერულ სფეროში, 1960-იანი წლების დასაწყისიდან მნიშვნელოვნად გაიზარდა პროდუქტიულობა და დაეცა ფასები. ტექნოლოგიების სწრაფი განვითარება ეკონომიკისთვის განსხვავებულ გამოწვევებს ქმნის. განვითარებადი ქვეყნებისთვის ტექნოლოგიური პროგრესი ქმნის დილემას, მოახდინონ ახალი ტექნოლოგიების იმპორტი, თუ თავად მოახდინონ მათი განვითარება. ის ქვეყნები კი, რომლებიც ქმნიან ტექნოლოგიურ სიახლეებს, სხვა ქვეყნებთან კონკურენციაში ერთვებიან. ამის მაგალითია იაპონია, რომელიც მე-20 საუკუნის მეორე ნახევრიდან საავტომობილო მრეწველობაში თავის ტექნოლოგიურ

პროგრესს ანვითარებდა. მოგვიანებით კი, იაპონიასთან კონკურენციაში სამხრეთ კორეელმა ავტომწარმოებლებმაც ავტომობილების ექსპორტი მნიშვნელოვნად გაზარდეს.

ტექნოლოგიური პროგრესი ხელს უწყობს ელექტრონული კომერციის განვითარებასაც, რაც ზოგადად, საერთაშორისო ვაჭრობის ტრენდსაც ზრდის, რადგან ელექტრონული კომერცია, საერთაშორისო ვაჭრობის სუბიექტებს გეოგრაფიულ საზღვრებს შორის მნიშვნელოვნად ამცირებს. სწორედ ამიტომ, ინფორმაციული ტექნოლოგიების ინდუსტრია, რომელიც რამდენიმე ათეული წლის წინ, სულ არ არსებობდა, საერთაშორისო ეკონომიკაში დღეს აღემატება სოფლის მეურნეობის, ავტო ინდუსტრიისა და ტექსტილის კომბინირებულ ვაჭრობის მონაცემებს.

ტექნოლოგიურმა პროგრესმა ქვეყნების შედარებითი უპირატესობა შესაძლოა შეცვალოს. მართალია, ტექნოლოგიური უპირატესობის მქონე ქვეყნებს, ძირითადად ახალი საქონლის შექმნის უპირატესობაც აქვთ, მაგრამ ტექნოლოგიის გავრცელებასთან ერთად, შესაძლოა ეს უპირატესობა სხვა ქვეყნებმა მიიღონ.

1950-იან წლებში აშშ-ში ტელევიზორების ინდუსტრია ძლიერი და განვითარებული დარგი იყო. თუმცა, მოგვიანებით ამ ინდუსტრიაში ტექნოლოგიური პროგრესის შედეგად, აშშ-ში მისი წარმოების შედარებითი უპირატესობა შემცირდა. ტელევიზორების ფირმებმა საკუთარ წარმოება სხვა ქვეყნებში გადაიტანეს, იქ სადაც მუშახელი უფრო იაფი ღირდა. ამ პერიოდიდან კი, აშშ-ში სხვა - უფრო მაღალტექნოლოგიური ინდუსტრიები განვითარდა.

მიუხედავად იმისა, რომ შედარებითი უპირატესობის თეორია ხაზს უსვამს თავისუფალი და შეუზღუდავი ვაჭრობის უპირატესობას, ქვეყნების უმეტესობა ცდილობს, რომ სხვადასხვა საშუალებებით საერთაშორისო ვაჭრობის დინამიკაზე ზეგავლენა მოახდინოს. შესაძლოა იმპორტზე დაწესდეს ტარიფები, რაც საქონლის ფასს გაზრდის და მის ქვეყანაში შემოსვლას შეზღუდავს. შესაძლოა, იმპორტზე დაწესდეს კვოტები, რაც ასევე მის მოცულობას შეამცირებს.

საერთაშორისო ვაჭრობაში ჩარევა სახელმწიფო სუბსიდიების გამოყენებით, ექსპორტის წახალისებით, კაპიტალის ბაზრისა და პირდაპირი უცხოური ინვესტიციების შეზღუდვის გზითაც შესაძლოა მოხდეს.

საერთაშორისო ვაჭრობაში ხელოვნურად ჩარევის მოტივაცია შესაძლოა განპირობებული იყოს რამდენიმე მიზეზით:

- ადგილობრივი ფირმების დაცვა იმპორტირებულ საქონელთან კონკურენციისას;
- და შედარებითი უპირატესობის შენარჩუნების მცდელობა;

ფირმები რომლებიც შეზღუდულნი არიან უცხო ქვეყნის ბაზრებზე შეღწევის დროს ტარიფებისა და კვოტების საშუალებით, საკუთარი წარმოების სხვა ქვეყნებში გადატანას ცდილობენ. ეს ტენდენცია განსაკუთრებით გაძლიერდა II მსოფლიო ომის შემდეგ, როცა ამერიკული ფირმები დასავლეთ ევროპაში, აზიასა და სამხრეთ ამერიკაში საკუთარ საწარმოებს აფართოვებდნენ.

მიუხედავად შედარებითი უპირატესობის პრინციპისა, რომელიც საერთაშორისო ვაჭრობაში პროტექციონისტური მოქმედებების არსებობას უარყოფს, თანამედროვე რეალობაში კვლავ გვხვდება იმპორტის შემზღუდავი პოლიტიკა, რომელიც სხვადასხვა ინსტრუმენტებით საერთაშორისო ვაჭრობის დინამიკაზე ზეგავლენის მოხდებას ისახავს მიზნად. მიუხედავად შესაძლო მოკლევადიანი ეფექტებისა, ამგვარი პოლიტიკა გრძევლადიან პერიოდში დამაზიანებელია როგორც ეკონომიკის სხვადასხვა დარგისთვის, ისე მთლიანად, საერთაშორისო ეკონომიკაში ქვეყნის კონკურენტული პოზიციონირებისათვის.

ვაჭრობაზე დიდია ტარიფების გავლენის მნიშვნელობა. ტარიფი ან ბაჟი არის გადასახდელის სახეობა, რომელიც ქვეყნის საზღვრის, ან საბაჟო ტერიტორიის კვეთის დროს საქონელს ეკისრება. საბაჟო ტერიტორია არის სივრცე, რომელზე მოხვედრილ საქონელსაც, ქვეყნის ან ქვეყნების ჯგუფი შეთანხმების საფუძველზე საერთო გადასახადი ეკისრება. ტარიფები კლასიფიცირდება ორ ნაწილად: დამცავი და შემოსავლის მომტანი ტარიფები. დამცავი ტარიფი სამამულო საქონელს, იმპორტირებულ პროდუქციაზე ფასის ზრდის გზით, საგარეო კონკურენციისგან იცავს. შემოსავლის მომტანი ტარიფების დაწესებით კი, უმეტესად ქვეყანა ორიენტირებულია საბაჟო გადასახადის გზით შემოსავლის მიღებაზე.

გარდა ამისა არსებობს სატრანზიტო გადასახადი, რომელიც საქონელს იმ შემთხვევაში ეკისრება, თუ იგი დანიშნულების ადგილზე მისაღწევად მესამე ქვეყნის საბაჟო სივრცეს გადის. ასევე არსებობს საექსპორტო გადასახადიც, რომელიც საექსპორტო საქონელს ეკისრება. საერთაშორისო ვაჭრობაზე ზეგავლენის მოსახდენად, ზოგიერთი ქვეყანა ექსპორტის სუბსიდიებსაც აწესებს.

იმპორტულ საქონელზე შესაძლოა დაწესდეს ორი ძირითადი გადასახდელი:

- სპეციფიკური ტარიფი - რომელიც ეკისრება საქონლის თითო ერთეულს. მაგალითად, ერთ ტონა, ერთი ერთეული, ერთი იარდი და ა.შ;
- დამატებული ღირებულების გადასახადი - რომელიც ეკისრება საქონლის მთლიან ღირებულებას.

ტარიფები შესაძლოა განსხვავებული იყოს იმ ქვეყნებს შორის ვაჭრობის დროს, რომელთაც ერთმანეთთან რაიმე სახის შეთანხმება, ან ვაჭრობის პრეფერენციები აქვთ. (მაგალითად: ევროკავშირის წევრ ქვეყნებს შორის შეთანხმება) ასეთ დროს, იმპორტირებულ საქონელზე დაკისრებული ტარიფები დაბალია, ან საერთოდ არ არსებობს.

იმპორტულ საქონელზე დაწესებულ ტარიფებს, განსხვავებული გავლენა აქვს ქვეყნის ეკონომიკაზე. ერთი მხრივ, ტარიფების დაკისრებით გზით, პროდუქციის ფასი იზრდება და ის სამამულო საქონელთან ნაკლებ კონკურენტუნარიანი ხდება; მეორე მხრივ, სამამულო საქონლის სტიმულირება მასზე მოთხოვნის ზრდასა და ინდუსტრიის გაფართოებას ასტიმულირებს. თუმცა, ამ დროს შესაძლოა გაჩნდეს მონოპოლისტური ტენდენციებიც, რაც საერთაშორისო კონკურენციასა და ინოვაციების გავრცელების სტიმულს შეამცირებს.

ქვეყნებს შორის სატარიფო ბარიერების საერთაშორისო ვაჭრობაზე და ზოგადად - ეკონომიკაზე არსებული ეფექტების შეფასებისას სხვადასხვა ასპექტს ითვალისწინებენ. პირველ რიგში, ეს ასპექტები დაკავშირებულია ფასების ზრდისას მწარმოებლისა და მომხმარებლის რეაქციაზე. ასევე, იმპორტირებული საქონლის სახეობაზე და ზოგადად, ეროვნულ მოხმარებაში იმპორტის წილზე.

იმ შემთხვევაში, თუ იმპორტირებული საქონელი სამამულო ფირმებისთვის ნედლეულს წარმოადგენს, სატარიფო ბარიერები სამამულო წარმოებისთვის შემაფერხებელი ფაქტორი ხდება. ამიტომ, განასხვავებენ პროტექციონისტური სატარიფო ბარიერების ნომინალურ და ეფექტიან მაჩვენებლებს.

ნომინალური მაჩვენებელი არის ტარიფი, რომელიც ეკისრება საქონელს, როცა ის შემოდის ქვეყანაში. მაგალითად, თუ ქვეყანაში იმპორტირებულ ტანსაცმელზე დაკისრებული ტარიფი არის 20%, ნომინალური საბაჟო გადასახადი შეადგენს 20%.

განსხვავებული სიტუაციაა ეფექტიანი სატარიფო მაჩვენებლის შემთხვევაში. მაგალითად, თუ ტანსაცმელი საერთაშორისო ბაზარზე ღირს $100, დავუშვათ რომ მისი დამზადებისთვის აუცილებელი იმპორტირებული ნედლეულის საფასური შეადგენს $60 დოლარს. თავისუფალი ვაჭრობის პირობებში, ერთეული ტანსაცმლის საფასური არ იქნება $100 დოლარზე მეტი, (სატრანსპორტო ხარჯების აბსტრაგირების შემთხვევაში) საიდანაც ნედლეულის ფასი $60 დოლარს შეადგენს, ხოლო 40 აშშ$ კი სამუშაო ძალისა და მოგების ხარჯებია. საქონლის საბოლოო ფასსა და ნედლეულის ღირებულებას შორის სხვაობა, საქონლის დამატებით ღირებულებას ქმნის.

განვიხილოთ იგივე სიტუაცია სატარიფო ბარიერების არსებობის პირობებში - სადაც 20% შეადგენს ტარიფს ტანსაცმელზე, 10% კი ქსოვილზე. ტანსაცმელზე არსებული ტარიფი, მის ადგილობრივ ფასს 20 აშშ$-ით გაზრდის და 120 აშშ$ შეადგენს, ხოლო ქსოვილზე კი ფასი 6 აშშ$-ით გაიზრდება და 66 აშშ$ გახდება. ამრიგად, სატარიფო ბარიერი დამატებული ღირებულების მაჩვენებელს 54 აშშ$-მდე გაზრდის. (120-66) როგორც ჩანს, სხვაობა სატარიფო ბარიერებისა და მის გარეშე გაყიდული საქონლის დამატებით ღირებულებას შორის (54-14) 14 აშშ$ შეადგენს. ეს ნიშნავს, რომ სატარიფო ბარიერის ეფექტიანი მაჩვენებელი - ანუ სხვაობა 14 აშშ$-დან 40$ აშშ$-მდე 35% შეადგენს. რაც ცხადყოფს, რომ სარგებლის ეფექტიანი საპროცენტო განაკვეთი 35%, მეტია სარგებლის რეალურ მაჩვენებელზე. (20%) რადგან საბოლოო პროდუქტი უფრო მაღალი ტარიფით იბეგრება, ვიდრე ნედლეული, ამიტომ ეფექტიანი სატარიფო მაჩვენებელი, ყოველთვის უფრო მაღალია, ვიდრე ნომინალური.[1]

მთლიანობაში ტარიფები საერთაშორისო ვაჭრობის დინამიკაზე ზემოქმედების ერთ-ერთ ძირითად ინსტრუმენტს წარმოადგენს, რომელიც საერთაშორისო ვაჭრობაში მონაწილე ქვეყნების მიერ გამოიყენება და მიზნად ისახავს ვაჭრობის პოლიტიკის ფორმირების პროცესში პროტექციონისტური და ლიბერალური პოზიციების გამყარებას.

---

[1] International Trade, Encyclopaedia Britanica, WWW: https://www.britannica.com/topic/international-trade Accessed: 30.01.2020

## 1.2 საერთაშორისო ვაჭრობის თანამედროვე მიმართულებები და ტენდენციები ტენდენციები

ეკონომისტები საერთაშორისო ვაჭრობის თეორიებს, მათი მიდგომებისა და შეხედულებების მიხედვით, სამ ძირითად ნაწილად ყოფენ (Weaver, Jameson, 1981):

- ტრადიციული მიდგომა;
- რადიკალური მიდგომა;
- თანაბარი ზრდის მიდგომა;

ტრადიციული მიდგომა ძირითადად უკავშირდება ადამ სმითის კლასიკურ თეორიას, თავისუფალი ვაჭრობისა და ეკონომიკური განვითარების შესახებ. ტრადიციული მიდგომა აყალიბებს საერთაშორისო ბაზრებისა და საქონლის შესახებ ძირითად პოსტულატებს, რომლის მიხედვითაც:

- ბაზარი საკმარისად კონკურენტუნარიანია;
- საერთაშორისო ვაჭრობიდან მიღებული შემოსავლები ჰომოგენურია და ყველა ქვეყნისთვის იდენტური. ეს ნიშნავს, რომ ერთ ქვეყანაში წარმოებული A საქონელი, ნებისმიერ სხვა ქვეყანაში წარმოებული იგივე საქონლის მიმართ ჰომოგენურია.

თუმცა, მოგვიანებით ემპირიულმა კვლევებმა მოგვიანებით განსხვავებული შედეგები აჩვენა. ამან კი, ეკონომიკურ მეცნიერებაში ახალი მიდგომები გააჩინა, რომელიც რადიკალური შინაარსით გამოირჩევა და საერთაშორისო ვაჭრობის მანამდე არსებული თეორიებისგან განსხვავებულ მოსაზრებებს გვთავაზობს.

1960-იანი წლების დასაწყისში, არაერთმა ეკონომისტმა გამოთქვა შეშფოთება თავისუფალ ვაჭრობასა და ეკონომიკურ განვითარებას შორის არსებული შეუთავსებლობის შესახებ, რომელიც ნეოკლასიკურ შეხედულებებში დომინირებდა. ამ პროტესტმა კულმინაციას 1969 წელს გაეროს ვაჭრობისა და განვითარეის კონფერენციაზე მიაღწია. (Gallardo, 2005) ეკონომისტები თვლიდნენ, რომ თანამედროვე რეალობაში საერთაშორისო ვაჭრობა, მიუხედავად შედარებითი უპირატესობისა და სპეციალიზების ფაქტორების არსებობისა, ნაკლებად განვითარებული ქვეყნებისათვის განვითარების საფუძველს არ ქმნიდა.

ამ მოსაზრებების ერთერთი ავტორი, ესტონელი ეკონომისტი რაგნარ ნურკსე იყო. მისი აზრით, მიუხედავად იმისა, რომ მე-19 საუკუნეში საერთაშორისო ვაჭრობა განვითარებისა და ზრდის მთავარი ძრავი იყო, მე-20 საუკუნეში კი ვითარება

შეიცვალა, სადაც გამონაკლისს კი მხოლოდ ნავთობის ექსპორტიორი ქვეყნები წარმოადგენდნენ. (Nurkse, 1973) ამ პერიოდში არსებული კრიტიკა, რომელიც თავისუფალი ვაჭრობის შესახებ არსებობდა, ზოგადად ვაჭრობისა და განვითარების შესახებ მწვავე დისკუსიის შედეგად ითვლება. (Wilson, 1986)

ამერიკელი ეკონომისტი ჰოლის შენერი ნეო-კლასიკურ შეხედულებებს აკრიტიკებდა და თვლიდა, რომ განვითარებადი ქვეყნებისთვის არსებული ეკონომიკური თეორია და მოდელი სრულად შეუსაბამო იყო (Chenery, 1961) მიუხედავად იმისა, რომ ამ თეორიებში საუბარი იყო დინამიკურ მიღწევებზე, შენერის აზრით თავისუფალი ვაჭრობის ძირითადი საფუძველი რესურსების სტატიკური განაწილების თეორიაა, რომელიც სრულყოფილი კონკურენციის მოდელზეა დაფუძნებული. (Chenery, 1971)

შენერის აზრით, ამ მოდელის პრობლემა იმაში მდგომარეობდა, რომ იგი აჩვენებდა თუ სად იყო ქვეყანა, მაგრამ არ აჩვენებდა თუ საით შეიძლება წასულიყო. სრულყოფილი კონკურენციის მიღწევა კი, განსაკუთრებით არარეალისტური იყო, რადგან ამ ქვეყნების ეკონომიკებისთვის ბაზარზე არსებული არასრულყოფილება განსაკუთრებით დამახასიათებელი იყო. შენერის თანახმად, ნეოკლასიკური მოდელი შეუსაბამო იყო იმ ქვეყნებისთვის, რომლებიც სწრაფი სტრუქტურული ცვლილებს განიცდიდნენ და გრძელვადიანი განვითარებისკენ იხრებოდნენ. (Wilson,1986)

მსგავსი მოსაზრებების შესახებ საუბრობენ თავიანთ ნაშრომებში შვედი ეკონომისტი, ნობელის პრემიის ლაურეატი გუნარ მიურდალი და ბრიტანელი ეკონომისტი ჰანს სინგერი. ისინი აღნიშნავდნენ იმ უკუეფექტებზე, რომელიც თავისუფალ ვაჭრობას შეეძლო მოეტანა ქვეყნებისთვის და სხვაობაზე, რომელიც მდიდარ და ღარიბ ქვეყნებს შორის შესაძლოა კიდევ უფრო გაზრდილიყო. იმის ნაცვლად რომ ვაჭრობამ მოახდინოს დინამიკური განვითარება ან „გავრცელების ეფექტი“ მოახდინოს, ნეოკლასიკური მოდელის მიხედვით, ხშირად ქვეყნის რეგიონებს შორის შემოსავლისა და განვითარების უთანასწორობაც იწვევს. მეცნიერები თვლიდნენ, რომ ასეთ შემთხვევაში ვაჭრობით მეტ სარგებელს უფრო მდიდარი რეგიონები ან ქვეყნები მიიღებდნენ, ვიდრე განვითარებადი და ღარიბი ქვეყნები.

საერთაშორისო ვაჭრობის შესახებ მსგავს მსგავს მოსაზრებებს ნეო მარქსისტული თეორიებიც იზიარებენ. ამ თეორიების მიხედვით, უთანასწორობა მდიდარ და ღარიბ

ქვეყნებს შორის კოლონიალურ ისტორიულ გამოცდილებასთან არის დაკავშირებული. საერთაშორისო ორგანიზაციები კი, ნეო-კოლონიალური აქტორებად არიან მოხსენიებულნი. მსგავსი რადიკალური თეორიები არაერთგვაროვანია. მათ შორისაც არსებობს განსხვავებები. თუმცა ყოველი მათგანი განვითარებადი ქვეყნების განვითარებულ ქვეყნებთან ვაჭრობაზე დამოკიდებულებას და ამ პროცესის ექსპლუატატორულ ბუნებას ხაზს უსვამს. (Wilson, 1986)

ვაჭრობის ახალი თეორიების ავტორების მოსაზრებების ერთ-ერთი მნიშვნელოვანი განზომილება უკავშირდება - ვაჭრობის პირობების მიხედვით არსებულ "უთანაბრო განაწილებას". მიუხედავად იმისა, რომ ნეო-კლასიკური მოდელის მიხედვით, ვაჭრობიდან ყველა ქვეყანა თანაბარ სარგებელს ვერ იღებს, ბრიტანელი ეკონომისტის, თომას ბალოგის აზრით, ცალკეული სპეციალიზაციები ნორმატიული მიზეზების გამო, შესაძლოა უფრო მიუღებელი იყოს უამრავი ნაკლებად განვითარებული ქვეყნებისთვის, განსაკუთრებით იმ შემთხვევაში, თუ ეს პირველადი ნედლეულის მუდმივ ექსპორტს გულისხმობს. (Balogh, 1963) ხოლო თუ ეს ქვეყნები პირველადი ნედლეულის წარმოებას გააგრძელებენ, მათი ვაჭრობის პირობები კიდევ უფრო გაუარესდება, რადგან ქვეყნების გამდიდრებასთან ერთად, მომხმარებელი ძირითადი საკვები პროდუქტისა და ნედლეულის შესაძენად უფრო ნაკლებს დახარჯავს. (Prebisch, 1970)

ასეთ მოსაზრებას იზიარებს ინდოელი ეკონომისტი ჯაგდიშ ბაგვატი. მან წარმოადგინა თეორიული მოდელი, რომლის მიხედვითაც, ეკონომიკურმა ზრდა შესაძლოა ანომალიური იყოს ქვეყნისთვის, რადგან მან გააუარესოს ქვეყნის მდგომარეობა, იმ შემთხვევაში თუ ზრდა მთლიანად ექსპორტის მკვეთრ მატებაზეა დაფუძნებული. მისი აზრით, ასეთ შემთხვევაში ვაჭრობის პირობები ქვეყნისთვის უფრო უარესდებოდა. (Bhagwati, 1984)

ზემოაღნიშნული მოსაზრებები, საერთაშორისო ვაჭრობის რადიკალურ მიდგომას მიეკუთვნებიან, სადაც თავისუფალ ვაჭრობა, ღარიბ ქვეყნებზე მდიდარი ქვეყნების ექსპლუატაციად განიხილება.

თანაბარი ზრდის მიდგომა, რომელიც საერთაშორისო ვაჭრობის არსებულ თეორიებში კიდევ ერთ მიმართულებას აერთიანებს, თანამედროვე რეალობაში დიდი პოპულარულობით სარგებლობს. იგი ერთი მხრივ იზიარებს ტრადიციულ მიდგომას და თავისუფალ ვაჭრობას ეკონომიკური ზრდის წინაპირობად მიიჩნევს, ხოლო მეორე

მხრივ, იზიარებს რადიკალური მიდგომის ზოგიერთ მოსაზრებებსაც და აღიარებს, რომ ეკონომიკური ზრდა სარგებელს მოუტანს მათ, ვისაც ეს ყველაზე მეტად სჭირდება.

როგორც გამოიკვეთა საერთაშორისო ვაჭრობის შესახებ თეორიები, თავისუფალი ვაჭრობის შესახებ განსხვავებულ მოსაზრებებს გვთავაზობენ. არ არსებობს უნიფიცირებული მოსაზრება თუ რა გავლენას ახდენს თავისუფალი ვაჭრობა ქვეყნის ეკონომიკურ განვითარებაზე. თეორიების მიხედვით ეს დამოკიდებულია თავად ამ ქვეყნის ეკონომიკის პარამეტრებზე.

საერთაშორისო ვაჭრობის თანამედროვე თეორიებში გამორჩეული ადგილი უკავია ჰარვარდის ბიზნეს სკოლის პროფესორის, ამერიკელი ეკონომისტის მაიკლ პორტერის ეროვნული კონკურენტული უპირატესობის მოდელს. პორტერის თეორიით, რომელიმე სფეროში ეროვნული კონკურენტუნარიანობის არსებობა დამოკიდებულია იმაზე, თუ რამდენად აქვს ამ სფეროს ინოვაციებისა და სიახლეების მიღების შესაძლებლობა. მისი თეორია ხსნის, თუ რატომ არის ზოგიერთი ქვეყანა უფრო კონკურენტუნარიანი ზოგიერთ სფეროში. თავისი მოდელის ასახსნელად, პორტერი იყენებს ოთხ სხვადასხვა, მაგრამ ურთიერთდაკავშირებულ დეტერმინანტს. (Smith, 2010)

- *სამამულო ბაზრის რესურსები და შესაძლებლობები*

პორტერი აღიარებს ფაქტორთა პროპორციულობის თეორიის მნიშვნელობას, რომელიც ქვეყნების რესურსებს (მაგ: ბუნებრივი რესურსები, სამუშაო ძალა) ქვეყნის პროდუქტიულობის მთავარ განმსაზღვრელ ფაქტორებად მიიჩნევს, რომელიც ასევე განსაზღვრავს თუ რომელი საქონლის ექსპორტსა და იმპორტს მოახდენს კონკრეტული ქვეყანა. მან ამ ძირითად ფაქტორებს დაამატა დამატებითი მნიშვნელოვანი ფაქტორები, როგორებიცაა - კვალიფიციური მუშახელი, ინვესტიციები განათლებაში, კვლევასა და განვითარებაში, ტექნოლოგია და ინფრასქტუქტურა. პორტერის თეორიაში ეს ფაქტორები აღიარებულია როგორც ძირითადი ელემენტები ქვეყნის კონკურენტული უპირატესობის ჩამოსაყალიბებლად.

- *სამამულო ბაზრის მოთხოვნა*

პორტერის აზრით, განვითარებულ სმამულო ბაზარს გადამწყვეტი მნიშვნელობა აქვს ინოვაციების გავრცელებისთვის, რაც მდგრადი კონკურენტული უპირატესობის ჩამოყალიბებას უწყობს ხელს. კომპანიები რომელთა სამამულო ბაზარი

განვითარებულია, სტიმულირდებიან რომ მოთხოვნის საფუძველზე ინოვაციები და ტექნოლოგიური განვითარება უზრუნველყონ, რაც ახალი პროდუქციის შექმნის ხარჯზე კონკურენტუნული უპირატესობის მოპოვების საფუძველია.

- *სამამულო მიწოდება და დამხმარე დარგები*

კონკურენციული უპირატესობის მისაღწევად, ეფექტიანობისა და პროდუქტიულობის ზრდისათვის, მსხვილი ფირმები ცდილობენ ის დამხმარე დარგები განავითარონ, რომლებიც მათ წარმოების საშუალებებით მომარაგებას უზრუნველყოფენ.

- *სამამულო ფირმების მახასიათებლები*

მოიცავს ფირმის სტრატეგიას, დარგის სტრუქტურას და მის შიდა კონკურენციას. სამამულო ფირმებს შორის კონკურენცია ხელს უწყობს ინოვაციების გავრცელებასა და ზოგადად დარგის კონკურენტუნარიანობის ზრდას.

ოთხი დეტერმინანტის გარდა, თავის თეორიაში პორტერი მთავრობის შესახებაც საუბრობს. მისი აზრით, მთავრობას, შესაბამისი რეფორმების განხორციელებით, ფირმებისა და დარგების კონკურენტუნარიანობის გაზარდის შესაძლებლობა აქვს.

პორტერი თეორია, რომელიც ე.წ „ბრილიანტის მოდელის" სახელით არის ცნობილი, შესაძლოა მრავალი ქვეყნისა და ინდუსტრიის ანალიზისთვის იქნას გამოყენებული, რადგან იგი საერთაშორისო კონკურენტუნარიანობის ჩამოყალიბების მნიშვნელოვან დეტერმინანტებს მოიცავს

გლობალური კონკურენციის თეორია 1980-იან წლებში ნობელიანტი ეკონომისტის პოლ კრუგმანისა და კელვის ლანკასტერის კვლევების საფუძველზე ჩამოყალიბდა. (Krugman, 1994) მასში თეორიაში მულტიეროვნული კორპორაციები საერთაშორისო ვაჭრობის მთავარ აქტორებად არიან წარმოდგენილნი.

კრუგმანისა და ლანკასტერის აზრით, (Krugman, 1982) საერთაშორისო ფირმები და მსხვილი კორპორაციები ცდილობენ მოიპოვონ კონკურენტული უპირატესობა თავიანთ დარგში არსებული იმ ფირმების წინააღმდეგ, რომლებიც საერთაშორისო ბაზარზე ოპერირებენ. შემდეგ კი, ცდილობენ შექმნან ხელოვნური ბარიერები ახალი ფირმების წინააღმდეგ, რომელთაც მათ ინდუსტრიაში შესვლის სურვილი ექნებათ. საერთაშორისო ფირმები კონკურენტული უპირატესობის მისაღწევად რამდენიმე ძირითად გზას მიმართავენ:

- კვლევა და განვითარება
- ინტელექტუალურ საკუთრებაზე უფლებების მოპოვება
- მასშტაბის ეკონომია
- ინოვაციური საწარმოების პოტენციალის განვითარება
- ბუნებრივი რესურსების ფლობა და გამოყენება

*პროდუქტის სასიცოცხლო ციკლის თეორია*

თეორია რომლის ავტორიც ამერიკელი ეკონომისტი, ჰარვარდის ბიზნეს-სკოლის პროფესორის რაიმონდ ვერნონია, 1960-იან წლებში ჩამოყალიბდა. (Vernon, 1979) თავდაპირველად პროდუქტის სასიცოცხლო ციკლის თეორია მარკეტინგის სფეროს მოიცავდა და არსებობის მანძილზე პროდუქტისთვის დამახასიათებელ სამ ეტაპს გამოყოფდა. თეორიის მიხედვით, ახალი პროდუქტის შექმნა მთლიანად დამოკიდებულია ქვეყანაში არსებულ ინოვაციებზე. თეორია ხსნიდა 1960-იან წლებში ამერიკის ინდუსტრიულ წარმატებას, როდესაც II მსოფლიო ომის შემდეგ ამერიკული ფირმები მსოფლიო მასშტაბით დომინირებდნენ.

თუმცა, პროდუქციის სასიცოცხლო ციკლის თეორია ნაკლებად ხსნის ვაჭრობის თანამედროვე პერიპეტიებს, სადაც ინოვაციები და მაღალტექნოლოგიური წარმოება უკვე არაერთ განსხვავებული განვითარების მქონე ქვეყანაში გვხვდება. მაგალითად, გლობალური ფირმები კვლევასა და განვითარებას განვითარებადი ქვეყნების ბაზრებზეც ახდენენ, სადაც უკვე მაღალკვალიფიციური მუშახელი და იაფი წარმოების რესურსი გვხვდება. მიუხედავად იმისა, რომ კვლევა და განვითარება, როგორც წესი პროდუქციის შექმნის საწყის საფეხურს უკავშირდება და ძირითადად ფირმების ბაზირების ქვეყნებში ხდება, განვითარებადი და მზარდი ეკონომიკის მქონე ქვეყნებს როგორებიცაა ჩინეთი და ინდოეთი, თანამედროვე რეალობაში გლობალური ფირმებისთვის მაღალკვალიფიციურ მუშახელისა და თანამედროვე ინფრასტრუქტურის შეთავაზება შეუძლიათ, ეს კი გლობალურ ფირმებს დანახარჯების მხრივ უპირატესობას აძლევს.

პროდუქციის სასიცოცხლო ციკლის თეორია განსაკუთრებით აქტუალურია განვითარებადი ქვეყნებისთვის, სადაც დაბალკვალიფიციური მუშახელი, კაპიტალის დეფიციტი და ნაკლებად განვითარებული კერძო სექტორი გვხვდება.

*ქვეყნების ერთგვაროვნების თეორია*

ქვეყნების ერთგვაროვნების თეორია შვედმა ეკონომისტმა სტეფან ლინდერმა 1961 წელს შეიმუშავა. (Hanink, 1988) ლინდერი თავის თეორიაში ცდილობდა ინტრაინდუსტრიული ვაჭრობის არსი აეხსნა. მისი თეორიის მიხედვით მომხმარებლებს სხვადასხვა ქვეყანაში, მიუხედავათ მათი განვითარების დონისა, საერთო გემოვნება და მოთხოვნები აქვთ. ფირმები კი პირველ რიგში ორიენტირებულნი არიან, რომ სამამულო მოთხოვნა დააკმაყოფილონ, ხოლო როცა ისინი საექსპორტო პოტენციალს აფასებენ, პირველ რიგში ისეთ ბაზრებს ეძებენ, რომელიც მომხმარებლის მოთხოვნის მიხედვით სამამულო ბაზრის იდენტურია. ლინდერის თეორიის მიხედვით, ძირითადად ქვეყნები ინდუსტრიული და ტექნოლოგიური საქონლით ვაჭრობენ ისეთ ქვეყნებთან, რომლებიც მოსახლეობის ერთ სულზე შემოსავლისა და სხვა ეკონომიკური პარამეტრების მიხედვით მათი მსგავსნი არიან და ერთმანეთთან ინტრაინდუსტრიული ვაჭრობა აქვთ.

აღსანიშნავია, რომ ქვეყნების ერთგვაროვნების თეორია ხშირად გამოიყენება საერთაშორისო ვაჭრობაში ბრენდისა და რეპუტაციის ასახსნელად, როგორც მნიშვნელოვანი ფაქტორები რომელთაც მომხმარებლის ქცევაზე გავლენა აქვთ.

*ვაჭრობის მსოფლიო ორგანიზაცია (WTO)*

II მსოფლიო ომის დასრულების შემდეგ, სახელმწიფოთა დღის წესრიგში ვაჭრობისა და სატარიფო ბარიერების შესახებ საერთაშორისო შეთანხმების ჩამოყალიბება დადგა. იმ პერიოდში ასეთი შეთანხმების არსებობა და ვაჭრობაში ახალი ურთიერთობების ჩამოყალიბება, ომის შემდგომი მსოფლიო ეკონომიკის რეაბილიტაციისა და განვითარების პერსპექტივებს ქმნიდა.

ტარიფებისა და ვაჭრობის შესახებ გენერალური შეთანხმება (GATT) 1947 წელს ჩამოყალიბდა. (Moore, 1996) ეს შეთანხმება ბრეტონ-ვუდსის საერთაშორისო სისტემას ეფუძნებოდა. მისი მიზანი იყო, ომის შემდგომ მსოფლიოში ვაჭრობის ტარიფებისა და სხვა ბარიერების შემცირების ხელშეწყობა. შეთანხმების მიხედვით, ქვეყნები ერთმანეთს "სასურველი პარტნიორი ქვეყნის" სტატუსს ანიჭებდნენ, რაც ვაჭრობაში ერთმანეთისთვის უპირატესობებს ქმნიდა. შეთანხმება უზრუნველყოფდა რომ ქვეყნებს ერთმანეთისთვის მსგავსი სტატუსი ისე მიენიჭებინათ, რომ თანასწორი მდგომარეობა შექმნილიყო და სხვის წინააღმდეგ ვაჭრობის უპირატესობა არავის ჰქონოდა.

ტარიფებისა და ვაჭრობის შესახებ გენერალური შეთანხმება, როგორც საერთაშორისო ვაჭრობის უმაღლესი პლატფორმა, 1995 წელს ვაჭრობის მსოფლიო ორგანიზაციამ შეცვალა. (ვმო) მისი მიზანია, ბარიერებისა და შეფერხებების გარეშე, თავისუფალი საერთაშორისო ვაჭრობის ხელშეწყობა. ორგანიზაცია წევრ სახელმწიფოთა შორის გლობალური ვაჭრობის საფუძველს წარმოადგენს და საერთაშორისო ვაჭრობის მყარ სისტემას ქმნის. (Moore, 1996) ვმო 164 სახელმწიფოს აერთიანებს. *(გრაფიკი 1)* მათგან 65 სახელმწიფო ტარიფებისა და ვაჭრობის შესახებ გენერალური შეთანხმების მონაწილე იყო, რომლებიც მსოფლიო ვაჭრობის მსოფლიო ორგანიზაციის წევრები, დაარსების შემდეგ, 1995 წლიდან ავტომატურად გახდნენ. დანარჩენი 97 ქვეყანა კი, 6 ეტაპიანი პროცესის შედეგად, ეტაპობრივად შეუერთდა ორგანიზაციას. (Moore, 1996)

ამჟამად, 23 სახელმწიფო ვმო-ს დამკვირვებელი წევრის სტატუსით სარგებლობს. ისინი ზემოთხსენებულ ეტაპს გადიან, რათა საბოლოოდ ორგანიზაციის სრულფასოვანი წევრები გახდნენ.

*გრაფიკი 1.* ვაჭრობის მსოფლიო ორგანიზაციის წევრი სახელმწიფოების რუკა




წყარო: World Trade Organization, www.wto.org.ge (20.03.2020)

ვმო-ის პრინციპების მიხედვით, მისი წევრი ქვეყნები ვალდებულნი არიან ამ ორგანიზაციის ძირითადი კანონმდებლობის რატიფიცირება მოახდინონ, რაც იმას ნიშნავს, რომ იგი ხდება წევრი ქვეყნების ეროვნული კანონმდებლობის ნაწილი და ნებისმიერი ადგილობრივი კომპანია ვალდებულია ვმო-ს საკანონმდებლო ჩარჩოს დაეყრდნოს. ვმო ცდილობს ითამაშოს ე.წ არბიტრის როლი, როდესაც ქვეყნებს შორის

ვაჭრობაში წარმოიშობა დავა, ან ქვეყნები ერთმანეთის წინააღმდეგ, ან ზოგიერთი იმპორტირებული საქონლის მიმართ ახალ ტარიფებსა და საბაჟო შეზღუდვებს ადგენენ. ამ შემთხვევაში ორგანიზაცია იტოვებს უფლებას, რომ ქვეყნის წინააღმდეგ ვაჭრობის სანქციები აამოქმედოს.

მიუხედავად ორმხრივი თავისუფალი და ლიბერალური ვაჭრობის სისტემის ჩამოყალიბების მცდელობისა, თანამედროვე რეალობაში ვაჭრობის მსოფლიო ორგანიზაციის კრიტიკაც აქტუალურია. რაც ერთგვარ რეაქციას წარმოადგენს მრავალმხრივი ვაჭრობის სისტემის შექმნაზე. პროტესტი ეფუძნება მოსაზრებას, რომ ვმო-ს პოლიტიკა უხეშად ერევა ქვეყნების შიდა ვაჭრობის პოლიტიკასა და სუვერენიტეტში, რაც არადემოკრატიული და გაუმჭვირვალეა. ორგანიზაციის მიმართ არსებული პროტესტი, ძირითადად უკავშირდება მის ისეთ პრინციპებს, რომელიც ქვეყნებს უკრძალავს პროტექციონისტური ვაჭრობის პოლიტიკის განხორციელებას, ან საავტორო უფლებების დაცვის ხარჯზე, განვითარებადი ქვეყნებისთვის პროდუქციის პატენტების წარმოებისთვის შეზღუდვებს აწესებს.[2] თუმცა, უნდა აღინიშნოს, რომ ვმო ვაჭრობის თანამედროვე ურთიერთობებში საერთაშორისო არბიტრის როლს ასრულებს, ქვეყნებს შორის ვაჭრობის ურთიერთობების რეგულირება კი, ვმო-ს მიერ დადგენილი პრინციპების დაცვით ხორციელდება.

*აშშ-ის 1974 წლის ვაჭრობის აქტი*

ვაჭრობის ბარიერების შემცირებისა და თავისუფალი ვაჭრობის სტიმულირების შესახებ დისკუსიამ მსოფლიო პოლიტიკურ და სამეცნიერო წრეებში 1970-იანი წლებიდან პოპულარობა დასავლეთის ბევრ ქვეყანაში მოიპოვა. მათ შორის იყო აშშ, სადაც საერთაშორისო ვაჭრობის შესახებ მოსაზრებები ორ ნაწილად იყოფოდა.

საერთაშორისო ვაჭრობის მოწინააღმდეგეთა აზრით, აშშ-ის თავისუფალ ვაჭრობის რეჟიმებში ჩართვა სამამულო ინდუსტრიებს დააზიანებს და სამუშაო ადგილებს შეამცირებს. თავისუფალი ვაჭრობის მომხრეები კი ასეთი რეჟიმების უპირატესობაზე საუბრობდნენ, რაც სპეციალიზების დარგების განვითარებასა და შედარებითი უპირატესობის მოპოვებაში აისახებოდა.

1974 წლის ვაჭრობის აქტი, რომელიც შეერთებული შტატების კონგრესმა მიიღო, მიზნად ისახავდა საერთაშორისო ვაჭრობაში აშშ-ს მონაწილეობის ზრდასა და

[2] Investopedia https://www.investopedia.com/investing/what-is-the-world-trade-organization/ (19.02.2020)

ვაჭრობის ბარიერების შემცირებას.[3] ამ აქტის მიხედვით, აშშ-ის მთავრობას ვაჭრობის ბარიერები უნდა შეემცირებინა და ზოგადად, ვაჭრობა განვითარებადი ეკონომიკის მქონე ქვეყნებთან უნდა გაეუმჯობესებინა. ასევე აქტი ითვალისწინებდა იმ ქვეყნებთან ეკონომიკური ურთიერთობების გაღრმავებას, რომელთაც საბჭოთა მბრძანებლური ტიპის ეკონომიკა არ ჰქონდათ. კანონი ასევე ყურადღებას ამახვილებდა სამართლიან კონკურენციის წესების ჩამოყალიბებაზე. გარდა ამისა, ვაჭრობის აქტი ხელს უწყობდა ამერიკულ ინდუსტრიებს, რომლებიც საერთაშორისო ვაჭრობის მზარდი დინამიკის გამო „იჩაგრებოდნენ“. ამ მიზეზით აშშ აწესებდა ტარიფებს ზოგიერთი ქვეყნიდან იმპორტირებულ იმ საქონელზე, რომელიც ადგილობრივ ინდუსტრიებს უსამართლო კონკურენციულ მდგომარეობაში აყენებდა.

მთლიანობაში, 1974 წლის ვაჭრობის აქტის შემდეგ, ამერიკული ადგილობრივი ინდუსტრიების არასამართლიანი კონკურენციისგან დაცვასთან შედარებით, ამერიკული საქონლისთვის უცხოურ ბაზრებზე შეღწევა მნიშვნელოვნად გამარტივდა.

*თავისუფალი ვაჭრობის შეთანხმება*

თანამედროვე მსოფლიოში თავისუფალი ვაჭრობა ქვეყნებს შორის ეკონომიკური და პოლიტიკური თანამშრომლობის მნიშვნელოვანი ასპექტი, ხშირად განხილვების, მოლაპარაკებებისა და კომპრომისების საგანია. თავისუფალი ვაჭრობა ეფუძნება *laissez faire* სისტემას, სადაც ვაჭრობის მონაწილე კერძო სობიექტები მთავრობის ნებისმიერი სახის გავლენისგან, ან ვაჭრობის დინამიკაში რაიმე ფორმით ჩარევისგან სრულად თავისუფალი არიან. თავისუფალი ვაჭრობა პროტექციონიზმისა და ეკონომიკური იზოლაციონიზმის საპირისპირო ცნებაა, ხოლო თავისუფალი ვაჭრობის შეთანხმება წარმოადგენს ხელშეკრულებას (Hannan, 2016), რომლის მიხჯედვითაც ორი ან მეტი ქვეყანა, ურთიერთშეთანხმების საფუძველზე ერთმანეთთან ვაჭრობის დროს ბარიერებს ამცირებს ან სრულად აუქმებს. ასეთი ხელშეკრულების მიხედვით, საერთაშორისო საზღვრის კვეთის შემდეგ, საქონელსა და მომსახურებას არ ეკისრება საბაჟო ტარიფები და კვოტირებას არ ექვემდებარება.

ორ ქვეყანას შორის არსებული თავისუფალი ვაჭრობის შეთანხმება, მათ შორის არსებულ მჭიდრო ეკონომიკური თანამშრომლობაზე მიუთითებს, რომელიც ორივე ქვეყნისთვის მნიშვნელოვანია და ურთიერთპატივისცემის საფუძველია. თუმცა,

---

[3] Office of the House Legislative https://legcounsel.house.gov/Comps/TRADE74.PDF (19.02.2020)

თანამედროვე რეალობაში თავისუფალი ვაჭრობის შეთანხმება (FTA), როგორც წესი, არ ნიშნავს ვაჭრობის პოლიტიკისგან მთავრობის სრულ დისტანცირებას და სახელმწიფოს მიერ უარის თქმას ვაჭრობის პოლიტიკის ისეთ ინსტრუმენტების გამოყენებაზე, რომელიც ზოგიერთ შემთხვევაში იმპორტისა და ექსპორტის კონტროლს განსაზღვრავს. თავისუფალი ვაჭრობის თანამედროვე შეთანხმებებიდან (Hannan, 2016), მხოლოდ რამდენიმეა ისეთი, რომელიც „ჭეშმარიტად“ თავისუფალ ვაჭრობას გულისხმობს.

თავისუფალი ვაჭრობა საერთაშორისო დონეზე, არ განსხვავდება ვაჭრობის იმ პრინციპებისგან, რომელიც ქვეყნის შიგნით, ან სხვა თანაბარ პირობებში ვაჭრობის ნებისმიერ ორ სუბიექტს შორის არსებობს, რაც საერთაშორისო ვაჭრობის დონეზე იმ საქონლის ექსპორტს გულისხმობს, რომლის წარმოებაშიც ქვეყანა ყველაზე მეტად არის სპეციალიზებული, ხოლო სანაცვლოდ ქვეყანა ახდენს იმ საქონლის იმპორტს, რომლის ადგილობრივად წარმოება შედარებით ძვირია, ან სხვა სირთულეებთან არის დაკავშირებული. თავისუფალი ვაჭრობის თეორიის მიხედვით, რომ ასეთ დროს ქვეყნის ეკონომიკა იზრდება, მომხმარებელი კი ყველაზე მეტ სარგებელს იღებს. (Hannan, 2016)

თავისუფალი ვაჭრობის მომხმრეებსა და მოწინააღმდეგეებს შორის არსებულ დისკუსიას, მეოცე საუკუნის ბოლოს ცნობილი ამერიკელი ეკონომისტი, ნობელის პრემიის ლაურეატი მილტონ ფრიდმანიც გამოეხმაურა. მან უპასუხა პროტექციონისტური ტალღის მომხრეებს, რომლებიც თავიანთი მოსაზრების სიმყარეს სამუშაო ადგილების დაცვითა და ეროვნული ინდუსტრიების მხარდაჭერით ხსნიდნენ. (Fairbrother, 2019) ფრიდმანის აზრით პროტექციონიზმის არსი მომხმარებელთათვის საზიანოა, ხოლო, ეკონომიკაში სამუშაო ადგილების აბსოლუტური რაოდენობის შეფასება მცდარია, რადგან მნიშვნელოვანია არა ის, თუ რამდენი სამუშაო ადგილია, არამედ ის, თუ რას ქმნის თითოეული ადგილი ეკონომიკისთვის.[4] მას მიაჩნდა, რომ უნდა შექმნილიყო არა უბრალოდ სამუშაო ადგილები, არამედ აქცენტი უნდა გაკეთებულიყო პროდუქტიული სამუშაო ადგილების შექმნაზე, რაც მეტ წარმოებულ საქონელსა და მომსახურებას ნიშნავდა. (Friedman, 1997)

[4] Hoover Digest, Stanford University, Hoover Institution, https://www.hoover.org/research/case-free-trade (20.03.2020)

ფრიდმანი ასევე არ ეთანხმებოდა მოსაზრებას, რომ ექსპორტი კარგია, ხოლო იმპორტი ყოველთვის ცუდია ქვეყნისთვის. მისი აზრით, სინამდვილეში ეს პირიქით არის. „ჩვენ არ შეგვიძლია მივირთვათ, ჩავიცვათ ან გამოვიყენოთ ის საქონელი, რომლის ექსპორტსაც სხვა ქვეყნებში ვახდენთ“ (Friedman, 1997) ქვეყნის მოგება საერთაშორისო ვაჭრობიდან არის ის, რის იმპორტსაც ახდენს იგი სხვა ქვეყნებიდან. ექსპორტი კი არის ის ფასი, რასაც ქვეყანა იხდის იმპორტის სანაცვლოდ. (Fairbrother, 2019) მან ასევე განსაზღვრა "ვაჭრობის სასურველი ბალანსის" მნიშვნელობა, როგორც ექსპორტისა და იმპორტის ისეთი დინამიკა, სადაც ექსპორტის ღირებულებითი მაჩვენებელი, მეტია იმპორტის მაჩვენებელზე; ამასთან უარყო ექსპორტისა და იმპორტის შედარება აბსოლუტური რაოდენობრივი მაჩვენებლების მიხედვით. (McGee, 1994)

თავისუფალი ვაჭრობის შესახებ ფილოსოფოსსა და აშშ-ის „დამფუძნებელ მამას“, ალექსანდრე ჰამილტონსაც თავისი შეხედულება ჰქონდა. მისი აზრით, თავისუფალი ვაჭრობა იმ შემთხვევაშია სასარგებლო, თუ მასში ჩართულია ყველა ქვეყანა; ქვეყნები რომლებიც ვაჭრობის ბარიერებს იყენებენ, სხვა ქვეყნების განვითარების გარდა, თავის თავსაც აზიანებენ.[5]

მთლიანობაში ფრიდნამისა და ჰამილტონის მოსაზრებები, შესაძლოა თავისუფალი ვაჭრობის განვითარების მხარდაჭერად მივიჩნიოთ, რადგან ისინი არ იზიარებენ პროტექციონისტურ იდეებს, ხოლო საქონლის ექსპორტით მიღებული კაპიტალი, იმპორტის განხორციელების აუცილებელ პირობად მიაჩნიათ.

*თავისუფალი ვაჭრობა* როგორც ქვეყნებს შორის საგარეო ეკონომიკური ურთიერთობის ერთ-ერთი უმაღლესი საფეხური, ვაჭრობის ისეთი პარამეტრების გარდა, როგორიცაა ზოგადად საგარეო ვაჭრობის მაჩვენებლები - ექსპორტი და იმპორტი, მაკროეკონომიკის სხვა პარამეტრებზეც გავლენას ახდენს.

სამეცნიერო ლიტერატურაში არ არსებობს უნიფიცირებული მოსაზრება, თუ რამდენად პოზიტიური შეიძლება იყოს სატარიფო და არასატარიფო შეზღუდვების გარეშე სხვადასხვა ქვეყანასთან საგარეო ვაჭრობა, როგორ შეიძლება გაიზომოს თავისუფალი ვაჭრობის შეთანხმების ეფექტები ეკონომიკაზე და რამდენად თანაბარია ეკონომიკური სარგებელი შეთანხმების მონაწილე ყველა მხარისთვის.

---

[5] Irwin, (2006) Historical Aspects of U.S Trade Policy, National Bureau of Economic Research, https://data.nber.org/reporter/summer06/irwin.html (20.02.2020)

თუმცა, თავისუფალი ვაჭრობის შეთანხმებების შესახებ არსებული კვლევები მათ პოზიტიურ გავლენაზე შეთანხმების მონაწილე ქვეყნებს შორის ვაჭრობის ნაკადების ზრდაზე მიუთითებენ. კვლევებმა ასევე აჩვენა, რომ აღნიშნული ეფექტები შესაძლოა ერთგვაროვანი არ იყოს. სხვაობა განსაკუთრებით თვალსაჩინოა განვითარებულ და განვითარებად ქვეყნებს შორის, სადაც ვაჭრობის შეთანხმებების ეფექტი ზოგიერთი ქვეყნისთვის მეტად თვალსაჩინო და პოზიტიურია, ვიდრე დანარჩენებისთვის.

კემბრიჯის უნივერსიტეტის პროფესორების კრისტოფერ სტივენსისა და ჯეინ კენანის მიხედვით Stevens, Irfan, Massa and Kennan (2015) გამოიყოფა ის ძირითადი ფაქტორები, რომელიც თავისუფალი ვაჭრობის შეთანხმებების ეფექტიანობაზე გავლენას ახდენს. ეს ფაქტორებია:

- შეთანხმების სპეციფიკური მახასიათებლები, ანუ რამდენად ღრმა და ყოვლისმომცველია ვაჭრობის შეთანხმება, რამდენად მასშტაბური ინსტიტუციური ცვლილებებია საჭირო მისი ამოქმედებისთვის საჭირო და რა დროში მიიღწევა ეს ცვლილებები;
- როგორია ვაჭრობასთან დაკავშირებული გარემო ქვეყანში, რამდენად არსებობს არასატარიფო ბარიერები და ვაჭრობისთვის ხელის შემშლელი სხვა ტექნიკური ფაქტორები.

ვაჭრობის შეთანხმების ეფექტი მონაწილე ქვეყნის ეკონომიკაზე დიდწილად დამოკიდებულია ამ ქვეყნის ეკონომიკის შესაძლებლობაზე, რომ თავისუფალი ვაჭრობის შეთანხმების საფუძველზე გაზრდილ მოთხოვნას უპასუხოს გაზრდილი მიწოდებით, რასაც დამოკიდებულია ქვეყნის ეკონომიკის შესაძლებლობაზე გაზარდოს წარმოება და ამით ეფექტიანად გამოიყენოს ვაჭრობის შეთანხმება. აღნიშნულ ფაქტორს თავისუფალი ვაჭრობის შეთანხმების ეფექტიანი გამოყენებისთვის გადამწყვეტი მნიშვნელობა აქვს, ხოლო მისი მიღწევა კი დამოკიდებულია როგორც მთავრობის პოლიტიკაზე, ისე ეკონომიკის შესაძლებლობაზე, რათა მოქნილად გამოიყენოს არსებული წარმოების ფიზიკური და ადამიანური რესურსები და ამით პროდუქტიულობა მოკლე დროში გაზარდოს.

ვაჭრობის ნაკადების ზრდის გარდა, თავისუფალი ვაჭრობის შეთანხმებები პირდაპირ ან არაპირდაპირ შემთხვევებში ხელს უწყობს ინვესტიციების მოზიდვას და ტექნოლოგიების ტრანსფერს ეკონომიკაში, რომელიც მიწოდებისა და საერთაშორისო კონკურენტუნარიანობის ზრდისთვის აუცილებელია.

სამეცნიერო ლიტერატურაში ორად იყოფა მოსაზრებები შრომის ბაზარზე თავისუფალი ვაჭრობის შესაძლო ეფექტის შესახებ. მკვლევართან ნაწილი თვლის, რომ გაზრდილი ეკონომიკური აქტივობის ფონზე, თავისუფალი ვაჭრობა ზრდის დასაქმებას, მეორე ნაწილის აზრით კი, თავისუფალი ვაჭრობის რეჟიმის პირობებში შესაძლოა ზოგიერთი ტრადიციული დარგი არაკონკურენტუნარიანი გახდეს, რასაც სამუშაო ადგილების შემცირება მოყვება.

თავისუფალი ვაჭრობის შეთანხმებები, როგორც ვაჭრობის ლიბერალიზების ინსტრუმენტი, ყველა ქვეყნისთვის ერთგვაროვანი არ არის. მართალია იგი ქმნის ქვეყნებს შორის ინტეგრაციის მტკიცე საფუძველს, თუმცა ბარიერების გაუქმება ვაჭრობის შეთანხმების ორივე მხარისთვის თანაბრად ხელსაყრელი შესაძლოა არ იყოს, რაც კეთილდღეობისა და სარგებლის უთანაბრო განაწილებას იწვევს.

საგარეო ვაჭრობის დინამიკაზე და ზოგადად ეკონომიკაზე თავისუფალი ვაჭრობის შეთანხმების ეფექტების ანალიზისთვის თავის თეორიას გვთავაზობს კანადელი ეკონომისტი იაკობ ვინერი. (Baniya, Rocha, Ruta, 2019) ეს თეორია თავისუფალი ვაჭრობის ახსნის შესახებ ერთ-ერთი ყველაზე პოპულარულია, რომლის მიხედვით, თავისუფალი ვაჭრობის შეთანხმებას საგარეო ვაჭრობაზე ორი სახის ეფექტი შესაძლოა ჰქონდეს, ვაჭრობის გადამისამართება (Trade diversion) და ვაჭრობის შექმნა (Trade creation).

ორ ქვეყანას შორის თავისუფალი ვაჭრობის ამოქმედების შემდეგ, ზოგიერთი საქონელი რომლის იმპორტსაც ეს ქვეყნები იმ მესამე ქვეყნიდან ახდენდნენ, რომელიც შეთანხმების მონაწილე არ არის, შესაძლოა ჩანაცვლდეს იმ საქონლით რომლის ექსპორტსაც თავისუფალი ვაჭრობის შეთანხმების მონაწილე ქვეყანა ახორციელებს. სატარიფო ბარიერების გაუქმების შემთხვევაში, მესამე ქვეყნიდან იმპორტირებული პროდუქცია, რომელიც საბაჟო დაბეგვრას ექვემდებარება, არაკონკურენტუნარიანი ხდება იმ პროდუქციასთან, რომლის იმპორტიც თავისუფალი ვაჭრობის ფარგლებში ხდება. ამიტომ თავისუფალი ვაჭრობის მონაწილეების ურთიერთ ვაჭრობის მოცულობა იზრდება. ამას *ვაჭრობის გადამისამართების ეფექტი ეწოდება.*

*ვაჭრობის ნაკადების შექმნა (Trade Creation)* კი მაშინ ხდება, როდესაც ვაჭრობის ბარიერების გაუქმების შედეგად, იმპორტირებული პროდუქცია ჩაანაცვლებს ისეთ ადგილობრივ ან იმპორტირებულ პროდუქციას, რომლის წარმოებაც ნაკლებად ეფექტიანია და დიდ დანახარჯებთან არის დაკავშირებული. ცხადია, ეს დიდი

პრობლემაა სამამულო მეწარმეებისთვის, თუმცა, ასეთ დროს მოგებული მომხმარებელი რჩება.

ვინერის თეორიის მიხედვით, თუ თავისუფალი ვაჭრობის შეთანხმების ამოქმედების შემდეგ, ადგილი აქვს სავაჭრო ნაკადების შექმნას (Trade Creation), ხოლო სავაჭრო ნაკადების გადამისამართების (Trade Diversion) ეფექტი არ ფიქსირდება, ამ შემთხვევაში იზრდება კეთილდღეობის დონე. თუ ადგილი აქვს ვაჭრობის ნაკადების გადამისამართებას, ამას ქვეყნის კეთილდღეობაზე შესაძლოა საპირისპირო ეფექტი ჰქონდეს. თუ ერთდროულად არსებობს ორივე ეფექტი, მაგრამ ვაჭრობის ნაკადების შექმნის ეფექტი აჭარბებს ვაჭრობის ნაკადების გადამისამართების ეფექტს, მაშინ ქვეყნის კეთილდღეობა იზრდება, ხოლო საპირისპირო შემთხვევა კი, კეთილდღეობის დონის შემცირებას იწვევს.

ვინერის მოდელის მიხედვით, (Michaelly, 1976) თუ თავისუფალი ვაჭრობის შეთანხმების ამოქმედების შედეგად პარტნიორი ქვეყნიდან იზრდება იმპორტი, მაშინ *მოსალოდნელია ვაჭრობის ნაკადებთან დაკავშირებული შემდეგი შედეგები:*

| *ვაჭრობის ნაკადების შექმნა* | *ვაჭრობის ნაკადების გადამისამართება* |
|---|---|
| 1. მსოფლიოს სხვა ქვეყნებიდან იმპორტი და სამამულო წარმოება უცვლელი რჩება | 1. მსოფლიოს სხვა ქვეყნებიდან იმპორტი მცირდება ხოლო სამამულო წარმოება იზრდება ან უცვლელი რჩება. |
| 2. მსოფლიოს სხვა ქვეყნებიდან იმპორტი და სამამულო წარმოება იზრდება. | 2. მსოფლიოს სხვა ქვეყნებიდან იმპორტი მცირდება ხოლო სამამულო წარმოების შემცირება არაა საკმარისი მის დასაბალანსებლად. |
| 3. მსოფლიოს სხვა ქვეყნებიდან იმპორტი იზრდება, ხოლო სამამულო წარმოება უცვლელი რჩება. | |
| 4. მსოფლიოს სხვა ქვეყნებიდან იმპორტი უცვლელი რჩება, ხოლო სამამულო წარმოება იზრდება ან მცირდება. | |
| 5. მსოფლიოს სხვა ქვეყნებიდან იმპორტი მცირდება, მაგრამ სამამულო წარმოება კვლებას განიცდის. | |

ამ თეორიის მიხედვით (Viner, 2014) ვაჭრობის ლიბერალიზებით ორ ქვეყანას შორის არსებული ვაჭრობის სტრუქტურა და დინამიკა შესაძლოა შეიცვალოს, ან ვაჭრობის ახალი შესაძლებლობა შეიქმნას. თუმცა, ნათელია რომ ზემოაღნიშნული ეფექტები ვაჭრობის ორივე მხარისთვის თანაბარი ხასიათის იყოს შეიძლება არ იყოს. ამიტომ პარტნიორებს შორის მხოლოდ ვაჭრობის ბრუნვის ზრდა, არ შეიძლება იყოს

საკმარისი საფუძველი რომ სრულყოფილად შევაფასოთ თავისუფალი ვაჭრობის შეთანხმების ეფექტები.

ეკონომისტებს შორის გავრცებული მოსაზრების მიხედვით, (Martínez, Rodriguez & Salazar, 2015) როდესაც ორ ქვეყანას შორის თავისუფალი ვაჭრობის შეთანხმება (FTA) არსებობს, ქვეყნები ორიენტირებულნი არიან ისეთი პროდუქციის წარმოებაზე, სადაც მათ შედარებითი უპირატესობა ექნებათ. ამგვარად, რესურსები უფრო ოპტიმალურად გადანაწილდება და შესაძლებელია ვაჭრობისას ორივე მხარე მოგებული დარჩეს. აღნიშნული მოსაზრების ერთ-ერთი მაგალითია ევროკავშირსა და მექსიკას შორის გაფორმებული თავისუფალი ვაჭრობის შეთანხმება. (Martínez, Rodriguez & Salazar, - 2015) მას შემდეგ რაც ევროკავშირმა და მექსიკამ თავისუფალი ვაჭრობის შეთანხმება გააფორმეს, მნიშვნელოვნად გაიზარდა მექსიკიდან ევროკავშირში იმ საქონლის ექსპორტი რომლის წარმოებაშიც მექსიკას შედარებითი უპირატესობა ჰქონდა და პირიქით. მარტინესი, როდრიგესი და სალაზარი (Martínez, Rodriguez & Salazar, 2015) ასევე მიუთითებენ, რომ შეთანხმების ამოქმედების შემდეგ, მნიშვნელოვნად გაიზარდა პირდაპირი უცხოური ინვესტიციები (პუი) მექსიკის ეკონომიკის იმ სექტორებში, რომლებიც ევროკავშირში ექსპორტზე იყვნენ ორიენტირებულნი. აღსანიშნავია, რომ ინვესტიციების გაიზარდა როგორც ევროკავშირიდან, ისე აშშ-დან და სხვა ქვეყნებიდან.

თუმცა, კვლევები აჩვენებს რომ თავისუფალი ვაჭრობის შესახებ შეთანხმება ყოველთვის არ იწვევს მნიშვნელოვანი ახალი ვაჭრობის ნაკადების შექმნას. (Stevens, Ir fan, Massa, & Kennan, 2015) განვითარებულ და განვითარებად ქვეყნებს შორის გაფორმებული თავისუფალი ვაჭრობის შეთანხმებების შესახებ არსებული ლიტერატურის ანალიზისას აღმოჩნდა, რომ ზოგიერთ შემთხვევაში ვაჭრობის შეთანხმება სულაც არ იწვევს ვაჭრობის ახალი ნაკადების შექმნას და მონაწილე მხარეებისთვის იგივე არაპროპორციულ ეკონომიკურ ეფექტს იძლევა. მაგალითად, ავსტრალიასა და ტაილანდს შორის თავისუფალი ვაჭრობის შეთანხმების გაფორმებას, მხოლოდ უმნიშვნელო მოცულობის ვაჭრობის ახალი ნაკადების შექმნა მოყვა, ევროკავშირსა და ჩილეს შორის გაფორმებულ თავისუფალი ვაჭრობის შეთანხმებასაც ანალოგიური ეფექტი ჰქონდა.

მეორე მხრივ, კვლევები (Huijsksens, 2017) ადასტურებს რომ მნიშვნელოვანი ახალი ვაჭრობის ნაკადების შექმნა მოყვა თავისუფალი ვაჭრობის შეთანხმების გაფორმებას

სხვა სუბიექტებს შორის. (ევროკავშირი - თურქეთის საბაჟო კავშირი; ევროკავშირი - ხმელთაშუა ზღვის რეგიონი; თურქეთი - ხმელთაშუა ზღვის რეგიონი). ვაჭრობის ნაკადების შექმნაზე განსხვავებული ეფექტების არსებობა ჰუიჯსკსენსმა (2017) შეთანხმების მონაწილე ქვეყნებს შორის არსებული განვითარების დონეებს შორის სხვაობით ახსნა. მან შეისწავლა განვითარებულ და განვითარებად ქვეყნებს შორის გაფორმებული თავისუფალი ვაჭრობის 31 შეთანხმება და დაასკვნა, რომ შეთანხმების გაფორმების შემდეგ ვაჭრობის ნაკადების ზრდა ამ ქვეყნების ეკონომიკური განვითარების დონეს უკავშირდება. იმ შემთხვევაში, თუ შეთანხმების მონაწილე ორივე მხარე განვითარების მეტ-ნაკლებად თანაბარ საფეხურზე იმყოფება, თავისუფალი ვაჭრობის საშუალებით, ვაჭრობის მოცულობა ორივე მხარისთვის ხელსაყრელად იზრდება.

გარდა ზემოთჩამოთვლილისა, არსებობს დამატებითი გზები, როდესაც განვითარებად ქვეყნებს, განვითარებულ ქვეყნებთან თავისუფალი ვაჭრობის შეთანხმების გაფორმებით, ეკონომიკური სარგებლის მიღების შესაძლებლობა აქვთ. (Krugman, 2018) კერძოდ: კრუგმანის მიერ შემოთავაზებული ვაჭრობის ახალი თეორიის მიხედვით, საერთაშორისო ეკონომიკის ტენდენციების დასახასიათებლად, *მასშტაბისა და ქსელის ეკონომიის ეფექტის* გათვალისწინება; პატარა და განვითარებადი ეკონომიკის ქვეყნების ინდუსტრიებისთვის სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანია დიდ ბაზრებზე წვდომა „მასშტაბისა" და ქსელის ეფექტით სარგებელის მოსაპოვებლად, თავისუფალი ვაჭრობის შეთანხმებები კი, განვითარებად ქვეყნებს დიდ ბაზრებზე შეღწევის საშუალებას აძლევს.

*სტრუქტურული რეფორმების სტიმულირება.* ეკონომიკის განვითარებისთვის, პროდუქტიულობისა და კონკურენტუნარიანობის გაუმჯობესების მიზნით, ქვეყნები ცდილობენ უზრუნველყონ მნიშვნელოვანი სტრუქტურული რეფორმების განხორციელება. თუმცა, სტრუქტურული რეფორმების განხორციელების პროცესს ხშირ შემთხვევაში არაერთი გარემოება და „სუბიექტი" უშლის ხელს, რაც საბოლოოდ რეფორმების წარმატების საკითხს კითხვის ნიშნის ქვეშ აყენებს. თავისუფალი ვაჭრობის შეთანხმება, განსაკუთრებით კი განვითარებულ და განვითარებად ქვეყნებს შორის, ამ უკანასკნელს ვალდებულებას აკისრებს, რომ განახორციელოს სტრუქტურული რეფორმების მთელი პაკეტი. (მაგ: კონკურენციული პოლიტიკის დახვეწა, სანიტარული და ფიტოსანიტარული მიმართულებით რეფორმები,

ინტელექტუალური საკუთარების დაცვა და ა.შ) გარდა ამისა, ხშირ შემთხვევაში განვითარებადი ქვეყნები მსგავსი რეფორმების განხორციელების დროს პარტნიორი განვითარებული ქვეყნის ტექნიკური და ფინანსური დახმარებითაც სარგებლობს (Plummer, Cheong &Hamanaka, 2010).

*ახალი ტექნოლოგიებისა და პირდაპირ უცხოური ინვესტიციები.* თავისუფალი ვაჭრობის შესახებ შეთანხმების მიხედვით, განვითარებადი ქვეყნები შეაღწევენ განვითარებული ქვეყნების ბაზრებზე, რაც მნიშვნელოვანია სტიმულია განვითარებად ქვეყანაში პირდაპირი უცხოური ინვესტიციების შედინებისთვის. ინვესტიციების შედინება საწარმოების იაფი რესურსების გამო, პირველ რიგში იმ განვითარებული პარტნიორი ქვეყნებიდან ხდება, რომელიც თავისუფალი ვაჭრობის შეთანხმების მონაწილენი არიან. თუმცა, ინვესტიციების შედინება შესაძლოა მოხდეს სხვა ქვეყნებიდანაც. განვითარებული ქვეყნის ბაზარზე ექსპორტის შესაძლებლობა მრავალი ქვეყნის ინვესტორისთვის ახალი შესაძლებლობაა, რისი რეალიზების საშუალებაც სატარიფო ბარიერების გარეშე ვაჭრობაა. ცხადია, ინვესტიციების შემოდინებას განვითარებად ქვეყნებში, მოყვება ახალი ტექნოლოგიების გავრცელებაც (Lee, Lee & Kim, 2011).

*შრომის ბაზრის განვითარება.* თავისუფალი ვაჭრობის შესახებ შეთანხმება განვითარებული ეკონომიკის მქონე ქვეყანასთან, განვითარებად ქვეყანას შესაძლებლობას აძლევს, გაეცნოს პარტნიორი ქვეყნის ბაზარს. ეს მას დაეხმარება ადგილობრივი შრომის ბაზრის განვითარებისთვის ცოდნისა და გამოცდილების მიღებაში. (Plummer, Cheong & Hamanaka, 2010).

საერთაშორისო ვაჭრობის შეთანხმებების ანალიზისთვის, ეკონომიკური თეორიები კიდევ რამდენიმე მოდელს გვთავაზობს. ზოგიერთი მოდელი ანალიზისას უშუალოდ ორიენტირებულია სატარიფო განაკვეთების ცვლილებაზე და მათ უპირატესობის მაჩვენებლებს უწოდებს (Preference indicators) (Plummer, Cheong, & Hamanaka, 2010). აღნიშნული მაჩვენებლები როგორც წესი თავისუფალი ვაჭრობის ეფექტიანობის გამოთვლას მარტივად უზრუნველყოფს, თუმცა მათი მეშვეობით რთულია უფრო სიღრმისეული ანალიზი და იმის განსაზღვრა, თუ რა გავლენა აქვს თავისუფალი ვაჭრობის შეთანხმებას კეთილდღეობის ზრდაზე.

თავისუფალი ვაჭრობის შედეგების თვისობრივი ანალიზისთვის ზემოთხსენებული ვინერის თეორიაც გამოიყენება. აღნიშნული მოდელი ვაჭრობის

ნაკადების შექმნისა (Trade Creation) და გადამისამართების (Trade Diversion) მიდგომის გამოყენებით, ვაჭრობაზე არსებულ ეფექტებს აღწერს, თუმცა კეთილდღეობის ზრდის რაოდენობრივ შეფასებას არ გვთავაზობს. (Plummer, Cheong & Hamanaka, 2010) აღნიშნული მოდელი გამოყენებულია სხვადასხვა კვლევაში. მათ შორის ზოგიერთმა ავტორმა (Yacine, Haddoud & Newbery, 2014) იგი ევროკავშირსა და ალჟირს შორის თავისუფალი ვაჭრობის შეთანხმების სექტორული ანალიზისას გამოიყენეს. მოგვიანებით იგივე მოდელი იაპონიასა და ინდონეზიას შორის თავისუფალი ვაჭრობის ანალიზისთვისაც გამოიყენეს. (Hariyono, 2015)

## 1.3 საერთაშორისო ვაჭრობის გრავიტაციული მოდელი

საერთაშორისო ვაჭრობის მოდელის ანალიზისთვის, ეკონომისტები ყველაზე ხშირად გრავიტაციულ მოდელს იყენებენ. მოდელი პირველად 1962 წელს, (Benedictis, Taglioni, 2011) ჰოლანდიელი მეცნიერის იან ტინბერგენის მიერ იქნა წარმოდგენილი. მისი აზრით, ორ ქვეყანას შორის ვაჭრობის ნაკადების ზომის განსაზღვრა შესაძლებელია "გრავიტაციული განტოლები" გამოყენებით, რომელიც ნიუტონის გრავიტაციული თეორიიდან გამომდინარეობს, სადაც პლანეტები მათი ზომისა და პროპორციების შესაბამისად ერთმანეთს იზიდავენ. ტინბერგენის თეორიის მიხედვით, ასევე იყო ქვეყნების შემთხვევაშიც.

$$\text{(a)} \ \log X_{ij} = C + b_1 \log GDP_i + b_2 \ GDP_j + b_3 \log \tau ij + e_{ij}$$

$$\text{(b)} \log \tau \, ij = (\text{distance} \, ij)$$

სადაც Xij არის ექსპორტი i ქვეყნიდან j ქვეყანაში, GDP - კი თითოეული ქვეყნის მთლიანი სამამულო პროდუქტი, τij წარმოადგენს ორ ქვეყანას შორის ვაჭრობის ხარჯებს, distance - ასახავს ქვეყნებს შორის გეოგრაფიულ მანძილს, როგორც ვაჭრობის ხარჯების შესამჩნევი ფაქტორი, ხოლო eij - კი შემთხვევითი შეცდომა.

განტოლების მიხედვით, ექსპორტი პირდაპირპროპორციულია ექსპორტიორი და იმპორტიორი ქვეყნების ეკონომიკური „ზომის", რომელსაც GDP წარმოადგენს და მათ შორის არსებული ეკონომიკური მანძილის უკუპროპორციულია.

თეორიის მიხედვით, ქვეყნების შედარებითი ზომას განსაზღვრავს მათი GDP, ხოლო ეკონომიკური სიახლოვე კი განისაზღვრება ვაჭრობის დანახარჯებით. რაც

უფრო ეკონომიკურად „დაშორებულია“ ორი ქვეყანა ერთმანეთისგან, მით მეტია ვაჭრობის დანახარჯებიც. გრავიტაციული მოდელის მიხედვით, შედარებითი ეკონომიკური ზომა ქვეყნებს ერთმანეთთან ვაჭრობაში ასტიმულირებს, ხოლო მათ შორის მანძილი კი, ამ სტიმულს ამცირებს.

საყურადღებოა, რომ გრავიტაციულ მოდელში „მანძილს“ (distance) არაერთგვაროვანი გაგება აქვს. იგი, როგორც უშუალოდ ფიზიკურ მანძილს, რომელიც ტრანსპორტირების ხარჯების საფუძველია, ასევე საერთაშორისო ვაჭრობის სხვა ბარიერებს გამოხატავს.

განასხვავებენ ვაჭრობის შემაფერხებელ ეკონომიკურ და არაეკონომიკურ ბარიერებს. ეკონომიკური ბარიერები შეიძლება იყოს სატარიფო და არასატარიფო სახის, ხოლო არაეკონომიკურ ბარიერებში აერთიანებენ ისეთ ფაქტორებს, როგორებიცაა - ქვეყნებს შორის არსებული კულტურული და რელიგიური განსხვავება, ინსტიტუციური და ტექნოლოგიური განვითარების დონეებს შორის სხვაობა და სხვა. (Bergeijk, Brakman, 2010)

ქვეყნებს შორის ვაჭრობის განვითარებისა და მისი მზარდი დინამიკის მიუხედავად, მანძილი და ზოგადად, ზემოაღნიშნული ბარიერები მსოფლიო ეკონომიკის მნიშვნელოვან გამოწვევას წარმოადგენს. ამ და სხვა გამოწვევების ემპირიული შესწავლისთვის კი, საერთაშორისო ვაჭრობის გრავიტაციული მოდელი უნიკალურ შესაძლებლობას ქმნის. თავდაპირველად, თეორიული საფუძვლის არარსებობის გამო, ვაჭრობის გრავიტაციული მოდელი მრავალმა ეკონომისტმა გააკრიტიკა. ამერიკელი მეცნიერები ედვარდ ლემერი და ჯეიმს ლევინსონი, ჩატარებული კვლევის საფუძველზე ამტკიცებენ, რომ გრავიტაციული მოდელი მყარი თეორიული საფუძვლის გარეშე, ძირითადად აღწერითი ხასიათისაა, რის გამოც, ემპირიული მონაცემების შესწავლის შემდეგ, მათი გაანალიზება რთული. (Leamer, Levinsohn, 1995) თუმცა მოგვიანებით მეცნიერებმა მისი ემპირიული სიძლიერე აღიარეს, რამდენადაც მოდელი ვაჭრობის დინამიკაზე ხელოვნური ბარიერების, ქვეყნებს შორის მანძილის, საბაჟო გაერთიანებებისა და პრეფერენციული სისტემების ეფექტებს კარგად ასახავდა. (Taplin, 1967)

ამის შემდეგ, გრავიტაციული მოდელი განიხილებოდა როგორც ემპირიული მოდელი, ვაჭრობის თეორიული დასაბუთების გარეშე. თუმცა, ვაჭრობის დინამიკის ასახსნელად გრავიტაციული მოდელის ფართოდ გამოყენებამ, მოგვიანებით

ეკონომისტები აიძულა, რომ ეს მოდელი მანამდე არსებული ვაჭრობის თეორიების განვითარებად ეღიარებინათ, სადაც, გრავიტაციული მოდელისგან განსხვავებით, ეკონომიკის ზომა, მნიშვნელოვნად არ განიხილებოდა.

პირველი მნიშვნელოვანი მცდელობა, რომელიც გრავიტაციული მოდელის თეორიული საფუძვლების ძიებას ისახავდა მიზნად, ამერიკელ მეცნიერს, პრეზიდენტ რეიგანის ეკონომიკურ მრჩეველს მარტინ ანდერსონს ეკუთვნოდა. (Anderson, 1979) მის მოდელში საქონელი დიფერენცირებულია წარმოების ადგილის მიხედვით, ხოლო მომხმარებელს ნებისმიერ განსაზღვარულ საქონელზე წვდომა შეუძლია. ანდერსონის თეორიის მიხედვით, მიუხედავად პროდუქციის ფასისა, ქვეყანას სხვა ნებისმიერ ქვეყანაში წარმოებული ნებისმიერი საქონელი შეუძლია მოიხმაროს. მოდელის მიხედვით, საერთაშორისო ვაჭრობაში ჩართულია ყველა ქვეყანა, ხოლო ეროვნულ შემოსავალს შეადგენს საშინაო და საგარეო მოთხოვნის ჯამი თითეული იმ საქონლისთვის, რომელსაც ქვეყანა აწარმოებს. ამიტომ დიდ ქვეყნებს ექნებათ მეტი ექსპორტი და იმპორტი. ანდერსონი თავის თეორიაში ვაჭრობის დანახარჯებს „აისბერგის ხარჯს“ ადარებს, რადგან მხოლოდ საქონლის ნაწილი მიაღწევს დანიშნულების ადგილამდე, დარჩენილი ნაწილი კი გზაში „დნება“. ცხადია, იმპორტი ტრანსპორტირების, დაზღვევისა და სხვა ტექნიკურ ხარჯს მოიცავს, რაც საერთო ჯამში ვაჭრობის ბრუნვის მოცულობას ამცირებს.[6]

შემდგომმა კვლევებმა აჩვენეს, რომ გრავიტაციული მოდელის საფუძველზე, შესაძლოა ვაჭრობის თეორიების ფართო სპექტრი წარმოიშვას. ამერიკელი მეცნიერის ჯეფრი ბერგსტრანდის მიხედვით (Bergstrand, 1985), გრავიტაციული მოდელია პოლ კრუგმანის მონოპოლისტური კონკურენციის თეორიის საფუძველი. (Krugman, 1980). ამ მოდელის მიხედვით, მსგავსი ქვეყნები განსხვავებული საქონლით ვაჭრობენ, რადგან მომხმარებელი უპირატესობას მრავალფეროვნებას ანიჭებს. იმის გამო, რომ ფირმების ადგილმდებარეობა ენდოგენური ფაქტორია, ქვეყნები პროდუქციის სხვადასხვა ნაკრების წარმოებაში სპეციალიზდებიან. ამერიკელი ეკონომისტი ალან დირდორვი კი, გრავიტაციულ მოდელის განვითარებას საერთაშორისო ვაჭრობის ტრადიციული ფაქტორთა პროპორციით ხსნის. (Deardordff, 1988).

[6] A Practical Guide to Trade Policy Analyses, WTO, accessed: https://vi.unctad.org/tpa/ (09.02.2020)

ეკონომისტებმა ჯონათან იტონმა და სამუელ კორტუმმა გრავიტაციული განტოლება რიკარდოსეული მოდელის მიხედვით ჩამოაყალიბეს, (Easton, Kortum, 2002) ხოლო ელჰანან ჰელმანმა და ტომას ჩეინმა გრავიტაციული გამონტოლება საერთაშორისო ვაჭრობის იმ თეორიიდან ჩამოაყალიბეს სადაც ჰომოგენური ფირმები დიფერენცირებულ საქონელს აწარმოებენ. (Helpman, 2008, Chaney, 2008)

ზოგადი ფორმულირებით, გრავიტაციულ განტოლებას შემდეგი მულტიპლიკაციური ფორმა აქვს: (Benedictis, Tiglioni, 2011)

$$X_{ij} = GS_iM_j\varphi_{ij}$$

სადაც $X_{ij}$ არის ექსპორტის მთლიანი ღირებულება i ქვეყნიდან $j$ ქვეყანაში-ში, $M_j$ აღნიშნავს იმპორტიორის ყველა იმ სპეციფიკურ ფაქტორს, რომელიც განაპირობებს მის მოთხოვნას, (მაგალითად იმპორტიორი ქვეყნის GDP) ხოლო $S_i$ მოიცავს ექსპორტიორის ყველა სპეციფიკურ ფაქტორს, რომელიც განაპირობებს ექსპორტიორის შესაძლებლობას მიაწოდოს საქონლის მაქსიმალური მოცულობა. G კი არის ცვლადი, რომელიც განტოლებაში $i$-სა და $j$-ზე დამოკიდებული არ არის. განტოლების მიხედვით $\varphi_{ij}$ წარმოადგენს i ექსპორტიორის შესაძლებლობას, მაქსიმალურად მარტივად შეაღწიოს j ქვეყნის ბაზარზე. საერთაშორისო ვაჭრობაში გრავიტაციული განტოლების ემპირიული მნიშვნელობა მაღალია. სადაც, მანძილიცა და ეკონომიკური ზომაც ნებისმიერ ქვეყნის შემთხვევაში მნიშვნელოვანია ცვლადებია.

კიდევ ერთი მნიშვნელოვანია საკითხია მრავალმხრივი ვაჭრობის შეზღუდვების დაშვება გრავიტაციულ განტოლებაში.[7] გრავიტაციული მოდელის თეორიული საფუძვლების კვლევისას, მნიშვნელოვანია იმ სპეციფიკაციებისა და ცვლადების იდენტიფიკაცია, რომელიც სხვადასხვა ეკონომიკური თეორიების მოდელირებისას არ გამოიყენება. ამ თვალსაზრისით, საინტერესოა ბრიტანელი და ჰოლანდიელი ეკონომისტების ადამ ანდერსონ და ერიკი ვან ვინკოპის ნაშრომი, სადაც ნაჩვენებია რომ ვაჭრობის შედარებითი დანახარჯების კონტროლს გრავიტაციული მოდელისთვის დიდი მნიშვნელობა აქვს. მათი თეორიიის მიხედვით, ორმხრივი ვაჭრობა განისაზღვრება შედარებითი ვაჭრობის დანახარჯებით, ანუ j ქვეყნის მოტივაცია, რომ i ქვეყნიდან აწარმოოს საქონლის იმპორტი, დამოკიდებულია მისი

ვაჭრობის და არა აბსოლუტურ ვაჭრობის შეწონილ ხარჯებზე, რომელიც ორ ქვეყანას შორის არსებობს. (Anderson, Van Wincoop, 2003) . ამას მრავალმხრივი ვაჭრობის წინააღმდეგობა ეწოდება, რომელიც ორ ქვეყანას შორის და მათი მესამე ქვეყნებთან არსებულ საერთაშორისო ვაჭრობის ბარიერების ერთობლიობას ასახავს.

თეორიის მიხედვით, სხვა თანაბარ პირობებში ორი ქვეყანა, რომელთაც სხვა განვითარებული ეკონომიკის მქონე ქვეყნები ესაზღვრებიან, (მაგ: ბელგია და ნიდერლანდები, რომლებსაც საფრანგეთი და გერმანია ესაზღვრებიან) ერთმანეთში ვაჭრობენ იმაზე ნაკლები მოცულობით, ვიდრე ეს შესაძლებელი იქნებოდა ოკეანით (მაგ: ავსტრალია ან ახალი ზელანდია) ან უდაბნოებითა და მთებით (მაგ: ყირგიზეთი და ყაზახეთი) შემოსაზღვრისას. ანდერსონისა და ვინკოპის დაასკვნით, მსოფლიოს ნებისმიერი N ქვეყნისა და დიფერენცირებული საქონლისთვის, თეორიულ საფუძველს შემდეგი გრავიტაციული თეორია წარმოადგენს:

$$X_{ij} = \frac{Y_i Y_j}{Y}\left(\frac{t_{ij}}{\Pi_i P_j}\right)^{1-\sigma}$$

*წყარო:* WTO annual report (11.08.2020)

სადაც Y არის მსოფლიო ჯამური GDP, Yi და Yj კი, შესაბამისად i და y ქვეყნების GDP, tij კი გამოსახავს j ქვეყანაში i ქვეყნიდან საქონლის იმპორტირების ღირებულება, σ > 1 არის ჩანაცვლების ელასტიკურობა, ხოლო Πi და Pj ასახავს ექსპორტიორისა და იმპორტიორის ბაზარზე შეღწევის სიმარტივეს, ან i ქვეყნის გარე და j ქვეყნის შიდა მრავალმხრივი ბარიერების პირობებს.

სხვა ქვეყნების ბაზრებზე შეღწევა რთულდება, თუ ექსპორტის განმახორციელებლი ქვეყანა დაშორებულია მსოფლიო ბაზრებს. დაშორება შეიძლება გამოხატული იყოს ფიზიკური და ინსტიტუციური ფაქტორებით.

*ფიზიკური ფაქტორებია* - გეოგრაფიული და სივრცითი დაშორება ბაზრისგან.

*ინსტიტუციური ფაქტორები* კი მაღალი სატარიფო ბარიერებსა და სხვა სახის ვაჭრობის დანახარჯებს აერთიანებს.

ანდერსონისა და ვინკოპის კვლევა ასახავს იმ ხარვეზებს, რომელიც არსებობდა გრავიტაციული მოდელის იმ განტოლებებში, სადაც ვაჭრობის ნაკადებისა და ქვეყნების GDP გარდა, ვაჭრობაში მრავალმხრივი შეზღუდვები გათვალისწინებული არ იყო.

წარმოდგენილი ლიტერატურის ანალიზის საფუძველზე შესაძლებელია საერთაშორისო ვაჭრობის თეორიები 3 ნაწილად დავაჯგუფოთ (Weaver, Jameson, 1981) და გავაერთიანოთ ტრადიციულ, რადიკალურ და ზომიერი ზრდის მიდგომებად. მიუხედავად სხვაობასა, თითოეულ ჯგუფში შემავალი თეორიების ავტორები საერთაშორისო ვაჭრობის შესახებ ინდივიდუალურ მოსაზრებებსა და მოდელებს გვთავაზობენ, ამავე დროს კი აკრიტიკებენ განსხვავებულ თეორიებს.

მიუხედავად თეორიულ მოდელთა მრავალფეროვანი სპექტრისა, არცერთი მათგანი გვთავაზობს უნიფიცირებული მოსაზრებას თავისუფალი ვაჭრობის შესახებ, რაც კონკრეტული ქვეყნის შემთხვევების კვლევას დღის წესრიგში მეტად აყენებს.

# თავი II. საქართველოს საგარეო ვაჭრობის პოლიტიკა

## 2.1 ვაჭრობის პოლიტიკის ევოლუცია დამოუკიდებლობიდან დღემდე

1990-იანი წლების დასაწყისში, დამოუკიდებლობის აღდგენიდან - დღემდე, საგარეო ვაჭრობის ლიბერალიზება და დივერსიფიცირება, საქართველოს ეკონომიკური პოლიტიკის ერთ-ერთ მთავარ ქვაკუთხედს წარმოადგენს. ყოფილი საბჭოთა კავშირის არსებობის პერიოდში, მის შემადგენლობაში მყოფი მოკავშირე რესპუბლიკები უმეტესობა ერთმანეთთან მჭიდრო ვაჭრობა და ეკონომიკური ურთიერთობით იყვნენ დაკავშირებული. ექსპორტის შეზღუდული მოცულობა და ეკონომიკური ურთიერთ დამოკიდებულობის მზარდი ხარისხი, მოსკოვს მოკავშირე რესპუბლიკებზე კონტროლის განხორციელების შესაძლებლობას უმარტივებდა.

თუმცა, სოციალისტური ბანაკის დაშლის შემდეგ, მასში შემავალი ქვეყნები პოლიტიკურმა, ეკონომიკურმა და სოციალურმა არასტაბილურობამ მოიცვა, რასაც

კორუფცია და სხვადასხვა სახის პოლიტიკური და ეთნიკურ ნიადაგზე არსებული სამხედრო კრიზისები მოყვა. ყოველივე ამან, პოსტ-საბჭოთა ქვეყნების ეკონომიკური მდგომარეობა მნიშვნელოვნად დაამძიმა. რაც პირველ რიგში ეკონომიკური აქტივობის შემცირებით, ვაჭრობის ურთიერთობების დეფიციტითა და სოციალური კრიზისებით იყო განპირობებული. გამონაკლისი არც საქართველო წარმოადგენდა. იმ განსხვავებით, რომ აქ სოციალურ-ეკონომიკურ კატაკლიზმებს, შიდა პოლიტიკური და ეთნო კონფლიქტებიც თან ახლდა. ამან კი, დამოუკიდებლობის პირველ წლებში ქვეყნის ეკონომიკური და ფინანსური სისტემის კოლაფსი განაპირობა.

მძიმე კრიზისების ფონზე, სახელმწიფო ინსტიტუტების ფორმირების დაწყებასთან ერთად, საერთაშორისო ვაჭრობის სისტემაში მოქცევა თავიდანვე ერთ-ერთ პრიორიტეტულ საკითხად განისაზღვრა, რასაც მალევე შესაბამისი ნაბიჯებიც მოყვა. 1992 წლიდან იმპორტზე შეზღუდვების ეტაპობრივი გაუქმება დაიწყო, გაიზარდა იმ საქონლის ჩამონათვალი, რომლის ექსპორტიც საბჭოთა პერიოდში იკრძალებოდა. ამ ნაბიჯებით თანდათანობით ლიბერალური ვაჭრობის რეჟიმისათვის წინაპირობები იქმნებოდა. (თოქმაზიშვილი, შერგელაშვილი, 2012)

მართალია, ღია ეკონომიკაზე გადასვლა საბაზრო ეკონომიკის მშენებლობის მნიშვნელოვანი საფუძველია, რომელიც ასევე სახელმწიფოს როლის რადიკალურად-ახლებურად გააზრებას მოითხოვდა. თუმცა ეკონომიკურ პოლიტიკის შემუშავებისას პროტექციონიზმისა და ფრიტრედერობის აბსოლუტური დაპირისპირება გაუმართლებელია, ყველა ნორმალური სახელმწიფო იმ პოლიტიკას ატარებს, რომელიც ქვეყნის ეროვნულ ინტერესებს ყველაზე მეტად შეესაბამება (ბასილია,თ., სილაგაძე,ა., ჩიკვაიძე,თ.(2001). პოსტსოციალისტური ტრანსფორმაცია: საქართველოს ეკონომიკა XXI საუკუნის მიჯნაზე. თბილისი. გვ.: 397, 400). სახელმწიფოს როლის ზედმეტად დაკნინება, ხშირად, ეკონომიკური რეფორმების წარუმატებლად გატარების მიზეზი იყო, რომელიც კიდევ მეტად გაამძაფრა რესურსებისა და ცოდნა-გამოცდილების დეფიციტმა.

დამოუკიდებლობის მოპოვების შემდეგ, თანამედროვე მსოფლიოსთან საერთაშორისო ვაჭრობისა და ეკონომიკური ურთიერთობის ჩამოყალიბებისთვის, მნიშვნელოვნად საფუძველს წარმოადგენდა ვაჭრობის მსოფლიო ორგანიზაციაში (ვმო) გაწევრიანება. რაც, საგარეო ვაჭრობის მხრივ მნიშვნელოვანი მოვლენა იყო,

რადგან ქვეყანა საერთო ეკონომიკურ სივრცეში ექცეოდა, სადაც საერთაშორისო ვაჭრობისას ერთიანი თამაშის წესები მოქმედებდა.

ქვეყანაში ლიბერალური ვაჭრობის პოლიტიკის ჩამოყალიბების ინსტიტუციური საფუძველი, 1996 წელს ვაჭრობის მსოფლიო ორგანიზაციაში ქვეყნის მიერ გაკეთებულმა გაწევრიანების განაცხადმა შექმნა. ვმო-ში გაწევრიანების პროცესში ორგანიზაციის პრინციპებთან საქართველოს კანონმდებლობის მაქსიმალური ჰარმონიზება მოხდა: შემცირდა კვოტები ექსპორტ-იმპორტზე, აქციზური საქონლის ჩამონათვალი და აქციზის განაკვეთები; საწარმოო დანიშნულების იმპორტულ საქონელზე დაწესდა შეღავათები და ა.შ. ვაჭრობის ლიბერალური სისტემის ჩამოყალიბების მიზნით გადადგმული ამ ნაბიჯების შემდეგ, 2000 წლის 14 ივნისიდან საქართველო ოფიციალურად შეუერთდა ორგანიზაციას და მისი 137-ე წევრი გახდა. საქართველო ყოფილი საბჭოთა კავშირის მეოთხე რესპუბლიკა იყო ყირგიზეთის, ლატვიისა და ესტონეთის შემდეგ, რომელიც ვმო-ში გაწევრიანდა. ვმო-ში გაწევრიანების შედეგად, საქართველოს შესაძლებლობა გაუჩნდა ორგანიზაციის 100-ზე მეტ წევრთან, უპირატესი ხელშეწყობის საფუძველზე ევაჭრა, რაც დამოუკიდებლობის მოპოვების შემდგომ, საგარეო პოლიტიკური და ვაჭრობის თვალსაზრისით მნიშვნელოვანი მიღწევა იყო.

უპირატესი ხელშეწყობის რეჟიმის გამოყენებით, საქართველოს ინტეგრაცია მსოფლიო ეკონომიკურ სივრცეში მნიშვნელოვნად გაიზარდა, რაც სამამულო მეწარმეებისთვის შემცირებული საბაჟო გადასახადებით მსოფლიოს მრავალ ქვეყანაში საქონლის ექსპორტის განსახორციელებლად ახალ შესაძლებლობას ქმნიდა.

ვაჭრობისა და მთლიანად განვითარების პერსპექტივების გარდა, ვმო-ს წევრობა ქვეყანას ვაჭრობის ლიბერალიზების მიზნით, საშუალ და გრძელვადიან პერიოდში დამატებით პასუხისმგებლობებსაც აკისრებდა. საქართველოს მთავრობას რომ ვმო-ს წინაშე ქვეყნის მიერ აღებული ვალდებულებების შესრულების მიზნით, ისეთი ღონისძიებები უნდა გაეტარებინა როგორებიცაა - საკანონმდებლო ბაზის სრულყოფა და ვმო-ს მოთხოვნების შესაბამისი მყოფი ცვლილებების დამატება, ანტიდემპინგური კანონმდებლობის მიღება, საერთაშორისო სტანდარტებზე დაფუძნებული ტექნიკური

რეგლამენტის მიღება, სახელმწიფო შესყიდვების რეფორმისთვის საფუძვლის მომზადება და ა.შ.[8]

თუმცა, მიუხედავად ვაჭრობის პოლიტიკის ამგვარი ლიბერალიზაციისა, ეს არ ნიშნავდა ტარიფების სრულად ან ნაწილობრივ გაუქმებას. ვმო-სთან შეთანხმებით, საქართველომ სასოფლო-სამეურნეო პროდუქციაზე, ასევე ზოგიერთი სახეობის სამრეწველო პროდუქციაზე მაღალი საბაჟო ტარიფები კვლავ შეინარჩუნა. პროდუქციის რიგ ჩამონათვალზე კი ტარიფები შემდგომი შემცირების დათქმით შენარჩუნდა.

მართალია ვაჭრობის ლიბერალიზება საქართველოსთვის გლობალურ ეკონომიკაში ინტეგრაციისათვის მნიშვნელოვანი წინ გადადგმული ნაბიჯი იყო, თუმცა საწყის ეტაპზე მას საქართველოს ეკონომიკაზე თვალსაჩინო დადებითი ეფექტი არ ჰქონია. ქვეყანაში გამოშვებული პროდუქტის დაბალი ხარისხი და მაღალი დანახარჯები ქართულ ექსპორტს არაკონკურენტუნარიანს ხდიდა. ეს კი უარყოფითად აისახებოდა მოსახლეობის კეთილდღეობაზე, რადგან საბაჟო ტარიფების შემცირების ფონზე იმპორტის მზარდი დინამიკა, ქვეყანაში ვაჭრობის დეფიციტს ქმნიდა, რაც პრობლემას ეროვნული ვალუტის სტაბილურობას უქმნიდა. ამ პრობლემამ კულმინაციას პირველად 1997 წელს მიაღწია, როდესაც ვაჭრობის დეფიციტმა $704 მლნ შეადგინა, რაც 1997 წლის ვაჭრობის ბრუნვის ($1.108 მლრდ) 63.5% შეადგინა.[9]

2003 წლიდან ვმო-ს წინაშე აღებული ვალდებულებების შესაბამისად, ვაჭრობის ლიბერალიზაციისა და ვაჭრობის რეგულაციების გამარტივების მიზნით რეფორმების განხორციელება უფრო ინტენსიური გახდა. ამის შედეგად, საქართველოს ვაჭრობის საზღვრები კიდევ უფრო გაიხსნა. ხელისუფლების ცვლილების შემდეგ, ვაჭრობის ლიბერალიზაციის კონტექსტში, ეკონომიკური საქმიანობის გამარტივების მიზნით არაერთი რეფორმა გატარდა, რომლებიც ბიზნეს გარემოს გაუმჯობესებით, გადასახადების შემცირებით, საინვესტიციო გარემოს გაუმჯობესებითა და სამეწარმეო საქმიანობის რეგულირების შემცირებით, მთლიანობაში ვაჭრობის სატარიფო და არასატარიფო ბარიერებს აუქმებდა.

2006 წლის 1 სექტემბრიდან, შესაბამის კანონმდებლობაში ცვლილებების შეტანით, იმპორტზე დაწესებული ტარიფების 16 განაკვეთი შეიცვალა 3 განაკვეთით (0%, 5% და

---

[8] https://matsne.gov.ge/ka/document/view/1097732?publication=0 (06.04.2020)
[9] http://www.wto.org/english/thewto_e/minist_e/min98_e/mc98_e/st44.pdf (07.04.2020)

12%). ამასთან, იმპორტის ტარიფები პროდუქციის დაახლოებით 85%-ზე ცალმხრივად გაუქმდა.[10]

ვაჭრობა-ეკონომიკის სფეროში განხორციელებული რეფორმების პაკეტით, მთავრობა იმედოვნებდა რომ ერთი მხრივ საგარეო ვაჭრობის დივერსიფიცირებას მოახდენდა, რაც ქვეყნისვის ეკონომიკურთან ერთად, პოლიტიკური და უსაფრთხოების საკითხიც იყო, მეორე მხრივ კი, ექსპორტის სტიმულირების ახალ შესაძლებლობებს გააჩენდა .

ქვეყანაში ლიბერალური ვაჭრობის რეჟიმის ჩამოყალიბებამ ადგილობრივი ფირმების კონკურენტუნარიანობაზეც გავლენა მოახდინა. საერთაშორისო ბაზრებზე წვდომის შესაძლებლობა ქართველი მეწარმეებისთვის მნიშვნელოვან სტიმულს წარმოადგენდა, რათა საკუთარი პროდუქციის ხარისხი საერთაშორისო სტანდარტებთან დაეახლოვებინათ. თუმცა, ვაჭრობის საზღვრების გაფართოება ყველასთვის თანაბრად სასარგებლო არ იყო. საერთაშორისო კონკურენციაში ჩართვით არაერთმა ადგილობრივმა საწარმომ ბაზარზე პოზიციები დაკარგა, რაც პროდუქციის დაბალი ხარისხითა და მაღალი ფასების არსებობით იყო გამოწვეული. წარმოების სათანადო რესურსების არ არსებობის პირობებში შიდა ბაზარზე მიწოდებული პროდუქცია სამამულო მეწარმეებისთვის ბევრად დიდ დანახარჯებთან იყო დაკავშირებული, ვიდრე იმპორტიორი კონკურენტებისთვის. ხოლო მომხმარებელი კი შედარებით დაბალი ფასის მქონე პროდუქციას ანიჭებდა უპირატესობას, რაც ადგილობრივი ფირმებისთვის ხშირად მკვეთრად უარყოფითი შედეგით სრულდებოდა.

საგარეო ვაჭრობის ლიბერალიზებისა და არსებული ეკონომიკური მოდელის ფონზე, რომელიც მომხმარებლური სტილით ხასიათდებოდა, (პაპავა, 2008) ხოლო თავად საწარმოების მნიშვნელოვან პოტენციალს არ ფლობდა, საგარეო ვაჭრობის სერიოზული დისბალანსი გამოიწვია.[11] ვაჭრობის დეფიციტმა კი უარყოფითი გავლენა ქვეყნის საგადასახდელო ბალანსზე იქონია.

ვაჭრობის უარყოფითმა სალდომ პიკურ მაჩვენებელს მეორედ 2007 წელს მიაღწია, როდესაც იმპორტმა ვაჭრობის მთლიანი ბრუნვის (6,444 მილიარდი ლარი) 80.9%

---

[10] საქართველოს საგადასახადო კოდექსი, თავი XXVIII (http://www.economy.ge/uploads/files/sagareo_vachroba/tavi-XXVIII.pdf (09. 04. 2020)

[11] https://www.gfsis.org/ge/blog/view/854 (09.04.2020)

შეადგინა. მართალია მომდევნო წლებში აღნიშნული მაჩვენებელი შემცირებისკენ წავიდა, მაგრამ უარყოფითი ვაჭრობის სალდო, სამწუხაროდ, ქართული ეკონომიკის განუყოფელ ნაწილად იქცა.

მოგვიანებით, საქართველო პრეფერენციათა განზოგადებულ სისტემასაც (GSP) შეუერთდა. ამ სისტემის ძირითადი არსია პროგრამის ბენეფიციარი ქვეყნებიდან იმპორტირებულ საქონელზე საბაზო საიმპორტო ტარიფების შემცირება რაც განვითარებული ქვეყნების ბაზრებზე, განვითარებადი ქვეყნებიდან ექსპორტირებული საქონლის შეღწევას აადვილებს.[12] სისტემის შემოღების ინიციატორები დასავლეთის განვითარებული ქვეყნები იყვნენ, იმ მოტივით რომ განვითარებადი ქვეყნების ეკონომიკური გაძლიერებისთვის ხელი შეეწყოთ. GSP სისტემის მიხედვით, განვითარებად ქვეყნებს შესაძლებლობა გაუჩნდათ ნედლეულისა და პირველადი წარმოების საქონლის ექსპორტი მარტივად განეხორციელებინათ და ამით ეკონომიკური ზრდისთვის ხელი შეეწყოთ.

პრეფერენციების განზოგადებული სისტემის სქემა რამდენიმე ქვეყანას აქვს ჩამოყალიბებული. საქართველოსთვის სისტემაში ჩართვა აშშ-ის, იაპონიისა, კანადის, შვეიცარიისა და ნორვეგიის მიერ იქნა შემოთავაზებული. ეს გარემოება საქართველოს საგარეო ვაჭრობის პერსპექტივებს კიდევ უფრო ზრდიდა, რადგან იმ პერიოდში მსხვილ და ეკონომიკურად ძლიერ ბაზრებზე მოხვედრის გზები იხსნებოდა. ეს კი საგარეო ვაჭრობის დივერსიფიცირებისკენ გადადგმული მნიშვნელოვანი ნაბიჯი იყო. ამას ეკონომიკურის გარდა, პოლიტიკური მნიშვნელობაც ჰქონდა, რადგან ვაჭრობის ტრადიციულპ არტნიორებთან ეკონომიკური ურთიერთობებისა და ასევე ტრადიციული საქონლის ექსპორტის ნაცვლად, საქართველოს დასავლური სამყაროს პოლიტიკურ ოჯახში მოხვედრილის შანსი პირველად გაუჩნდა, რისთვისაც ამ ქვეყნებთან საგარეო ვაჭრობის ზრდას მნიშვნელოვანი როლი ჰქონდა.

2005 წელს საქართველო ევროკავშირის პრეფერენციების განახლებული გენერალური სისტემის (GSP+) მონაწილე ქვეყანა გახდა. GSP+ სქემის უპირატესობა იმაში მდგომარეობდა, რომ სტანდარტული GSP სისტემისგან განსხვავებით, სადაც იმპორტორტზე საბაჟო გადასახადი მნიშვნელოვნად მცირდებოდა, ახალი სისტემა ბენეფიციარი ქვეყნებიდან იმპორტირებულ საქონელზე საბაჟო გადასახადებს

[12] United Nations Conference on Trade and Development, https://unctad.org/en/Pages/DITC/GSP/Generalized-System-of-Preferences.aspx 22.02.2020

ნულამდე ამცირებდა. ამასთან, პროდუქციის საერთო ჩამონათვალი, რომელზეც აღნიშნული პირობა ვრცელდებოდა 7200-მდე გაიზარდა. მათ შორის იყო თხილი და სოფლის მეურნეობის სხვა პროდუქცია, რომელიც ქართული ექსპორტისთვის იმ პერიოდში მნიშვნელოვან წყაროს წარმოადგენდა.

ტრადიციული ბაზრებისგან განსხვავებით, რომლებიც ძირითადად რუსეთსა და სხვა პოსტ-საბჭოთა ქვეყნებს წარმოადგენდა, ევროპულ ბაზრებზე მოხვედრა იმ პერიოდში საქართველოს ეკონომიკისთვის მნიშვნელოვან მიღწევას წარმოადგენდა. განსაკუთრებით იმ ფონზე, რომ საშუალო ევროპელი მომხმარებელი, მაღალი ყიდვითი უნარითა და ეკონომიკური შესაძლებლობებით გამოირჩეოდა.

ვაჭრობის ლიბერალიზებისა და მისი დივერსიფიცირების მიმართულებით მნიშვნელოვანი ნაბიჯები გადადგმა ამით არ დასრულებულა. დსთ-ის და სუამის წევრი ქვეყნების შემდეგ, რომლებთანაც საქართველოს თავისუფალი ვაჭრობის შესახებ შეთანხმებები დამოუკიდებლობის პირველი წლებიდან ჰქონდა, თურქეთი პირველი სახელმწიფო იყო, ვისთანაც ქვეყანამ თავისუფალი ვაჭრობის რეჟიმი 2007 წლიდან აამოქმედა. ამას თავისუფალი ვაჭრობის შესახებ შეთანხმებების სერია მოყვა ევროკავშირთან (DCFTA) -2014 წელს, ევროპის თავისუფალი ვაჭრობის ასოციაციის ქვეყნებთან (EFTA) – 2016 წელს, ჩინეთთან - 2017 წელს, ხოლო ჰონგ-კონგთან - 2018 წელს. აღნიშნულ შეთანხმებებსა და მათ ეკონომიკურ ეფექტებს მომდევნო თავში განვიხილავთ.

საერთაშორისო ხელშეკრულებების მოთხოვნების გათვალისწინებით საბაჟო ტარიფებისა და გადასახადების შესახებ საქართველოს კანონში შეტანილი ცვლილებების თანახმად, საიმპორტო-საბაჟო გადასახადების მიხედვით, ამჟამად, საქართველოს ვაჭრობის პარტნიორი ქვეყნები 3 ჯგუფად იყოფა:

1. ქვეყნები, რომლებზეც ვრცელდება უპირატესი ხელშეწყობის რეჟიმი (Most Favored Nation) ვაჭრობის მსოფლიო ორგანიზაციის წევრობის ან ორმხრივი ხელშეკრულების საფუძველზე.[13] საქართველოს ვაჭრობის პარტნიორების უმეტესობა არის ვმო-ის წევრი, შესაბამისად ორგანიზაციის წევრ 164 ქვეყანასთან ვაჭრობა ზემოთხსენებული რეჟიმით ხორციელდება.

[13] საქართველოს ვმო-ში გაწევრიანებამდე მსოფლიოს 7 ქვეყანასთან დადებული ჰქონდა ორმხრივი შეთანხმება MFN რეჟიმის ურთიერთმინიჭების შესახებ, ხოლო ვმო-ში გაწევრიანების შემდეგ, ამ ქვეყნებთან ეს რეჟიმი როგორც ორმხრივი, ასევე მრავალმხრივი შეთანხმების საფუძველზე მოქმედებს.

2. ქვეყნები, რომლებზეც უპირატესი ხელშეწყობის რეჟიმი (MFN) არ ვრცელდება. ქვეყნები, რომლებიც არ არიან ვმო-ს წევრი ქვეყნები, ასევე მოქმედებს ,,საბაჟო ტარიფისა და გადასახადის შესახებ საქართველოს კანონი"-ს დანართი ცხრილით განსაზღვრული საბაჟო ტარიფები, თუმცა დაწესებულია შეზღუდვა მინიმალურ ტარიფზე, რომლის თანახმად ამ ქვეყნებიდან საქონლის იმპორტი პროდუქციის საბაჟო ღირებულების არანაკლებ 12%-ით (MFN-თან შედარებით საგრძნობლად გამკაცრებული რეჟიმი) იბეგრება. საქართველოს მოცემული საბაჟო რეჟიმი გააჩნია 78 ქვეყანასთან, რომლებთანაც არ არის დადებული (ან ძალაში არაა შესული) ორმხრივი ან მრავალმხრივი შეთანხმებები თავისუფალი ვაჭრობის შესახებ.
3. ქვეყნები, რომლებთანაც საქართველოს პრეფერენციული ვაჭრობა აქვს. მათ შორის:
   - ვისთანაც საქართველოს დადებული აქვს ,შეთანხმება თავისუფალი ვაჭრობის შესახებ. აღნიშნული ქვეყნების საქონლის იმპორტი საქართველოში თავისუფლდება საბაჟო სატარიფო გადასახადისგან, ისევე როგორც საქართველოს ექსპორტი ამ ქვეყნებში, ზოგიერთი გამონაკლისის გარდა. საქართველო თავისუფალი ვაჭრობის შესახებ მრავალმხრივი შეთანხმება გაფორმებული აქვს დსთ-ის და სუამის წევრ ქვეყნებთან. ასევე, თავისუფალი ვაჭრობის რეჟიმი მოქმედებს თურქეთთან (2007), ევროკავშირთან (2014), ჩინეთთან (2016), ევროპული თავისუფალი ვაჭრობის ასოციაციის (EFTA) წევრ ქვეყნებთან (2017) და ჰონგ-კონგთან (2018).
   - ქვეყნები, რომლებსაც საქართველოს ექსპორტზე დაწესებული აქვთ ასიმეტრიული პრეფერენციული რეჟიმები, ანუ შეღავათიანი ვაჭრობის რეჟიმის სპეციალური ფორმა - პრეფერენციათა განზოგადებული სისტემა (GSP), რომელიც საქართველოს მონიჭებული აქვს საპასუხო შეღავათების მოთხოვნის გარეშე. საქართველო არის აშშ-ს, იაპონიის და კანადის განზოგადებული სისტემის რეჟიმის ბენეფიციარი.

ნათელია რომ დღეისათვის საქართველოს ერთ-ერთი ყველაზე ლიბერალური ვაჭრობის პოლიტიკა აქვს, რაც ვაჭრობის პარტნიორებთან თავისუფალი ვაჭრობისა და

სხვა პრეფერენციული რეჟიმების არსებობით დასტურდება. ვაჭრობის ლიბერალური პოლიტიკის გატარება ვმო-ში ქვეყნის გაწევრიანებით დაიწყო. თუმცა ვაჭრობასთან დაკავშირებული საკითხების რეგულირებას, გაუმჯობესებასა და ევროპულ სტანდარტებთან დაახლოებას, ვმო-ის პრინციპების გარდა, ევროკავშირთან გაფორმებული ასოცირების შეთანხმებაც უდევს საფუძვლად, რომელსაც მომდევნო თავში უფრო ვრცლად განვიხილავთ.

ვაჭრობის ლიბერალური პოლიტიკა და საერთაშორისო ბაზრებზე გამარტივებულად შეღწევის შესაძლებლობა მნიშვნელოვანი სტიმულია ექსპორტის ზრდისთვის და სამამულო საქონლის კონკურენტუნარიანობის გაძლიერებისთვის. თუმცა, მნიშვნელოვანია ამ გზაზე არსებული პრობლემებისა და გამოწვევების გამოკვეთა და მისი ანალიზი.

## 2.2 საქართველოს საგარეო ვაჭრობის სტრუქტურა

ქართული პროდუქციისთვის ახალი ბაზრების გახსნამ მოკლე ვადიან პერიოდშივე დადებითი ეფექტი მოახდინა ექსპორტის ზრდაზე. 2006 წლიდან საქართველოს ექსპორტმა სტაბილურად ზრდა დაიწყო. თუ კი, 2005 წლისათვის მისი მოცულობა $865 მლნ დოლარს შეადგენდა, ევროკავშირთან ვაჭრობის ახალი შესაძლებლობების გაჩენის ფონზე, 2008 წლისათვის ექსპორტი $1.495 მლრდ. დოლარამდე გაიზარდა. საგარეო ვაჭრობის ზრდის პარალელურად, გაიზარდა იმპორტიც, რაც საქართველოს ეკონომისთვის ახალ გამოწვევად ჩამოყალიბდა. მაგალითისთვის, ეკონომიკური მაჩვენებლების ზრდის ფონზე, 2007 წელს ექსპორტისა და იმპორტის თანაფარდობა 1/5 შეადგენდა, 2008 წელს კი - 1/6, რამაც ვაჭრობის უარყოფითი ბალანსი -$4,806 მლრდ. დოლარამდე გაზარდა. *(დიაგრამა 1)*

საერთაშორისო ვაჭრობაში, ქვეყნიდან ექსპორტირებული პროდუქციისთვის, სატარიფო ბარიერების გარდა, შესაძლოა არსებობდეს მნიშვნელოვანი არასატარიფო

ბარიერებიც. რაც ხშირ შემთხვევაში, საქონლის ბაზარზე შეღწევის პროცესში შესაძლოა ტარიფებზე მეტად შემაფერხებელ ფაქტორს წარმოადგენდეს.

არასატარიფო ბარიერებს მიეკუთვნება იმპორტიორი ქვეყნის მთავრობის ან ვაჭრობის გაერთიანების მიერ დაწესებული ის დამატებითი მოთხოვნები და რეგულაციები, რომელთაც საექსპორტო საქონელი ბაზარზე შეღწევის შემთხვევაში უნდა აკმაყოფილებდეს. ასეთი რეგულაციები შესაძლოა ეხებოდეს სანიტარულ და ფიტოსანიტარულ სტანდარტებს, საქონლის ტექნიკურ სტანდარტებს, კომპანიის საქმიანობისა და წარმოების პირობების სტანდარტებს და ა.შ. გარდა ამისა, არასატარიფო ბარიერები ხშირ შემთხვევაში საბაჟო პროცედურების გავლისას ჩნდება.

*დიაგრამა 1.* საქართველოს საგარეო ვაჭრობა 2000-2010 წწ. ათასი აშშ$




შედგენილია ავტორის მიერ, საქსტატის მონაცემებზე დაყდნობით (23.03.2020)

სწორედ ამიტომ, მიუხედავად საქართველოსთვის GSP+ რეჟიმის ამოქმედებით (2005 წ.), საბაჟო სატარიფო ბარიერების შემცირებისა და ხშირ შემთხვევაში მათი გაუქმებისა, იმ საქონლის ფართო ჩამონათვალიდან, რომელზეც აღნიშნული პრეფერენციები ვრცელდებოდა, ვაჭრობის დროს საქართველო მხოლოდ 30-მდე შეღავათს იყენებდა. (ხადური, 2011)

დასავლეთის ალტერნატიული ბაზრების გარდა, სხვა პოსტსაბჭოთა ქვეყნებთან ერთად, რუსეთი საქართველოსთვის მნიშვნელოვან ვაჭრობის ტრადიციულ პარტნიორს წარმოადგენდა. მიუხედავად პოსტ დამოუკიდებლობის პერიოდის შემდგომი მწვავე პოლიტიკური ურთიერთობებისა, რუსეთის ფედერაცია დღემდე

რჩება საქართველოს ერთ-ერთი ძირითად ვაჭრობის პარტნიორად, რასაც მიმდინარე ვაჭრობის მონაცემებიც ადასტურებს.

*ცხრილი 1.* საქართველოს საგარეო ვაჭრობა 2000-2010 წწ. ათასი აშშ$

| | 2000 | 2001 | 2002 | 2003 | 2004 | 2005 | 2006 | 2007 | 2008 | 2009 | 2010 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| **ექსპორტი** | 323,938.3 | 317,150.9 | 345,736.1 | 461,310.0 | 646,903.0 | 865,455.6 | 936,374.6 | 1,232,110.5 | 1,495,345.2 | 1,133,630.2 | 1,677,306.9 |
| **იმპორტი** | 709,509.1 | 752,010.9 | 794,691.6 | 1,139,039.2 | 1,844,342.9 | 2,487,548.3 | 3,674,832.4 | 5,212,150.2 | 6,301,540.3 | 4,475,724.5 | 5,235,964.6 |
| **სალდო** | -385,570.80 | -434,860 | -448,955.70 | -677,729.20 | -1,197,439.90 | -1,622,092.70 | -2,738,457.80 | -3,980,039.70 | -4,806,195.10 | -3,342,094.30 | -3,558,657.70 |

შედგენილია ავტორის მიერ, საქსტატის მონაცემებზე დაყდნობით (23.03.2020)

რუსული ბაზარზე განსაკუთრებით პოპულარულია ვაჭრობის ისეთი ტრადიციული ქართული საქონელი, როგორებიცაა ღვინო და მინერალური წყალი. ღვინის ეროვნული სააგენტოს სტატისტიკის მიხედვით, 2005 წლისათვის რუსეთის ბაზარზე 52.3 მლნ ბოთლი ღვინის ექსპორტი განხორციელდა, რაც ქართული ღვინის მთლიანი ექსპორტის 91%-ზე მეტს და $65 მლნ. ღირებულებას შეადგენდა. ამავე წელს განხორციელდა $25 მლნ ღირებულების მინერალური წყლის ექსპორტი.

რუსეთთან ვაჭრობის მზარდი დინამიკა აჩვენებდა, რომ მომდევნო წლებში მოსალოდნელი იყო ექსპორტის კიდევ უფრო დიდი ზრდა, რაც იმ პერიოდში წარმოების განვითარებისთვის ოპტიმისტურ იმედებს იძლეოდა. *(დიაგრამა 2)*

თუმცა, 2006 წელს რუსეთის მთავრობის მიერ გამოცხადებულმა ემბარგომ, მნიშვნელოვანი უარყოფითი გავლენა იქონია რუსულ ბაზარზე ქართული პროდუქციის ექსპორტზე. მოსკოვის მიერ დაწესებული ემბარგო, მეტწილად პოლიტიკურ ხასიათს ატარებდა. ამას ადასტურებს, ამავე პერიოდში რუსეთის მიერ ათასობით საქართველოს მოქალაქის დეპორტაცია, რომელთა ეთნიკური ნიშნით დევნის საფუძველზე ადამიანის უფლებათა ევროპულმა სასამართლომ 2019 წელს რუსეთს კომპენსაციის გადახდაც დააკისრა.[14]

[14] http://hudoc.echr.coe.int/eng?i=001-189019 (03.03.2020)

*დიაგრამა 2.* საქართველოს ექსპორტი ქვეყნების ჯგუფებთან 2000-2010 წწ.




შედგენილია ავტორის მიერ, საქსტატის მონაცემებზე დაყდნობით (25.03.2020)

რუსულმა ემბარგომ მნიშვნელოვანი უარყოფითი გავლენა მოახდინა როგორც რუსულ ბაზარზე საქართველოს ექსპორტის დინამიკაზე, ისე ცალკეული ტრადიციული დარგების წარმოებასა და განვითარებაზე. ეს გასაკვირი არც არის, რადგან 2005 წლისთვის რუსეთის ბაზარზე საქართველოს ექსპორტი, ქვეყნის მთლიანი ექსპორტის 17% შეადგენდა, მოცულობით კი $153 მლნ. აჭარბებდა. (geostat.ge)

2006 წლისათვის კი, რუსეთში ექსპორტის მოცულობა 51%-ით შემცირდა და $75 მლნ. შეადგინა, ამასთან 2-ჯერ შემცირდა ღვინის ექსპორტის მოცულობაც, რაც საქართველოს მთლიან ექსპორტში მის წილზე პროპორციულად აისახა.

ღვინის ინდუსტრიისთვის 2007 წელი, კიდე უფრო რთული აღმოჩნდა. ტრადიციული საგარეო ბაზრის დაკარგვამ, არსებულმა შოკურმა მდგომარეობამ და დროის სიმცირის გამო ახალი ბაზრების აუთვისებლობამ, ქართული ღვინის ექსპორტის დამატებით 30%-ით შემცირება გამოიწვია, რის გამოც 2007 წლისათვის ღვინის წილმა მთლიან ექსპორტში 2.4% შეადგინდა, რაც ყველაზე დაბალი მაჩვენებელი იყო 2000 წლის შემდეგ.

არსებული მდგომარეობა პრაქტიკულად 2012 წლის ბოლომდე არ შეცვლილა. მიუხედავად იმისა, რომ რაოდენობრივი თვალსაზრისით ღვინის ექსპორტი პოზიტიური დინამიკით ხასიათდებოდა, მოცემულ პერიოდში რუსეთის ბაზრის წილის დანაკარგის დაბალანსება მაინც ვერ მოხერხდა. მართალია, ემბარგოს

დაწესების შემდეგ, ქართულმა ღვინის კომპანიებმა საექსპორტო ბაზრის დივერსიფიცირებაზე ზრუნვა მალევე დაიწყეს, თუმცა ახალ ბაზრების ათვისება და იქ ქართული საექსპორტო პროდუქტის დამკვიდრება არც ისე მარტივი აღმოჩნდა.

მიუხედავად იმისა, რომ რუსეთის ფედერაციის მიერ გამოცხადებული ვაჭრობის ემბარგო იმ პერიოდში საქართველოსთვის მნიშვნელოვან თავსატეხს წარმოადგენდა, ამ პრობლემამ უარყოფითი გავლენა ვერ იქონია საქართველოს ექსპორტის საერთო სურათზე და სხვა ეკონომიკური მაჩვენებლების პოზიტიურ დინამიკაზე. რუსულ ბაზარზე არსებული შეზღუდვების ფონზე, საგარეო ვაჭრობა სხვა მეზობელ ქვეყნებთან მნიშვნელოვნად გაიზარდა. მაგალათად საქართველოს ექსპორტის მოცულობა აზერბაიჯანში 2007 წელს, წინა წელთან შედარებით 55%-ით გაიზარდა და $137.5 მლნ. შეადგინა, ხოლო 2008 წელს წინა წელთან შედარებით ექსპორტის ზრდის 48%-იანი მაჩვენებელი დაფიქსირდა. (geostat.ge) ამავე პერიოდში, ექსპორტი მნიშვნელოვანად გაიზარდა მოხდა სომხეთის მიმართულებითაც. კერძოდ, 2007 წელს წინა წელთან შედარებით ექსპორტი 50%-ით გაიზარდა და $110.8 მლნ. შეადგინა, ხოლო მომდევნო წელს ექსპორტი კვლაც 11%-ით გაიზარდა. (geostat.ge) რუსული ემბარგის ფონზე ქართული ექსპორტი გაიზარდა უკრაინაშიც. ამ მიმართულებით ექსპორტის მოცულობა 2007 წელს 66%-ით გაიზარდა, ხოლო 2008 წელს კი ზრდამ 43% შეადგინა და $134.1 მლნ. მაჩვენებელს მიაღწია. (geostat.ge)

არსებულ ფონზე, 2006 წლიდან, საქართველოს მთავრობის გადაწყვეტილებით, თავისუფალი ვაჭრობის გაფორმების მიზნით მოლაპარაკებები დაიწყო თურქეთთანაც. იმ პერიოდში ვარაუდობდნენ, რომ რუსული ემბარგოს პირობებში, თურქეთთან თავისუფალი ვაჭრობის რეჟიმის ამოქმედება ქართულ ღვინოს ახალ, საკმაოდ დიდ ბაზარს გაუხსნიდა, რასაც საქართველოში თურქული ინვესტიციების „ბუმი" მოყვებოდა.[15]

მიუხედავად იმისა, რომ საქართველოსა და თურქეთს შორის გაფორმებული შეთანხმება თავისუფალი ვაჭრობის შესახებ, ძირითადად ვმო-ს დებულებებს ეფუძნება, შეთანხმება დამატებით ითვალისწინებს რამდენიმე მნიშვნელოვან კომპონენტს. შეთანხმების მიხედვით, ერთი მხრივ მნიშვნელოვნად მცირდებოდა

[15]http://eugeorgia.info/ka/article/368/turqettan-tavisufal-vachrobas-evrokavshiri-dcfta-gamoacocxlebs/ (05.03.2020)

არსებული საბაჟო გადასახადები და კვოტები პროდუქციის ფართო ჩამონათვალზე და მეორე მხრივ კი ის ორმხრივი სიკეთეების მიღების პრინციპებს ეფუძნებოდა.

თუმცა, თავისუფალი ვაჭრობის რეჟიმით გათვალისწინებული სატარიფო ლიბერალიზება აგრარულ სექტორს ნაკლებად შეეხო. ლიბერალური აკადემიის მიერ 2011 წელს მომზადებული კვლევის მიხედვით, თურქეთთან თავისუფალი ვაჭრობის შესახებ ხელშეკრულების გაფორმებამდე, თურქეთიდან იმპორტირებულ 174 ტიპის პროდუქციაზე 12%-იანი საბაჟო გადასახადი მოქმედებდა, ხოლო დანარჩენ 43 სახეობაზე კი - 5%-იანი. ხელშეკრულების ამოქმედების შემდეგ კი, ყველა ზემოთხსენებულ პროდუქციაზე, 15 სასაქონლო პოზიციის გარდა საბაჟო გადასახადი გაუქმდა. (www.ei-lat.ge)

ქართული მხარისგან განსხვავებით, თურქეთმა სატარიფო კვოტები ბევრად მეტ პოზიციაზე შეინარჩუნა. კერძოდ კი, ხელშეკრულების მიხედვით საბაჟო ტარიფები შენარჩუნდა პროდუქციის 8 კატეგორიაზე, რომელიც თითოეული 10 სასაქონლო პოზიციისგან შედგებოდა. ამას ემატებოდა კიდევ 22 პოზიცია, რომელზეც თურქეთმა სატარიფო კვოტები დააწესა, რომელიც სამამულო წარმოების დაცვის მოტივით, ქვეყანაში იმპორტს მნიშვნელოვნად ზღუდავდა. ამის საპასუხოდ კი, ქართულ მხარეს თურქული პროდუქციისთვის დამატებითი სატარიფო ქვოტები აღარ დაუწესებია.

თურქეთთან თავისუფალი ვაჭრობის რეჟიმის ამოქმედებით, ქართული ღვინის გარდა, თურქული ბაზარი სოფლის მეურნეობის სხვადასხვა პროდუქციისთვისაც გაიხსნა. შემცირებული ტარიფები და გაზრდილი კვოტები ხილისა და ბოსტნეულის ნაირსახეობას შეეხო, (ვაშლი, მსხალი, საზამთრო, პომიდორი და სხვა) ციტრუსს, ნატურალურ თაფლსა და თევზპროდუქტეულის ნაირსახეობას.

მიუხედავად იმისა, რომ ჩამოთვლილ პროდუქციაზე მნიშვნელოვნად ან სრულად გაუქმდა საბაჟო გადასახადი და ამასთან გაიზრდა მათი კვოტები, შეთანხმების ამოქმედებიდან 8 წლის განმავლობაში, თითქმის არცერთი პროდუქტის მნიშვნელოვანი რაოდენობის ექსპორტი არ განხორციელებულა, გარდა თევზისა და თევზპროდუქტეულისა.

თავისუფალი ვაჭრობის შეთანხმებას არც ქართული ღვინის ექსპორტისთვის აქვს თვალსაჩინო შედეგი. მართალია, ქართული მხარის მიერ მოთხოვნილი 1 მლნ ლიტრის ოდენობის კვოტა ხელშეკრულებით თავიდანვე განისაზღვრა, თუმცა რეალობამ აჩვენა, რომ თურქეთის ბაზარზე პოზიციების დამკვიდრება არაერთი

ფაქტორის გამო, არც ისე მარტივი აღმოჩნდა. შესაბამისად, დათქმული კვოტის ნაწილობრივი შევსებაც კი მიუღწეველი დარჩა. თურქეთი მუსულმანური ქვეყანაა, სადაც ალკოჰოლურ სასმელებზე დიდი მოთხოვნა ისედაც არ არსებობს. ქართველი მეღვინეების გათვლა, რომ ქართული ღვინო თურქეთის ტურისტული ობიექტების მოთხოვნას დააკმაყოფილებდა არ გამართლდა. ადგილობრივი ბაზრისთვის არც ისე ნაცნობი ქართული ღვინო ფრანგულ და იტალიურ ღვინოებს კონკურენციას ვერ უწევდა, გარდა ამისა თურქეთი თავად აწარმოებდა ბევრად უფრო დაბალფასიან ღვინოს, რომელიც სასტუმროებისა და რესტორნების მფლობელებისთვის ქართულ ღვინოზე მეტად ხელმისაწვდომი იყო.[16]

არსებული სტატისტიკის მიხედვით (ღვინის ეროვნული სააგენტო, 2020), ხელშეკრულების გაფორმებიდან ერთ წელში, თურქეთის ბაზარზე მხოლოდ 28 488 ბოთლი ღვინის (27.6 ათასი ლიტრი) ექსპორტი განხორციელდა. მართალია, მომდევნო წლებში ექსპორტირებული ღვინის მოცულობა მნიშვნელოვნად გაიზარდა, თუმცა აღმოჩნდა რომ ეს ზრდა მოკლევადიანი ეფექტებით იყო განპირობებული.

საბოლოოდ, მიუხედავად იმისა, რომ თავდაპირველად თურქეთთან თავისუფალი ვაჭრობის შეთანხმება სწორედ ღვინის ექსპორტის ზრდის მოტივითა და რუსული ბაზრის წილის ჩანაცვლებით იყო ინსპირირებული, რეალურად ქართული ღვინის ექსპორტის მოცულობით, თურქეთი ტოპ 10 ქვეყნის ჩამონათვალშიც ვერ მოხვდა.

ბოლო წლებში ჩატარებული სხვადასხვა კვლევა ადასტურებს, რომ ქართული პროდუქციის თურქეთის ბაზარზე ექსპორტის ერთ-ერთი ხელისშემლელი ფაქტორი თურქული ბიუროკრატიაა, რომელიც ხშირ შემთხვევაში საკმაოდ მოუქნელია და დამატებითი არასატარიფო ბარიერების მეშვეობით ექსპორტიორ ფირმებსა და მცირე მეწარმეებს ადგილობრივ ბაზარზე შეღწევის აფერხებს.

მართალია, თურქეთთან თავისუფალი ვაჭრობით თურქულ ბაზარზე საქართველოს ექსპორტი მნიშვნელოვნად არ გაზრდილა, თუმცა ბოლო წლებში არსებული ექსპორტის სტრუქტურა მნიშვნელოვნად შეიცვალა. ექსპორტის სტრუქტურის კორექტირება პირველ რიგში პირველადი ნედლეულის, ჯართისა და ხის ნაწარმის ნაწილში განხორციელდა. თუ 2007 წელს ყველა სახეობის ლითონის (შავი, სპილენძის, ალუმინის, თუთიისა და ტყვიის) ექსპორტმა ჯამურად $108 მილიონ

[16]http://eugeorgia.info/ka/article/368/turqettan-tavisufal-vachrobas-evrokavshiri-dcfta-gamoacocxlebs/ (07.03.2020)

შეადგინა. (მთლიანი ექსპორტის 63%) 2015 წელს საქართველოდან თურქეთში ჯართი თითქმის აღარ გასულა. (eugeorgia.info) სამაგიეროდ მისი ადგილი ფოლადისგან დამზადებულმა ნახევარფაბრიკატებმა და წნელებმა ე.წ „არმატურამ" დაიკავა, რომლის საერთო ღირებულებამ $29 მლნ შეადგინა. (geostat.ge, 2020)

თურქეთთან საექსპორტო კალათის დიდი ნაწილი ტექსტილის პროდუქციას უკავია, რომლის ექსპორტმა 2015 წელს $60 მლნ მიაღწია, რაც 2007 წლის მაჩვენებელთან შედარებით 5-ჯერ მეტია. საქსტატის ოფიციალური მონაცემების მიხედვით, იგივე მაჩვენებელმა 2018 წელს $51.5 მლნ შეადგინა, რაც თურქეთში ექსპორტირებული პროდუქციის საერთო მაჩვენებლის 22.2% შეადგენს. (geostat.ge, 2020)

ექსპორტში ამ სექტორის წილის ზრდა შესაძლოა თურქეთთან ორმხრივი კუმულაციის შეთანხმებით აიხსნას, რომელიც თავისუფალი ვაჭრობის შესახებ გაფორმებული ხელშეკრულების ნაწილია. ორმხრივი კუმულაციის პრინციპის მიხედვით, პარტნიორი ქვეყნიდან იმპორტირებული ნედლეულით წარმოებული პროდუქცია ექსპორტირებისას საბაჟო გადასახადებისგან თავისუფლდება, ანუ თურქული ძაფისა და ქსოვილისგან საქართველოში შეკერილი ნივთები, თურქეთში ექსპორტისას განბაჟებას აღარ ექვემდებარება.

თუმცა, უნდა აღინიშნოს, რომ ტექსტილის ინდუსტრია საქართველოში ძირითადად ისევ თურქული ინვესტიციებიც განვითარდა. თავისუფალი ვაჭრობის შესახებ ხელშეკრულების გაფორმებამდე, თურქულმა ბიზნესმა საქართველოში არაერთი მსგავსი ფაბრიკა დააფუძნა. ინდუსტრიაში კონკურენციის შენარჩუნების მიზნით, თურქეთი ცდილობდა იაფი მუშა ხელის მოძიებას, შრომატევადი წარმოების განვითარებისთვის კი საქართველო მიმზიდველი ქვეყანაა.

თავისუფალი ვაჭრობის რეჟიმის ამოქმედების შემდეგ, თურქეთში ექსპორტირებული საქონლის ათეულში მოხვდა სპილენძის მადნები და კონცენტრატები, რომელიც 2018 წლის მონაცემებით $18.5 მლნ დოლარს შეადგენდა მთლიან ექსპორტის 8% დაიკავა. (geostat.ge, 2020) საქართველოს ექსპორტის ათეულში ხვდება თევზპროდუქტებიც. 2018 წლის მონაცემებით, მისი მოცულობა მთლიან ექსპორტში $16.5 მლნ შეადგენს, $7.8 მლნ და ექსპორტში 3.4%-იანი წილით, თურქეთთან საექსპორტო ათეულში პოზიციას იკავებს აზოტოვანი სასუქებიც. (geostat.ge, 2020)

ზომიერად სტაბილური ექსპორტისგან განსხვავებით, თავისუფალი ვაჭრობის ფონზე, ორმაგად გაიზარდა საქართველოში თურქული იმპორტი. *(დიაგრამა 3)* საქსტატის 2018 წლის სტატისტიკური მონაცემების მიხედვით, თურქეთიდან იმპორტირებულმა 10 უმსხვილესმა პოზიციამ $351.1 მლნ შეადგინა და თურქეთიდან მთლიანი იმპორტის 24% დაიკავა.[17]

თურქულ იმპორტში ყველაზე დიდი წილი წამლებსა და სამკურნალო საშუალებებს უკავია, რომლის წილმაც 2018 წელს 4.1% შეადგინა, მოცულობა კი $60 მლნ აჭარბებს. შედარებისთვის, 2007 წლის შემდეგ, თურქეთიდან სამკურნალო საშუალებების იმპორტი თითქმის 8-ჯერ გაიზარდა.

*დიაგრამა 3.* საქართველოს ვაჭრობის ბრუნვა თურქეთთან 2007-2018 წწ.




შედგენილია ავტორის მიერ საქსტატის მონაცემებზე დაყრდნობით (3.04.2020)

თურქეთის იმპორტის სტრუქტურაში მნიშვნელოვნად გაიზარდა საყოფაცხოვრებო გამოყენების სანიტარულ-ჰიგიენური პროდუქციის წილი. ბავშვის საფენებმა და სან-ჰიგიენურმა პროდუქციამ, 2018 წლის იმპორტის 1.8% შეადგინდა, რაც $27 მლნ ტოლია, სარეცხი და საწმენდი საშუალებების იმპორტის ღირებულემამ კი, 2018 წლის მონაცემებით $25.2 მლნ შეადგენდა, რაც 2.2-ჯერ მეტია 2007 მაჩვენებელთა

[17] http://www.economy.ge/uploads/files/2017/foreign_trade/2018_trade_turnover_2018_12.pdf (08.03.2020)

შედარებით. ასევე, 2.8-ჯერ გაიზარდა მავთულებისა და კაბელების იმპორტი და 2.4-ჯერ ავეჯის იმპორტი. (geostat.ge, 2020)

საქართველოსა და თურქეთის ვაჭრობის დინამიკის ანალიზისას, თვალსაჩინოა მისი სტრუქტურის მრავალფეროვნება. კერძოდ, თუ საქსტატის 2018 წლის სტატისტიკურ მონაცემებს დავეყრდნობით, თურქეთში საქართველოს ექსპორტის 10 უმსხვილესი პოზიცია ჯამურად მთლიანი ექსპორტის 75.4% იკავებს, მაშინ როცა, საქართველოში თურქეთის ექსპორტის 10 უმსხვილესი კატეგორია, მთლიანი ექსპორტის მხოლოდ 24% იკავებს. *(დიაგრამა 4)*

*დიაგრამა 4.* საქართველოს ექსპორტი თურქეთში 2019 წ.




შედგენილია ავტორის მიერ საქსტატის მონაცემებზე დაყრდნობით (6.04.2020)

სურათი ნაწილობრივ შეიცვალა 2019 წელს, როდესაც თურქეთში საქართველოს ექსპორტის 10 უმსხვილესი პოზიციის წილი მთლიან ექსპორტში 66%-მდე შემცირდა. თუმცა მნიშვნელოვნად არ შეცვლილა ზოგადად ექსპორტის სტრუქტურა. 2019 წლის მდგომარეობით, თურქეთში საქართველოს ექსპორტის სტრუქტურაში პირველი პოზიცია მთლიან ექსპორტში 14%-იანი წილით ფოლადის ნახევარფაბრიკატებს უკავია, რომლის მთლიანმა ექსპორტმა მიმდინარე წლისთვის $28.90 მლნ შეადგინა. მსგავსად წინა წლებისა, კვლავ მნიშვნელოვან საექსპორტო პროდუქციას წარმოადგენს ფეროსილიკომანგანუმი და სპილენძის მადნები და კონცენტრატები, რომელთა წილი მთლიან ექსპორტში შესაბამისად 9% და 7% შეადგენდა. (geostat.ge, 2020)

მსგავსად ბოლო წლებისა, 2019 წელსაც საქართველოს ექსპორტში დომინირებდა ის პოზიციები, რომლის წარმოებაც თურქული ინვესტიციებით დაიწყო. მათ შორის აღსანიშნავია ტექსტილისა და ბამბის ნაწარმი, მაისურები, შარვლები და ტრიკოტაჟი. ზემოთხსენებული სასაქონლო პოზიციების ჯამურმა წილმა მთლიან ექსპორტში 2019 წლისათვის 30% შეადგენდა. (geostat.ge, 2020)

*დიაგრამა 5.* საქართველოს იმპორტი თურქეთიდან, 2019 წ.




შედგენილია ავტორის მიერ საქსტატის მონაცემებზე დაყრდნობით (06.04.2020)

თურქეთთან თავისუფალი ვაჭრობის ანალიზისთვის, გასათვალისწინებელია თურქული ლირის გაუფასურების კონტექსტიც. გაუფასურებული ლირა მნიშვნელოვნად უწყობს ხელს ადგილობრივ ექსპორტზე ორიენტირებულ ფირმებს, ხოლო ამავე დროს, ნეგატიური ფაქტორია იმპორტირებული პროდუქციისთვის, რადგან მომხმარებლისთვის ის უფრო ძვირდება.

ემპირიული მონაცემებზე დაყრდნობით, შესაძლებელია დავასკვნათ, რომ თავისუფალი ვაჭრობის შესახებ თურქეთთან გაფორმებული შეთანხმების შედეგები ისეთი ოპტიმისტური ვერ გამოდგა, როგორიც საქართველოში ამ შეთანხმებისადმი მოლოდინები არსებობდა. თუმცა, მიუხედავად ვაჭრობის მთავარ პარტნიორთან გამწვავებული ურთიერთობებისა, თუ საქართველოს სტატისტიკის სამსახურის მიერ გამოქვეყნებულ ოფიციალურ ინფორმაციას დავეყრდნობით, შეიძლება ითქვას რომ საქართველოს ექსპორტის საერთო მაჩვენებელი არათუ შემცირდა, პირიქით სტაბილურად იზრდებოდა 2008 წლამდე.

ვაჭრობის პოლიტიკის ლიბერალიზების პარალელურად მიმდინარე სხვა ეკონომიკური რეფორმების შედეგად, 2004 წლიდან საქართველოს ძირითადი მაკროეკონომიკური პარამეტრებიც ზრდის დინამიკით ხასიათდებოდა. 2007 წელს პირველად დაფიქსირდა ორნიშნა ეკონომიკური ზრდა (12.6%). პოზიტიური ტრენდით ხასიათდებოდა მთლიანი სამამულო პროდუქტის (მსპ) მაჩვენებელი მოსახლეობის ერთ სულზე ყიდვითი უნარის პარიტეტის გაანგარიშებითაც. ამავე პერიოდში მზარდი დინამიკა ჰქონდა პირდაპირი უცხოური ინვესტიციების შემოდინებასაც, რომელიც 2006 წელს წინა წელთან შედარებით 2.5-ჯერ გაიზარდა, მომდევნო წელს კი შესაბამისად 51%-იანი ზრდა დაფიქსირდა და $1.764,7 მილიარდი შეადგინა, რაც იმ პერიოდში პირდაპირი უცხოური ინვესტიციების (პუი) რეკორდული მაჩვენებელია.

*ცხრილი 2.* საქართველოს მაკროეკონომიკური ინდიკატორები 2004-2010 წ.

| | 2004 | 2005 | 2006 | 2007 | 2008 | 2009 | 2010 |
|---|---|---|---|---|---|---|---|
| მსპ რეალური ზრდა % | 5.8 | 9.6 | 9.4 | 12.6 | 2.4 | -3.7 | 6.2 |
| მსპ მოსახლეობის ერთ სულზე აშშ$ | 1305 | 1643 | 2000 | 2635 | 3326 | 2823 | 3223 |
| პუი (მლნ $) | 492.3 | 452.8 | 1 171.2 | 1 1764.2 | 1 575.2 | 667.8 | 865.8 |

შედგენილია ავტორის მიერ საქსტატის მონაცემებზე დაყრდნობით (7.04.2020)

საქართველოს საგარეო ვაჭრობაზე და ზოგადად ეკონომიკურ სტაბილურობაზე მნიშვნელოვანი უარყოფითი გავლენა იქონია 2008 წლის საქართველო-რუსეთის ომმა. მართალია, ომის შემდეგ საქართველომ დახმარების სახით $4 მილიარდზე მეტი მიიღო, მაგრამ რუსეთთან სამხედრო დაპირისპირებამ ეკონომიკური განვითარების მზარდ ტემპზე კვალი მაინც დატოვა.

2008 წლის აგვისტოს ომს, მალევე მსოფლიო ფინანსურ-ეკონომიკური კრიზისი მოყვა. კრიზისმა არაპირდაპირი გავლენა საქართველოზეც მოახდინა, რადგან შემცირებული მოთხოვნისა და ეკონომიკის უარყოფითი ზრდის ფონზე, რეცესიამ მოიცვა საქართველოს ვაჭრობის პარტნიორების ეკონომიკებიც, რაც უკვალოდ ვერც საქართველოს ვაჭრობის ნაკადებზე აისახებოდა.

მართალია, ომითა და მსოფლიო ეკონომიკური კრიზისით გამოწვეულმა რეცესიამ საქართველოს ზოგად მაკროეკონომიკურ მაჩვენებლებზე უარყოფითი გავლენა

მოახდინა, მაგრამ პოსტ კრიზისულ პერიოდში არსებულმა მოთხოვნის მზარდმა მაჩვენებელმა, ვაჭრობის ნაკადების თვითაღდგენის პროცესს ხელი შეუწყო. 2010 წლისათვის ექსპორტის მთიანმა მოცულობამ $1.6 მილიარდ დოლარს გადააჭარბა, რაც 2008 წლის მთლიან ექსპორტზე 12%-ით მეტი იყო. (geostat.ge 2020)

*დიაგრამა 6.* საქართველოს ძირითადი საექსპორტო ბაზრები 2010 წ.




შედგენილია ავტორის მიერ საქსტატის მონაცემებზე დაყრდნობით (7.04.2020)

საქსტატის სტატისტიკური მონაცემების მიხედვით, 2010 წლის ბოლოსთვის, საქართველოს საექსპორტო პორტფელის 63% - 10 ვაჭრობის ძირითად პარტნიორზე იყო გადანაწილებული, *(დიაგრამა 6)* საიდანაც რეგიონის მეზობლებზე აზერბაიჯანზე - 15%, ($256.2 მლნ ) თურქეთსა და სომხეთზე კი შესაბამისად 13% ($216.7 მლნ) და 10%-იანი ($166.7 მლნ. ) წილი მოდიოდა. (geostat.ge, 2020)

ექსპორტის 4%-იანი ($66.7 მლნ.) წილი ეკავა ბულგარეთს, 2-2% კი ესპანეთსა ($32.7 მლნ.) და გერმანიას ($35 მლნ.), რომლებიც ამ მაჩვენებლით ლიდერები იყვნენ ევროკავშირის წევრ ქვეყნებს შორის. აღსანიშნავია, რომ ამ პერიოდში ქართული ექსპორტის 11% აშშ-ის ($187.2 მლნ.) ბაზარზე მიემართებოდა, ხოლო კანადის ბაზარი ექსპორტის 7% ($118.7 მლნ.) იკავებდა. ჩრდილოეთ ამერიკის აღნიშნული ქვეყნები, საქართველოს საექსპორტო ბაზრების ათეულში, მომდევნო წლებშიც სტაბილურად ინარჩუნებენ ადგილს, ხოლო ერთ დროს ვაჭრობის მთავარი პარტნიორი რუსეთის წილი, საქართველოს ექსპორტის მხოლოდ 2% ($34.7 მლნ.) შეადგენდა. (geostat.ge, 2020)

საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახურის მონაცემები ცხადყოფს, რომ მიუხედავად საექსპორტო ბაზრების დივერსიფიცირებისა, საქართველოს ექსპორტის მეტწილად კვლავ ტრადიციული პოსტ საბჭოთა ქვეყნების ბაზრებისკენ მიემართებოდა, რაც საშუალოვადიან პერიოდში ახალ ბაზრებზე შეღწევისა და პოზიციების გაძლიერებისთვის ხელის შემშლელ ფაქტორს წარმოადგენდა, რადგან პოსტ-საბჭოთა სივრცის ქვეყნებთან ვაჭრობის ურთიერთობებზე დამოკიდებულება, ქართული პროდუქციისთვის საერთაშორისო კონკურენციაში უპირატესი პოზიციების მოპოვებას ართულებდა. ამასთან, ეს ქვეყნები საერთაშორისო თუ რეგიონული ეკონომიკური და პოლიტიკური შოკების პირობებში, დაბალი მედეგობით გამოირჩეოდნენ, რასაც ცხადია საქართველოსთვისაც უარყოფითი ეფექტები აქვს.

ექსპორტის დინამიკის ანალიზისთვის, ასევე მნიშვნელოვანია შევაფასოთ ექსპორტის სტრუქტურა სასაქონლო პოზიციების მიხედვით. ეს საშუალებას მოგვცემს დავაკვირდეთ იმ ძირითად ტენდეციებს, რომლითაც საქართველოს ექსპორტი ყოველწლიურად ხასიათდება. საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახურის ინფორმაციაზე დაყრდნობით, (geostat.ge, 2020) 2000-2010 წლებში, საქართველოს მთლიან ექსპორტში საერთაშორისო ვაჭრობის სტანდარტულ კლასიფიკაციის მიხედვით, 6 ძირითადი სასაქონლო კატეგორია გამოიყოფა, რომელიც თავის მხრივ ვაჭრობის მრავალ პოზიციას აერთიანებს. *(დიაგრამა 7)*

საერთაშორისო ვაჭრობის სტანდარტული კლასიფიკატორი ეკონომიკური თანამშრომლობისა და განვითარების ორგანიზაციის (OECD) მიერ 2001 წელს ჩამოყალიბდა.[18] ამ კლასიფიკატორის მიზანს საერთაშორისო ვაჭრობის შედეგად იმ საქონლის სტატისტიკურ ანალიზი წარმოადგენდა, რომელიც ქვეყანათა საზღვრებს კვეთდნენ. კლასიფიკატორი შესაძლებლობას იძლევა, სხვადასხვა ქვეყნის ვაჭრობის საქონლის სტატისტიკა ურთიერთშესადარი იყოს.

[18] https://stats.oecd.org/glossary/detail.asp?ID=2466 (22.03.2020)

*დიაგრამა 7.* საქართველოს ექსპორტი სასაქონლო პოზიციების მიხედვით 2000-2010 წ.




შედგენილია ავტორის მიერ საქსტატის მონაცემებზე დაყრდნობით (12.04.2020)

ვაჭრობის სტატისტიკის ჰარმონიზებული სისტემა (HS) კი, საქონლის შედარებით ფართო კატეგორიზაციის პრინციპს ეფუძნება. (WTO, 2020) აღნიშნული სისტემის მიხედვით, 2010 წელს 10 უმსხვილესი სასაქონლო პოზიციის ხვედრითი წილი საქართველოს მთლიან ექსპორტში 65%-ით განისაზღვრა. (geostat.ge, 2020)

აღსანიშნავია, რომ რუსეთის მიერ დაწესებული ვაჭრობის ემბარგოს ფონზე, 2010 წლისათვის ქართული ღვინის ექსპორტი 22.7%-ით გაიზარდა და $39.3 მლნ. შეადგინა. ამასთან, ამ პერიოდში გაიზარდა იმ ქვეყნების რაოდენობა, რომელთა ბაზრებზეც ქართული ღვინის ექსპორტი ხდებოდა.

2010 წლისთვის ექსპორტის სტრუქტურაში წამყვანი ადგილი ეკავა მსუბუქ ავტომობილებს. თუმცა, ამ შემთხვევაში საქმე გვაქვს რე-ექსპორთან, რომლითაც საქართველო რეგიონში აქტიურად პოზიციონირებს და შეიძლება ითქვას, რომ მთავარი რე-ექსპორტიორი ქვეყანაა. თუმცა, 2014 წლიდან აზერბაიჯანის ხოლო, მოგვიანებით სომხეთის მიერ „ევრო-4“ სტანდარტზე გადასვლამ ეს სფერო

მნიშვნელოვნად დააზარალა.[19] ახალი სტანდარტების მიხედვით, არაერთ ქვეყანაში მოძველებული ავტომობილების იმპორტი აიკრძალა. მიუხედავად ამისა, ავტომობილების რე-ექსპორტს დღემდე მნიშვნელოვანი ადგილი უკავია საქართველოს მთლიან ექსპორტში. *(დიაგრამა 8)*

*დიაგრამა 8.* საქართველოს ექსპორტის სტრუქტურა, 2010 წ.




შედგენილია ავტორის მიერ საქსტატის მონაცემებზე დაყრდნობით 12.04.2020

მიუხედავად ექსპორტის საერთო სტრუქტურის დივერსიფიცირებისა, 2010 წლისათვის მასში კვლავ დიდი წილი ეკავა პირველადი წარმოების ნედლეულს, როგორებიცაა ფეროშენადნობები - 16% ($263 965,8 მლნ), შავი ლითონების ჯართი - 7% ($109 380,9 მლნ), სპილენძის მადნები და კონცენტრანტები - 4% ($74 503,8 მლნ) და ოქრო - 7% ($117 646,7 მლნ). (geostat.ge, 2020)

თუმცა, ამავე პერიოდში საქართველოს ექსპორტში ჩნდება ახალი სასაქონლო პოზიციებიც. მათგან აღსანიშნავია შედარებით მაღალტექნოლოგიური პროდუქტები - თვითმფრინავის სათადარიგო ნაწილები და მედიკამენტები. თვითმფრინავის სათადარიგო ნაწილების ექსპორტმა 2010 წლისთვის $21 მლნ შეადგინა, რაც 7-ჯერ მაღალი მაჩვენებელია ვიდრე 2006 წელთან შედარებით. რაც შეეხება მედიკამენტებს, 2010 წელს მისი ექსპორტი 2006 წელთან შედარებით 5-ჯერ გაიზარდა და $30 მლნ შეადგინა. (geostat.ge, 2020)

[19]https://commersant.ge/ge/post/saqartvelodan-avtomanqanebis-eqsporti-74-it-gaizarda-reeqsportis-zrda-ukrainis-bazris-xardjze-xdeba (22.03.2020)

კიდევ ერთი ახალი სასაქონლო პოზიცია, რომლის ექსპორტიც ამ პერიოდიდა იზრდება ფოლადის წნელებია. ე.წ „არმატურა“ - საქართველოს ექსპორტში მნიშვნელოვანი მოცულობით 2008 წლიდან გამოჩნდა და მისმა მოცულობამ $9 მლნ. შეადგინა, 2009 წელს $3 მლნ, ხოლო 2010 წელს მისი ექსპორტი წინა წელთან შედარებით 12-ჯერ გაიზარდა და $36 მლნ. შეადგინა.

2012 წლის საპარლამენტო არჩევნებით ხელისუფლების ცვლილებით, საქართველოს ეკონომიკურ ისტორიაში ახალი ეტაპი დაიწყო, რომელიც რამდენიმე ძირითადი მოვლენას აერთიანებს.

რუსეთთან ურთიერთობის აღდგენა და ვაჭრობის განახლება, ხელისუფლებაში მოსული კოალიცია „ქართული ოცნების“ პოლიტიკური დღის წესრიგის ერთ-ერთ მთავარ საკითხს წარმოადგენდა. 2012 წლის შემდეგ, „ნორმალიზაციის“ პროცესისა და რუსეთთან ეკონომიკური ურთიერთობების თანდათანობით აღდგენის შედეგად, ორ ქვეყანას შორის ვაჭრობის ურთიერთობები საგრძნობლად განვითარდა.[20] 8 წლიანი ემბარგოს შემდეგ, 2014 წლის ბოლოსთვის, აზერბაიჯანისა და სომხეთის შემდეგ, რუსეთი ქართული პროდუქციისთვის რიგით მესამე საექსპორტო ბაზარი გახდა. ეს მაშინ, როცა 2012 წელს, რუსეთი საექსპორტო ქვეყნების ათეულშიც კი ვერ ხვდებოდა.

2012 წლიდან, 2006 წელს დაწესებული რუსული ემბარგოს შემდეგ, პირველად განხორციელდა ქართული ღვინის ექსპორტი რუსულ ბაზარზე. 2013 წლისათვის კი, წინა წელთან შედარებით ღვინის საერთო ექსპორტი 2-ჯერ გაიზარდა. მომდევნო წელს კი, ღვინის ექსპორტის ზრდამ 27% შეადგინა. (geostat.ge, 2020)

ამავე პერიოდიდან, მნიშვნელოვნად იზრდება რუსულ ბაზარზე ქართული მინერალური წყლების ექსპორტიც. საქართველოს ეკონომიკის სამინისტროს ინფორმაციით, (economy.ge, 2020) რუსეთში ექსპორტირებულმა მინერალური და მტკნარი წყლების ღირებულებამ 2013 წელს $33.8 მლნ შეადგინდა. ეს მაჩვენებელი 2014 წელს თითქმის გაორმაგდა ($66.4 მლნ). თუმცა, მომდევნო წლების ექსპორტში, ეს პოზიცია მნიშვნელოვნად მცირდება.

საგარეო ვაჭრობის ბაზრების დივერსიფიცირება მცირე ზომის ქვეყნების ეკონომიკური პოლიტიკის მნიშვნელოვან ელემენტს უნდა წარმოადგენდეს. საექსპორტო ბაზრის დივერსიფიცირება, განვითარებადი ქვეყნების შემთხვევაში,

---

[20] http://gip.ge/wp-content/uploads/2016/06/რუსეთ-საქართველო.pdf (27.03.2020)

ეკონომიკის სტრუქტურის დივერსიფიცირებისთვის მნიშვნელოვან ფაქტორს წარმოადგენს.[21] თუმცა, მიგვაჩნია რომ ამ ჭრილში საქართველოს შემთხვევის განხილვისას, განსაკუთრებით მნიშვნელოვანია პოლიტიკური კონტექსტის ანალიზიც. (Mihov, 2008)

ეკონომიკური და ვაჭრობის ბერკეტების გამოყენებით, რუსეთი მუდმივად ცდილობს თავისი პოლიტიკური გავლენის მოპოვებასა და განმტკიცებას პოსტ-საბჭოთა სივრცის ქვეყნებზე.[22] ამასთან, მოსკოვი აქტიურად იყენებს პროპაგანდას, სადაც ეკონომიკური კეთილდღეობისა და საბჭოთა წარსულის კორელაცია გვხვდება. ამ კონტექსტში გამონაკლისი არც საქართველოა. (არჩვაძე, 2020)

*დიაგრამა 9.* საქართველოს საგარეო ვაჭრობა 2011-2019 წ.




შედგენილია ავტორის მიერ საქსტატის მონაცემებზე დაყრდნობით (20.04.2020)

რუსეთთან ურთიერთობის ნორმალიზების ფონზე, ვაჭრობის ურთიერთობების აღდგენას, მოგვიანებით თავისუფალი ვაჭრობის შესახებ შეთანხმებების გაფორმება მოყვა, ჯერ ევროკავშირთან (2014), შემდეგ კი ჩინეთთან (2017), რამაც დადებითი გავლენა იქონია ექსპორტის ზრდაზე. თუმცა, ტრადიციულად, ექსპორტის ზრდის პარალელურად იზრდებოდა იმპორტიც, რაც კვლავ აუარესებდა ვაჭრობის ბალანსს,

[21] Dutt, Pushan & Mihov, Ilian & Zandt, Timothy. (2008). Trade Diversification and Economic Development.
[22] https://www.odi.org/publications/1859-estimating-russias-impact-economic-performance-commonwealth-independent-states-1991-cases-kyrgyz (30.03.2020)

რომელიც თავის მხრივ უარყოფით როლს თამაშობდა საგადამხდელო ბალანსის ფორმირებაზე, გაცვლით კურსზე და ინფლაციის მაჩვენებელზე. *(დიაგრამა 9)*

ვაჭრობის პოლიტიკაში გატარებული კარდინალური ცვლილებების გამო, 2019 წლისთვის მნიშვნელოვნად შეიცვალა ექსპორტის სტრუქტურაში შემავალი სხვადასხვა სასაქონლო პოზიციების წილი, თუმცა საქართველოს ძირითადი საექსპორტო პროდუქციის ჩამონათვალი შინაარსობრივად მაინც არ შეცვლილა.

2019 წელს საქართველოს ექსპორტის ტოპ 10 სასაქონლო პოზიცისიის წილი მთლიან ექსპორტში 67% შეადგენდა *(დიაგრამა 10)* 2019 წელს მსუბუქი ავტომობილების ექსპორტი (რე-ექსპორტის ჩათვლი) $686,747 მლნ დოლარს შეადგენდა და ექსპორტის სტრუქტურაში პირველი ადგილი ეკავა.

*დიაგრამა 10.* საქართველოს ექსპორტის სტრუქტურა, 2019 წ.




შედგენილია ავტორის მიერ საქსტატის მონაცემებზე დაყრდნობით (05.05.2020)

ამასთან, ამავე წელს ავტომობილების ექსპორტის მთლიანი ღირებულება 3-ჯერ მეტია 2010 წელს აღნიშნული სასაქონლო პოზიციის შემადგენელი პროდუქციის ექსპორტისგან მიღებულ შემოსავალზე. საექსპორტო პროდუქციის ჩამონათვალში მეორე ადგილზეა სპილენძის მადნები და კონცენტრატები, რომლის ექსპორტმა 2019 წელს $651,606.2 მლნ. შეადგინა. აღსანიშნავია, რომ აღნიშნული პროდუქციის ექსპორტი 2010 წლის შემდეგ, თითქმის 9-ჯერ გაიზარდა. (geostat.ge 2020)

საექსპორტო პროდუქციის ჩამონათვალში მესამე პოზიცია ფეროშენადნობებს უჭირავს - $302,964.5 მლნ, მეოთხე პოზიციაზე კი ღვინოა - $222,944.7 მლნ ს ღირებულებით. საინტერესოა, რომ ღვინის ექსპორტი 2010 წლიდან 2019 წლამდე 5-ჯერ გაიზარდა, რის გამოც იგი 2019 წლისთვის საქართველოს ექსპორტის წილში მნიშვნელოვან ადგილს იკავებს. 2019 წელს საქართველოს მთლიან ექსპორტში მეხუთე ადგილი დაიკავა სამკურნალო საშუალებებმა, რომლის ღირებულება - $172,460.3 მლნ დოლარს შეადგენდა. (geostat.ge, 2020) საყურადღებოა, რომ 2010 წლისთვის აღნიშნული პოზიცია, ექსპორტის ტოპ 10 ჩამონათვალში საერთოდ ვერ მოხვდა.

კიდევ ერთი სასაქონლო პოზიცია, რომელიც 2010 წლისგან განსხვავებით მნიშვნელოვან წილს იკავებდა 2019 წლის ექსპორტში მინერალური წყლებია - მეექვსე პოზოციით და $133,570.7 მლნ. მნიშვნელოვნად გაიზარდა ასევე სპირტიანი სასმელების ექსპორტიც და 2019 წლისათვის მისმა მთლიანმა ღირებულებამ $129,259.1 მლნ. შეადგინა (მეშვიდე პოზიცია). ექსპორტის ტოპ 10 პროდუქციის ჩამონათვალში, მე-8, მე-9 და მე-10 პოზიცია შესაბამისად აზოტოვან სასუქებს - $94,841.5 მლნ, ოქროს - $77,832 მლნ. და თხილსა და კაკალს - $66,696.8 მლნ. ეკავა. (geostat.ge, 2020)

როგორც არსებული სტატისტიკა ადასტურებს (geostat.ge, 2020) მიუხედავად ექსპორტის სტრუქტურაში არსებული ცვლილებებისა და მთლიანობაში ექსპორტის მაჩვენებლის ზრდისა, იკვეთება რომ ძირითადი საექსპორტო პოზიციების დასახელებები არ შეცვლილა. ასევე კვლავ დღის წესრიგშია ექსპორტის დივერსიფიცირების პრობლემა, რომელიც განსხვავებით იმპორტისგან, საქართველოს საგარეო ვაჭრობისათვის მკვეთრად დამახასიათებელი მოვლენაა. (დიაგრამა 11)

აღსანიშნავია, რომ 2013 წლიდან მნიშვნელოვნად იზრდება საქართველოს ექსპორტი დსთ-ის ქვეყნების ჯგუფთან და ევროკავშირთან. *(დიაგრამა 11)* დსთ-ის ქვეყნებში ექსპორტის ზრდის წილი ძირითადად რუსეთზე მოდიოდა (+307%) რუსეთში ექსპორტის მკვეთრი ზრდა პოლიტიკური ურთიერთობებისა და მოსკოვის მხრიდან ვაჭრობის ემბარგის გაუქმების ფონზე მოსალოდნელიც იყო. თუმცა ექსპორტის ზრდა დაფიქსირდა ასევე აზერბაიჯანში, (+13%) სომხეთში, (+22%) უკრაინასა (+15%) და ყაზახეთშიც. (+67%) (geostat.ge, 2020)

*დიაგრამა 11.* საქართველოს ექსპორტი ქვეყნების მიხედვით, 2011-2019 წწ.




შედგენილია ავტორის მიერ, საქსტატის მონაცემებზე დაყრდნობით (07.05.2020)

რაც შეეხება ევროკავშირს, ამ შემთხვევაში ექსპორტის ზრდის წილი რამდენიმე ქვეყანაზე მოდის, რაც მისი დივერსიფიცირების საშუალებას იძლევა. კერძოდ კი, საქსტატის საგარეო ვაჭრობის სტატისტიკური მონაცემების მიხედვით, (geostat.ge) 2013 წელს ევროკავშირის ქვეყნებში საქართველოს ექსპორტის ზრდა ბულგარეთის, (+116%) გერმანიის, (+89%) ესპანეთის, (+321%) იტალიის, (+52%) ნიდერლანდებისა (+93%) და საფრანგეთის (+97%) ხარჯზე მოხდა. აღსანიშნავია, რომ ზემოაღნიშნულ ქვეყნებში საქართველოს ექსპორტი მომდევნო წლებშიც მზარდი ტენდენციით ხასიათდებოდა, რაც მთლიანობაში საქართველოს ექსპორტის მაჩვენებელზე დადებითად აისახებოდა.

საქართველოს ექსპორტზე რეგიონში მიმდინარე სამხედრო - პოლიტიკურმა და ეკონომიკურმა არასტაბილურობამ მნიშვნელოვანი უარყოფითი გავლენა მოახდინა. 2014-2016 წლებში უკრაინაში მიმდინარე სამხედრო კონფლიქტმა, რომელმაც არაერთ ქვეყანაში მნიშვნელოვანი ეკონომიკური რყევები გამოიწვია, გავლენა საქართველოზეც მოახდინა. უკრაინაში მიმდინარე მოვლენებს, აზერბაიჯანსა და თურქეთში ეროვნული ვალუტის მკვეთრი გაუფასურების პრობლემაც დაემთხვა. ზემო აღნიშნული ფაქტორების მიზეზით, 2015 წელს წინა წელთან შედარებით საქართველოს მთლიანი ექსპორტი -23%-მდე შემცირდა. ეს 2008 წლის რუსეთ-

საქართველოს ომისა და მსოფლიო ეკონომიკური კრიზისის შემდეგ ექსპორტის ნაკადის ყველაზე მკვეთრი ვარდნა იყო. თვალსაჩინოა, რომ ამ შემთხვევაში ექსპორტის შემცირების მნიშვნელოვანი წილი დსთ-ს ქვეყნებზე მოდიოდა (-42%). საპირისპიროდ, 2015 წელს, ევროკავშირის ქვეყნებში საქართველოს ექსპორტის ზრდა (+3%) დაფიქსირდა. (geostat.ge)

წარმოდგენილი ინფორმაცია ნათლად ასახავს საქართველოს საერთაშორისო ვაჭრობის ევოლუციას დამოუკიდებლობის აღდგენიდან დღემდე, მის ძირითად გამოწვევებს, რაც პირველ რიგში ვაჭრობის პარტნიორებისა და მთლიანობაში ექსპორტის დივერსიფიკაციის პრობლემას უკავშირდება.

არსებული გამოწვევების ფონზე იკვეთება ვაჭრობის ახალი შესაძლებლობებიც, რომელიც საქართველოსთვის ბოლო წლებში საკმაოდ აქტუალური გახდა. ვაჭრობის ლიბერალიზებისა და თავისუფალი ვაჭრობის შეთანხმებების ამოქმედების შემდეგ, ქვეყანას უჩნდება პერსპექტივა მოახდინოს საგარეო ვაჭრობის დივერსიფიკაცია და ექსპორტის მნიშვნელოვანი ზრდა. ეს საგარეო ვაჭრობის განვითარების კუთხით, საქართველოს მიერ წარმოებული პოლიტიკის ლოგიკური და გარდამტეხი ნაბიჯი იქნება.

## 2.3 საქართველოს თავისუფალი ვაჭრობის შეთანხმებები

მიმდინარე საუკუნის მეორე დეკადიდან საქართველოს საგარეო ვაჭრობის პოლიტის ლიბერალიზების ახალი ტალღა დაიწყო. თუ კი, გასულ წლებში ვაჭრობის ბარიერების შემცირება პრეფერენციული შეთანხმებების დადებითა და სატარიფო განაკვეთების მინიმუმამდე შემცირებით ხორციელდებოდა, 2014 წლიდან საგარეო ეკონომიკური პოლიტიკის ერთ-ერთ მთავარ მიღწევად თავისუფალი ვაჭრობის შეთანხმებების გაფორმება უნდა მივიჩნიოთ.

ვაჭრობის პრეფერენციული ტარიფებიდან თავისუფალი ვაჭრობის რეჟიმში გადასვლით, საქართველოს შესაძლებლობების არეალი ფართოვდება. თავისუფალი ვაჭრობის შეთანხმებების გაფორმებით, საგარეო ვაჭრობის დივერსიფიკაციისკენ ქვეყანა მნიშვნელოვან ნაბიჯს დგამს. ამავე დროს ვაჭრობის ლიბერალიზება ექსპორტისათვის მნიშვნელოვანი ხელის შემწყობი ფაქტორია, რადგან რეზიდენტ ფირმებს, მრავალი ქვეყნის ბაზარზე, შესაძლებლობა აქვთ გამარტივებულად, ნულოვანი საბაჟო ტარიფის პირობებში საქონლისა და მომსახურების ექსპორტის განხორციელების შესაძლებლობა აქვთ. საერთაშორისო ვაჭრობასა და ზოგადად ეკონომიკაში ინტეგრაცია გაზრდის კონკურენციასაც, რაც ადგილობრივ მომხმარებელზე და ზოგადად ფირმების საშუალო და გრძელვადიანი განვითარების სტრატეგიაზე პოზიტიურად იმოქმედებს.

ექსპორტის დივერსიფიკაცია და მისი ზრდის შესაძლებლობა რეზიდენტი ფირმების საერთაშორისო კონკურენტუნარიანობასაც ზრდის და ამავე დროს ეროვნულ ეკონომიკაში დარგობრივ სპეციალიზებას ასტიმულირებს. ეს კი, საქართველოს ეკონომიკის ერთ-ერთი ძირითად გამოწვევას წარმოადგენს. ქვეყანას დღემდე დარგების სპეციალიზება გამოკვეთილი არ აქვს, რაც ერთი მხრივ გრძელვადიანი ეკონომიკური პოლიტიკის ჩამოყალიბებასა და ადგილობრივი წარმოების მასშტაბურ განვითარებას უშლის ხელს, მეორე მხრივ კი საერთაშორისო ვაჭრობისას, რეზიდენტ ფირმებს არაკონკურენტუნარიანს ხდის.

*ცხრილი 3.* სხვადასხვა ქვეყნის მიერ გაფორმებული თავისუფალი ვაჭრობის შეთანხმებები

| ქვეყანა | თავისუფალი ვაჭრობის შეთანხმება (FTA) |
|---|---|
| აშშ | 20 |
| ევროკავშირი | 22 |
| სინგაპური | 18 |
| **საქართველო** | **13** |
| აზერბაიჯანი | 9 |
| სომხეთი | 10 |
| თურქეთი | 19 |
| უკრაინა | 11 |

შედგენილია ავტორის მიერ ვმო-ის ინფორმაციაზე დაყრდნობით (22.05.2020)

როგორც წინა თავებში განვიხილეთ, ვაჭრობის ლიბერალური პოლიტიკის ჩამოყალიბებისთვის საქართველომ პოლიტიკური და საკანონმდებლო ნაბიჯები ჯერ კიდევ დამოუკიდებლობის მოპოვების პერიოდიდან გადადგა. რეფორმებისა და თავისუფალი ვაჭრობის ხელშეკრულებების გაფორმების რამდენიმე ტალღის შემდეგ, მსოფლიოში და განსაკუთრებით რეგიონში ვაჭრობის ერთ-ერთი ყველაზე ლიბერალური პოლიტიკა აქვს, რაც გაფორმებული თავისუფალი ვაჭრობის ხელშეკრულებების რაოდენობითაც გამოიხატება.

თავისუფალი ვაჭრობის შეთანხმება ეკონომიკური თანამშრომლობის მნიშვნელოვანი კომპონენტია, რომელიც ქვეყნებს შორის ვაჭრობას ამარტივებს და მათ შორის ეკონომიკურ კავშირსაც აღრმავებს. ამ მხრივ, საქართველოს სამხრეთ კავკასიის რეგიონში გამოკვეთილი პოზიციები აქვს. *(ცხრილი 3)*

თავისუფალი ვაჭრობის შესახებ პირველი მრავალმხრივი შეთანხმება საქართველომ დამოუკიდებლობის მოპოვებიდან მალევე, 1994 წელს დამოუკიდებელ სახელმწიფოთა თანამეგობრობის (დსთ) წევრ 10 ქვეყანასთან გააფორმა. ეს ქვეყნებია: აზერბაიჯანი, უკრაინა, მოლდოვა, სომხეთი, რუსეთი, ბელარუსი, ყაზახეთი, უზბეკეთი, თურქმენეთი, ყირგიზეთი. ხოლო 2002 წლიდან კი თავისუფალი ვაჭრობის ზონა მოქმედებს საქართველოს, აზერბაიჯანს, უკრაინასა და მოლდოვას შორის, რომელიც სუამ-ის სახელით არის ცნობილი.

*დიაგრამა 12.* საქართველოს მიერ გაფორმებული თავისუფალი ვაჭრობის შეთანხმებები




შედგენილია ავტორის მიერსაქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს ინფორმაციაზე დაყრდნობით (22.05.2020)

დამოუკიდებელ სახელმწიფოთა თანამეგობრობის წევრ ქვეყნებთან, რუსეთის ფედერაციის გარდა, თავისუფალი ვაჭრობის რეჟიმი „თავისუფალი ვაჭრობის ზონის შექმნის შესახებ“ დსთ-ის 1994 წლის მრავალმხრივი შეთანხმებით რეგულირდება. ამასთან, საქართველოს გაერთიანების ზოგიერთ წევრთანაც აქვს ორმხრივ ფორმატში გაფორმებული შეთანხმება თავისუფალი ვაჭრობის შესახებ, მათ შორის არიან აზერბაიჯანი, სომხეთი, უკრაინა, რუსეთის ფედერაცია, ყაზახეთი, მოლდოვა, თურქმენეთი და უზბეკეთი.

საქართველოსა და დსთ-ის შორის გაფორმებული თავისუფალი ვაჭრობის ხელშეკრულების ფარგლებში, შეთანხმების მონაწილე მხარეები საბაჟო და მისი ექვივალენტური მოსაკრებლებისგან თავისუფლდებიან, ასევე მათ ვაჭრობაში რაოდენობრივი შეზღუდვები არ უნდა დააწესონ. ქვეყნები ასევე კეთილსინდისიერი კონკურენციის განვითარებაზე და  ვაჭრობისას არსებული ტექნიკური ბარიერების გამარტივებაზე შეთანხმდნენ.

*დიაგრამა. 13* საქართველოს ექსპორტი დსთ-ის ქვეყნებში (2005-2019 წწ.) $ მლნ




შედგენილია ავტორის მიერ, საქსტატის მონაცემებზე დაყრდნობით (29.05.2020)

ეკონომიკური თანამშრომბლობისა და ვაჭრობის ლიბერალიზაციისა პრინციპებს ითვალისწინებს სუამ-ის წევრ ქვეყნებს შორის გაფორმებული ხელშეკრულებაც. შეთანხმების მიხედვით, მხარეები თავისუფლდებიან საბაჟო მოსაკრებლებისგან და უარს ამბობენ ურთიერთშორისი ვაჭრობისას კვოტების დაწესებაზე.

დსთ-ის და სუამ-ის წევრი ქვეყნები საქართველოსთვის ვაჭრობის მნიშვნელოვანი პარტნიორები არიან. საქსტატის ინფორმაციით, (geostat.ge, 2020) 2019 წელს საქართველოს ექსპორტმა აზერბაიჯანში $498.7 მლნ. შეადგინა (მთლიანი ექსპორტის 13.24%) და ამ მაჩვენებლით იგი საქართველოს მთავარი საექსპორტო ბაზრის პოზიციას უკვე მეორე წელია ინარჩუნებს. ქართული ექსპორტის ათეულში, მნიშვნელოვანი ადგილი უკავია რუსეთს, სომხეთსა და უკრაინას, შესაბამისად $497.1 მლნ, $412.2 მლნ და $244.7 მლნ. *(დიაგრამა 13)*

მიუხედავად იმისა, რომ ზემო აღნიშნულ ქვეყნებიდან თითოეულს საქართველოს მთლიან ექსპორტში მნიშვნელოვანი წილი აქვთ, 2014 წლიდან საქართველოს ექსპორტს მთლიანად დსთ-ის ქვეყნებში შემცირების ტენდენცია აქვს. 2014 წელს წინა წელთან შედარებით დსთ-ის ქვეყნებში საქართველოს ექსპორტი 9.6%-ით შემცირდა, რაც ძირითადად აზერბაიჯანში ქართული ექსპორტის შემცირების გამო მოხდა (-10.2%). თუმცა, ამ პერიოდიდან მნიშვნელოვნად გაიზარდა ექსპორტში რუსეთის (35.8%) და უზბეკეთის (141.4%) წილი. უზბეკეთში ექსპორტის ძირითად ნაწილს სამკურნალო საშუალებები შეადგენდა, ხოლო რუსეთში ექსპორტის ძირითად ნაწილს ტრადიციული საქონელი, კერძოდ კი მინერალური წყალი და ღვინის პროდუქტები შეადგენდა.(მთლიანი ექსპორტის 64.3%). (geostat.ge, 2020)

2015 წელს დსთ-ის ქვეყნებში საქართველოს ექსპორტის კლების დინამიკა გაგრძელდა და წინა წელთან შედარებით - 42.6% შეადგინა. ექსპორტის ზრდა მხოლოდ თურქმენეთში, უზბეკეთსა და მოლდოვაში დაფიქსირდა. 2016 წელს ექსპორტი დსთ-ის ქვეყნებში კვლავ შემცირდა, ამჯერად 12.3%-ით. თუმცა რუსეთში, ტაჯიკეთში, ყირგიზეთსა და უკრაინაში ზრდის მაჩვენებელი დაფიქსირდა. მათ შორის აღსანიშნავია ექსპორტი რუსეთში, რომელიც წინა წელთან შედარებით 26.5%-ით გაიზარდა. ექსპორტის ზრდა კვლავ ტრადიციულ სასაქონლო კატეგორიებს შეეხო, როგორებიცაა - ყურძნის ნატურალური ღვინოები, მინერალური და გაზიანი. თუმცა, აღსანიშნავია, რომ 2015 წლისთვის ექსპორტის ზრდა ახალ კატეგორიაში (ფეროსილიკატომანგანუმის პროდუქტები) დაფიქსირდა. სხვა ქვეყნებში კი, ექსპორტის ზრდა, კვლავ ზემოთხსენებული ტრადიციული საექსპორტო კატეგორიების საქონელს შეეხო. (geostat.ge, 2020)

2017 წელი დსთ-ში საქართველოს ექსპორტისთვის განსაკუთრებით წარმატებული აღმოჩნდა. ექსპორტი საგრძნობლად გაიზარდა ყველა ქვეყანაში, გარდა ტაჯიკეთისა

და უზბეკეთისა. 108.4%-ით გაიზარდა ექსპორტი თურქმენეთში, 92.5%-ით რუსეთში, 78.6%-ით აზერბაიჯანში (სადაც ბოლო წლებში ექსპორტი მუდმივად მცირდებოდა), 69,8%-ით უკრაინაში, 50,9%-ით ბელარუსში და 39.4%-ით სომხეთში, სადაც ასევე გასულ წლებში ექსპორტი უარყოფითი ტრენდით ხასიათდებოდა. (geostat.ge, 2020)

*დიაგრამა 14.* საქართველოს ექსპორტი დსთ-ის ქვეყნებში სასაქონლო პოზიციების მიხედვით 2019 წელი




შედგენილია ავტორის მიერ საქსტატის მონაცემებზე დაყრდნობით (12.06.2020)

გარდა ტრადიციული საექსპორტო კატეგორიებისა, 2017 წელს ექსპორტის ზრდა დაფიქსირდა ახალ კატეგორიებშიც. რაც ზოგადად ექსპორტის დივერსიფიცირებისკენ წინ გადადგმული ნაბიჯია და შესაძლოა პოზიტიურად შევაფასოთ. მკვეთრად გაიზარდა 720230 კატეგორიის (ფეროსილიკომანგანუმი) ექსპორტი, რომელმაც $129.15 მლნ. შეადგინა, რაც მთლიანი ექსპორტის 32.5% იყო. იმ საექსპორტო კატეგორიების ჩამონათვალში, რომელთაც 2017 წლისთვის ზრდა შეეხოთ შევიდა 300490 კატეგორია (სამკურნალო საშუალებები და სხვა), 31230 კატეგორია (ამონიუმის ნიტრატი), ზრდა ავტომობილების რეექსპორტშიც დაფიქსირდა.

2019 წელს საქართველოს ექსპორტი დსთ-ის ქვეყნებში უფრო მეტად დივერსიფიცირებული გახდა. ტოპ 10 საექსპორტო პროდუქციის წილი ამ პერიოდისთვის მთლიანი ექსპორტის 74% შეადგენდა. *(დიაგრამა 14)* თუმცა, უნდა აღინიშნოს ისიც, რომ საექსპორტო პროდუქციის ჩამონათვალში დომინირებს მსუბუქი ავტომობილების რე-ექსპორტი, რომლიც წილიც საქართველოს მთლიან ექსპორტში 32% შეადგენს. ($581.3 მლნ) გარდა ავტომობილებისა, საქართველოს

ექსპორტში ასევე დომინირებს ტრადიციული საექსპორტო საქონელი - ღვინო - 9% ($171.1 მლნ), ფეროსილიკომანგანუმი - 7% ($122.5 მლნ), მინერალური და გაზიანი წყლები - 6% ($113.8 მლნ) და სპირტიანი სასმელები -5% ($84.4 მლნ). (geostat.ge, 2020)

2019 წელს საქართველოს საექსპორტო პროდუქციის ჩამონათვალში მოწინავე ადგილი დაიკავა სამკურნალო საშუალებებმა, რომელმაც მთლიანი ექსპორტის 8% - $145.8 მლნ შეადგინა. რაც 18.12%-ით მეტია 2018 წლის ექსპორტის მაჩვენებელთან შედარებით. დსთ-ის ქვეყნებში სამკურნალო საშუალებების ექსპორტი ყოველწლიურად იზრდება. (geostat.ge, 2020)

წარმოდგენილი სტატისტიკური ინფორმაციის საფუძველზე შეგვიძლია დავასკვნათ, რომ რამდენიმე წლიანი ჩავარდნის შემდეგ, დსთ-ის ქვეყნებში საქართველოს ექსპორტი კვლავ გაიზარდა. *(ცხრილი 4)* ეს განსაკუთრებით რუსეთთან. აღსანიშნავია, რომ ტრადიციული საექსპორტო საქონლის გარდა (ღვინო, მინერალური წყლები, მანქანების რეექსპორტი), ბოლო პერიოდში მნიშვნელოვნად გაიზარდა რუსეთში ფეროსილიკომანგანუმის ექსპორტი, რომელიც ამჟამად რუსეთში საქართველოს ექსპორტის ერთ-ერთ ძირითად პროდუქციას წარმოადგენს.

*ცხრილი 4.* საქართველოს ექსპორტი დსთ-ის თავისუფალი ვაჭრობის ზონის ქვეყნებთან 2014-2019 წ.

| ქვეყანა | 2014 | | 2015 | | 2016 | | 2017 | | 2018 | | 2019 | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| | მლნ $ | % | მლნ $ | % | მლნ $ | % | მლნ $ | % | მლნ $ | % | მლნ $ | % |
| აზერბაიჯანი | 544.4 | 19.03 | 240.9 | 10.93 | 152.4 | 7.21 | 272.1 | 9.95 | 502.0 | 14.96 | 498.7 | 13.2 |
| რუსეთი | 274.8 | 9.60 | 162.9 | 7.39 | 206.0 | 9.75 | 396.7 | 14.5 | 436.6 | 13.01 | 497.1 | 13.2 |
| სომხეთი | 288.1 | 10.7 | 180.2 | 8.17 | 150.8 | 7.14 | 210.3 | 7.69 | 278.7 | 8.30 | 412.2 | 10.9 |
| უკრაინა | 140.0 | 4.89 | 59.9 | 2.72 | 73.3 | 3.47 | 124.5 | 4.55 | 175.0 | 5.22 | 244.7 | 6.50 |
| უზბეკეთი | 54.8 | 1.92 | 98.0 | 4.44 | 71.3 | 3.37 | 3.37 | 64.2 | 80.5 | 2.40 | 89.1 | 2.37 |
| ყაზახეთი | 88.6 | 3.10 | 45.0 | 2.04 | 39.8 | 1.88 | 51.8 | 1.89 | 90.8 | 2.71 | 68.3 | 1.81 |
| თურქმენეთი | 14.3 | 0.50 | 16.1 | 0.73 | 10.4 | 0.49 | 21.6 | 0.79 | 39.1 | 1.17 | 59.3 | 1.57 |
| ბელარუსი | 34.8 | 1.21 | 20.46 | 0.92 | 18.25 | 0.86 | 27.54 | 1.00 | 28.46 | 0.85 | 44.25 | 1.17 |
| მოლდოვა | 4.7 | 0.16 | 6.5 | 0.30 | 2.0 | 0.10 | 3.2 | 0.12 | 3.4 | 0.10 | 8.9 | 0.24 |

შედგენილია ავტორის მიერ, საქსტატის მონაცემებზე დაყრდნობით (16.05.2020)

სტატისტიკა ასევე ცხადყოფს, რომ დსთ-ის ქვეყნები, ევროკავშირისა და სხვა საექსპორტო ბაზრებისგან განსხვავებით, მსოფლიოსა და რეგიონში მიმდინარე

პოლიტიკური და მაკროეკონომიკური შოკებისადმი მკვეთრი მგრძნობელობით გამოირჩევიან. ეს კი, მათი ბაზრების, მაღალ არამდგრადობას იწვევს, რაც უცხო ქვეყნების ექსპორტზე უარყოფითად აიისახება.

ექსპორტისგან განსხვავებით, დსთ-ის ქვეყნებიდან საქართველოს იმპორტი მეტად დივერსიფიცირებულია. კერძოდ კი, იმპორტის ტოპ 10 სასაქონლო კატეგორიის ჯამური მაჩვენებელი 54% შეადგენს, დანარჩენი წილი კი მრავალ სხვა კატეგორიაზეა განაწილებული. (დიაგრამა 15)

*დიაგრამა 15.* საქართველოს იმპორტი დსთ-ის ქვეყნებიდან სასაქონლო პოზიციების მიხედვით 2019 წელი




შედგენილია ავტორის მიერ საქსტატის მონაცემებზე დაყრდნობით 17.05.2020

დსთ-ს ქვეყნებიდან საქართველოს იმპორტში ყველაზე დიდი წილი 2019 წლის მონაცემებით (geostat.ge, 2020) ენერგო რესურსებს უკავია. მათგან აღსანიშნავია, ბუნებრივ აირი -13% ($313.09 მლნ) და ნავთობპროდუქტები -16% ($396.4 მლნ და ელექტროენერგია - 3% ($78.3 მლნ). საიმპორტო პროდუქციის ჩამონათვალში, დიდი წილი აქვს სპილენძის მადნებსა და კონცენტრატებს - 9% ($218.6 მლნ) და არმატურას - 2% ($36.5 მლნ). საინტერესოა ის ფაქტი, რომ გასულ წლებში საქართველო თავად ახორციელებდა არმატურის ექსპორტს თურქეთში, თუმცა ბოლო პერიოდში იგი საიმპორტო პროდუქცია გახდა.

დსთ-ის ქვეყნებიდან იმპორტირებული ტოპ 10 საქონლის ჩამონათვალში მოხვდა სასურსათო კალათის შემადგენელი პროდუქციაც. მათგან აღსანიშნავია ხორბალი და

ზეთი. სტატისტიკის მიხედვით, 2019 წელს დსთ-ის ქვეყნებიდან საქართველომ $100.3 მლნ. ღირებულების ხორბლის და $37.0 მლნ. ღირებულების მზესუმზირის ზეთის იმპორტი განახორციელა.

2015 წლიდან დსთ-ის ქვეყნებიდან საქართველოს იმპორტი ყოველწლიურად იზრდება. კერძოდ, თუ კი 2015 წელს ზემო აღნიშნული ქვეყნებიდან საქართველოში $1 967.84 მილიარდი ღირებულების იმპორტი განხორციელდა, 2018 წელს იმპორტის საერთო ღირებულებამ უკვე $2 694.41 მილიარდი შეადგინა. გამონაკლისი 2019 წელი იყო, როცა იმპორტის მოცულობა უმნიშვნელოდ შემცირდა და $2 438.55 მილიარდი შეადგინა. (geostat.ge, 2020)

იმპორტის მსგავსად 2016 წლიდან დსთ-ის ქვეყნებში ქართული პროდუქციის ექსპორტიც მნიშვნელოვნად გაიზარდა. კერძოდ, აღნიშნული პერიოდიდან 2019 წლის ბოლომდე საქართველოს ექსპორტი 171.59%-ით, $737.52 მილიონიდან $2 003.07 მილიარდამდე გაიზარდა. (geostat.ge, 2020) აღნიშნული ზრდის მიზეზი მანამდე არსებული მკვეთრი შემცირება იყო, რომელიც თავის მხრივ რუსეთ-უკრაინის ომითა და რეგიონში მიმდინარე ეკონომიკური პრობლემებით იყო გამოწვეული. ექსპორტის მოცულობის ამგვარი ცვლილება, ნათლად მიუთითებს დსთ-ის რეგიონის ქვეყნების მოწყვლადობას მსგავსი ეკონომიკური და პოლიტიკური შოკებისადმი. ეს გარემოება საქართველოსთვისაც გასათვალისწინებელია, რადგან რეგიონის ქვეყნებთან ვაჭრობის ურთიერთობებზე დიდი დოზით დამოკიდებულება მომავალში მსგავსი შოკების არსებობის შემთხვევაში, საქართველოს საექსოპორტო პოტენციალის განვითარებაზე შესაძლოა მკვეთრად უარყოფითად აისახოს.

საქართველოს თავისუფალი ვაჭრობის შეთანხმებების საკვანძო-საორიენტაციო მიმართულებაა: *DCFTA - ღრმა და ყოვლისმომცველი თავისუფალი ვაჭრობის შეთანხმება* ევროკავშირმა საქართველოსთან ვაჭრობის ლიბერალიზების პოლიტიკური ნება ევროპული საბჭოს 2008 წლის 1 სექტემბრის გადაწყვეტილებით დაადასტურა. 2008 წლის შემოდგომაზე ევროკომისიას დაევალა შეეფასებინა საქართველოს მზაობა ღრმა და ყოვლისმომცველი თავისუფალი ვაჭრობის შესახებ შეთანხმების თაობაზე მოლაპარაკებების დასაწყებად. ამ მიზნით ევროკომისიამ განსაზღვრა ოთხი პრიორიტეტული სფერო: ტექნიკური ბარიერები ვაჭრობაში, სანიტარიული და ფიტოსანიტარიული ღონისძიებები, ინტელექტუალური საკუთრების უფლებები და კონკურენცია. ევროკომისიის მოთხოვნის თანახმად,

რეკომენდებულ სფეროებში (გარდა ინტელექტუალური საკუთრებისა) საქართველოს მთავრობას მომდენო წლებში უნდა შეემუშავებინა მოქმედების შესაბამისი სტრატეგიები. (dcfta.org.ge)

საქართველოსა და ევროკავშირს შორის თავისუფალი ვაჭრობის გაფორმების შესახებ მოლაპარაკებები 2011 წლის დეკემბერში დაიწყო. ექვს რაუნდიანი მოლაპარაკებების პროცესი 2013 წლის ზაფხულში დასრულდა, რის შემდეგაც 2013 წლის 28-29 ნოემბერს, ვილნიუსში, "აღმოსავლეთ პარტნიორობის" სამიტის ფარგლებში, ასოცირების შეთანხმების პარაფირება მოხდა. ერთი წლის შემდეგ, 2014 წლის 27 ივნისს, ბრიუსელში ხელი მოეწერა საქართველოსა და ევროკავშირს შორის ასოცირების შეთანხმებას, რომლის განუყოფელი და მნიშვნელოვანი ნაწილია შეთანხმება თავისუფალი ვაჭრობის შესახებ. (eu.europe.eu, 2020) ასოცირების შემთანხმების რატიფიცირება საქართველოს პარლამენტმა 2016 წლის 18 ივლისს მოახდინა.

ასოცირების ხელშეკრულების ნაწილი, რომელიც ხელმომწერ მხარეებს შორის თავისუფალი ვაჭრობის რეჟიმის ამოქმედებას ეხებოდა 2014 წლის 1 სექტემბერს ამოქმედდა. ასოცირების შესახებ შეთანხმების დანარჩენი ნაწილი კი, ევროკავშირის მხრიდან 2016 წლის 1 ივლისიდან ამოქმედდა.

საქართველოსა და ევროკავშირს შორის გაფორმებული ღრმა და ყოვლისმომცველი თავისუფალი ვაჭრობის შეთანხმება (DCFTA) თავისი არსით უნიკალურია, რადგან თავისუფალი ვაჭრობის სხვა შეთანხმებებისგან განსხვავებით, იგი უფრო ყოვლიმომცველია და თანამშრომლობის მრავალ ასპექტს აერთიანებს. შეთანხმება საქართველოსა და ევროკავშირს შორის საქონლითა და მომსახურებით ვაჭრობის ლიბერალიზებასაც გულისხმობს. DCFTA საქართველოს საშუალებას აძლევს, ევროკავშირის ოთხი თავისუფლებიდან, მიიღოს სამი, კერძოდ საქონლის, მომსახურების, და კაპიტალის გადაადგილების თავისუფლება.

შეთანხმება, საქართველოსა და ევროკავშირს შორის გაფორმებული ასოცირების ხელშეკრულების ნაწილია. იგი განსაზღვრავს ორ მხარეს შორის ვაჭრობისა და ეკონომიკური თანამშრომლობის საკითხებს და მოიცავს ვაჭრობის სატარიფო და არასატარიფო ბარიერების შესახებ შეთანხმების ორივე მხარის მიერ ნაკისრ ვალდებულებებს.

ევროკავშირთან გაფორმებული თავისუფალი ვაჭრობის შესახებ შეთანხმება, ბარიერების გარეშე საქონლითა და მომსახურებით ვაჭრობის გარდა საქართველოსთვის მნიშვნელოვან ინსტიტუციურ ჩარჩო დოკუმენტს წარმოადგენს. ვაჭრობის ლიბერალური შეთანხმების გარდა, იგი მოიცავს რეფორმების მსხვილ პაკეტს, რომელიც საშუალო და გრძელვადიან პერიოდში საქართველოს ვალდებულებას აკისრებს, რომ მოახდინოს ქვეყნის კანონმდებლობის მნიშვნელოვანი დაახლოება ევროკავშირის კანონმდებლობასთან, ასევე მოახდინოს მრავალი სფეროს რეფორმირება და მიღწეული შედეგებით განავითაროს თავისი ეკონომიკა.

გარდა ამისა, შეთანხმება მოიცავს ვაჭრობის საკითხებთან დაკავშირებული ფართო სპექტრში (მაგ: სურსათის უვნებლობა, კონკურენციის პოლიტიკა, ინტელექტუალური საკუთრების დაცვა, ფინანსური მომსახურება და სხვა) საქართველოს კანონმდებლობის ეტაპობრივ დაახლოებას ევროკავშირის კანონმდებლობასთან.

ევროკავშირთან გაფორმებული თავისუფალი ვაჭრობის შესახებ შეთანხმება 15 თავს მოიცავს. ესენია: (ec.europa.eu, 2020)

- საქონლით ვაჭრობა;
- დაცვითი ზომები ვაჭრობაში;
- ტექნიკური ბარიერები ვაჭრობაში, სტანდარტიზაცია, მეტროლოგია, აკრედიტაცია და შესაბამისობის შეფასება;
- სანიტარული და ფიტოსანიტარული ზომები;
- საბაჟო სტრუქტურებისა და ვაჭრობის ხელშეწყობა;
- მომსახურებით ვაჭრობა და ელექტრონული კომერცია;
- მიმდინარე გადახდები და კაპიტალის მოძრაობა;
- სახელმწიფო შესყიდვები;
- ინტელექტუალური საკუთრების უფლებები;
- კონკურენცია;
- ვაჭრობასთან დაკავშირებული დებულებები ენერგეტიკის სფეროში;
- გამჭვირვალობა;
- ვაჭრობა და მდგრადი განვითარება;
- დავების მოგვარება;
- დაახლოების ზოგადი დებულებები;

აღნიშნული თავები თავის მხრივ რეგულაციებისა და ნორმატივების ფართო სპექტრს აერთიანებს, რომელიც განხორციელების შემთხვევაში საქართველოს ეკონომიკის ევროპულ სისტემაში ინტეგრაციის მყარ საფუძველს შექმნის.

შეთანხმების მნიშვნელოვანი ნაწილი განსაზღვრულია საქონლით ვაჭრობის თავში. სადაც მითითებულია, რომ აღნიშნული შეთანხმება *საქონლით ორმხრივი ვაჭრობის პირობებს* არეგულირებს, რომლის საფუძველი საბაჟო გადასახადების ლიბერალიზებაა. შეთანხმების მიხედვით, არც ერთ მხარეს არ აქვს უფლება დააწესოს ან შეინარჩუნოს საბაჟო ან სხვა ეკვივალენტური გადასახადი მეორე მხარის ტერიტორიაზე წარმოშობილი საქონლის ექსპორტზე. რაც შეეხება იმპორტს, ევროკავშირი ტოვებს საბაჟო გადასახადს ქართული ნიორის იმპორტზე, თუ ის გადააჭარბებს წინასწარ დადგენილ კვოტას. (220 ტონა წლიურად). თუმცა, უნდა აღინიშნოს, რომ ეს კვოტა დიდ გავლენას ვერ ახდენს საქართველოს საექსპორტო პოტენციალზე, რადგან საქართველო ნივრის ექსპორტიორი ქვეყანა არ არის. ის მოცულობა კი რაც ქვეყანაში ყოვეწლიურად იწარმოება, სრულად ვერც სამამულო მოთხოვნას აკმაყოფილებს, ანუ პროდუქციის ევროკავშირის ბაზარზე ექსპორტის შემთხვევაში, დადგენილ კვოტაზე გადაჭარბების შანსი მცირეა.

შეთანხმებით ასევე განისაზღვრება *ვაჭრობაში დაცვითი ღონისძიებების* გამოყენების შემთხვევაში მაქსიმალური გამჭვირვალობის უზრუნველყოფა. ეს მოიცავს ვაჭრობაში დაცვითი, ანტიდემპინგური და სუბსიდიების საწინააღმდეგო ზომების გამოყენების პირობების რეგულირებას. ვაჭრობაში დაცვითი ზომების გამოყენების შემთხვევაში მხარეები ვაჭრობის მსოფლიო ორგანიზაციის (ვმო) შესაბამისი ხელშეკრულებებით ხელმძღვანელობენ. მოცემული შეთანხმებით განსაზღვრულია, რომ საქონლის იმპორტისას, დემპინგის, გადაჭარბების ან სუბსიდირების შემთხვევაში, მხარეებს უფლება აქვთ ვმო-ს შეთანხმებებით გათვალისწინებული პროცედურებით, ვაჭრობაში დაცვით ზომებს მიმართონ.

შეთანხმება ასევე ითვალისწინებს (dcfta.gov.ge) საქართველოში *ხარისხის სტანდარტებისა და ტექნიკური რეგლამენტების,* მეტროლოგიის, ბაზრის ზედამხედველობის, აკრედიტაციისა და საქონლის შესაბამისობის შეფასების მექანიზმების ევროკავშირის შესაბამის სისტემებთან დაახლოებას, რაც, თავის მხრივ, საქართველოსა და ევროკავშირის როგორც ნორმატიულ, ისე ინსტიტუციურ დაახლოებას გულისხმობს.

შესაბამისი თავის დანართებში ასევე გაწერილია კანონმდებლობის ეტაპობრივი დაახლოების როგორც ჰორიზონტალური, ისე სექტორული პრიორიტეტები, რომლის მიხედვით: (economy.ge)

- კანონმდებლობასთან ჰორიზონტალური დაახლოების მიმართულება მოიცავს ევროკავშირის კანონმდებლობასთან დაახლოებას ზემოთ ჩამოთვლილი სფეროების მოწყობისა და ფუნქციონირების ზოგადი პრინციპების საქართველოს კანონმდებლობაში ასახვით;
- კანონმდებლობის სექტორული დაახლოების მიმართულება კი მოიცავს ევროკავშირის ძირითადი მიდგომებისა და პოლიტიკის გადმოტანას საქართველოს კანონმდებლობაში.

ძირითადად ეს მითითებები ეხება სამრეწველო პროდუქციას და მოიცავს 21 ევროპულ მიმართულებას.

ამ ეტაპზე საქართველოს მიღებული აქვს 6 ევროპული მითითება. 15 მითითება კი ხელშეკრულების ძალაში შესვლიდან 8 წლის განმავლობაში შესრულდება ეტაპობრივად ისე, რომ სამამულო ბიზნესის ფუნქციონირება არ შეფერხდეს. (www.economy.ge)

შეთანხმების ძირითადი ნაწილი გულისხმობს *სანიტარიულ და ფიტოსანიტარიულ ღონისძიებებს* დაქვემდებარებული საქონლით ვაჭრობის ხელშეწყობას. ამავდროულად, ადამიანების, ცხოველებისა და მცენარეების ჯანმრთელობის დაცვისთვის განისაზღვრა შემდეგი ღონისძიებების გატარება:

- ვაჭრობასთან დაკავშირებული სანიტარიული და ფიტოსანიტარიული რეფორმების სრული გამჭვირვალობის უზრუნველყოფა;
- საქართველოს კანონმდებლობის ევროკავშირის შესაბამის საკანონმდებლო ბაზასთან დაახლოება;
- საქართველოსა მიერ სანიტარიული და ფიტოსანიტარიული ღონისძიებების გატარებისას ევროკავშირთან თანამშრომლობის გაღრმავება.

შეთანხმებიდან გამომდინარე, საქართველო ვალდებული გახდა თავისი საკანონმდებლო ბაზა ევროპულ სანიტარიულ და ფიტოსანიტარიულ კანონმდებლობასთან დააახლოვოს. საქართველოსა და ევროკავშირს შორის სანიტარიულ და ფიტოსანიტარიულ კონტროლს დაქვემდებარებული პროდუქციით

ვაჭრობისას, ქვაკუთხედს წარმოადგენს საკანონმდებლო და ნორმატიული ბაზების სინქრონიზაცია. ამიტომ ასოცირების შეთანხმების ძალაში შესვლის შემდეგ 6 თვის ვადაში საქართველოს უნდა დაემუშავებინა იმ ევროპული საკანონმდებლო აქტების ნუსხა, რომელთანაც მოხდებოდა ქართული კანონმდებლობის ეტაპობრივი დაახლოება.

სანიტარიული და ფიტოსანიტარიული სფეროს გაუმჯობესებით ევროპულ სტანდარტებთან დაახლოება, გაზრდის ქართული პროდუქციის ხარისხს და აამაღლებს მსოფლიო ბაზრებზე მის სანდოობას, რაც ხელს შეუწყობს ქართული ექსპორტის ზრდას, გარდა ამისა, ქართველ მომხმარებლისთვის უსაფრთხო და უვნებელი პროდუქტი მიწოდებას, ქართველი ექსპორტიორებისათვის საექსპორტო ხარჯები მემცირებას, აგრეთვე სასოფლო-სამეურნეო საწარმოების მოდერნიზებას და ქართული აგრარული პროდუქციის კონკურენტუნარიანობა ამაღლებას.

ევროკავშირთან თავისუფალი ვაჭრობის შეთანხმება ასევე მოიცავს მხარეებს შორის *საბაჟო საკითხებში თანამშრომლობასა და პროცედურების გამჭვირვალობას.* კონკრეტულად კი, შეთანხმების ძალაში შესვლიდან 4 წლის ვადაში ქართულმა მხარემ ქართული საკანომდებლო ბაზის 1992 წლის 12 ოქტომბრის ევროკავშირის საბჭოს რეგულაციასთან (ევროკავშირის საბაჟო კოდექსი) დაახლოების ვალდებულება აიღო, რაც საქართველოსა და ევროკავშირის ბიზნესის წარმომადგენლებისთვის ერთნაირი საბაჟო რეგულირების გარემოს შექმნის მიზნით, საქართველოს საბაჟო სისტემაში ევროკავშირში მოქმედი საბაჟო პროცედურების დანერგვას გულისხმობს; ასევე საქართველოს დაეკისრა ვალდებულება, რომ შეუერთდეს საქონლით ვაჭრობისას გამარტივებული პროცედურებისა და ტრანზიტის საერთო პროცედურების შესახებ 1987 წლის 20 მაისის კონვენციას; გარდა ამისა, საქართველომ ევროკავშირში მოქმედ შესაბამის რეგულაციებსა და დირექტივებს, უნდა დაუახლოვოს სახელმწიფო საზღვრებზე ინტელექტუალური საკუთრების დაცვის მარეგულირებელ წესები რაც საქართველო-ევროკავშირს შორის ექსპორტ/იმპორტის პროცედურებს გაამარტივებს.

შეთანხმება ასევე მხარეებს ავალდებულებს, ჰქონდეთ *კონკურენციის მარეგულირებელი კანონმდებლობა* და აღმასრულებელი ორგანო. თუმცა, არ იზღუდება მხარეების მიერ ადგილობრივი კანონმდებლობის შესაბამისად სახელმწიფო მონოპოლიების შენარჩუნება, სახელმწიფო საწარმოების შექმნა ან საწარმოსათვის სპეციალური ან ექსკლუზიური უფლების მინიჭება. ამ კუთხით

ევროკავშირისა და ქართული კანონმდებლობის დაახლოება, საქართველოს საშუალებას მისცემს ჩამოაყალიბოს თავისუფალი, კონკურენტული და ევროკავშირის მოთხოვნებთან თავსებადი ბაზარი.

თავისუფალი ვაჭრობის შესახებ შეთანხმება ასევე მოიცავს, როგორც *ენერგორესურსებით თავისუფალი ვაჭრობის,* ისე მხარეებს შორის მისი თავისუფალი და შეუფერხებელი ტრანზიტის უზრუნველყოფის ვალდებულებას. გამომდინარე იქიდან, რომ ენერგორესურსებით ვაჭრობა სხვა სფეროებისგან განსხვავებით, მოიცავს ენერგიის გადაცემას წინასწარ განსაზღვრული გადამცემი სატრანსპორტო ინფრასტრუქტურის მეშვეობით მიმწოდებლიდან დანიშნულების პუნქტამდე და ბუნებრივად არის მონოპოლიური საქმიანობა, ენერგიის მიწოდების უსაფრთხოების თვალსაზრისით, თავისუფალი ტრანზიტის დაშვება მთავარი წინაპირობაა.

იმისათვის, რომ ენერგიის გადაცემა (ტრანზიტი) იყოს გამჭირვალე და არადისკრიმინაციული, ხოლო ამასთან ერთად ყველა მსურველს შეეძლოს აღნიშნული მომსახურებით სარგებლობა, არსებული შეთანხმება ავალდებულებს მხარეებს:

- დაიცვან და უზრუნველყონ ენერგოპროდუქტების თავისუფალი გატარება მათ ტერიტორიებზე;
- მიიღონ ყველა შესაბამისი ზომა ტრანზიტის პროცესში ენერგოპროდუქტების ნებისმიერი სახით უკანონო მითვისების თავიდან ასაცილებლად;
- გააძლიერონ დამოუკიდებელი მარეგულირებელი ორგანოს როლი, რომელიც უზრუნველყოფს ბუნებრივად მონოპოლიური საქმიანობის რეგულირებას შესაბამისი გამჭირვალე სატარიფო პოლიტიკის შექმნით.

ყოველივე ზემოთ აღნიშნული ხელს შეუწყობს მომსახურების ხარისხის გაზრდას, ბაზარზე კონკურენციული გარემოს ჩამოყალიბებას და შედეგად, ენერგორესურსების მიწოდების უსაფრთხოებას შეთანხმების მხარეთათვის.

ევროკავშირთან თავისუფალი ვაჭრობის შეთანხმების აღნიშნული კომპონენტი საქართველოსთვის, როგორც ჰიდრო და ენერგო რესურსების პოტენციალის მქონე ქვეყნისთვის, ახალი საექსპორტო ბაზრების მოძიებისა და ამ კუთხით თავისი ექსპორტის განვითარებისა და მისი დივერსიფიცირების შესაძლებლობას ქმნის. ამასთან, ეს გარემოაბა ევროკავშირის ქვეყნებიდან საქართველოში ინვესტიციების ზრდას და სხვადასხვა საინტერესო პროექტის განხორციელებას ხელს შეუწყობს.

ევროკავშირთან ასოცირების შეთანხმების ეკონომიკური ნაწილი 2014 წლის 1 სექტემბრიდან ამოქმედდა და ევროკავშირმა სრულად გახსნა თავისი ბაზარი საქართველოდან ექსპორტირებული საქონლისთვის და გააუქმა იმპორტის ტარიფები. ხოლო 2016 წლის 1 ივლისს შეთანხმება სრულიად შევიდა ძალაში.

DCFTA-ის სრულად ამოქმედების შემდეგ, მისი ეფექტიანად გამოყენების შემთხვევაში, საქართველოში წარმოებულ საქონელსა და მომსახურებას, შესაბამისი სტანდარტების დაკმაყოფილების შემთხვევაში, ეხსნება მსოფლოს უმსხილესი ბაზარი, რომელიც ამ ეტაპზე 27 ქვეყანას და 430 მილიონზე მეტ მომხმარებელს აერთიანებს. ამასთან, ევროკავშირის ბაზარზე მომხმარებელი მაღალი ყიდვითი უნარით გამოირჩევა. ცნობისთვის ევროკავშირს ქვეყნების საშუალო მსპ-ის (მთლიანი სამამულო პროდუქტი) მაჩვენებელი მომხმარებლის ყიდვითი უნარის (PPP) გათვალისწინებით - $43 737 შეადგენს, მაშინ როცა მსოფლიო ბანკის 2018 წლის მონაცემებით, საქართველოს ოთხი მთავარი ვაჭრობის პარტნიორის იგივე საშუალო მაჩვენებელი 2-ჯერ ნაკლებია– $20600. (World Bank, 2018)

*დიაგრამა 16.* საქართველოსა და ევროკავშირს შორის საგარეო ვაჭრობა 2005-2019 წ.




შედგენილია ავტორის მიერ საქსტატის მონაცემებზე დაყრდნობით (17.06.2020)

საქართველოსა და ევროკავშირს შორის ვაჭრობის ბრუნვა, 2005 წლიდან სტაბილურად მზარდია. *(დიაგრამა 16)* მართალია საქართველოს ექსპორტის ზრდის პარალელურად, იზრდება იმპორტიც, თუმცა თავისუფალი ვაჭრობის შეთანხმება ექსპორტსა და იმპორტს შორის დისბალანსის აღმოფხვრისათვის საქართველოს საექსპორტო პოტენციალს მნიშვნელოვნად ზრდის. მაგალითად 2014 წლიდან

საქართველოს ექსპორტი ევროკავშირში 32.4%-ით გაიზარდა და $624 მილიონიდან, $825 მლნ. შეადგინა, იმავე პერიოდში კი ევროკავშირის იმპორტი საქართველოში $2.37 მილიარდიდან $2.32 მილიარდამდე შემცირდა. (geostat.ge, 2020)

საკმაოდ ოპტიმისტურია სხვადასხვა კვლევითი ორგანიზაციების მიერ საქართველოსა და ევროკავშირს შორის თავისუფალი ვაჭრობის შედეგების შეფასება. წინასწარი გამოთვლებით, DCFTA-ს ამოქმედების შედეგად გენერირებული ეკონომიკური სარგებელი საქართველოსთვის საკმაოდ შთამბეჭდავი იქნება. ნავარაუდევია, მსპ-ის 6,5%-მდე გაზრდა. მომდევნო ხუთი წლის განმავლობაში საქართველოდან ექსპორტის მოცულობის 13.5%-ით ზრდა, ხოლო ევროკავშირიდან პირდაპირ უცხოურ ინვესტიციების ზრდა 2020 წლისათვის 11,5 მლრდ აშშ დოლარამდეა მოსალოდნელი. (Rinnert. D., 2011) გარდა ამისა, 2012 წელს კომპანია Ecorys-ის (ნიდერლანდები) და Case-ის (პოლონეთი) მიერ DCFTA-ის შედეგების შესახებ ჩატარებული ერთობლივი კვლევის მიხედვით, გრძელვადიან პერიოდში მოსალოდნელია საქართველოდან ევროკავშირში ექსპორტის 12%-ით, ხოლო იმპორტის 7.5%-ით გაზრდა. (Berden, 2012)

საქართველოსა და ევროკავშირს შორის თავისუფალი ვაჭრობის შესახებ შეთანხმების გაფორმებას, საქართველოს ექსპორტისთვის თავიდანვე ჰქონდა დადებითი ეფექტი. 2014 წელსვე, წინა წელთან შედარებით საქართველოს ექსპორტი 2.8%-ით გაიზრდა, მომდევნო წელს ზრდამ 3.4% შეადგინდა. 2016 წელს აღნიშნული მაჩვენებელი 12.4%-ით შემცირდა, ხოლო მომდევნო წელს კი კვლავ გაიზარდა 15.8%-ით. თუმცა, ეს ზრდა ძირითადად წინა წლის მკვეთრი კლებით იყო განპირობებული. 2018 და 2019 წელს კი, წინა წლის ანალოგიურ პერიოდებთან შედარებით ზრდამ 11.5% და 13% შეადგინდა. (Benashvili, 2020)

2014 წელს, წინა წელთან შედარებით, საქართველოს ექსპორტის ყველაზე დიდი ზრდა ევროკავშირის მასშტაბით ავსტრიაში დაფიქსირდა (734.8%), მას მოსდევდა სლოვენია (634.8%) და შვედეთი (279.4%). თუმცა, ამ ქვეყნების წილი მთლიან ექსპორტში უმნიშვნელო იყო და შესაბამისად მათი ჯამური მოცულობა ექსპორტის ზრდაში მხოლოდ 0.8%-ს შეადგენდა. ექსპორტის ზრდაში ყველაზე დიდი წვლილი ბულგარეთმა შეიტანა, სადაც 2014 წელს ქართული ექსპორტი 10.8%-ით ძირითადად 260300 კატეგორიის (სპილენძის მადნები და კონცენტრატები) ხარჯზე გაიზარდა. ექსპორტის ზრდაში დიდი წვლილი ჰქონდა ლიეტუვასა (1.6%) და ნიდერლანდებსაც

(1.4%), თუმცა მათ შემთხვევაში პროდუქტთა რომელიმე კატეგორიის დომინირებას ადგილი არ ჰქონია.

2015 წელს, წინა წლის ანალოგიურ პერიოდთან შედარებით საქართველოს ექსპორტის ყველაზე დიდი ზრდა ირლანდიაში (1314.3%), ხორვატიაში (955.2%), რუმინეთში (528.4%), მალტაში (488.1%) და პოლონეთში (184.4%) დაფიქსირდა. თუმცა, მათგან მხოლოდ რუმინეთისა და პოლონეთის წილი შეადგენდა ექსპორტის საერთო ზრდაში მაღალ წილს - 3-3%-ს, სხვა ზემოთჩამოთვლილი ქვეყნების წილი კი ზრდის საერთო მაჩვენებელში უმნიშვნელო იყო. (geostat.ge, 2020)

მსგავსად 2014 წლისა, 2015 წელსაც ექსპორტის მთლიან ზრდაში დიდი წილი კვლავ ბულგარეთს ჰქონდა(7.6%). ზემოთ ჩამოთვლილ ქვეყნებში, სადაც ექსპორტი გაიზარდა, ძირითად საექსპორტო საქონელს ისეთი პროდუქცია შეადგენდა, რომელიც გასულ წლებში საერთოდ არ იყიდებოდა. ამასთან, ექსპორტის ზრდისას ნაკლებად ხდებოდა პროდუქციის დივერსიფიკაცია. მაგალითად, ირლანდიაში ექსპორტის ზრდა ძირითადად 300490 კატეგორიის (სამკურნალო საშუალებები, შედგენილი ან შერეული პროდუქტებისგან) საქონელზე მოდიოდა, რომლის ექსპორტიც გასულ წელს ამ ქვეყანაში საერთოდ არ განხორციელებულა. რაც შეეხება ხორვატიას, ექსპორტის ზრდა ძირითადად 852560 კატეგორიის (გადამცემი აპარატურა რადიომაუწყებლობისთვის ან ტელემაუწყებლობისთვის) საქონელს შეეხო, რომელიც გასულ წელს ამ ქვეყანაში ექსპორტზე არ გასულა, ხოლო 2015 წლისათვის მისი წილი ხორვატიაში განხორციელებულ ქართულ ექსპორტში 70.8% შეადგენდა. რუმინეთში კი ექსპორტის ზრდა ორ საქონლის ორ ძირითად კატეგორიას შეეხო - (ამონიუმის ნიტრატი, მინერალური ან ქიმიური, აზოტოვანი სასუქი) და (ნედლი ნავთობი და ნედლი ნავთობპროდუქტები). ჯამურად კი ორივე კატეგორიაში შემავალი პროდუქტიის საექსპორტო ღირებულება $26.31 მლნ დოლარს შეადგენდა (მთლიანი ექსპორტის 97.6%) რუმინეთის მსგავსად, ზემოთხსენებული 310240 კატეგორიის პროდუქცია შეადგენდა საექსპორტო საქონლის 69.2% პოლონეთშიც, ხოლო გასულ წელს ამ ქვეყანაში ასევე ეს პროდუქცია ექსპორტზე არ გასულა.

2016 წელს (geostat.ge, 2020) ექსპორტის მაჩვენებლის ყველაზე დიდი ზრდა წინა წელთან შედარებით დაფიქსირდა პორტუგალიაში (878.2%), მალტასა (476.2% და დანიაში (174.6%). მსგავსად გასული წლებისა, ექსპორტის ზრდის მაღალი მაჩვენებლის მიუხედავად, ამ ქვეყნების წილი მთლიან ექსპორტში და შესაბამისად

ექსპორტის ზრდაშიც, მცირე იყო. პორტუგალიაში ქართული ექსპორტის უდიდეს ნაწილს 720230 კატეგორიის საქონელი (ფეროსილიკომანგანუმი) წარმოადგენდა. მალტაში ექსპორტი ძირითადად 271019 კატეგორიის (საშუალო და მძიმე დისტილატები, ნავთობი და ნავთობპროდუქტები და სხვა) საქონელს მოიცავდა, ხოლო დანიაში ქართულ ექსპორტს უმეტესად 120999 კატეგორიის (ტყის ხეების, ყვავილები) 120930 კატეგორიის (ყვავილიანი ბალახოვანი მცენარეების გარდა და დანარჩენი მცენარეების თესლები სათესად და 080222 (ახალი ან ხმელი ნაჭუჭგაცლილი, ტყის კაკალი ანუ თხილი) კატეგორიების საქონელი შეადგენდა.

2016 წელს (geostat.ge, 2020) ექსპორტის ზრდაში ყველაზე დიდი წვლილი (1.5%-1.5%) რუმინეთსა და გერმანიაში ექსპორტმა შეიტანა. რუმინეთში წინა წლის მსგავსად ექსპორტის მნიშვნელოვან წილს შეადგენდა შემდეგი კატეგორიები: 270900 (ბიტუმოვანი მინერალებისაგან მიღებულინედლი ნავთობი და ნავთობპროდუქტები - $22.198 ათასი და 310230 (ამინიუმის ნიტრატი, მინერალური ან ქიმიური აზოტოვანი სასუქი) - $3.256 ათასი. გარდა ზემოთხსენებული კატეგორიებისა, რუმინეთში ექსპორტში დიდი წილი დაიკავა 260300 (სპილენძის მადნები და კონცენტრატები) კატეგორიაში შემავამა საქონელმაც. რაც შეეხება გერმანიას, ექსპორტმა $85.352 ათასი შეადგინა. თუმცა, ამ შემთხვევაში იგი საკმაოდ დივერსიფიცირებული იყო, გამოკვეთილი დომინირებული სასაქონლო კატეგორია არ დაფიქსირებულა.

2017 წელს (geostat.ge, 2020) ევროკავშირში საქართველოს ექსპორტი, წინა წელთან შედარებით 15.8%-ით გაიზარდა. თუმცა, აღსანიშნავია რომ ასეთი მაღალი ზრდა ძირითადად წინ წლის ვარდნით იყო განპირობებული. ექსპორტის განსაკუთრებით მაღალი ზრდა დაფიქსირდა ლუქსემბურგში ექსპორტის მიმართულებით (5081.4%), რაც 720230 კატეგორიის საქონლის (ფეროსილიკომანგანუმი) ერთჯერადი მაღალი ექსპორტის შედეგია. კვლავ მაღალი იყო მალტაში ექსპორტის ზრდა (982.8%). მას ასევე დიდი წვლილი ჰქონდა მთლიან ზრდაშიც - 3.0%. ექსპორტის ზრდა წინა წლების მსგავსად ძირითადად 272019 კატეგორიის ხარჯზე მოხდა (ნავთობი, ნავთობპროდუქტები და სხვა) და მიმდინარე წლისთვის $19.079 ათასი შეადგინა. ამ წელს ექსპორტის მაღალი ზრდა დაფიქსირდა ასევე სლოვენიაში (673.1%), ავსტრიაში (620.8%), კვიპროსში (359.4%), შვედეთში (335.9%), ბელგიაში (134.2%), ესტონეთში (120.1%), პოლონეთსა (118.5) და რუმინეთში (104.9%). მათგან სლოვენიასა და შვედეთში ექსპორტი ძალიან მცირე იყო, ამიტომ ამ ქვეყნებში ექსპორტის ზრდას

მთლიან ზრდაში დიდი წვლილი არ შეუტანია. ბოლო წლების მსგავსად ექსპორტის ზრდაში დიდი წვლილი შეიტანა რუმინეთსა და ბულგარეთში ექსპორტის მაჩვენებლმა. თუმცა, ორივე ქვეყნის შემთხვევაში, ექსპორტი ნაკლებად დივერსიფიცირებული იყო და ძირითადად ერთი კატეგორიის საქონელს შეადგენდა. კერძოდ, რუმინეთში მთლიანი ექსპორტის 76.7% ($57.545 ათასი) 260300 კატეგორიის საქონელმა შეადგინა, ხოლო ბულგარეთში მსგავსად ბოლო წლებისა მთლიანი ექსპორტის 87.8% ($156.992 ათასი) 260300 კატეგორიის საქონელი იყო.

2018 წელს საქართველოსა და ევროკავშირს შორის სავაჭრო ბრუნვა გაიზარდა 17,7%-ით გაიზარდა და $3 359.4 მლნ. შეადგინა. ამ მაჩვენებლით ევროკავშთან ვაჭრობამ საქართველოს სავაჭრო ბრუნვის 26.9% დაიკავა. 2018 წელს ევროკავშირში საქართველოს ექსპორტმა - $730.3 მლნ. შეადგინა, 11.5 %-ით მეტი ვიდრე წინა წელს, რაც საქართველოს მთლიანი ექსპორტის 21.7% იყო. იმპორტმა კი $2 629.1 მლნ, გასულ წელთან შედარებით 19.5%-ით მეტი და საქართველოს იმპორტის 28.8% შეადგინა.

2018 წელს ევროკავშირში საქართველოს ექსპორტის 10 ძირითადი საექსპორტო პროდუქციის წილმა, ევროკავშირში მთლიანი ექსპორტის 77.9% შეადგინა. ძირითადი საექსპორტო საქონლის ჩამონათვალი გასული წლების იდენტურია. 2018 წელს მათი ჩამონათვალი შემდეგნაირად გადანაწილდა:

სპილენძის მადნები და კონცენტრატები - $325 მლნ. აშშ (წილი - 44.5%); აზოტოვანი სასუქები - $45.7 მლნ. (წილი - 6.2%); სპირტიანი სასმელები - $42.3 მლნ. (წილი - 5.8%); თხილი - $36.5 მლნ. (წილი - 5%); საზურავები - $30.9 მლნ. (წილი - 4.2%); ნავთობპროდუქტები - $29.5 მლნ. (მ.შ. რეექსპორტი 33%) (წილი - 4%); ღვინო - $18.6 მლნ. (წილი - 2.5%); მინერალური წყლები - $16.2 მლნ. (წილი - 2.2%); ფეროშენადნობები - $14.6 მლნ. (წილი - 2%); მსუბუქი ავტომობილები - $10.8 მლნ. (წილი - 1.5%).

2018 წელს ევროკავშირიდან საქართველოში 10 ძირითადი საიმპორტო პროდუქციის წილმა, ევროკავშირიდან მთლიანი იმპორტის 38.5% შეადგინა. აღსანიშნავია, რომ 2018 წელს ევროკავშირში საქართველოს სასოფლო-სამეურნეო პროდუქციის ექსპორტი 6%-ით ($7.9 მილიონი) გაიზარდა და $148 მლნ. შეადგინა, ხოლო სამრეწველო პროდუქციის ექსპორტი გაიზარდა 13%-ით ($67.3 მილიონით მეტი) და $582.3 მლნ. შეადგინა.

*დიაგრამა 17.* საქართველოს ექსპორტი ევროკავშირში სასაქონლო პოზიციების მიხედვით 2019 წელი




შედგენილია ავტორის მიერ საქსტატის მონაცემებზე დაყრდნობით (22.06.2020)

2019 წელს ევროკავშირის ქვეყნებში საქართველოს ექსპორტის 56% სპილენძის მადნები და კონცენტრატები შეადგენდა. *(დიაგრამა 17)* ამ მაჩვენებლით, პროდუქციის აღნიშნული კატეგორია საექსპორტო საქონლის ათეულში პირველ პოზიციას იკავებს. 2019 წელს ძირითადი საექსპორტო საქონლის ათეულში მოხვდა თხილი, რომელიც ამ პერიოდში მთლიანი ექსპორტის 5% შეადგენდა ($41.48 მლნ). ევროკავშირი ქართული თხილისთვის ერთ-ერთი მთავარი საექსპორტო ბაზარია. 2019 წელს გასულ წელთან შედარებით ევროკავშირის ქვეყნებში ქართული თხილის ექსპორტი 19.51%-ით გაიზარდა. აღნიშნულ ზრდას 2016 წლის შემდეგ თხილის ექსპორტის შემცირება 34.4%-ით შემცირება უძღოდა წინ.

ბოლო წლებია ევროკავშირის ქვეყნებში საქართველოს მთავარი საექსპორტო პროდუქციის ჩამონათვალში უცვლელი ადგილი აქვს ამონიუმის ნიტრატს. 2019 წელს აღნიშნული პროდუქციის ექსპორტმა მთლიანი ექსპორტის 4% - $36.95 მლნ შეადგინა. წამყვანი საექსპორტო პროდუქციის სიაში ასევე დომინირებს ღვინო - $20.32 მლნ. და მინერალური წყლები - $15.58 მლნ. (geostat.ge, 2020)

მთლიანობაში, ევროკავშირის ქვეყნებში საქართველოს საექსპორტო პროდუქციის ძირითად ნაწილს არა მზა საქონელი არამედ კვლავ ნედლეული შეადგენს, რომელიც ერთი მხრივ მოწყვლადია საგარეო და მიწოდების შოკებისადმი და მეორე მხრივ კი

სამამულო წარმოების განვითარებაშიც ნაკლები წვლილი შეაქვს. რაც საქართველოს ექსპორტის ერთ-ერთი ყველაზე დიდი პრობლემაა.

გარდა ამისა, საყურადღებოა რომ ევროკავშირში ექსპორტის ზრდაში ძირითადი წილი რამდენიმე ტრადიციულ ქვეყანაზე მოდის (ბულგარეთი, რუმინეთი, მალტა), რაც ახალი ბაზრების ათვისების შესაძლებლობას ტოვებს. თავისუფალი ვაჭრობის რეჟიმის ეფექტიანი გამოყენების შემთხვევაში ევროკავშირში საექსპორტო ბაზრების მეტი დივერსიფიცირება და ექსპორტის სტრუქტურის ცვლილება შესაძლებელია, რასაც მომდევნო თავში განვიხილავთ.

*დიაგრამა 18.* საქართველოს იმპორტი ევროკავშირიდან სასაქონლო პოზიციების მიხედვით 2019 წელი




შედგენილია ავტორის მიერ საქსტატის მონაცემებზე დაყრდნობით (25.06.2020)

ევროკავშირის ქვეყნებში საქართველოს ექსპორტის სტრუქტურისგან განსხვავებით, მნიშვნელოვნად დივერსიფიცირებულია საქართველოს იმპორტი ევროკავშირიდან. 2019 წლის სტატისტიკური მონაცემებიდან ირკვევა, რომ ევროკავშირის ქვეყნებიდან საქართველოში იმპორტირებული პროდუქციის ტოპ 10 სასაქონლო პოზიცია, მთლიანი იმპორტის მხოლოდ 28% შეადგენს. იმპორტის დანარჩენი 72% კი ასობით სხვა პოზიციაზეა გადანაწილებული, რაც მის მრავალფეროვნებაზე მიუთითებს. *(დიაგრამა 18)*

სტატისტიკური მონაცემების მიხედვით, (geostat.ge, 2020) 2019 წელს ევროკავშირიდან იმპორტის ყველაზე დიდი წილი სხვადასხვა სახეობის

ნავთობპროდუქტებზე მოდის, რაც მთლიანი იმპორტის 13% შეადგენდა. ევროკავშირიდან მთლიან იმპორტში დიდი წილი უკავია სხვადასხვას სახის ავტომობილებსაც. კერძოდ, მსუბუქი, სატვირთო, სანგრევი მანქანებისა და ტრაქტორების იმპორტის ჯამური წილი მთლიანი იმპორტის 4% შეადგენს.

წამორდგენილ სტატისტიკურ ინფორმაციაზე დაყრდნობით შეგვიძლია დავასკვნათ, რომ მიუხედავად ცალკეულ წლებში დაფიქსირებული ნახტომისებურივარდნისა და ზრდისა, საერთო ჯამში ევროკავშირში საქართველოს ექსპორტი, ასოცირების ხელშეკრულების გაფორმების შემდეგ, გაიზარდა. თუმცა, აღსანიშნავია, რომ მიუხედავად ზრდის პოზიტიური ტენდენციისა საექსპორტო საქონლის დივერსიფიკაციის საკითხი კვლავ პრობლემად რჩება. აღსანიშნავია, რომ მნიშვნელოვნად არ შეცვლილა ევროკავშირის შიგნით, ძირითადი საექსპორტო ქვეყნების ჩამონათვალი. ეს ქმნის შესაძლებლობას, რომ მოხდეს ევროკავშირის წევრი ქვეყნების ახალ ბაზრებზე შეღწევა და მთლიანობაში ექსპორტის დივერსიფიკაცია.

საქართველოს თავისუფალი ვაჭრობის შეთანხმებების კიდევ ერთი მნიშვნელოვანი მიმართულებაა *საქართველო-ჩინეთის თავისუფალი ვაჭრობის შეთანხმება* საქართველოსა და ჩინეთს შორის პოლიტიკური და ეკონომიკური ურთიერთობების განვითარება 1990-იანი წლების დასაწყისიდანვე იწყება. 1992 წელს, ჩინეთის სახალხო რესპუბლიკა ერთ-ერთი პირველი იყო, ვინც საქართველოს დამოუკიდებლობა აღიარა და თბილისში თავისი საელჩო გახსნა. ამ პერიოდიდან ჩინეთსა და საქართველოს შორის ვაჭრობა სტაბილურად მზარდი დინამიკით ხასიათდება.

მსოფლიო ფინანსური კრიზისის შემდეგ, 2010 წლიდან ჩინეთსა და საქართველოს შორის ეკონომიკური და ვაჭრობის ურთიერთობები უფრო ინტენსიური გახდა. ამავე დროს კი, გაიზარდა მისი მნიშვნელობაც ორივე ქვეყნისთვის. (Benashvili, 2020). 2016 წელს, 2010 წელთან შედარებით ჩინეთში საქართველოს ექსპორტი 4.5-ჯერ, იმპორტი კი 1.6-ჯერ გაიზარდა. ვაჭრობის, განსაკუთრებით კი ექსპორტის მკვეთრი ზრდა, საქართველო-ჩინეთის ურთიერთობებს აღრმავებს.

2015 წლიდან საქართველოსა და ჩინეთს შორის თავისუფალი ვაჭრობის გაფორმების შესახებ მოლაპარაკებები დაიწყო. მხარეებს შორის, სულ მოლაპარაკებების სამი რაუნდი გაიმართა და ის მალევე, 7 თვეში დასრულდა. მოლაპარაკებებზე განიხილებოდა საქონლითა და მომსახურებით ვაჭრობა, სანიტარიული და ფიტოსანიტარიული ზომები, ვაჭრობის ტექნიკური ბარიერები,

ვაჭრობაში დაცვითი ზომები, წარმოშობის წესები, ინსტიტუციური დებულებები და გარემოს დაცვის საკითხები. (economy.ge) კერძოდ, მხარეები ვალდებულებას იღებენ, არ დააწესონ ან შეინარჩუნონ რაიმე ტიპის აკრძალვა ან რაოდენობრივი შეზღუდვა, რომელიც უკავშირდება მეორე მხარის ტერიტორიაზე წარმოებული საქონლის იმპორტს, მეორე მხარის ტერიტორიაზე შესასვლელად განკუთვნილი საქონლის ექსპორტს ან საექსპორტო საქონელს, გარდა ამ შეთანხმებაში არსებული საქონლის ჩამონათვალისა.

საქართველოსთვის ჩინეთთან თავისუფალი ვაჭრობის რეჟიმს დიდი მნიშვნელობა ჰქონდა, რადგან ბოლო წლებში ჩინეთში მზარდი ქართული ექსპორტის მიუხედავად, ადგილობრივი ფირმებისთვის მნიშვნელოვან გამოწვევად რჩებოდა საბაჟო გადასახადი, რომელიც 40% შეადგენდა. მაღალი სატარიფო განაკვეთების გამო, ხშირ შემთხვევაში ქართული პროდუქცია ჩინეთის ბაზარზე არაკონკურენტუნარიანი ხდებოდა. ჩინეთი კი, საქართველოსთან ეკონომიკური ურთიერთობების განვითარებას მისი გლობალური საგარეო პოლიტიკური დოქტრინის „ერთი სარტყელი და ერთი გზის ინიციატივის“ კონტექსტში განიხილავდა.

შეთანხმების მიხედვით (Benashvili, 2020). ჩინეთში ექსპორტისას ქართული პროდუქციის დაახლოებით 94 პროცენტი საბაჟო გადასახადისგან თავისუფლდება. საექსპორტო პროდუქციის ჩამონათვალშია ღვინო, თაფლი, თხილი, მინერალური წყალი, ლუდი, ჩაი, უალკოჰოლო სასმელები, წვენები, ხილი, ჯემები, შოკოლადის ნაწარმი, მარცვლეული, ბოსტნეული, სამკურნალო საშუალებები, კაბელები, პლასტმასის პროდუქცია, აზოტოვანი და მინერალური სასუქების სახეობები და ფეროსილიკომანგანუმი, ასევე თევზი და ზღვის სხვა პროდუქტები.

საქართველოსა და ჩინეთს შორის თავისუფალი ვაჭრობის შესახებ შეთანხმებას ხელი 2017 წლის 13 მაისს მოეწერა, ხოლო შეთანხმება ძალაში 2018 წლის 1 იანვრიდან შევიდა. (economy.ge, 2020) „ერთი სარტყელი და ერთი გზის“ ფარგლებში, ჩინეთის მიზანია ინიციატივის მონაწილე ყველა ქვეყანასთან თავისუფალი ვაჭრობის შეთანხმების გაფორმება. ამჟამად, ასეთი შეთანხმება პეკინს 16 ქვეყანასთან აქვს გაფორმებული, მათ შორისაა საქართველოც.

აღსანიშნავია, რომ 2018 წელს „ერთი სარტყლისა და ერთი გზის ინიციატივის ფარგლებში საქართველოსა და ჰონგ-კონგს (ჩინეთის სპეციალური

ადმინისტრაციული ერთეული) შორისაც გაფორმდა საქონლის თავისუფალი გადაადგილებისა და მომსახურებით ვაჭრობის ხელშეწყობის შესახებ შეთანხმება.

ჩინეთთან თავისუფალი ვაჭრობის რეჟიმის ამოქმედებით, ქართულ პროდუქციას მსოფლიოს უმსხვილესი ბაზარი გაეხსნა, რომელიც დაახლოებით 1.4 მილიარდ მომხმარებელს აერთიანებს. შეთანხმების მიხედვით, საბაჟო გადასახადისგან თავისუფლდება პროდუქციის 94%-მდე, მათ შორის ისეთი მნიშვნელოვანი საექსპორტო პროდუქცია როგორიცაა ღვინო, მინერალური წყალი, უალკოჰოლო სასმელები, ხილ-ბოსტნეული, თაფლი, თხილი, ჩაი, სამკურნალო საშუალებები და სხვა. შეთანხმება ასევე არასატარიფო ბარიერების ლიბერალიზაციასაც მოიცავს.

მართალია ჩინეთში ბოლო წლებში მზარდი ქართული ექსპორტისთვის თავისუფალი ვაჭრობის შეთანხმება დამატებითი სტიმულია, თუმცა ჩინურ ბაზარზე დამკვიდრება ქართული პროდუქციისთვის, სატარიფო ბარიერების გარდა, სხვა პრობლემებთანაც არის დაკავშირებული. ამაზე ზრდის ნელი დინამიკა და ნაკლებად დივერსიფიცირებული საექსპორტო პროდუქცია მიუთითებს.

საქართველოსა და ჩინეთს შორის ვაჭრობის ინტენსივობის ზრდა ორ ქვეყანას შორის თავისუფალი ვაჭრობის შეთანხმების გაფორმებამდე დაიწყო. 2015 წლიდან ჩინეთი ქართული ღვინის ერთ-ერთი მთავარი საექსპორტო ბაზარი გახდა. 2015 წელს ქართული ღვინის მთლიანი ექსპორტის 7.4% ჩინურ ბაზარზე მოხვდა (2 672 154 ბოთლი) და ამ მაჩვენებლით ქართული პროდუქციისთვის ნომერ მეოთხე ბაზარი გახდა. ღვინის ექსპორტის განსაკუთრებული ზრდა დაფიქსირდა 2016 წელს, როდესაც ამ მაჩვენებელმა ჩინეთის ბაზარზე 98% შეადგინა (5 299 149 ბოთლი) და მაჩვენებლით რუსეთისა (22 მილიონზე ბოთლზე მეტი) და უკრაინის (5.8 მილიონ ბოთლზე მეტი) შემდეგ მესამე ქვეყანა გახდა ქართული ღვინისთვის. (geostat.ge, 2020)

ოფიციალური სტატისტიკის მიხედვით, (geostat.ge, 2020) 2019 წელს საქართველოდან ჩინეთში $227.6 მილიონის ღირებულების ექსპორტი განხორციელდა. ამ მაჩვენებლით ჩინეთს საქართველოს საექსპორტო ბაზრების ათეულში მე-6 პოზიცია უკავია. ეს მაჩვენებელი მეტია 2018 ექსპორტის მაჩვენებელზე, რომელმაც $198 მლნ შეადგინა. აღსანიშნავია, რომ 2017 წელს, ვიდრე ქვეყნებს შორის თავისუფალი ვაჭრობის რეჟიმი ამოქმედდებოდა, საქართველოს ექსპორტის მაჩვენებელი ჩინეთში $201 მლნ-ს შეადგენდა. (geostat.ge, 2020)

ექსპორტისგან განსხვავებით, ჩინეთის იმპორტი საქართველოში გაცილებით უფრო მკვეთრად იზრდება. ამასთან, ის მაქსიმალურად დივერსიფიცირებულია. 2019 წელს საქსტატის ინფორმაციით, (geostat.ge, 2020) ჩინეთიდან საქართველოში $858.6 მლნ პროდუქცია შემოვიდა. *(დიაგრამა 19)*

*დიაგრამა 19.* საქართველოსა და ჩინეთის საგარეო ვაჭრობა 2005-2019 წ.




| | 2005 | 2006 | 2007 | 2008 | 2009 | 2010 | 2011 | 2012 | 2013 | 2014 | 2015 | 2016 | 2017 | 2018 | 2019 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| ექსპორტი | 5,59 | 10,3 | 8,27 | 8,99 | 5,96 | 27,0 | 28,9 | 25,6 | 33,9 | 90,3 | 125, | 174, | 201, | 198, | 227, |
| იმპორტი | 46,7 | 103, | 206, | 298, | 174,5 | 335, | 527, | 614, | 612, | 733, | 587, | 547, | 732, | 833, | 858, |

შედგენილია ავტორის მიერ საქსტატის მონაცემებზე დაყრდნობით (2.07.2020)

ამ მაჩვენებლით ჩინეთი საქართველოს იმპორტიორი ქვეყნების სამეულშია, თურქეთისა და რუსეთის შემდეგ. აღსანიშნავია, რომ ჩინური იმპორტის მაჩვენებელი საქართველოში ყოველწლიურად იზრდება. 2017 წელს ჩინეთიდან იმპორტმა $732.6 მლნ შეადგინა, ხოლო 2018 წელს კი - $833.9 მილიონი.

*დიაგრამა 20.* საქართველოს ექსპორტი ჩინეთში, 2019 წ.




შედგენილია ავტორის მიერ საქსტატის მონაცემებზე დაყრდნობით (6.07.2020)

საქართველოს ექსპორტისგან განსხვავებით, ჩინეთის პროდუქციიდან ყველა მსხვილი სასაქონლო პოზიციების წილი მთლიან იმპორტში 3% არ აღემატება. *(დიაგრამა 21)*

ჩინეთთან თავისუფალი ვაჭრობის შესახებ შეთანხმების გაფორმებით, ექსპორტის ზრდის გარდა, საქართველოს პირდაპირი უცხოური ინვესტიციების მოზიდვის შესაძლებლობასაც აძლევს. ცნობილია, რომ ჩინელი ინვესტორები განსაკუთრებით ინტერესდებიან ისეთ ქვეყნებში ინვესტიციების განხორციელებით, რომელთანაც პეკინს თავისუფალი ვაჭრობის შეთანხმება აქვს გაფორმებული.

ამას ემატება ის გარემოებაც, რომ საქართველოს მდებარეობა ხელსაყრელია იმ ინვესტორებისთვის, რომელთაც საქონლის ექსპორტი ევროპულ ბაზარზე სურთ. იმ ფონზე, როცა საქართველოს ჩინეთის გარდა ევროკავშირთანაც აქვს თავისუფალი ვაჭრობის შეთანხმება გაფორმებული, საქართველოს შესაძლებლობა აქვს ჩინეთიდან და აზიის სხვა ქვეყნებიდან ისეთი ინვესტორების ინტერესის ობიექტი გახდეს, რომელთაც სურვილი აქვთ სატარიფო და ტექნიკური ბარიერების გარეშე ევროპული ქვეყნების ბაზრებზე მოხვდნენ. ზემოთხსენებული ვითარება საქართველოს სამხრეთ კავკასიისა და აღმოსავლეთ ევროპის რეგიონში უპირატეს მდგომარეობაში აყენებს, რადგან იგი ერთადერთი ქვეყანაა, საიდანაც მსოფლიოს ორ ყველაზე მსხვილ - ევროკავშირისა და ჩინეთის ბაზრებზე განხორციელდეს საქონლისა და მომსახურების ექსპორტი საბაჟო ტარიფების გარეშე.

*დიაგრამა 21.* საქართველოს იმპორტი ჩინეთიდან, 2019 წ.




შედგენილია ავტორის მიერ საქსტატის მონაცემებზე დაყრდნობით (8.07.2020)

მთლიანობაში ჩინეთთან თავისუფალი ვაჭრობის რეჟიმის ამოქმედებიდან ორი წლის შემდეგ, საქსტატის მონაცემებზე დაყრდნობით, იკვეთება რომ მიუხედავად სატარიფო ბარიერების გაუქმებისა, ექსპორტის ზრდის ტემპი კვლავ დაბალია და იგი იმპორტს მნიშვნელოვნად ჩამორჩება. შესაძლოა ამის მიზეზი ისიც იყოს, რომ ჩინური ბაზარი განსაკუთრებული სპეციფიკით ხასიათდება, რაც მის მსხვილ მასშტაბს და მოთხოვნის მრავალფეროვნებას უკავშირდება. სხვა მიზეზებთან ერთად, აღნიშნული გარემოება ქართველი ექსპორტიორებისთვის და ეროვნული პროდუქციისთვის გამოწვევაა, რომლის ცნობადობაც ჩინეთში ჯერ კიდევ დაბალია.

საქონლის ექსპორტის მაჩვენებელი ცვლილებების მიმართ საკმაოდ ინერტულია, რის გამოც ვაჭრობის რეჟიმის ცვლილების ასახვა ექსპორტის დინამიკაზე როგორც წესი მყისიერად არ ხდება. ამიტომ საქართველოს ექსპორტზე და ზოგადად ეკონომიკის მაჩვენებლებზე, ჩინეთთან თავისუფალი ვაჭრობის შესახებ შეთანხმების გავლენაზე მსჯელობა, მისი ხელმოწერიდან ორი წლის შემდეგ რთულია. ექსპორტის დინამიკაზე თავისუფალი ვაჭრობის პრინციპის გავლენის გასაზომად მინიმუმ 5 წლიანი პერიოდია საჭირო, თუმცა უკვე შესაძლებელია იმ ფაქტორებისა და გარემოებების გამოკვეთა, რომელმაც თავისუფალი ვაჭრობის შეთანხმების ეფექტიან იმპლემენტაციაზე და ექსპორტის ზრდის დინამიკაზე შესაძლოა გავლენა მოახდინოს.

კიდევ ერთ ქვეყანათა ჯგუფს, რომელთანაც საქართველოს თავისუფალი ვაჭრობის შესახებ შეთანხმება აქვს ევროპის თავისუფალი ვაჭრობის ასოციაცია (EFTA) წარმოადგენს. შეთანხმება გაერთიანების წევრ ოთხ სახელმწიფოსთან მოქმედებს, კერძოდ კი ნორვეგიასთან, ისლანდიასთან, შვეიცარიის კონფედერაციასთან და ლიხტენშტეინის სამთავროსთან. (economy.ge)

საქართველოსა და ევროპის თავისუფალი ვაჭრობის ასოციაციის (EFTA) წევრ ქვეყნებს (შორის თავისუფალი ვაჭრობის შესახებ შეთანხმება შესაძლებლობას იძლევა, საქართველოში წარმოებული პროდუქტების და სერვისის მნიშვნელოვანი ნაწილი სატარიფო ბარიერების გარეშე 14 მილიონიან, მაღალი მსყიდველობითი უნარის მქონე ბაზრებზე მოხვდეს.

საქართველოსა და ასოციაციის წევრ სახელმწიფოებს შორის არსებული შეთანხმება თავისუფალი ვაჭრობის შესახებ, მოიცავს შემდეგ საკითხებს:

- საქონლით ვაჭრობა;

- მომსახურებით ვაჭრობა;
- სანიტარიული და ფიტოსანიტარიული ღონისძიებები;
- ვაჭრობის ტექნიკური ბარიერები;
- საქონლის წარმოშობის წესები;
- თანამშრომლობა საბაჟო საკითხებში;
- ინტელექტუალური საკუთრების დაცვა;
- სახელმწიფო შესყიდვები;
- კონკურენციის პოლიტიკა;
- ვაჭრობაში დაცვითი ღონისძიებები;
- მდგრადი განვითარება.

საქართველოსა და ევროპის თავისუფალი ვაჭრობის ასოციაციის წევრ სახელმწიფოებს შორის თავისუფალი ვაჭრობის შესახებ შეთანხმება სრულად 2018 წლის პირველი მაისიდან ამოქმედდა. მართალია, განსხვავებით ევროკავშირისგან, EFTA-ს წევრ სახელმწიფოებთან ვაჭრობის ლიბერალიზება სულ რაღაც 2 წლის წინ დაიწყო, რის გამოც, თავისუფალი ვაჭრობის შესახებ ამ შეთანხმების ეფექტებზე საუბარი ნაადრევია, თუმცა, უნდა აღინიშნოს რომ ევროპის თავისუფალი ვაჭრობის ასოციაციის წევრი სახელმწიფოების ბაზრებიც საქართველოსთვის ექსპორტისთვის არანაკლებ მნიშვნელოვანია.

## თავი III. თავისუფალი ვაჭრობის გავლენა ეკონომიკაზე

### 3.1 ევროკავშირთან და ჩინეთთან საქართველოს თავისუფალი ვაჭრობის შეთანხმებების ანალიზი

ვაჭრობის პოლიტიკის ლიბერალიზება და თავისუფალი ვაჭრობის რეჟიმებში ჩართვა, ექსპორტის ზრდისა და ზოგადად ეკონომიკის სტიმულირების მისაღწევად, საქართველოს ეკონომიკური პოლიტიკის მნიშვნელოვან ელემენტია. ამ მიზნით, ბოლო წლებში პრო-აქტიული ვაჭრობის პოლიტიკა ტარდენა. რაც პირველ რიგში მსხვილ პარტნიორებთან თავისუფალი ვაჭრობის ხელშეკრულებების გაფორმებით გამოიხატება. თუმცა, მაკროეკონომიკურ მაჩვენებლებზე თავისუფალი ვაჭრობის შეთანხმებების და ზოგადად თავისუფალი ვაჭრობის გავლენის ანალიზისას, მნიშვნელოვანია გავითვალისწინოთ ის ფაქტორი - თუ რამდენად ეფექტიანად იყენებს ქვეყანა ვაჭრობის პრეფერენციული პირობებს, ან რამდენად აქვს ქვეყანას უნარი, რომ ლიბერალური ვაჭრობის პირობების ხარჯზე გაზარდოს ექსპორტი, წარმოების პოტენციალი და სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობა გაიუმჯობესოს.

ეჭვგარეშეა რომ, საქართველოს სარგებელი ევროკავშირთან ღრმა და ყოვლისმომცველი თავისუფალი ვაჭრობის შესახებ შეთანხმებითა და ჩინეთთან თავისუფალი ვაჭრობის შეთანხმებით, ზემოთჩამოთვლილ საკითხებს ნამდვილად მოიცავს. (გვ. 108-110)

ევროკავშირთან გაფორმებული გაფორმებული ღრმა და ყოვლისმომცველი თავისუფალი ვაჭრობის შესახებ შეთანხმება და ჩინეთთან გაფორმებული თავისუფალი ვაჭრობის შესახებ შეთანხმება, საქართველოს პირდაპირი უცხოური ინვესტიციების მოზიდვის უნიკალურ შესაძლებლობას აძლევს. აღსანიშნავია, რომ მსოფლიოში მხოლოდ 7 ქვეყანაა, რომელსაც თავისუფალი ვაჭრობის შეთანხმებები აქვს როგორც ევროკავშირთან, ისე ჩინეთთან.[23] მათ შორის ერთ-ერთი კი საქართველოა. რაც ქვეყანას მსოფლიოს მრავალი ქვეყნიდან, მათ შორის ჩინეთიდან და ევროკავშირიდან ინვესტიციების მოზიდვის შესაძლებლობას აძლევს, რათა საქართველოში წარმოებული პროდუქციის ექსპორტი საბაჟო ტარიფების გარეშე

---

[23] შვეიცარია, სინგაპური, სამხრეთ კორეა, ჩილე, პერუ, ისლანდია და საქართველო.

ერთმანეთის ბაზრებზე მოახდინონ. ინვესტიციების მოზიდვა და საერთაშორისო ფინანსური ორგანიზაციების ინტერესის ზრდა, საქართველოს ახალი ტექნოლოგიებისა და ინოვაციების იმპორტის პერსპექტივასაც უჩენს, რაც თანამედროვე რეალობაში საერთაშორისო კონკურენციული უპირატესობის მოპოვებისთვის უმნიშვნელოვანესი ელემენტია.

ზემოთჩამოთვლილი სიკეთეების გარდა, თავისუფალი ვაჭრობის ხელშეკრულებები საქართველოს სტრუქტურული რეფორმების გატარებისკენაც უბიძგებს. სტრუქტურული და ინსტიტუციური რეფორმების განვითარება ევროკავშირთან ღრმა და ყოვლისმომცველი თავისუფალი ვაჭრობის შესახებ შეთანხმების (DCFTA) ფუნდამენტური ნაწილია.

ევროკავშირთან და ჩინეთთან თავისუფალი ვაჭრობის შეთანხმებების შედეგებისა და პოტენციური შესაძლებლობების შესახებ კვლევები, ამ შეთანხმებების გაფორმებამდე რამდენიმე კვლევითმა ორგანიზაციამ განახორციელა. მათ შორის ერთ-ერთმა “Ecorysm”-მა (2003 წ.) 2013 წელს ევროკავშირთან ღრმა და ყოვლისმომცველი თავისუფალი ვაჭრობის შეთანხმების გაფორმებამდე, მაკრო, მიკრო და სექტორულ დონეზე ამ შეთანხმების შედეგები გაანალიზა. (Ecorys, 2013) აღნიშნული ანალიზი გამოთვლადი ზოგადი წონასწორობის მოდელის (CGE) გამოყენებით გაკეთდა, რომელიც საშუალო და გრძელვადიან პერიოდში შედეგების გაზომვის შესაძლებლობას იძლევა. კვლევამ აჩვენა, რომ თავისუფალი ვაჭრობის შეთანხმების ხარჯზე მოსალოდნელი იყო ევროკავშირში საქართველოს ექსპორტის +12%-იანი, ხოლო იმპორტის +7.5%-იანი ზრდა, გრძელვადიან პერიოდში საშუალო ხელფასის +3.6%-იანი ზრდა, ხოლო ინფლაციის CPI (-0.6%) შემცირება. (Ecorys, 2013)

მაკრო დონეზე პოზიტიური ცვლილებების გარდა, კვლევამ აჩვენა (Adarov, Havlik, 2016) რომ ქიმიკატების, რეზინისა და პლასტმასის წარმოების სექტორებში პროდუქტიულობის ზრდა მოსალოდნელი იყო. მნიშვნელოვანი ზრდა (8-24%) იყო ნავარაუდები მეცხოველეობისა და ხორც-პროდუქტების წარმოების სექტორში. გარდა ამისა, ზრდა სამრეწველო და ძირითადი ლითონების სექტორებშიც მოსალოდნელი იყო.

DCFTA-სთან დაკავშირებით კიდევ ერთი კვლევა ჩაატარა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ეკონომიკის საერთაშორისო სკოლის (ISET) ბაზაზე არსებულმა კვლევითმა ინსტიტუტმა. აღნიშნული კვლევა ევროკავშირთან ღრმა და

ყოვლისმომცველი თავისუფალი ვაჭრობის პერსპექტივებსა და რისკებს მომოიხილავს. ძირითადად კი, ყურადღებას უთმობს თავისუფალი ვაჭრობის შეთანხმების, როგორც ინსტრუმენტის როლს ექსპორტისა და პირდაპირი უცხოური ინვესტიციების ზრდის კუთხით. (ISET Policy Institute, 2016, p. 7) წარმოდგენილი კვლევის მიხედვით, ევროკავშირთან თავისუფალი ვაჭრობის შეთანხმება მოკლე და საშუალო ვადიან პერიოდში ევროკავშირში საქართველოს ექსპორტის მკვეთრ ზრდას არ გამოიწვევს. ამის მიზეზი კი სექტორულ დონეზე პროდუქტიულობის დაბალი მასშტაბებია. ის დარგები კი, რომლებიც აქამდეც ექსპორტზე იყვნენ ორიენტირებულნი, უკვე ათვისებული აქვთ წარმოების მაქსიმალური პოტენციალი და არ აქვთ შესაძლებლობა მოკლე ვადაში მნიშვნელოვნად გაზარდონ თავიანთი პროდუქტიულობა. ამის მიზეზად კი, კვლევის ავტორები სხვადასხვა გარემოებებს ასახელებენ, კერძოდ, ფინანსებზე ხელმისაწვდომობის პრობლემას, ინოვაციებისა და კადრების დეფიციტს, ასევე აღნიშნული სექტორებისადმი სამამულო ინვესტორების დაბალ დაინტერესებას.

DCFTA-ის შესაძლო შედეგების შესახებ კიდევ ერთი კვლევა ვენის საერთაშორისო ეკონომიკის კვლევითმა ინსტიტუტმა მოამზადა, რომლის ავტორები, ადაროვი და ჰავლიკი (Adarov, Havlik, 2016) მიიჩნევენ, რომ ევროკავშირთან თავისუფალი ვაჭრობის შესახებ შეთანხმება საქართველოს, უკრაინას და მოლდოვას ევროკავშირის ბაზარზე წვდომის გაზრდას ხელს შეუწყობს, რაც ამ ქვეყნების გრძელვადიანი ეკონომიკური განვითარებისთვის ძალიან მნიშვნელოვანია; თავისუფალი ვაჭრობის ხელშეკრულების რეალური ეფექტები აღნიშნული ქვეყნებისთვის საშუალო და გრძელვადიან პერიოდში იქნება ხელმისაწვდომი იქნება. მათი აზრით, DCFTA-ის დანერგვისთვის აუცილებელი სტრუქტურული რეფორმების გატარება, შესაძლოა ევროკავშირის აღმოსავლეთ პარტნიორობის პროგრამის მონაწილე ამ ქვეყნებისთვის გარკვეულ დანაკარგებთანაც იყოს დაკავშირებული. ამიტომ მნიშვნელოვანია, რომ აუცილებელი რეფორმები ეტაპობრივად გატარდეს. ამასთან, ისინი აღნიშნავენ, რომ აუცილებელია სწორად განისაზღვროს ის ეფექტები რაც ქვეყნებმა ევროკავშირთან თავისუფალი ვაჭრობის განვითარებით შეიძლება მიიღონ, რათა არასწორი მოლოდინები და ევროსკეპტიციზმი და პოპულიზმი არ განვითარდეს.

კიდევ ერთი კვლევა, რომელიც ჩინეთთან თავისუფალი ვაჭრობის შეთანხმების მიზანშეწონილობასა და შესაძლო ეფექტებს ეხებოდა PMC Research Center-ის მიერ

ჩატარდა. (PMCG, 2020) კვლევის მიხედვით, ნაწილობრივი წონასწორობის მოდელის გამოყენებით მიღებული ანალიზით გამოიკვეთა, რომ საქართველოს ექსპორტი ჩინეთში 9%-ით, ხოლო იმპორტი ჩინეთიდან კი 1.7%-ით გაიზრდებოდა. კვლევამ აჩვენა, რომ მნიშვნელოვანი ზრდა იყო მოსალოდნელი ისეთი ტრადიციული საექსპორტო საქონლისთვის როგორებიცაა ღვინის პროდუქტები (+28.5%), სპილენძისა და ალუმინის ჯართი (+3.3%), მინერალური წყლები და სხვა უალკოჰოლო სასმელეი (+36.7%). ზოგადი წონასწორობის მოდელის გამოყენებით მიღებული ანალიზის საფუძველზე კი, აღმოჩნდა რომ მოსალოდნელი იყო საქართველოს ექსპორტის 28.9%-იანი ზრდა, ხოლო ჩინეთიდან იმპორტის 6.7%-იანი ზრდა. (PMCG, 2020) ექსპორტის ზრდის მნიშვნელოვანი წილი ამ შემთხვევაში ღვინის, ლითონის და ქსოვილების პროდუქტებზე მოდიოდა, ასევე ნავარაუდები იყო სპილენძისა და ალუმინის, ასევე ბოსტნეულისა და ხილის ექსპორტის ზრდა. აღნიშნული კვლევის მიხედვით, ასევე პირდაპირი უცხოური ინვესტიციებიც ზრდაც მოლოლოდნელი იყო.

საქართველოსა და ევროკავშირს, ასევე საქართველოსა და ჩინეთს შორის თავისუფალი ვაჭრობის პოტენციური შედეგების შესახებ კიდევ ერთი კვლევა, 2020 წელს ორგანიზაცია PMC Research-ის მიერ ჩატარდა. (PMCG, 2020) აღნიშნული კვლევა სექტორული ხასიათისაა და თავისუფალი ვაჭრობის შეთანხმებების თვისებრივი შეფასებისას სწორედ ზემოთხსენებულ ვინერის მოდელს იყენებს.

აღნიშნული კვლევით გამოიკვეთა რომ ევროკავშირთან და ჩინეთთან თავისუფალი ვაჭრობის შეთანხმებებს ბევრ სექტორზე იდენტური ზემოქმედება აქვს ვაჭრობის ნაკადების შექმნისა და გადამისამართების თვალსაზრისით. ამასთან, ეკონომიკის ზოგიერთ სექტორზე მათ საერთოდ არ აქვთ გავლენა. *(ცხრილი 5)*

წარმოდგენილი კვლევის მიხედვით, ევროკავშირთან და ჩინეთთან თავისუფალი ვაჭრობის შესახებ შეთანხმებას, ეკონომიკის ყველა სექტორზე თანაბარი ზეგავლენა არ მოუხდენია. ზოგიერთი სექტორისთვის ვაჭრობის შეთანხმებები მეტი სარგებლის მომტანი აღმოჩნდა, ხოლო დანარჩენ ნაწილში პირიქით, მკაფიოდ ვაჭრობის გადამისამართება დაფიქსირდა (Trade Diversion). მაგალითად, თავისუფალი ვაჭრობის შეთანხმებების ამოქმედების ხარჯზე ვაჭრობის ნაკადების შექმნა დაფიქსირდა ისეთ სექტორებში როგორიცაა ქსოვილები, ქიმიკატები და ლითონის ნაწარმი, ხოლო საპირისპიროდ, ვაჭრობის ნაკადების გადამისამართება დაფიქსირდა საკვები პროდუქტების, ტყავის და მსგავსი მასალების და სხვა სექტორებში.

ცხრილი 5. PMC Research-ის კვლევა ევროკავშირთან და ჩინეთთან გაფორმებული თავისუფალი ვაჭრობის შეთანხმებების გავლა ეკონომიკის ზოგიერთ სექტორზე

| *სექტორი* | *DCFTA ევროკავშირთან* | *FTA ჩინეთთან* |
|---|---|---|
| საკვები პროდუქტები | ვაჭრობის ნაკადების გადამისამართება | ვაჭრობის ნაკადების გადამისამართება |
| სასმელები | სავაჭრო ნაკადების გადამისამართება | ვაჭრობის ნაკადების გადამისამართება |
| ლითონის ნაწარმი | ვაჭრობის ნაკადების შექმნა | ვაჭრობის ნაკადების შექმნა |
| ავტოსატრანსპორტო საშუალებები | მკაფიო გამოხატულების გარეშე | სავაჭრო ნაკადების შექმნა |
| ქიმიკატები | სავაჭრო ნაკადების შექმნა | ვაჭრობის ნაკადების შექმნა |
| ლითონის გარდა სხვა მინერალური პროდუქტები | ვაჭრობის ნაკადების შექმნა | ვაჭრობის ნაკადების შექმნა |
| ქსოვილები | ვაჭრობის ნაკადების შექმნა | ვაჭრობის ნაკადების შექმნა |
| ლითონის ნაწარმი | ვაჭრობის ნაკადების შექმნა | ვაჭრობის ნაკადების შექმნა |

წყარო: pmcg-i.com 9.01.2021

საქართველოს თავისუფალი ვაჭრობის შეთანხმებების იმპლემენტაციის, შედეგებისა და შეფასებების კოორდინაცია, DCFTA-ის ნაწილში, საქართველო-ევროკავშირის ასოცირების საბჭოს მიერ ხორციელდება. თავის მხრივ საბჭოს შემადგენლობაში შექმნილია საქართველო-ევროკავშირის ვაჭრობის საკითხებზე ასოცირების კომიტეტი, რომლის სხდომები წელიწადში ერთხელ იმართება. ამასთან, კომიტეტის ფარგლებში შექმნილია დამატებით 4 ქვეკომიტეტი: სანიტარული და ფიტოსანიტარული ქვეკომიტეტი, გეოგრაფიული აღნიშვნების ქვეკომიტეტი, საბაჟო ქვეკომიტეტი, ვაჭრობის და მდგრადი განვითარების ქვეკომიტეტი. აღნიშნული სტრუქტურები ერთი მხრივ კოორდინირებას უწევენ თავისუფალი ვაჭრობის შეთანხმების ეფექტიან იმპლემენტაციას, მეორე მხრივ კი, არსებულ მიღწევებს, გამოწვევებსა და პრობლემებს აფასებენ. ამიტომ, მათ მიერ მომზადებული ანგარიშები და რეკომენდაციები ყურადსაღებია და ვითარების შეფასებისთვის ვალიდურ წყაროს წარმოადგენს.

საქართველოსა და ევროკავშირს შორის გაფორმებული თავისუფალი ვაჭრობის შეთანხმების შესახებ პერიოდულად ანგარიშებს აქვეყნებს ევროპარლამენტის საგარეო

ურთიერთობათა კომიტეტიც, სადაც ევროკავშირის სტრუქტურა DCFTA-ის იმპლემენტაციისა და საქართველოს ეკონომიკის ევროკავშირის ერთიან ბაზარზე ინტეგრაციას აფასებს. ბოლო ანგარიშში, რომელიც ორგანიზაციამ ივლისში გამოაქვეყნა, ხაზგასმულია საქართველოს მთავრობის მიერ სტრუქტურული რეფორმების გატარების აუცილებლობა, რომელიც ხელს შეუწყობს ქვეყანაში პირდაპირი უცხოური ინვესტიციების მოზიდვას. ამასთან, ანგარიშში ასახულია რომ საქართველოში მნიშვნელოვანი სტრატეგიული პროექტების განხორციელებისთვის, აუცილებელია მთავრობამ გაზარდოს ასეთი პროექტების პოლიტიკური მხარდაჭერა და პასუხისმგებელი ინსტიტუციების როლი.[24] აღნიშნულ მოხსენებაში ასევე ხაზგასმულია მცირე და საშუალო ზომის მეწარმეთა მხარდაჭერის შესახებ, რათა მათ ევროკავშირის ბაზრებზე შეღწევისთვის აუცილებელი კრიტერიუმების დაკმაყოფილება გაუმარტივდეთ. ამასთან, ევროპარლამენტი ვალდებულებას აკისრებს ევროკომისიას, რომ დაეხმაროს საქართველოს მთავრობას DCFTA-ით გათვალისწინებული სტრუქტურული რეფორმების ეფექტიანად განხორციელებაში. (ec.europa.eu, 2020)

მთლიანობაში, საქართველოსა და ევროკავშირს, საქართველოსა და ჩინეთს შორის თავისუფალი ვაჭრობის შეთანხმებების დღემდე არსებული კვლევების ანალიზისას, გამოიკვეთა ეკონომიკის სექტორებისა და ექსპორტის ზრდის საპროგნოზო მაჩვენებლები, რომელიც შეთანხმებების ამოქმედებამდე არსებობდა. ასევე მნიშვნელოვანია ინსტიტუციური და საკანონმდებლო ჩარჩოს არსებობა, რომელიც საქართველოს თავისუფალი ვაჭრობის შეთანხმების ეფექტიანი იმპლემენტაციის გზაზე დახმარებას გაუწევს. ეს განსაკუთარებით თვალსაჩინოა ევროკავშირთან არსებული DCFTA-ის ფარგლებში განსახორციელებელი სტრუქტურული რეფორმებისა მონიტორინგის თვალსაზრისით.

თავისუფალი ვაჭრობის შეთანხმებების ეფექტიანი იმპლემენტაციისა და ზოგადადად საერთაშორისო ვაჭრობის საკითხების გაანალიზებისას, აუცილებელია გავითვალისწინოთ ის მდგომარეობა, რაც მსოფლიოს დღის წესრიგში 2020 წლის დასაწყიდან მწვავედ დადგა, ხოლო მისი აქტუალობა დღემდე ახდენს გავლენას მრავალ სფეროზე, განსაკუთრებით კი ეკონომიკაზე.

[24] https://www.europarl.europa.eu/doceo/document/A-9-2020-0136_EN.html (24.09.2020)

*კორონავირუსის პანდემია,* რომელიც 2020 წლის დასაწყიში COVID-19 ვირუსის გავრცელების შემდეგ მსოფლიოს დღის წესრიგში მალევე დადგა, ეკონომიკას უმწვავესად შეეხო და მძიმე ეკონომიკური რეცესია გამოიწვია. თუმცა, განსხვავებით წინა კრიზისებისგან, რომელთაც ნათლად ჩამოყალიბებული ფინანსურ-ეკონომიკური საფუძველი ჰქონდათ, მიმდინარე კრიზისი მნიშვნელოვნად განსხვავებულია. ამჯერად, კრიზისის მიზეზი არა ფინანსური, ეკონომიკური ან პოლიტიკური საფუძველია, არამედ მიზეზი მედიცინაშია. (პაპავა, 2020) მაგრამ, მსგავსად 2008-2009 წლების ფინანსური კრიზისისა, უკვე ფაქტია რომ 2020 წელს ჩამოყალიბებული ეკონომიკური კრიზისიც, გაცდა ერთი ქვეყნის ან რეგიონის მასშტაბს და იგი გლობალური მნიშვნელობის კრიზისად ჩამოყალიბდა.

მიმდინარე კრიზისმა თავისი გავლენა უკვე მოახდინა საერთაშორისო ვაჭრობაზეც, რომელიც ბოლო წლებია სტაბილურად იზრდება. 2019 წელს საერთაშორისო ვაჭრობის ჯამურმა მოცულობამ $25 ტრილიონი შეადგინა. (Statista, 2020) 2020 წელს ნავარაუდები 3%-იანი ზრდის ნაცვლად, საერთაშორისო ვაჭრობის მოცულობა $6 ტრილიონით შემცირდა მეტით შემცირდა. აღსანიშნავია, რომ ვაჭრობის მოცულობის მსგავსი შემცირება მსოფლიო ეკონომიკისთვის უპრეცედენტოა, შედარებისთვის 2008-2009 წლების მსოფლიო ეკონომიკური კრიზისის შემდეგ, საერთაშორისო ვაჭრობა $4 ტრილიონით შემცირდა. (Statista, 2020)

პანდემიამ საერთაშორისო ვაჭრობაზე სხვადასხვა ფორმით მოახდინა გავლენა. ვაჭრობის მოცულობის შემცირებას საფუძვლად დაედო პროდუქტიულობის ვარდნა, რაც პანდემიის საწყის ეტაპზე გამოცხადებულმა ე.წ „ლოკდაუნებმა“ გამოიწვია. რასაც თან დაერთო ნედლეულზე და ნავთობპროდუქტებზე ფასების შემცირება. ნავთობ მომპოვებელი ქვეყნები ნავთობის ფასის შენარჩუნების მოტივით მოპოვებისა და ექსპორტის შემცირებაზე შეთანხდნენ, რამაც საერთაშორისო ვაჭრობაზეც იქონია გავლენა, რადგან ნავთობ პროდუქტები ვაჭრობის ერთ-ერთ ძირითად საგანს წარმოადგენს.

მიუხედავად თავისი დინამიკის შემცირებისა, პანდემიის ფონზე დაწესებული შეზღუდვების პირობებშიც კი, რომელიც მნიშვნელოვნად აფერხებდა საერთაშორისო მობილობას, საერთაშორისო ვაჭრობა მსოფლიოს შემაკავშირებელი მნიშვნელოვანი ელემენტი აღმოჩნდა. თუ კი, პანდემიამდე პერიოდში არსებობდა თავისუფალი ვაჭრობის მომხრეებსა და მოწინააღმდეგეებს შორის კამათი, სამამულო ეკონომიკაზე

ვაჭრობის ლიბერალური პოლიტიკის ეფექტების შესახებ, პანდემიის დროს კიდევ უფრო ცხადი გახდა, შეუზღუდავი და თავისუფალი ვაჭრობის მნიშვნელობა ქვეყნებს შორის ურთიერთობების განვითარებაში.

მიუხედავად არსებული გამოწვევებისა, პანდემიის ფონზე შესაძლებელი გახდა არაერთი მიმართულებით ხელახლა მოხდეს ეკონომიკური პოლიტიკის გააზრება. ამ მხრივ, გამონაკლისს არ წარმოადგენს საერთაშორისო ეკონომიკისა და ვაჭრობის საკითხები. პანდემიის პერიოდში კიდევ უფრო ცხადად გამოიკვეთა ელექტრონული კომერციის პერსპექტივები.

2019 წლის მონაცემებით მსოფლიოს მასშტაბით ელექტრონულ კომერციაში 1.92 მილიარდი ადამიანი იყო ჩართული, ვაჭრობის მოცულობამ კი $3.5 ტრილიონ დოლარს გადააჭარბა. (Statista, 2020) პანდემიით გამოწვეული შეზღუდვები ელექტრონული კომერციის განვითარებისთვის დამატებითი ბიძგის მიმცემი აღმოჩნდა.

პანდემიის ფონზე არსებული გამოწვევები, შესაძლოა ახალი შესაძლებლობა აღმოჩნდეს მცირე ქვეყნებისთვის, მათ შორისაა საქართველოც. საერთაშორისო ვაჭრობის სფეროში გაჩენილი ახალი ტენდენციების ფონზე იზრდება ისეთი ქვეყნების მნიშვნელობა, რომელთაც ლიბერალური ვაჭრობის პოლიტიკა და თავისუფალი ვაჭრობის რეჟიმები აქვთ.

## 3.2 თავისუფალი ვაჭრობის როლი საქართველოს ექსპორტის ზრდასა და დივერსიფიცირებაში

საექსპორტო ბაზრებისა და ზოგადად ექსპორტის დივერსიფიკაცია, საქართველოს საგარეო ეკონომიკური პოლიტიკის ერთ-ერთ საკვანძო საკითხს წარმოადგენს. გასაკვირი არ არის, რომ სწორედ ამ პოლიტიკის გამოძახილია ისეთი ლიბერალური ვაჭრობის პოლიტიკის ჩამოყალიბება, რომელსაც დამოუკიდებლობიდან დღემდე საქართველომ ეტაპობრივად მიაღწია.

ეკონომიკური და ვაჭრობის პოლიტიკის ჩამოყალიბებას, საქართველოს მიერ ლიბერალიზაციისკენ გადადგმულ ნაბიჯებს, ვაჭრობის პარტნიორებისგან საპასუხო ნაბიჯები მოყვა. ეს ჯერ სატარიფო განაკვეთების მკვეთრი შემცირებით გამოიხატა, შემდეგ კი, რეფორმების ახალი ტალღის წარმატებით დასრულების საფუძველზე, საქართველოსთვის არაერთმა ქვეყანამ საგარეო ეკონომიკური ურთიერთობების უმაღლესი დონე - თავისუფალი ვაჭრობის რეჟიმი აამოქმედა.

თავისუფალი ვაჭრობის რეჟიმების ამოქმედებით სხვადასხვა ქვეყანასთან, საქართველო საგარეო ვაჭრობის განვითარების ახალ ეტაპზე გადავიდა. გამარტივებული, ნულოვანი ტარიფებით ვაჭრობა ქვეყანას ერთი მხრივ ექსპორტის ზრდის უნიკალურ შესაძლებლობას აძლევს, მეორე მხრივ კი, ის შესაძლოა ახალი ეკონომიკური პოლიტიკის ჩამოყალიბების ინსტრუმენტადაც განვიხილოდ.

თავისუფალი ვაჭრობის შეთანხმებები ერთდროულად ევროკავშირთან, ჩინეთთან და თურქეთთან და სხვა ქვეყნებთან, საქართველოს რეგიონში უნიკალურს ხდის. მრავალმხრივი ლიბერალური ვაჭრობის გარემო მნიშვნელოვნად ზრდის ქვეყნის საინვესტიციო პოტენციალსაც, რაც საქართველოს როგორც ვაჭრობისა და ტრანსპორტირების დერეფნის ფუნქციას ახალ სიცოცხლეს აძლევს.

თუმცა, არსებული შესაძლებლობების მიუხედავად, თავისუფალი ვაჭრობის შეთანხმებების ეფექტიანი რეალიზების მიმართულებით გამოწვევაც არაერთია. მთავარი გამოწვევა საექსპორტო ბაზრებისა და ზოგადად ექსპორტის დივერსიფიკაციას უკავშირდება. თავისუფალი ვაჭრობის რეჟიმების არსებობის პირობებში, მნიშვნელოვანია რომ მაქსიმალურად იყოს გამოყენებული ის სიკეთეები, რაც ქვეყანას ვაჭრობის ლიბერალურ შეთანხმებაში ჩართვით ეძლევა.

*ცხრილი 6.* საქართველოს საგარეო ვაჭრობის განზოგადებული მონაცემები (2012-2019) მლნ აშშ დოლარი

| წელი | 2012 | 2013 | 2014 | 2015 | 2016 | 2017 | 2018 | 2019 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| ექსპორტი | 2,376.6 | 2,910.3 | 2,861.0 | 2,204.1 | 2,113.0 | 2,735.7 | 3,355.7 | 3,771.4 |
| იმპორტი | 8,056.3 | 8,022.5 | 8,601.8 | 7,300.1 | 7,293.9 | 7,943.0 | 9,136.4 | 9,063.2 |
| საგარეო ვაჭრობის ბრუნვა | 10,432.9 | 10,932.8 | 11,462.8 | 9,504.2 | 9,406.9 | 10,678.7 | 12,492.1 | 12,834.6 |
| სალდო | -5,679.7 | -5,112.2 | -5,740.8 | -5,096. | -5,181. | -5,207.3 | -5,780.7 | -5,291.8 |
| ექსპორტის წილი, საგარეო ვაჭრობის ბრუნვაში % | 22.8% | 26.6% | 24.9% | 23.2% | 22.5% | 25.6% | 26.9% | 29.4% |
| იმპორტის ექსპორტით დაფარვის კოეფიციენტი % | 29.5% | 36.3% | 33.3% | 30.2% | 29.0% | 34.4% | 36.7% | 41.7% |

შედგენილია ავტორის მიერ საქსტატის მონაცემებზე დაყრდნობით (20.07.2020)

ეს კი, პირველ რიგში ექსპორტის ზრდაში და ვაჭრობის პარტნიორების მაქსიმალურ მრავალფეროვნებაში უნდა გამოიხატებოდეს. წინააღმდეგ შემთხვევაში, შესაძლებელია ვაჭრობის შეთანხმება სარგებლის ნაცლად ქვეყნისთვის დამაზიანებელიც იყოს.

ვაჭრობის უარყოფითი სალდო და ვაჭრობის ბრუნვაში ექსპორტის მცირე წილი, საქართველოს საგარეო ვაჭრობის მნიშვნელოვანი უარყოფითი თანმდევი რეალობაა. წარმოდგენილი ემპირიული მონაცემები აჩვენებს, რომ მიუხედავად ექსპორტის სტაბილური ზრდისა, საქართველოს პროპორციულად ეზრდება იმპორტიც, რაც საგარეო ვაჭრობის ბრუნვაში მკვეთრ უარყოფით სალდოს აჩენს. მართალია, 2016 წლის შემდეგ ეტაპობრივად იზრდება ვაჭრობის ბრუნვაში ექსპორტის წილი და შესაბამისად, იმპორტის ექსპორტით დაფარვის კოეფიციენტიც, თუმცა, მნიშვნელოვნად არ შეცვლილა ქვეყნის უარყოფითი ვაჭრობის სალდო, რომელიც 2019 წლის მდგომარეობით უკვე $5 მილიარდ დოლარს აჭარბებს. *(ცხრილი 6)*

ვაჭრობის მკვეთრად უარყოფითი სალდო საქართველოს ეკონომიკის ერთ-ერთ ყველაზე მნიშვნელოვან გამოწვევაა და საშუალოვადიან პერიოდშივე ქვეყნის საგადასახდელო ბალანსს უარყოფით ნიშნულზე ამყოფებს. აღნიშნული პრობლემა ასევე მწვავედ ეხება ეროვნული ვალუტის გაცვლითი კურსის საკითხსაც. ექსპორტსა

და იმპორტს შორის არსებული დიდი სხვაობა, ლარის დევალვაციას იწვევს, რაც მოსახლეობის სოციალურ-ეკონომიკურ განვითარებაზე მძიმედ აისახება.

ღია საბაზრო, ლიბერალური ეკონომიკის პირობებში თითქმის წარმოუდგენელია იმპორტის შემზღუდავი, ან პროტექციონისტური პოლიტიკის გატარება. ეს პირდაპირ ეწინააღმდეგება ვაჭრობის მსოფლიო ორგანიზაციის წესდებას და ასევე ვალდებულებებს, რომელიც საქართველოს აქვს აღებული მის ვაჭრობის პარტნიორებთან. გარდა ამისა, ზემო აღნიშნული პოლიტიკის გატარება, არც სამამულო ეკონომიკას მოუტანს სარგებელს საშუალო ვადიან პერიოდში, რადგან კონკურენცია შემცირდება და ფასები გაიზრდება.

ამიტომ ამ პრობლემის გადაჭრის ყველაზე ეფექტიანი და ეკონომიკურად მართებულ გზად თავისუფალი ვაჭრობის არსებული შეთანხმებების საშუალებით, ექსპორტის დივერსიფიცირება და მისი ზრდა გვესახება. ექსპორტის ზრდა ასევე ადგილობრივი წარმოების განვითარებას, ქართული ფირმების საერთაშორისო კონკურენციაში ჩართვას, ახალი სამუშაო ადგილების შექმნას და გრძელვადიან პერიოდში საქართველოს ეკონომიკის განვითარებას შეუწყობს ხელს.

გარდა ამისა თავისუფალი ვაჭრობის არსებული შესაძლებლობების არეალი, საქართველოს რეგიონის მთავარი სამრეწველო-სატრანსპორტო ჰაბად გახდომის შესაძლებლობას აძლევს. ერთი მხრივ ვაჭრობის შეთანხმება ევროკავშირთან, მეორე მხრივ კი ჩინეთთან, ქვეყანას საშუალებას აძლევს მსოფლიოს ორ ყველაზე დიდ ბაზარს შორის დამაკავშირებელი ხაზი გახდეს.

ლიბერალური საგადასახადო პოლიტიკის პირობებში კი, ეს შესაძლებლობა მრავალი საერთაშორისო ინვესტორისთვის საინტერესო შესაძლებლობაა, რომ გამოიყენონ საქართველოს სატრანზიტო ფუნქცია, ხოლო ამავე დროს მოახდინონ ქვეყნის სამრეწველო პოტენციალის განვითარება, რაც უმუშევრობის პრობლემის დაძლევას მნიშვნელოვნად ხელს შეუწყობს. ეს კი საქართველოს ეკონომიკური პოლიტიკის ერთ-ერთი საკვანძო საკითხია.

ის ქვეყნები, რომელთანაც საქართველო ჯერ კიდევ გასული ათწლეულებიდან საბაჟო ტარიფების გარეშე ახორციელებდა ვაჭრობას, ბოლო წლებია საქართველოს ერთ-ერთი მთავარი ვაჭრობის პარტნიორები არიან. მათგან აღსანიშნავია, თურქეთი, აზერბაიჯანი და სომხეთი. აღსანიშნავია, 2019 წელს სამივე ქვეყანაში ჯამურად საქართველოს ექსპორტის 29.5% განხორციელდა. იმავე საანგარიშო პერიოდში

ზემოთჩამოთვლილი ქვეყნებიდან საქართველოს იმპორტი, ჯამური მაჩვენებლის 27.4% შეადგენდა. (geostat.ge, 2020)

*დიაგრამა 22.* საქართველოს ექსპორტით იმპორტის დაფარვის კოეფიციენტი თურქეთთან, აზერბაიჯანთან და სომხეთთან (2005-2019), %




| | 2005 | 2006 | 2007 | 2008 | 2009 | 2010 | 2011 | 2012 | 2013 | 2014 | 2015 | 2016 | 2017 | 2018 | 2019 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| თურქეთი | 43% | 24% | 24% | 28% | 29% | 24% | 18% | 10% | 13% | 14% | 14% | 13% | 16% | 16% | 14% |
| აზერბაიჯანი | 36% | 28% | 36% | 34% | 40% | 53% | 67% | 89% | 108% | 85% | 45% | 31% | 48% | 85% | 84% |
| სომხეთი | 101% | 182% | 186% | 171% | 215% | 364% | 382% | 365% | 173% | 137% | 103% | 70% | 75% | 83% | 123% |

შედგენილია ავტორის მიერ საქსტატის მონაცემებზე დაყრდნობით (25.07.2020)

მიუხედავად იმისა, რომ მეზობელი ქვეყნები ბოლო წლებში საქართველოს ერთ-ერთ მთავარ ვაჭრობის პარტნიორებად ჩამოყალიბდნენ და საქართველოს ვაჭრობის მთლიან ბრუნვაში დიდი წილი აქვთ, სტატისტიკა აჩვენებს, რომ საქართველოს საგარეო ვაჭრობის სალდო ამ ქვეყნებთანაც უარყოფითია. *(დიაგრამა 22)* საქსტატის ინფორმაციაზე დაყრდნობით, 2019 წელს საქართველოს ექსპორტით იმპორტის ჩანაცვლების კოეფიციენტი 14% შეადგენდა, მაშინ როდესაც 2007 წელს, თურქეთთან თავისუფალი ვაჭრობის ხელშეკრულების გაფორმებამდე აღნიშნული მაჩვენებელი 24% შეადგენდა. ამ პერიოდში საქართველოს ექსპორტი თურქეთში 17.81%-ით გაიზარდა, $171 763,9 მილიონიდან $202 350,9 მილიონ დოლარამდე, ხოლო იმპორტი 121.7%-ით გაიზარდა და 2019 წელს $1 613 739,1 მილიონი შეადგინა. (geostat.ge, 2020)

2007 წელს, როდესაც საქართველოს ინიციატივით თურქეთთან თავისუფალი ვაჭრობის შესახებ შეთანხმება გაფორმდა, (economy.ge, 2020) საქართველოს ხელისუფლებაში იმედოვნებდნენ, რომ რუსეთის მიერ გამოცხადებული ემბარგოს ფონზე, თურქეთი იქნებოდა ის საექსპორტო ბაზარი, რომელიც საქართველოს ტრადიციულ პროდუქციას საკუთარ კარს გაუღებდა და იმ დანაკლისს შეავსებდა, რომელიც რუსული ბაზრის დაკარგვით ქვეყნის ეკონომიკამ მიიღო. გარდა ამისა,

არსებობდა მოსაზრებები, რომ თურქეთთან თავისუფალი ვაჭრობა მისცემდა საქართველოში თურქული ინვესტიციების მოზიდვასაც წაახალისებდა.

აღსანიშნავია, რომ ხელშეკრულებაში თავიდანვე თურქული მხარის უპირატესობები განისაზღვრა. კერძოდ, ქართული მხარისგან განსხვავებით, თურქეთმა სატარიფო კვოტები არაერთ პოზიციაზე შეინარჩუნა. კერძოდ კი, საბაჟო ტარიფები შენარჩუნდა პროდუქციის 8 კატეგორიაზე, რომელიც თითოეული 10 სასაქონლო პოზიციისგან შედგებოდა. ამას ემატებოდა კიდევ 22 პოზიცია, რომელზეც თურქეთმა სატარიფო ქვოტები დააწესა და ადგილობრივი წარმოების დაცვის მოტივით, ქვეყანაში იმპორტს მნიშვნელოვნად ზღუდავდა. ამის საპასუხოდ კი, ქართულ მხარეს თურქული პროდუქციისთვის დამატებითი სატარიფო ქვოტები აღარ დაუწესებია.

*ცხრილი 7.* საქართველო-თურქეთის საგარეო ვაჭრობის განზოგადებული მონაცემები (2012-2019) მლნ აშშ დოლარი

| წელი | 2012 | 2013 | 2014 | 2015 | 2016 | 2017 | 2018 | 2019 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| ექსპორტი, მლნ$ | 140.1 | 184.0 | 239.3 | 186.8 | 173.4 | 216.6 | 233.4 | 202.3 |
| იმპორტი, მლნ$ | 1,470.2 | 1,410.1 | 1,728.8 | 1,327.4 | 1,353.5 | 1,373.7 | 1,473.1 | 1,613.7 |
| საგარეო ვაჭრობის ბრუნვა, მლნ$ | 1,610.3 | 1,594.1 | 1,968.1 | 1,514.2 | 1,526.9 | 1,590.3 | 1,706.5 | 1,816.0 |
| სალდო, მლნ$ | -1330.1 | -1,226.1 | -1,489.5 | -1,140.6 | -1,180.1 | -1,157.1 | -1,239.7 | -1,411.4 |
| ექსპორტის წილი % | 8.7% | 11.5% | 12.1% | 12.3% | 11.4% | 13.6% | 13.7% | 11.1% |
| იმპორტის ექსპორტით დაფარვის კოეფიციენტი % | 9.5% | 13.0% | 13.8% | 14.1% | 12.8% | 15.8% | 15.8% | 12.5% |

შედგენილია ავტორის მიერ საქსტატის მონაცემებზე დაყრდნობით (12.07.2020)

ვაჭრობის უარყოფითი ბალანსის გარდა, თურქეთთან გაფორმებული ვაჭრობის ხელშეკრულების პირობები ხშირ შემთხვევაში დისკრიმინაციულია ადგილობრივი სასოფლო-სამეურნეო წარმოებისთვისაც. დაბალი დანახარჯებისა და წარმოების თანამედროვე შესაძლებლობების გამო, თურქეთს სოფლის მეურნეობის პროდუქციის წარმოება ქართველ ფერმერებზე უფრო იაფი უჯდება, რაც მის საექსპორტო ფასს ადგილობრივთან შედარებით მნიშვნელოვნად ამცირებს. მაღალი ფასისა და

შემცირებული მოთხოვნის გამო, ქართველი ფერმერები ვერც სამამულო ბაზარზე ახერხებენ თურქული პროდუქციისთვის კონკურენციის გაწევას და შექმნილი მდგომარეობით დაზარალებულნი, აღარც საექსპორტო პოტენციალის განვითარებაზე ზრუნავენ. რაც საქართველოს სოფლის მეურნეობის პროდუქციის იმპორტის მასშტაბებს ზრდის. (ცხრილი 7)

თუმცა, მიუხედავად ამგვარი რეალობისა, არ შეიძლება ითქვას რომ თურქეთთან გაფორმებული თავისუფალი ვაჭრობის შეთანხმების შესაძლებლობები სრულად ამოწურულია. მართალია ვაჭრობის უარყოფითი ბალანსი და დისკრიმინაციული პირობები, ვაჭრობის ამ შეთანხმებას მნიშვნელოვნად ჩრდილავს, მაგრამ ორმხრივ სარგებელზე ორიენტირებული ვაჭრობის პოლიტიკის გამოყენებით, შესაძლებელია თურქეთში საქართველოს ექსპორტის ზრდით ნაწილობრივ მაინც შეიცვალოს ამჟამად ამ ქვეყანასთან არსებული ვაჭრობის მდგომარეობა.

განსხვავებით თურქეთისგან, საქართველოს უფრო უკეთესი ვაჭრობის ბალანსი აქვს აზერბაიჯანთან, სადაც 2019 წელს საქართველოს ექსპორტმა $498,7 მლნ. იმპორტმა კი $559,1 მლნ. შეადგინა. ბოლო წლებია ვაჭრობის ბრუნვის ზრდასთან ერთად, იზრდება აზერბაიჯანთან ექსპორტით იმპორტის ჩანაცვლების კოეფიციენტიც. 2019 წელს ამ მაჩვენებელმა 84%, 2018 წელს კი 85% შეადგინა. (geostat.ge, 2020) გასული წლების ჩავარდნების შემდეგ, საქსტატის მონაცემებზე დაყრდნობით შეგვიძლია დავასკვნათ, რომ აზერბაიჯანში ექსპორტი მნიშვნელოვნად იზრდება და ის საქართველოს საექსპორტო ბაზრების ჩამონათვალში მოწინავე პოზიციაზეა.

რეგიონში ვაჭრობის ყველაზე უკეთესი ბალანსი საქართველოს სომხეთთან აქვს. 2019 წელს საქართველოს ექსპორტი სომხეთში $412.2 მლნ დოლარს, იმპორტი კი $267.4 მლნ დოლარს შეადგენდა. 2016 წლიდან საქართველოს ექსპორტი სომხეთში ყოველწლიურად მზარდია. ამასთან, აღსანიშნავია, რომ 2005 წლიდან მხოლოდ 2016-2018 წლებში საქართველოს ექსპორტი სომხეთში იმპორტზე ნაკლები იყო. სხვა დროს, საქართველოს ექსპორტი სომხეთში, მნიშვნელოვნად აღემატებოდა იმპორტს, რაც ვაჭრობის ბალანსშიც დადებით სალდოს ქმნიდა.

საქართველოსა და სომხეთის ვაჭრობის განვითარებას მნიშვნელოვანი გეოპოლიტიკური პერიპეტიებიც გააჩნია. დაძაბული სამხედრო-პოლიტიკური ურთიერთობების გამო, სახმელეთო მარშრუტით, სომხეთი სამხრეთ კავკასიის

რეგიონში დიდწილად იზოლირებულია. აზერბაიჯანთან და თურქეთთან გართულებული ურთიერთობების გამო, სომხეთისთვის სახმელეთო იმპორტის განხორციელების ერთადერთი გზა საქართველოა. აღნიშნული გარემოება ხელს აძლევს საქართველოს რომ უფრო გაზარდოს თავისი ექსპორტი სომხეთის ბაზარზე, როგორც რეექსპორტის ისე წმინდა ექსპორტის სახით და ამ მხრივ, არა მხოლოდ სომხეთთან გაიმყაროს ვაჭრობის პოზიციები, არამედ მეზობელი ქვეყნის ბაზრისთვის მთავარი ექსპორტიორი გახდეს.

ევროკავშირთან გაფორმებული ღრმა და ყოვლისმომცველი თავისუფალი ვაჭრობის შესახებ შეთანხმება (DFCTA) საქართველოს თავისუფალი ვაჭრობის შესახებ შეთანხმებებს შორის გამორჩეულად მნიშვნელოვანია. გარდა იმისა რომ იგი ინსტიტუციურ საფუძველს ქმნის საქართველოსა და ევროკავშირს შორის ვაჭრობისა და ეკონომიკური ურთიერთობების გრძელვადიანი განვითარებისთვის, შეთანხმება თავისი არსით მნიშვნელოვან შესაძლებლობას აძლევს საქართველოს რომ გაზარდოს თავისი ექსპორტი ევროკავშირის ქვეყნებში და ამის საფუძველზე ხელშესახები ეკონომიკური სარგებელი მოკლე ვადიან პერიოდშივე მიიღოს.

საქართველოსა და ევროკავშირის ვაჭრობა ზრდის ტენდენციით ჯერ კიდევ გასული ათწლეულის შუა პერიოდიდან ხასიათდება. თუმცა, მსგავსად სხვა ქვეყნებისა, ვაჭრობის უარყოფითი სალდო და მზარდი იმპორტდამოკიდებულება ევროკავშირის ქვეყნებთანაც ყოველთვის საქართველოს ეკონომიკის მუდმივი დამახასიათებელი ნიშანი იყო.

საქსტატის მონაცემების მიხედვით, (geostat.ge, 2020) მიუხედავად ექსპორტის ზრდის სტაბილური დინამიკისა, 2012 წლისთვის საქართველოს ექსპორტის მთლიანი მოცულობა ევროკავშირთან ვაჭრობის მთლიანი ბრუნვის მხოლოდ 12.7% შეადგენდა. საგანგაშოდ დაბალი იყო იმპორტის ექსპორტით დაფარვის კოეფიციენტიც (14.5%). *(ცხრილი 8)*

როგორც ცხრილი 8-ის მონაცემებიდან ირკვევა, 2014 წლიდან, მას შემდეგ რაც ევროკავშირთან თავისუფალი ვაჭრობის შეთანხმება გაფორმდა, 2019 წელს საქართველოს ექსპორტი 32.27%-ით გაიზარდა და $825.6 მლნ. შეადგინა. აღსანიშნავია, რომ ამ პერიოდში საქართველოს იმპორტი ევროკავშირიდან 2.13%-ით შემცირდა და $2.321 მლნ. შეადგინა. ექსპორტის ზრდითა და იმპორტის შემცირებით, გაიზარდა საქართველოს ექსპორტის წილი მთლიან ვაჭრობის ბრუნვაში და 26.5%

შეადგინა. ასევე გაიზარდა იმპორტის ექსპორტით დაფარვის კოეფიციენტი, რომელმაც 2019 წლის ბოლოს 35.6% შეადგინა.

*ცხრილი 8.* საქართველო-ევროკავშირის საგარეო ვაჭრობის განზოგადებული მონაცემები (2012-2019)

| წელი | 2012 | 2013 | 2014 | 2015 | 2016 | 2017 | 2018 | 2019 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| ექსპორტი, მლნ $ | 352.9 | 607.2 | 624.2 | 644.7 | 565.6 | 655.4 | 730.6 | 825.6 |
| იმპორტი, მლნ $ | 2,431.5 | 2,266.0 | 2,371.9 | 2,080.8 | 2,214.9 | 2,200.7 | 2,506.1 | 2,321.4 |
| საგარეო ვაჭრობის ბრუნვა, მლნ $ | 2,784.4 | 2,873.2 | 2,996.1 | 2,725.6 | 2,780.5 | 2,856.5 | 3,236.7 | 3,147.0 |
| სალდო, მლნ $ | -2,078.6 | -1658.8 | -1729.7 | -1,436.1 | -1,649.3 | -1,545.3 | -1,775.5 | -1,495.8 |
| ექსპორტის წილი მთლიან საგარეო ვაჭრობის ბრუნვაში, % | 12.7% | 21.1% | 20.8% | 23.7% | 19.8% | 22.9% | 22.6% | 26.2% |
| იმპორტის ექსპორტით დაფარვის კოეფიციენტი % | 14.5% | 26.8% | 26.3% | 30.9% | 25.5% | 29.8% | 29.1% | 35.6% |

შედგენილია ავტორის მიერ საქსტატის მონაცემებზე დაყრდნობით (15.05.2020)

სტატისტიკა ცხადყოფს, რომ საქართველოს ექსპორტი ევროკავშირში ყოველწლიურად იზრდება. აღნიშნული ზრდა განსაკუთრებით მკვეთრი და თვალსაჩინოა ევროკავშირთან თავისუფალი ვაჭრობის შეთანხმების გაფორმების შემდეგ. ევროკავშირთან თავისუფალი ვაჭრობის რეჟიმი ქართული პროდუქციისთვის შესანიშნავი შესაძლებლობაა რომ სატარიფო და არასატარიფო ბარიერების გარეშე მოხვდეს წამყვანი ევროპული ქვეყნების ბაზარზე.

დამოუკიდებლობის აღდგენის შემდეგ, საქართველლოს ვაჭრობის მნიშვნელოვანი ნაწილი პოსტ-საბჭოთა ქვეყნებზე მოდიოდა. რომელთაც თავის მხრივ, არასტაბილური პოლიტიკური და ეკონომიკური გარემო გააჩნიათ და საკმაოდ მოწყვლადები არიან რეგიონსა და მსოფლიოში მიმდინარე პოლიტიკური და ეკონომიკური შოკების მიმართ.

ეს კი, პროპორციულად საქართველოს ექსპორტზეც აისახებოდა და მის ვაჭრობის ნაკადებს ამცირებდა. ევროკავშირის ქვეყნები ასეთი შოკების მიმართ მეტად მდგრადები არიან. ამიტომ ექსპორტის ზრდა ევროკავშირის ქვეყნებში, ზოგადად

საქართველოს ექსპორტის დივერსიფიკაციასაც აუცილებლად წაახალისებს და ხელს შეუწყობს.

*დიაგრამა 23.* საქართველოს ექსპორტი ევროკავშირის ქვეყნებში 2019 წელს, %-ული წილი მთლიან ექსპორტში




შედგენილია ავტორის მიერ საქსტატის მონაცემებზე დაყრდნობით (21.07.2020)

ევროკავშირის ქვეყნებში ექსპორტის ზრდა, უდავოდ გამოიწვევს სამამულო კონკურენტუნარიანი პროდუქციის წარმოების ზრდასაც. რადგან ღრმა და ყოვლისმომცველი თავისუფალი ვაჭრობის შესახებ შეთანხმება (DCFTA) საექსპორტო პროდუქციას ხარისხის მაღალ სტანდარტებს უწესებს. მაღალი ხარისხის პროდუქციის დამზადებით, ქართული ფირმები არა მხოლოდ ევროკავშირში საქართველოს ექსპორტს გაზრდიან, არამედ საშუალო და გრძელვადიან პერიოდში, სხვა ბაზრებზეც კონკურენტული უპირატესობის მოპოვების შესაძლებლობა უჩნდებათ. თუმცა, მიუხედავად ევროკავშირში საქართველოს ექსპორტის სტაბილური ზრდისა, ამ მიმართულებით პრობლემა და გამოწვევაც არაერთია. საქსტატის მონაცემები ცხადყოფს, რომ მიუხედავად თავისუფალი ვაჭრობის ხელშეკრულების გაფორმებისა, ევროკავშირის მრავალი ქვეყნის ბაზარზე შეღწევა ქართული პროდუქციისთვის კვლავ პრობლემად რჩება. ზრდის ზოგადი მაჩვენებელი კი, ძირითადად ევროკავშირის იმ ქვეყნებზე მოდის, რომლებიც ადრეც საქართველოს ტრადიციული ვაჭრობის პარტნიორები იყვნენ (ბულგარეთი, რუმინეთი). *(დიაგრამა 23)* მაგალითად, 2019 წლის სტატისტიკური მონაცემების მიხედვით ირკვევა, რომ ზემოთ აღნიშნულ ორ

ქვეყანაში საქართველოს ექსპორტი, ევროკავშირში მთლიანი ექსპორტის ($825 683 მლნ.) 51.61% შეაგენდა ( $426 205 მლნ.). დანარჩენი 26 ქვეყანაზე კი, მთლიანი ექსპორტის 48.39%-იანი წილი მოდიოდა. მსგავსი სურათი იყო 2018 წელსაც, როდესაც ბულგარეთსა და რუმინეთში მთლიანი ექსპორტის 43,34% ($316 695 მლნ.) განხორციელდა. (geostat.ge, 2020)

ევროკავშირთან ვაჭრობის ანალიზისას, თვალსაჩინოა ისიც, რომ საექსპორტო ნაკადებში ძირითადად დომინირებს ნედლეული და არა მზა საქონელი. ნედლეულით ვაჭრობა კი, ერთ მხრივ ნაკლებად პროდუქტიულია, მეორე მხრივ კი იგი მეტად მგრძნობიარეა საგარეო შოკებისა და ფასების ცვლილებისადმი, რაც საქართველოს ექსპორტს მოწყვლადს ქმნის.

ევროკავშირთან თავისუფალი ვაჭრობის შეთანხმება არსებული სურათის შეცვლისთვის კარგი შესაძლებლობაა. ნულოვანი სატარიფო ბარიერის ხარჯზე, საქართველოს შესაძლებლობა აქვს ექსპორტზე გაიტანოს მრავალი კატეგორიის საქონელი და ამით საექსპორტო პროდუქციის დივერსიფიკაცია მოახდინოს. ასევე, თუ მხედველობაში მივიღებთ იმასაც, რომ დღევანდელი მონაცემებით საქართველოს ექსპორტი ევროკავშირში ნაკლებად დივერსიფიცირებულია, ქვეყანას ახალი ბაზრების ათვისების შესაძლელობა აქვს.

აღნიშნული მიზნების მისაღწევად აუცილებელია ევროკავშირის ქვეყნების ბაზრების სიღრმისეული კვლევა და იმ სასაქონლო პოზიციების გამოვლენა, რომლის საწარმოებლადაც შესაძლოა საქართველოს კონკურენტული უპირატესობის მიღწევის შესაძლებლობა ჰქონდეს. ამასთან, აუცილებელია რომ საქართველომ სრულყოფილად შეასრულოს ასოცირების ხელშეკრულებით გათვალისწინებული ის ვალდებულებები, რომელიც საქართველოში წარმოებულ პროდუქციისთვის იმ სტანდარტების მიღწევას შეუწყობს ხელს, რაც საქონლის ევროკავშირის ქვეყნების ბაზრებზე ექსპორტისთვის საჭიროა. მათგან აღსანიშნავია სანიტარული და ფიტოსანიტარული სტანდარტების მიღწევის ინსტრუმენტების შექმნა და მათი ეფექტიანი გამოყენების გზის მიგნება, რათა საქართველოში წარმოებული პროდუქციისთვის ამ სტანდარტების დაკმაყოფილების უზრუნველყოფა ხელმისაწვდომი იყოს.

გარდა ევროკავშირისა და რეგიონის ქვეყნებისა, საქართველოსა და ჩინეთს შორის არსებული ვაჭრობის ურთიერთობები მზარდი დინამიკით ხასიათდება. ექსპორტის ზრდის ტენდენცია განსაკუთრებით თვალსაჩინოა 2012 წლიდან. *(ცხრილი 9 ).*

როგორც წარმოდგენილი ცხრილიდან (ცხრილი 9) ირკვევა, 2012 წლიდან 2019 წლამდე პერიოდში ჩინეთში საქართველოს ექსპორტი $25.6 მილიონიდან $227.6 მლნ დოლარამდე გაიზარდა (789.06%), ამავე შუალედში იმპორტის ზრდამ კი 39.75% შეადგინა. თუმცა, საქსტატის მიერ წარმოდგენილი მონაცემების მიხედვით საქართველოს ჩინეთთან მკვეთრად უარყოფითი ვაჭრობის ბალანსი აქვს, სადაც ექსპორტის წილი 2019 წლის მონაცემებით მხოლოდ 20.9% შეადგენს, იმპორტის ექსპორტით დაფარვის კოეფიციენტი კი 26.5% არ აღემატება.

*ცხრილი 9.* საქართველო-ჩინეთის საგარეო ვაჭრობის მაჩვენებლები (2012-2019) მლნ აშშ დოლარი

| წელი | 2012 | 2013 | 2014 | 2015 | 2016 | 2017 | 2018 | 2019 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| ექსპორტი, მლნ $ | 25.6 | 33.9 | 90.3 | 125.8 | 174.3 | 201.7 | 198.0 | 227.6 |
| იმპორტი, მლნ $ | 614.4 | 612.2 | 733.4 | 587.2 | 547.5 | 732.6 | 833.8 | 858.6 |
| საგარეო ვაჭრობის ბრუნვა, მლნ $ | 640.0 | 646.1 | 823.7 | 713.0 | 721.8 | 934.3 | 1,031.8 | 1,086.2 |
| სალდო, მლნ $ | -588.8 | -578.3 | -643.1 | -461.4 | -373.2 | -530.9 | -638.8 | -631.0 |
| ექსპორტის წილი მთლიან საგარეო ვაჭრობის ბრუნვაში % | 4% | 5.2% | 10.9% | 17.6% | 24.1% | 21.6% | 19.2% | 20.9% |
| იმპორტის ექსპორტით დაფარვის კოეფიციენტი % | 4.1% | 5.5% | 12.3% | 21.4% | 31.8% | 27.5% | 23.3% | 26.5% |

შედგენილია ავტორის მიერ საქსტატის მონაცემებზე დაყრდნობით (14.08.2020)

2018 წლიდან იანვრიდან, მას შემდეგ რაც ძალაში შევიდა საქართველოსა და ჩინეთს შორის გაფორმებული თავისუფალი ვაჭრობის შესახებ შეთანხმება, არც ისე დიდი დროა გასული. თუმცა, წარმოდგენილი სტატისტიკური მონაცემების მიხედვით, (ცხრილი 9). ამ პერიოდში 14.95%-ით გაიზარდა საქართველოს ექსპორტი ჩინეთში და 2019 წლისათვის ის $227.6 მლნ დოლარს შეადგენს. იმავე პერიოდში 2.97%-ით გაიზარდა საქართველოს იმპორტი ჩინეთიდან და ის $858.6 მლნ დოლარს შეადგენს.

ჩინეთთან თავისუფალი ვაჭრობა საქართველოს ექსპორტის დივერსიფიცირებისთვის ახალი შესაძლებლობაა. სავარაუდოა რომ საშუალო ვადიან პერიოდში ჩინეთთან საბაჟო ტარიფების გარეშე ვაჭრობა საქართველოს ექსპორტის ზრდის დინამიკას უფრო გაამყარებს. თუმცა, მსგავსად ევროკავშირისა, გამოწვევებია

ჩინეთთან ვაჭრობისასაც. მიუხედავად სატარიფო ბარიერების გაუქმებისა, პროდუქციის ცნობადობის და სწორი პოზიციონირების საკითხი პრობლემად რჩება. ჩინეთი საექსპორტოდ უდიდესი ბაზარია, ამიტომ მნიშვნელოვანია რომ სწორად განისაზღვროს მომხმარებლის სეგმენტი და გაიზარდოს ქართული პროდუქციის ცნობადობა.

დამოუკიდებლობის აღდგენიდან, საქართველოს კიდევ ერთი მნიშვნელოვანი ვაჭრობის პარტნიორი იყო რუსეთი იყო. ადრეული 1990-იანი წლებიდანვე რუსეთთან ვაჭრობის ურთიერთობებს საქართველოს ექსპორტისთვის დიდი მნიშვნელობა ჰქონდა. ეს გასაკვირი არც არის, რადგან ტრადიციული ვაჭრობის ურთიერთობების მოშლის შემდეგ, ახალი ბაზრების არ არსებობის პირობებში ერთადერთი არჩევანი კვლავ ძველ პარტნიორებთან ვაჭრობის შენარჩუნება იყო. იმ პირობებში, რომ რიგი ქართული სასაქონლო კატეგორიებზე რუსეთში ყოველთვის დიდი მოთხოვნა იყო, მიიჩნეოდა რომ რუსეთი საქართველოს ერთ-ერთი მთავარი ვაჭრობის პარტნიორი იყო. თუმცა, რუსეთი ხშირ შემთხვევაში პოსტ-საბჭოთა სივრცის ქვეყნებთან, ვაჭრობისა და ზოგადად ეკონომიკურ ბერკეტებს ხშირად პოლიტიკური ზეგავლენის მოსახდენად იყენებს. ამ შემთხვევაში გამონაკლისი არც საქართველოა.

მიუხედავად იმისა, რომ საქართველოსა და რუსეთს შორის თავისუფალი ვაჭრობის შესახებ ბილატერალური შეთანხმება ჯერ კიდევ 1994 წელს გაფორმდა, (mfa.gov.ge, 2020) რუსეთისთვის ამას ხელი არ შეუშლია, რომ 2006 წელს ქართული პროდუქციისთვის ემბარგო დაეწესებინა, ხოლო 2014 წელს საქართველოს მიერ ევროკავშირითან ასოცირების შეთანხმების ხელმოწერის შემდეგ, თავისი ბაზრის დაცვის საბაბით საქართველოსთან თავისუფალი ვაჭრობის შეთანხმება შეეჩერებინა.

თავისუფალი ვაჭრობის შეჩერების შემდეგ, რუსეთში 2013 წლიდან მზარდი საქართველოს ექსპორტი მნიშვნელოვნად შემცირდა. კერძოდ, 2015 წელს წინა წელთან შედარებით საქართველოს ექსპორტი რუსეთში 40.74%-ით შემცირდა. თუმცა, მიუხედავად რუსეთის მხრიდან პოლიტიკური მიზეზების საფუძველზე შეჩერებული თავისუფალი ვაჭრობის რეჟიმისა 2017 წლიდან რუსეთში საქართველოს ექსპორტი კვლავ გაიზარდა და 2019 წლისთვის მისმა მოცულობამ $497.1 მლნ. შეადგინა. ამ მაჩვენებლით რუსეთი საქართველოს ნომერ მეორე საექსპორტო ვაჭრობის პარტნიორი გახდა, აზერბაიჯანის შემდეგ ($498.7 მლნ). (*ცხრილი 10)*

*ცხრილი 10.* საქართველო-რუსეთის საგარეო ვაჭრობის განზოგადებული მონაცემები (2012-2019) მლნ აშშ დოლარი

| *წელი* | *2012* | *2013* | *2014* | *2015* | *2016* | *2017* | *2018* | *2019* |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| ექსპორტი, მლნ $ | 46.8 | 190.6 | 274.7 | 162.8 | 206.0 | 396.6 | 436.6 | 497.1 |
| იმპორტი, მლნ $ | 476.8 | 583.9 | 575.5 | 625.0 | 675.6 | 786.8 | 934.0 | 975.9 |
| საგარეო ვაჭრობის ბრუნვა, მლნ $ | 523.6 | 774.5 | 850.2 | 787.8 | 881.6 | 1,183.4 | 1,370.6 | 1,472.7 |
| სალდო, მლნ $ | -430.0 | -393.3 | -300.8 | -462.2 | -469.6 | -390.2 | -497.4 | -478.8 |
| ექსპორტის წილი მთლიან საგარეო ვაჭრობის ბრუნვაში, % | 8.9% | 24.6% | 32.3% | 20.7% | 23.4% | 33.5% | 31.6% | 33.8% |
| იმპორტის ექსპორტით დაფარვის კოეფიციენტი % | 9.8% | 32.6% | 47.7% | 26.0% | 30.5% | 50.4% | 46.7% | 50.9% |

შედგენილია ავტორის მიერ საქსტატის მონაცემებზე დაყრდნობით (16.07.2020)

მართალია რუსეთში საქართველოს ექსპორტის ზრდის პარალელურად, მკვეთრად იზრდება იმპორტიც, თუმცა 2015 წლის შემდეგ 20.7%-დან 33.8%-მდე გაიზარდა ვაჭრობის ბრუნვაში ექსპორტის წილი, ხოლო 26.0%-დან 50.9%-მდე გაიზარდა იმპორტის ექსპორტით ჩანაცვლების კოეფიციენტი. მიუხედავად ამისა, ბოლო წლების გამოცდილება გვიჩვენებს, რომ რუსეთის ბაზარი საქართველოს ექსპორტის პოტენციალის რეალიზებისთვის საკმაოდ ვოლატირულია და დიდწილად მისი სტაბილურობა მოსკოვის პოლიტიკურ დღის წესრიგზეა დამოკიდებული. ეს უკანასკნელი კი ეკონომიკურ ბერკეტებს ხშირად საქართველოზე პოლიტიკურ ზეგავლის მოსახდენად და თბილისის ევრო-ატლანტიკურ მისწრაფებებზე საპასუხოდ იყენებს.

ამრიგად, წარმოდგენილი სტატისტიკური და ანალიტიკური მასალების საფუძველზე შეგვიძლია დავასკვნათ, რომ თავისუფალი ვაჭრობის შეთანხმებების ამოქმედების შემდეგ, მნიშვნელოვნად იცვლება ვაჭრობის დინამიკა საქართველოს ძირითად პარტნიორებთან. კერძოდ ვაჭრობის საერთო ბრუნვაში იზრდება ექსპორტის წილი და ამით მცირდება ვაჭრობის უარყოფითი ბალანსი. ბოლო წლებში იმპორტის ექსპორტით ჩანაცვლების კოეფიციენტის ცვლილება ასევე მიუთითებს ექსპორტის ზრდის დინამიკაზე და საგარეო ვაჭრობაში მისი წილის ზრდაზე, რაც

ცალსახად დადებითი ტენდენციაა. *(დიაგრამა 24)* თუმცა, ეს არ უარყოფს ზემოთხსენებულ პრობლემებსა და გამოწვევებს, რომელიც საქართველოსთვის არსებულ თავისუფალი ვაჭრობის რეჟიმების ეფექტიანი გამოყენების მიმართულებით დღემდე არსებობს.

*დიაგრამა 24.* საქართველოს ექსპორტით იმპორტის დაფარვის კოეფიციენტი ევროკავშირთან, ჩინეთთან და რუსეთთან (2005-2019)




| | 2005 | 2006 | 2007 | 2008 | 2009 | 2010 | 2011 | 2012 | 2013 | 2014 | 2015 | 2016 | 2017 | 2018 | 2019 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| ევროკავშირი | 29% | 20% | 17% | 19% | 18% | 21% | 21% | 15% | 27% | 26% | 31% | 26% | 30% | 29% | 36% |
| რუსეთი | 40% | 14% | 8% | 7% | 9% | 12% | 9% | 10% | 33% | 47% | 26% | 30% | 50% | 47% | 51% |
| ჩინეთი | 12% | 10% | 4% | 3% | 3% | 8% | 5% | 4% | 5% | 12% | 21% | 32% | 28% | 24% | 27% |

შედგენილია ავტორის მიერ საქსტატის მონაცემებზე დაყრდნობით (19.07.2020)

აღნიშნული პრობლემები სხვადასხვა ქვეყნის შემთხვევაში ზოგჯერ განსხვავებულია, თუმცა ძირითადად საექსპორტო საქონლისა და ბაზრების დივერსიფიცირებას, არასატარიფო ბარიერებისა და ვაჭრობის შეთანხმების ეფექტიანად შესრულების უზრუნველსაყოფად აუცილებელი სტანდარტების ეფექტიანად დანერგვის პრობლემებს უკავშირდება.

## დასკვნები და რეკომენდაციები

- თავისუფალი ვაჭრობის შეთანხმებების სხვადასხვა ასპექტის კვლევის შედეგად, იკვეთება, რომ თავისუფალი ვაჭრობა საკუთარი არსით საგარეო ეკონომიკური ლიბერალიზაციის ერთ-ერთ უმაღლეს საფეხურს წარმოადგენს. თავისუფალი ვაჭრობა ქვეყნებს შორის არსებულ ბარიერებს ამცირებს და სხვადასხვა ქვეყანაში წარმოებული საქონლისთვის შესაძლებლობას ქმნის, რომ შეუფერხებლად მოხვდნენ პარტნიორი ქვეყნის ბაზარზე;
- თავისუფალი ვაჭრობის შეთანხმებით, რომელიც ქვეყნებს შორის სატარიფო და ტექნიკურ ბარიერებს შლის, ამ ქვეყნებში არსებულ ფირმებს შესაძლებლობას აძლევს საექსპორტო ბაზრების ზრდის ფონზე, ჩაერთონ საერთაშორისო კონკურენციაში, რომელიც ცალსახად ხელს უწყობს მათ განვითარებას. საერთაშორისო ბაზრებზე გამარტივებული მოხვედრა და ექსპორტის ზრდის პოტენციალი, ფირმებისთვის ერთი მხრივ ახალი სამუშაო ადგილების შექმნის წინაპირობა, მეორე მხრივ კი, ქვეყნის შიგნით უცხოური ვალუტის შემოდინების წყაროა, რაც ასევე ხელს უწყობს ეროვნული ანგარიშების მდგომარეობის გაუმჯობესებას და გაცვლითი კურსის სტაბილურობას;
- თავისუფალი ვაჭრობის შეთანხმება ყველა ქვეყანას აიძულებს გამოიყენოს ის კონკურენტული უპირატესობა, რომელიც მათ აქვთ სხვადასხვა სფეროში, საქონლისა თუ მომსახურების წარმოებაში. გარდა ამისა, იმ ქვეყნებს, რომელთაც არ აქვთ მკვეთრად ჩამოყალიბებული კონკურენტული უპირატესობა ამა თუ იმ დარგში, ვაჭრობის ყველაზე ლიბერალური ფორმა მათ „უბიძგებს“ რომ შექმნან კონკურენტული უპირატესობა ყველაზე ხელსაყრელი ფორმით და ამით მნიშვნელოვანი სარგებელი მიიღონ საერთაშორისო ვაჭრობაში მონაწილეობით;
- თავისუფალი ვაჭრობის შეთანხმება, სხვადასხვა ქვეყნის ფირმებს საერთაშორისო კონკურენციაში ჩაბმისკენ უბიძგებს. სხვადასხვა დარგში საერთაშორისო კონკურენციის ფონზე, ყოველთვის მოგებული რჩება მომხმარებელი, რადგან მას შესაძლებლობა აქვს უფრო მაღალი ხარისხის საქონელი ან მომსახურება დაბალ ფასად მიიღოს. ამასთან, საერთაშორისო კონკურენცია ფირმებს აიძულებს მოახდინონ ინოვაციური და ტექნოლოგიური მოდერნიზაცია, რაც ბაზარზე კონკურენტული უპირატესობის მოპოვების ერთ-ერთი წინაპირობაა. ხოლო ტექნოლოგიების

დიფუზიის გზით საფუძველი იქმნება, რომ განვითარდეს ქვეყნის ინდუსტრიული და სავაჭრო ეკოსისტემა;

- განვითარებულ, ძლიერ საბაზრო ეკონომიკებსა და განვითარებად ქვეყნებს შორის თავისუფალი ვაჭრობის შეთანხმების გაფორმებით, განვითარებად ქვეყნებს შესაძლებლობა უჩნდებათ, უფრო მარტივად შეაღწიონ განვითარებული ეკონომიკის მქონე ქვეყნების ბაზრებზე და გაიუმჯობესონ საკუთარი ვაჭრობის ბალანსი და ექსპორტის სტიმულირების გზით მოახდინონ საკუთარი ეკონომიკის მოდერნიზაცია;
- თავისუფალი ვაჭრობის შესახებ ეკონომიკური თეორიები მოსაზრებათა განსხვავებულ დისკურსს გვთავაზობენ. მათგან გამოიყოფა *ტრადიციული*, *რადიკალური* და *თანაბრორი ზრდის* მიდგომები. სამივე მიდგომა თავისუფალი ვაჭრობის შესახებ ურთიერთსაპირისპირო შეხედულებებს აყალიბებს. ისინი ეკონომიკურ თეორიათა განსხვავებულ ჯგუფებს აერთიანებენ, რომლებიც ქვეყნის ეკონომიკაზე თავისუფალი ვაჭრობის ეფექტების შესახებ მოსაზრებებს გვთავაზობენ;
- მიუხედავად თავისუფალი ვაჭრობის დადებითი და უარყოფითი ეფექტების შესახებ მოსაზრებების სიმრავლისა, შეუძლებელია რომელიმე თეორიაზე დაყრდნობით ცალსახად ითქვას, სატარიფო და ტექნიკური ბარიერების გარეშე საერთაშორისო ვაჭრობა, რომელსაც თავისუფალი ვაჭრობის შესახებ შეთანხმებები გვთავაზობენ, კონკრეტული ქვეყნისთვის რამდენად ეფექტიანი შეიძლება იყოს;
- ეკონომიკური თეორიები არ გვთავაზობენ თავისუფალი ვაჭრობის შესახებ უნიფიცირებულ მოსაზრებას, რომელიც ცალსახად დაადასტურებს, ან უარყოფს მის დადებით ან უარყოფით ეფექტებს ეკონომიკაზე;
- თავისუფალი ვაჭრობის შესახებ დიამეტრალურად განსხვავებულ მოსაზრებებს ხშირ შემთხვევაში საფუძვლად უდევს ბოლო პერიოდში აქტუალური დეგლობალისტური სენტიმენტები. თუმცა, რეალობამ აჩვენა, რომ ზემოაღნიშნული ანტი-გლობალისტური სენტიმენტები და პოლიტიკური დღის წესრიგი პრინციპულად ვერ ცვლის საერთაშორისო ვაჭრობის მთავარ ბაზისს - შედარებითი უპირატესობის თეორიას. რომლის მიხედვითაც თანამედროვე საბაზრო ეკონომიკაში არცერთი სახელმწიფო არ არის თვითკმარი და არსებობისთვის მას სჭირდება საერთაშორისო ვაჭრობაში ჩართვა, სადაც მოქმედებს არსებული კონკურენტული უპირატესობის მიხედვით;

- მიგვაჩნია რომ თავისუფალი ვაჭრობის სისტემას არსებულ საბაზრო ეკონომიკის პირობებში ალტერნატივა არ აქვს. აღნიშნული სისტემის მაღალ ეფექტიანად გამოყენებისთვის კი სიღრმისეული კვლევა მუდმივად უნდა გაგრძელდეს, რაც თავისუფალი ვაჭრობის ახალი შეთანხმებების გაფორმებას და არსებული ხელშეკრულებების ეფექტიანად გამოყენებას გაზრდის;
- საბაზრო ეკონომიკის პრინციპების დამკვიდრება და საერთაშორისო ვაჭრობის ლიბერალური სისტემის ჩამოყალიბება, დამოუკიდებლობის აღდგენის შემდეგ, საქართველოს ეკონომიკური პოლიტიკის ქვაკუთხედს წარმოადგენს. ქვეყანაში ლიბერალური ვაჭრობის პოლიტიკის ჩამოყალიბებას საფუძვლად, 1996 წელს საქართველოს მიერ ვაჭრობის მსოფლიო ორგანიზაციაში (ვმო) გაწევრიანების განაცხადი დაედო. ვმო-ში გაწევრიანების პროცესში მოხდა საქართველოს კანონმდებლობის მაქსიმალური ჰარმონიზაცია ორგანიზაციის პრინციპებთან. შემცირდა კვოტები ექსპორტ-იმპორტზე, შემცირდა აქციზური საქონლის ჩამონათვალი და აქციზის განაკვეთები, დაწესდა შეღავათები საწარმოო დანიშნულების იმპორტულ საქონელზე და ა.შ;
- ვაჭრობის ლიბერალური სისტემის ჩამოყალიბების მიზნით გადადგმული ამ ნაბიჯების შემდეგ, 2000 წელს საქართველო ოფიციალურად შეუერთდა ვაჭრობის მსოფლიო ორგანიზაციას და მისი 137-ე წევრი გახდა. საქართველო ყოფილი საბჭოთა კავშირის მეოთხე რესპუბლიკა იყო ყირგიზეთის, ლატვიისა და ესტონეთის შემდეგ, რომელიც ვაჭრობის მსოფლიო ორგანიზაციაში გაწევრიანდა. ვმო-ში გაწევრიანების შედეგად, საქართველო პრაქტიკულად ვაჭრობის საერთაშორისო სისტემის ნაწილი გახდა და შესაძლებლობა გაუჩნდა ორგანიზაციის 100-ზე მეტ წევრთან, უპირატესი ხელშეწყობის საფუძველზე ეწარმოებინა ვაჭრობის ურთიერთობები. რაც საგარეო პოლიტიკური და ვაჭრობის თვალსაზრისით მნიშვნელოვანი მიღწევა იყო;
- მიუხედავად იმისა, რომ ვაჭრობის ლიბერალიზებითა და ვმო-ში გაწევრიანებით საქართველომ გლობალურ ეკონომიკაში ინტეგრაციისათვის მნიშვნელოვანი ნაბიჯი გადადგა, საწყის ეტაპზე მას საქართველოს ეკონომიკაზე თვალსაჩინო დადებითი ეფექტი არ ჰქონია;
- ქვეყანაში წარმოებული პროდუქციის დაბალი ხარისხი და წარმოების მაღალი დანახარჯები ქართულ ექსპორტს არაკონკურენტუნარიანს ხდიდა. საპირისპიროდ, საბაჟო ტარიფების შემცირების ფონზე მნიშვნელოვნად იზრდებოდა იმპორტი, რაც

ქვეყანაში სავაჭრო დეფიციტს ქმნიდა და ეს გარემოება ეროვნული ვალუტის სტაბილურობას უქმნიდა საფრთხეს;

- ვარდების რევოლუციისა და ხელისუფლების ცვლილების შემდეგ, საქართველოს მთავრობამ ვაჭრობის დამატებითი ლიბერალიზაციის მიზნით, არაერთი რეფორმა გაატარა, რომლებიც გადასახადების შემცირებით, საინვესტიციო გარემოს გაუმჯობესებითა და სამეწარმეო საქმიანობის რეგულირების შემცირებით, მთლიანობაში ვაჭრობის არასატარიფო ბარიერებს აუქმებდა. 2006 წლიდან კი, შესაბამის კანონმდებლობაში ცვლილებების შეტანით, საიმპორტო ტარიფების 16 განაკვეთი შემცირდა 3 განაკვეთამდე (0%, 5% და 12%). ამასთან, საიმპორტო ტარიფები ცალმხრივად გაუქმდა პროდუქციის დაახლოებით 85%-ზე. ეკონომიკისა და ვაჭრობის სფეროში განხორციელებული რეფორმების პაკეტით, მთავრობა იმედოვნებდა რომ ერთი მხრივ საგარეო ვაჭრობის დივერსიფიკაციას მოახდენდა, რაც ეკონომიკურთან ერთად, პოლიტიკური და უსაფრთხოების საკითხიც იყო საქართველოსთვის, მეორე მხრივ კი, ახალ შესაძლებლობებს გააჩენდა ექსპორტის სტიმულირებისთვის;
- მიუხედავად საგარეო ვაჭრობის ლიბერალიზაციისა, მნიშვნელოვნად არ შეცვლილა ეკონომიკის არსებული სტრუქტურა. საქართველო კვლავ დამოკიდებული დარჩა ტრადიციულ საექსპორტო საქონელზე (ღვინო, ფერადი ლითონები, ჯართი და ა.შ). ასევე რთული აღმოჩნდა ახალი საექსპორტო ბაზრების მოძიებაც. ექსპორტის ზრდის ნაცვლად, მკვეთრად იზრდებოდა იმპორტი, რის გამოც ფაქტობრივად ქვეყანა კლასიკური მომხმარებლური სტილის ეკონომიკად ჩამოყალიბდა. ამ ვითარებამ საგარო ვაჭრობის სერიოზული დისბალანსი გამოიწვია. ვაჭრობის დეფიციტმა კი უარყოფითი გავლენა ქვეყნის საგაგადამხდელო ბალანსზე იქონია. ვაჭრობის უარყოფითმა სალდომ მორიგ პიკურ მაჩვენებელს 2007 წელს მიაღწია, როდესაც იმპორტმა ვაჭრობის მთლიანი ბრუნვის 80.9% შეადგინა. მართალია მომდევნო წლებში აღნიშნული მაჩვენებელი შემცირებისკენ წავიდა, მაგრამ უარყოფითი ვაჭრობის სალდო საქართველოს ეკონომიკის ერთ-ერთ ძირითად მახასიათებლად მაინც დარჩა;
- საქართველოს მხრიდან ცალმხრივად საგარეო ვაჭრობის პოლიტიკის ლიბერალიზაციას, საპასუხო ქმედებები მალევე მოყვა დასავლეთის განვითარებული ქვეყნებიდან. საქართველო პრეფერენციათა განზოგადებულ სისტემას (GSP) შეუერთდა;

- სისტემის შემოღების ინიციატორები დასავლეთის განვითარებული ქვეყნები იყვნენ, იმ მოტივით რომ ხელი შეეწყოთ განვითარებადი ქვეყნების ეკონომიკური გაძლიერებისთვის. GSP სისტემის მიხედვით, სხვა ბენეფიციარი ქვეყნების მსგავსად, საქართველოს შესაძლებლობა გაუჩნდათ ნედლეული და პირველადი წარმოების საქონლის ექსპორტი მარტივად განეხორციელებინა;
- საქართველოს GSP სისტემაში ჩართვა აშშ-ის, იაპონიისა, კანადის, შვეიცარიისა და ნორვეგიის მიერ იქნა შემოთავაზებული. აღნიშნული ქვეყნები იმ პერიოდისთვის თანამედროვე სამყაროს განვითარებულ ეკონომიკებს წარმოადგენენ. მათ ბაზრებზე შეღწევის გამარტივებული შესაძლებლობა საქართველოსთვის საგარეო ვაჭრობის დივერსიფიკაციისკენ გადადგმული მნიშვნელოვანი ნაბიჯი იყო. ამას ეკონომიკურის გარდა, პოლიტიკური მნიშვნელობაც ჰქონდა, რადგან ტრადიციულ ვაჭრობის პარტნიორებთან ეკონომიკური ურთიერთობებისა და ასევე ტრადიციული საქონლის ექსპორტის ნაცვლად, საქართველოს პირველად გაუჩნდა ჩანსი დასავლური სამყაროს პოლიტიკურ ოჯახში მოხვედრილიყო. რისთვისაც ამ ქვეყნებთან საგარეო ვაჭრობის ზრდას მნიშვნელოვანი ფასი ჰქონდა;
- 2005 წელს საქართველო ევროკავშირის პრეფერენციების განახლებული გენერალური სისტემის (GSP+) მონაწილე ქვეყანა გახდა. GSP+ სქემის უპირატესობა იმაში მდგომარეობდა, რომ სტანდარტული GSP სისტემისგან განსხვავებით, სადაც მნიშვნელოვნად მცირდებოდა საიმპორტო საბაჟო გადასახადი, ახალი სისტემა ნულამდე ამცირებდა საბაჟო გადასახადებს საქართველოდან ან იმპორტირებულ საქონელზე. ამასთან კი, პროდუქციის საერთო ჩამონათვალი, რომელზეც აღნიშნული პირობა ვრცელდებოდა 7200-მდე გაიზარდა. მათ შორის იყო ისეთი პროდუქტები რომელიც იმ პერიოდში ქართული ექსპორტის მნიშვნელოვან წილს წარმოადგენდა. (მაგ: თხილი და სოფლის მეურნეობის სხვა პროდუქცია);
- ტრადიციულ ბაზრებისგან განსხვავებით, რომლებიც ძირითადად რუსეთსა და სხვა პოსტ-საბჭოთა ქვეყნებს წარმოადგენდა, ევროპულ ბაზრებზე მოხვედრა იმ პერიოდში საქართველოს ეკონომიკისთვის მნიშვნელოვან მიღწევას წარმოადგენდა. განსაკუთრებით იმ ფონზე, როცა საქართველოს სხვა საექსპორტო ბაზრების მომხმარებელთან შედარებით, საშუალო ევროპელი მომხმარებელი, მაღალი მსყიდველობითი უნარითა და ეკონომიკური შესაძლებლობებით გამოირჩეოდა;

- 2007 წელს თურქეთი გახდა პირველი ქვეყანა პოსტ-საბჭოთა სივრცის ქვეყნების გარდა, რომელთანაც საქართველომ თავისუფალი ვაჭრობის შესახებ შეთანხმება გააფორმა;
- თურქეთთან თავისუფალი ვაჭრობის გაფორმების შესახებ საქართველომ მოლაპარაკებები 2006 წლიდან დაიწყო. იმ პერიოდში, როცა რუსული ემბარგოს ფონზე ვარაუდობდნენ, რომ რუსული ემბარგოს პირობებში, თურქეთთან თავისუფალი ვაჭრობის რეჟიმის ამოქმედება ქართულ ღვინოს ახალ, საკმაოდ დიდ ბაზარს გაუხსნიდა, რასაც ასევე საქართველოში თურქული ინვესტიციების შემოდინება მოყვებოდა;
- საქართველოსა და თურქეთს შორის გაფორმებული თავისუფალი ვაჭრობის შესახებ შეთანხმება, ძირითადად ვმო-ს დებულებებს ეფუძნება, შეთანხმების მიხედვით მნიშვნელოვნად მცირდებოდა არსებული საბაჟო გადასახადები და კვოტები პროდუქციის ფართო ჩამონათვალზე. მაგალითად, თურქეთთან თავისუფალი ვაჭრობის შესახებ ხელშეკრულების გაფორმებამდე, თურქეთიდან საქართველოში იმპორტირებულ 174 ტიპის პროდუქციაზე 12%-იანი საბაჟო გადასახადი მოქმედებდა, ხოლო დანარჩენ 43 ტიპის პროდუქციაზე კი - 5%-იანი. ხელშეკრულების ამოქმედების შემდეგ კი, ყველა ზემოთხსენებულ პროდუქციაზე, 15 სასაქონლო პოზიციის გარდა საბაჟო გადასახადი გაუქმდა;
- სანაცვლოდ კი თურქეთმა სატარიფო კვოტები ბევრად მეტ პოზიციაზე შეინარჩუნა. მაგალითად, საბაჟო ტარიფები შენარჩუნდა პროდუქციის 8 კატეგორიაზე, რომელიც თითოეული 10 სასაქონლო პოზიციისგან შედგებოდა. ასევე დამატებით კიდევ 22 პოზიცია, რომელზეც თურქეთმა სატარიფო ქვოტები დააწესა, რომელიც ადგილობრივი წარმოების დაცვის მოტივით, ქვეყანაში იმპორტს მნიშვნელოვნად ზღუდავდა;
- მიუხედავად იმისა, რომ თურქეთთან თავისუფალი ვაჭრობის შეთანხმების გაფორმებით თურქული ბაზარი გაიხსნა საქართველოს სოფლის მეურნეობის სხვადასხვა პროდუქციისთვის (ვაშლი, მსხალი, საზამთრო, პომიდორი, ციტრუსი ნატურალურ თაფლი, თევზპროდუქტეულის ნაირსახეობა და სხვა) შეთანხმების ამოქმედებიდან 12 წლის განმავლობაში, თითქმის არცერთი ზემოთხსენებული პროდუქტის მნიშვნელოვანი რაოდენობის ექსპორტი არ განხორციელებულა, გარდა თევზისა და თევზპროდუქტეულისა;

- ზედმეტად ოპტიმისტური გამოდგა მოლოდინები თურქეთში ქართული ღვინის ექსპორტის ბუმის შესახებაც. რეალობამ აჩვენა, რომ თურქეთის ბაზარზე პოზიციების დამკვიდრება არაერთი ფაქტორის გამო, არც ისე მარტივი აღმოჩნდა. შესაბამისად, 1 მლნ ბოთლის მოცულობის ქვოტის ნაწილობრივი შევსებაც კი მიუღწეველი დარჩა;
- მიუხედავად იმისა, რომ თავდაპირველად თურქეთთან თავისუფალი ვაჭრობის შეთანხმება სწორედ ღვინის ექსპორტის ზრდის მოტივითა და რუსული ბაზრის წილის ჩანაცვლებით კი ინსპირირებული, რეალურად ქართული ღვინის ექსპორტის მოცულობით, თურქეთი ტოპ 10 ქვეყნის ჩამონათვალშიც ვერ ხვდება;
- ქართული პროდუქციის თურქეთის ბაზარზე ექსპორტის ერთ-ერთი ხელისშემლელი ფაქტორი თურქული ბიუროკრატიაა, რომელიც ხშირ შემთხვევაში საკმაოდ მოუქნელია და დამატებითი ტექნიკური ბარიერების მეშვეობით ხელს უშლის ექსპორტიორ ფირმებსა და მცირე მეწარმეებს ადგილობრივ ბაზარზე შეღწევაში. ქართული პროდუქტისთვის დამატებით გამოწვევას წარმოადგენს კონკურენტუნარიანობის ფაქტორიც. რიგი მიზეზების გამო, რომელიც ძირითადად ტექნოლოგიურ უპირატესობას უკავშირდება, ქართულ პროდუქციას თურქულ საქონელთან კონკურენცია უჭირს, რის გამოც მასზე ფასი მაღალია როგორც ექსპორტზე გატანის შემთხვევაში, ისე ადგილობრივ - ქართულ ბაზარზე. მაღალი ფასის პირობებში კი ქართული პროდუქცია არაკონკურენტუნარიანი რჩება და ბაზარზე პოზიციების დამკვიდრება უჭირს. სწორედ ამიტომ, თავისუფალი ვაჭრობის შეთანხმების გაფორმებიდან თურქულმა იმპორტმა ზრდა დაიწყო. ხოლო შეთანხმების ამოქმედებიდან 12 წლის შემდეგ, საქართველოში თურქული ექსპორტი თითქმის 3-ჯერ გაიზარდა;
- აღსანიშნავა, რომ თურქული მხარე მის სასარგებლოდ იყენებს თავისუფალი ვაჭრობის შეთანხმების შემადგენელ ორმხრივი კომულაციის პრინციპსაც, რომლის მიხედვითაც პარტნიორი ქვეყნის ნედლეულით წარმოებული პროდუქტია ექსპორტირებისას საბაჟო გადასახადებისგან თავისუფლდება. (eugeorgia.info) ამ პრინციპს ექვემდებარება თურქეთში ქართული ექსპორტის მნიშვნელოვანი ნაწილი. კერძოდ კი ტექსტილის პროდუქცია, რომლის ექსპორტმა 2015 წელს $60 მლნ დოლარს მიაღწია, რაც 2007 წლის მაჩვენებელთან შედარებით 5-ჯერ მეტია. საქსტატის მონაცემების მიხედვით, იგივე მაჩვენებელმა 2018 წელს $51.5 მლნ შეადგინა, რაც თურქეთში ექსპორტირებული პროდუქციის საერთო მაჩვენებლის 22.2% შეადგენს. ორმხრივი კომულაციის

პრინციპის მიხედვით კი, თურქული ძაფისა, თუ ქსოვილისგან საქართველოში შეკერილი ნივთები თურქეთში განბაჟებას აღარ ექვემდებარება;

- ზემოთხსენებული გარემოებები ნათლად მიუთითებს, რომ თურქეთთან თავისუფალი ვაჭრობის შეთანხმება მხარეებისთვის არათანაბრად ხელსაყრელ პირობებს ქმნის. ამიტომ სასურველია თუ ქართული მხარის ინტერესების გათვალისწინებით იგი მომავალში გადაიხედება, რათა იგი თანაბრად სარგებლიანი იყოს ქართული ექსპორტისთვისაც;
- ვაჭრობის ლიბერალიზების კუთხით უპრეცედენტო მოვლენას წარმოადგენდა 2014 წელს ევროკავშირთან ასოცირების ხელშეკრულების გაფორმება, რომლის შემადგენელ ნაწილსაც წარმოადგენს ღრმა და ყოვლისმომცველი თავისუფალი ვაჭრობის შესახებ შეთანხმება (DCFTA);
- საქართველოსა და ევროკავშირს შორის გაფორმებული ღრმა და ყოვლისმომცველი თავისუფალი ვაჭრობის შეთანხმება (DCFTA) საკუთარი არსით უნიკალურია, რადგან თავისუფალი ვაჭრობის სხვა შეთანხმებებისგან განსხვავებით, იგი უფრო ყოვლიმომცველია და თანამშრომლობის მრავალს ასპექტს აერთიანებს. შეთანხმება საქართველოსა და ევროკავშირს შორის საქონლითა და მომსახურებით ვაჭრობის ლიბერალიზაციას გულისხმობს. DCFTA საქართველოს საშუალებას აძლევს, ევროკავშირის შიგა ბაზრის ოთხი თავისუფლებიდან, მიიღოს სამი: საქონლის, მომსახურების, და კაპიტალის გადაადგილების თავისუფლება;
- ევროკავშირთან გაფორმებული თავისუფალი ვაჭრობის შესახებ შეთანხმება, ბარიერების გარეშე საქონლითა და მომსახურებით ვაჭრობის გარდა საქართველოსთვის მნიშვნელოვან ინსტიტუციურ ჩარჩო დოკუმენტს წარმოადგენს, რადგან ვაჭრობის ლიბერალური შეთანხმების გარდა, იგი მოიცავს რეფორმების მსხვილ პაკეტს, რომელიც საშუალო და გრძელვადიან პერიოდში საქართველოს ევროკავშირთან ინსტიტუციური დაახლოების საფუძველი უნდა გახდეს;
- 2017 წელს საქართველომ თავისუფალი ვაჭრობის შესახებ შეთანხმება გააფორმა ჩინეთთანაც. ჩინეთთან თავისუფალი ვაჭრობის რეჟიმის ამოქმედებით, ქართულ პროდუქციას მსოფლიოს უმსხვილესი ბაზარი გაეხსნა, რომელიც დაახლოებით 1.4 მილიარდ მომხმარებელს აერთიანებს. შეთანხმების მიხედვით, საბაჟო გადასახადისგან თავისუფლდება ქართული საექსპორტო პროდუქციის 94%-მდე, მათ შორის ისეთი მნიშვნელოვანი საექსპორტო პროდუქცია როგორიცაა ღვინო,

მინერალური წყალი, უალკოჰოლო სასმელები, ხილ-ბოსტნეული, თაფლი, თხილი, ჩაი, სამკურნალო საშუალებები და სხვა;

- ევროკავშირთან და ჩინეთთან თავისუფალი ვაჭრობის შეთანხმებების გაფორმებით საქართველო ხდება ერთადერთი ქვეყანა ცენტრალურ და აღმოსავლეთ ევროპაში, რომელსაც ერთდროულად აქვს თავისუფალი ვაჭრობის შეთანხმება როგორც ევროკავშირთან, ისე ჩინეთთან. იმ ფონზე, რომ ევროკავშირსა და ჩინეთს შორის თავისუფალი ვაჭრობის შესაძლებლობები მცირეა, განსაკუთრებით იზრდება საქართველოს როლი;
- უნიკალური პოზიციის გამო, რომელსაც საქართველო მსოფლიოს ორ უმსხვილეს ბაზარზე გამარტივებული, სატარიფო ბარიერების გარეშე წვდომის ხარჯზე იღებს, ქვეყანა განსაკუთრებით მიმზიდველი ხდება პირდაპირი უცხოური ინვესტიციებისთვის. საქართველო შესაძლოა გახდეს მნიშვნელოვანი ადგილი არაერთი ინვესტორისთვის, რადგან შესაძლებელია საქართველოში დამზადებული პროდუქცია გამარტივებული წესით, საბაჟო გადასახადების გარეშე მოხვდეს მსოფლიოს უმსხვილეს ბაზრებზე. ამან კი, შესაძლოა მნიშვნელოვანი როლი ითამაშოს საქართველოს ეკონომიკური განვითარების ახალი ქვაკუთხედის ჩამოყალიბებაში, რომელიც პირდაპირ ეხმიანება აბრეშუმის გზის განახლებისა და ევროპა-აზიის გზასაყარის იდეებს;
- მიუხედავად შესაძლებლობებისა თავისუფალი ვაჭრობის ხელშეკრულებების ეფექტიანი გამოყენების კუთხით არაერთი გამოწვევაა;
- საქონლის ექსპორტის მაჩვენებელი სატარიფო ცვლილებების მიმართ საკმაოდ ინერტულია, რის გამოც ვაჭრობის რეჟიმის ცვლილების ასახვა ექსპორტის დინამიკაზე როგორც წესი მყისიერად არ ხდება. ამიტომ საქართველოს ექსპორტზე და ზოგადად ეკონომიკის მაჩვენებლებზე, ჩინეთთან თავისუფალი ვაჭრობის შესახებ შეთანხმების სრულფასოვან გავლენაზე მსჯელობა, მისი ხელმოწერიდან ორი წლის შემდეგ რთულია;
- ექსპორტის დინამიკაზე თავისუფალი ვაჭრობის პრინციპის გავლენის გასაზომად მინიმუმ 5 წლიანი პერიოდია საჭირო, თუმცა უკვე შესაძლებელია გაკეთდეს იმ ფაქტორების გამოკვეთა, რომელმაც შესაძლოა გავლენა მოახდინოს თავისუფალი ვაჭრობის შეთანხმების ეფექტიან იმპლემენტაციაზე და ექსპორტის ზრდის დინამიკაზე;

- კვლევა ცხადყოფს, რომ საქართველოს ექსპორტი ევროკავშირში ყოველწლიურად იზრდება. აღნიშნული ზრდა განსაკუთრებით მკვეთრი და თვალსაჩინოა ევროკავშირთან თავისუფალი ვაჭრობის შეთანხმების გაფორმების შემდეგ. ევროკავშირთან თავისუფალი ვაჭრობის რეჟიმი ქართული პროდუქციისთვის მნიშვნელოვანი შესაძლებლობაა რომ სატარიფო და არასატარიფო ბარიერების გარეშე მოხვდეს წამყვანი ევროპული ქვეყნების ბაზარზე;
- 2014 წლიდან, მას შემდეგ რაც საქართველომ ევროკავშირთან თავისუფალი ვაჭრობის შეთანხმება გაფორმდა, ევროკავშირში საქართველოს ექსპორტი 32.27%-ით გაიზარდა და $825.6 მლნ. შეადგინა. აღსანიშნავია, რომ ამ პერიოდში საქართველოს იმპორტი ევროკავშირიდან 2.13%-ით შემცირდა და $2.321 მლნ. შეადგინა. ექსპორტის ზრდითა და იმპორტის შემცირებით, გაიზარდა საქართველოს ექსპორტის წილი მთლიან ვაჭრობის ბრუნვაში, რომელმაც 2019 26.5% შეადგინა. ასევე გაიზარდა იმპორტის ექსპორტით დაფარვის კოეფიციენტი, რომელმაც 2019 წლის ბოლოს 35.6% შეადგინა. (2.5-ჯერ მეტი ვიდრე ანალოგიური მაჩვენებელი 2012 წელს);
- მიუხედავად ევროკავშირში საქართველოს ექსპორტის სტაბილური ზრდისა, ამ მიმართულებით პრობლემა და გამოწვევაც არაერთია. წარმოდგენილი კვლევა ცხადყოფს, რომ მიუხედავად თავისუფალი ვაჭრობის ხელშეკრულების გაფორმებისა, ევროკავშირის მრავალი ქვეყნის ბაზარზე შეღწევა ქართული პროდუქციისთვის კვლავ პრობლემას წარმოადგენს. ზრდის ზოგადი მაჩვენებელი კი, ძირითადად ევროკავშირის იმ ქვეყნების ხარჯზე მოდის, რომლებიც თავისუფალი ვაჭრობის შეთანხმების გაფორმებამდეც საქართველოს ტრადიციული ვაჭრობის პარტნიორები იყვნენ (ბულგარეთი, რუმინეთი). მაგალითად, 2019 წლის სტატისტიკური მონაცემების მიხედვით ირკვევა, რომ ზემოთ აღნიშნულ ორ ქვეყანაში საქართველოს ექსპორტი, ევროკავშირში მთლიანი ექსპორტის ($825 683 მლნ.) 51.61% შეაგენდა ( $426 205 მლნ). დანარჩენი 26 ქვეყანაზე კი, საერთო ექსპორტის 48.39%-იანი წილი მოდიოდა. მსგავსი სურათი იყო 2018 წელსაც, როდესაც ბულგარეთსა და რუმინეთში მთლიანი ექსპორტის 43,34%  ($316 695 მლნ) განხორციელდა;
- წარმოდგენილი კვლევით ასევე თვალსაჩინოა ისიც, რომ ევროკავშირში საქართველოს საექსპორტო ნაკადებში ძირითადად დომინირებს ნედლეული და არა მზა საქონელი. ნედლეულით ვაჭრობა კი, ერთ მხრივ ნაკლებად პროდუქტიულია, მეორე მხრივ კი

იგი მეტად მგრძნობიარეა საგარეო შოკებისა და ფასების ცვლილებისადმი, რაც საქართველოს ექსპორტს მოწყვლადს ქმნის;

- 2012 წლიდან მზარდი დინამიკით ხასიათდება საქართველოსა და ჩინეთს შორის არსებული ვაჭრობის ურთიერთობები. 2018 წლიდან იანვრიდან, მას შემდეგ რაც ძალაში შევიდა საქართველოსა და ჩინეთს შორის გაფორმებული თავისუფალი ვაჭრობის შესახებ შეთანხმება, არც ისე დიდი დროა გასული. თუმცა, წარმოდგენილი კვლევის მიხედვით, ამ პერიოდში 14.95%-ით გაიზარდა საქართველოს ექსპორტი ჩინეთში და 2019 წლისათვის ის $227.6 მილიონს შეადგენს. იმავე პერიოდში 2.97%-ით გაიზარდა საქართველოს იმპორტი ჩინეთიდან და ის $858.6 მილიონს შეადგენს;
- 2012 – 2019 წლებში ჩინეთში საქართველოს ექსპორტი $25.6 მილიონიდან $227.6 მილიონამდე გაიზარდა (789.06%), ამავე შუალედში იმპორტის ზრდამ კი 39.75% შეადგინა. მიუხედავად ამისა, სტატისტიკის მიხედვით საქართველოს ჩინეთთან მკვეთრად უარყოფითი ვაჭრობის ბალანსი აქვს, სადაც ექსპორტის წილი 2019 წლის მონაცემებით მხოლოდ 20.9% შეადგენს, იმპორტის ექსპორტით დაფარვის კოეფიციენტი კი 26.5% არ აღემატება;
- ჩინეთთან თავისუფალი ვაჭრობის რეჟიმის ამოქმედებიდან ორი წლის შემდეგ, კვლევის მონაცემებზე დაყრდნობით, იკვეთება რომ მიუხედავად სატარიფო ბარიერების გაუქმებისა, ექსპორტის ზრდის ტემპი კვლავ დაბალია და იგი მნიშვნელოვნად ჩამორჩება იმპორტს.;
- ჩინეთთან თავისუფალი ვაჭრობა საქართველოს ექსპორტის დივერსიფიკაციისთვის ახალი შესაძლებლობაა. სავარაუდოა რომ საშუალო ვადიან პერიოდში ჩინეთთან საბაჟო ტარიფების გარეშე ვაჭრობა საქართველოს ექსპორტის ზრდის დინამიკას უფრო გაამყარებს. თუმცა, მსგავსად ევროკავშირისა, გამოწვევებია ჩინეთთან ვაჭრობისასაც. მიუხედავად სატარიფო ბარიერების გაუქმებისა, პრობლემად რჩება პროდუქციის ცნობადობის და სწორი პოზიციონირების საკითხი. ჩინეთი საექსპორტოდ უდიდესი ბაზარია, ამიტომ მნიშვნელოვანია რომ სწორად განისაზღვროს მომხმარებლის სეგმენტი და გაიზარდოს ქართული პროდუქციის ცნობადობა;
- წარმოდგენილი კვლევის საფუძველზე შეგვიძლია დავასკვნათ, რომ თავისუფალი ვაჭრობის შეთანხმებების ამოქმედების შემდეგ, მნიშვნელოვნად იცვლება ვაჭრობის დინამიკა საქართველოს ძირითად პარტნიორებთან. კერძოდ ვაჭრობის საერთო

ბრუნვაში იზრდება ექსპორტის წილი და ამით მცირდება ვაჭრობის უარყოფითი ბალანსი. ბოლო წლებში იმპორტის ექსპორტით ჩანაცვლების კოეფიციენტის ცვლილება ასევე მიუთითებს ექსპორტის ზრდის შედეგებზე საქართველოს საგარეო ვაჭრობაზე და ზოგადად ეკონომიკაზე, რაც ცალსახად დადებითი ტენდენციაა. თუმცა, ეს არ უარყოფს ზემოთხსენებულ პრობლემებსა და გამოწვევებს, რომელიც დღემდე არსებობს საქართველოსთვის არსებულ თავისუფალი ვაჭრობის რეჟიმების ეეფქტიანი გამოყენების კუთხით;

- პრობლემები სხვადასხვა ქვეყნის შემთხვევაში ზოგჯერ განსხვავებულია, თუმცა ძირითადად უკავშირდება საექსპორტო საქონლისა და ბაზრების დივერსიფიკაციის, არასატარიფო ბარიერებისა და ვაჭრობის შეთანხმების ეფექტიანად შესრულების უზრუნველსაყოფად აუცილებელი სტანდატების ეფექტიანად დანერგვის საკითხებს;

## გამოყენებული ლიტერატურა


1. საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახურის ოფიციალური ვებ-გვერდი www.geostat.ge. 10.12.2020
2. საქართველოს სოფლის მეურნეობის სამინისტროს ოფიციალური ვებ-გვერდი. www.moa.gov.ge 15.10.2020
3. საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტროს ოფიციალური ვებ-გვერდი www.mfa.gov.ge 18.11.2020
4. საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს ოფიციალური ვებ-გვერდი www.economy.gov.ge 12.11.2020
5. ევროკავშირთან ასოცირების შეთანხმების ოფიციალური ვებ-გვერდი www.dcfta.gov.ge 22.12.2020
6. საქართველოს ეროვნული ბანკი https://www.nbg.gov.ge/ 18.10.2020
7. საქართველოს პარლამენტის ოფიციალური ვებ-გვერდი www.parliament.gov.ge 11.09.2020
8. საქართველოს საკანონმდებლო მაცნეს ოფიციაური ვებ-გვერდი www.matsne.gov.ge 30.11.2020
9. Europe for Georgia, http://eugeorgia.info/ka/ 25.11.2020
10. აბესაძე, რ.(2015). ეკონომიკური განვითარება. თბილისის უნივერსიტეტის გამომცემლობა. თბილისი,
11. აბრალავა, ა. (2015). ეროვნული ეკონომიკა და გლობალიზაცია. თბილისი.
12. ასლამაზიშვილი, ნ. (2003). საგარეო ვაჭრობა. თბილისის უნივერსიტეტის გამომცემლობა, თბილისი,
13. აბულაშვილი გ., ანთაძე ც., ბახტაძე ლ., გეგეშიძე ა., დოლიძე ა., დოროხინა ო., ზაქარეიშვილი პ., კაკულია მ., კუხიანიძე ა. (2007). ევროკავშირის სამეზობლო პოლიტიკა და საქართველო. დამოუკიდებელ ექსპერტთა ანალიზი (პუბლიკაცია)
14. არჩვაძე, ი. (2020) *საქართველოს ეკონომიკა სსრკ-ის დაშლის შემდეგ*, რონდელის ფონდი
15. ბასილია, თ., სილაგაძე, ა., ჩიკვაიძე, თ. (2001). პოსტსოციალისტური ტრანსფორმაცია: საქართველოს ეკონომიკა XXI საუკუნის მიჯნაზე. თბილისი.
16. ბენაშვილი, გ. (2020) კორონომიკა - ეკონომიკური პოლიტიკის ხელახალი გააზრების აუცილებლობა, ჟურნალი ეკონომიკა და ბიზნესი, ნომერი (XII) II, გვ: 72-81
17. ბერიძე, ლ., ჭიპაშვილი მ. (2005). *საქართველოს შრომის ბაზრის აქტუალური პრობლემები.* ჟურნალი საქართველოს ეკონომიკა.
18. გველესიანი, რ. (1999). მცირე და საშუალო მეწარმეობის წარმატების სტრატეგია და კულტურა. თბილისი, „სამშობლო“ თბილისი
19. გველესიანი, რევაზ და ირინა გოგორიშვილი.(2008) ეკონომიკური პოლიტიკა, წიგნი #1. თბილისი,
20. გველესიანი რევაზ და ირინა გოგორიშვილი. (2009) ეკონომიკური პოლიტიკა, წიგნი #2. თბილისი,

21. გველესიანი ე. (2007). პოსტსოციალისტური ტრანსფორმაცია და ეკონომიკური ინტეგრაციის პერსპექტივები. ჟურნალი. ეკონომიკა. #12 გვ. 5-7
22. თვალჭრელიძე, ა. სილაგაძე, ა, ქეშელაშვილი, გ. გეგია, დ. (2011) საქართველოს სოციალურ-ეკონომიკური განვითარების პროგრამა. თბილისი, გამომცემლობა „ნეკერი“, 2011.
23. ლეკაშვილი (1997) საერთაშორისო ვაჭრობის ზოგიერთი თეორიის შესახებ, ეკონომიკის აქტუალური საკითხები, შრომების კრებული, თსუ გამომცემლობა, მეორე გამოშვება, გვ.117-121;
24. პავლიაშვილი, ს., გარაყანიძე, ზ. (2014). საქართველოს სატრანსპორტო დერეფანი: პრობლემები და პერსპექტივები. თბილისი,
25. პაპავა, ვლ. (2005). პოსტკომუნისტური გარდამავალი პერიოდის მაკროეკონომიკა, თბილისის უნივერსიტეტის გამომცემლობა. თბილისი
26. პაპავა, ვლ. (2015). საქართველოს ეკონომიკა: რეფორმები და ფსევდორეფორმები. გამომცემლობა ინტელექტი, თბილისი
27. პაპავა, ვ. & ანანიაშვილი, ი (2010) მაკროეკონომიკური წონასწორობა ლაფერ-კეინზიანური სინთეზის პირობებში. ეკონომისტი N5, გვ. 5-23
28. პაპავა, ვ., სილაგაძე, ა. (2019) სიახლე ქართულ ეკონომიკურ ტერმინოლოგიაში, ჟურნალი ეკონომიკა და ბიზნესი, N1, 2019, გვ. 180-182
29. პაპავა, ვ. (2018) ეკონომიკური ზრდა ევროკავშირის აღმოსავლეთ პარტნიორობის ქვეყნებში. ეკონომიკისა და ბიზნესი, გამოცემა N5, გვ. 17-23
30. სირბილაძე, ი., მღებრიშვილი, მ. (2020) ჩინეთის, ევროკავშირისა და საქართველოს ურთიერთკავშირი: ეკონომიკური და პოლიტიკური ურთიერთობების ანალიზი, PMCG Research, თბილისი
31. სიჭინავა, ა. (2010) ინვესტიციები, გამომცემლობა სსმუ, თბილისი
32. ფუტკარაძე, რ. (2010). საქართველო-ევროკავშირის სავაჭრო-ეკონომიკური ურთიერთობები: პრობლემები და პერსპექტივები. თბილისი, „უნივერსალი“
33. ფუტკარაძე, რ. (2012). გლობალიზაცია და საერთაშორისო ვაჭრობის განვითარების ტენდენციები. „გლობალიზაცია, საერთაშორისო ბიზნესის თანამედროვე პრობლემები და განვითარების პერსპექტივები საქართველოში. საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენციის მასალები. თბილისი, „უნივერსალი“, გვ.399-407.
34. ფუტკარაძე, რ. (2010). ჩრდილოეთ ამერიკის თავისუფალი ვაჭრობის ასოციაცია (NAFTA) და მისი ეკონომიკური შედეგები. სამეცნიერო-პრაქტიკული ჟურნალი. ეკონომიკა და ბიზნესი. N5. ევროპის უნივერსიტეტი. თბილისი, გვ.185-190.
35. ღაღანიძე, გ. (2012). გლობალიზაცია და ეკონომიკური ინდექსები. „გლობალიზაცია, საერთაშორისო ბიზნესის თანამედროვე პრობლემები და განვითარების პერსპექტივები საქართველოში. საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენციის მასალები. თბილისი, „უნივერსალი“. გვ.105-110.
36. ტუხაშვილი, მ. (2009) მიგრაციული ექსპანსიის დასასრული და რუსეთის "ახალი მიგრაციული პოლიტიკა", „უნივერსალი“, თბილისი

37. ხარაიშვილი ე., მექვაბიშვილი ე., აჩელაშვილი კ., ჩავლეიშვილი მ., ლაცაბიძე ნ., (2004) რეგიონული ეკონომიკა, თბილისის უნივერსიტეტის გამომცემლობა, თბილისი,
38. ხარაიშვილი, ე. (2011) პრობლემები საქართველოს აგროსასურსათო სექტორში, გამომცემლობა უნივერსალი, 2011, თბილისი
39. შერგელაშვილი, თ., თოქმაზიშვილი, მ. (2012) საქართველოს ეკონომიკური ტრანსფორმაცია: დამოუკიდებლობის 20 წელი. თბილისი, ევროპული ინიციატივა - ლიბერალური აკადემია თბილისი
40. ხარიტონაშვილი, ჯ. (1997) ეკონომიკურ მოძღვრებათა რეტროსპექტივა და თანამედროვე პრობლემები წიგნი I., თბილისი.
41. ჯამაგიძე, ლ. (2004) საქართველოს საგარეო სავაჭრო პოლიტიკის თანამედროვე მიმართულებები, საერთაშორისო საუნივერსიტეტთაშორისო სამეცნიერო შრომების კრებული "საერთაშორისო ბიზნესი", ტ. III, # 2, გვ. 98-103
42. Acemoglu, D., Robinson, A. J. (2012) Why Nations Fail: The Origins of Power, Prosperity, and Poverty, New York, Crown
43. Adarov, A. Havlik, P. (2016) Benefits and Costs of DCFTA: Evaluation of the Impact on Georgia, Moldova and Ukraine, The Vienna Institute for International Economic Studies
44. Ali M. El-Agraa, (2009). The European Union: Economics and Policies 9th Edition;
45. Alam, Q, Nguyen, TH & Majumdar, N 2009, 'Shock Therapy versus Gradualism: The Central Eastern Europe (CEE) and East Asia Compared – A Review of Literature', International Business Research, Vol. 2, No. 2, 2009,
46. Aslund, A., Djankov, S. (2017) Europe's Growth Challenge, Oxford Press, New York
47. Baier, Scott & Bergstrand, Jeffrey & Mariutto, Ronald. (2014). Economic Determinants of Free Trade Agreements Revisited: Distinguishing Sources of Interdependence. Review of International Economics. Volume 22. pp. 31-58
48. Bakhtadze, Lela & Sartania, Teimuraz. (2019). Trade Relations and Export Orientation Prospects of Georgian Economy on EU Market, IISES Conference Proceeding
49. Baniya, Suprabha., Rocha, Nadia., Ruta Michele, (2019) Trade Effects of the New Silk Road: A Gravity Analysis, Trade Effects of the New Silk Road: A Gravity Analysis, Policy Research Working Paper, World Bank Group Library
50. Berden, Koen & Berden, Tatiana & Francois, Joseph & Paczynski, Wojciech & Plaisier, Nora & Vermeulen, Jurgen. (2012). Trade Sustainability Impact Assessment in support of negotiations of a DCFTA between the EU and Georgia and the Republic of Moldova.
51. Benashvili. G. (2015)Peaceful Transfer of Political Power and its Characteristics in Georgia, Moldovian Journal of International Law and International Relations Volume. 38 (4) pages. 48-55,
52. Benashvili. G. (2016) Economic Development of South Caucasus – East West Crossroad, The WEI International Academic Conference Proceedings, pages 34-44

53. Benashvili. G. (2017) The Impact of Regional Economic Cooperation - Case of South Caucasus, Development & Growth, Economic Impact of Globalization, IJOPEC Publication Edition: First Edition, pages .63-78,
54. Benashvili. G (2020) China's One Belt and One Road Initiative and Its Prospects for Georgia, Ecoforum, Volume 9, Issue 1 (21)
55. Benashvili G. (2020). Pandemic Impacts on The International Economy. Globalization and Business, Volume 10, pages: 192-197
56. Benashvili. G (2019) The Role of Higher Education Institutions in The Entrepreneurship Ecosystem – Case of Georgia, Pressacademia,
57. Cadier, D. (2013), Is the European Neighbourhood Policy a Substitute for Enlargement?,
